

წინასიტყვაობა

გამომცემლობა «ნაკადულმა» განიზრახა, შეეცრიბა ერთად ჩემი ჩანაწერები და ახალგაზრდა მკითხველისათვის ისე მიეწოდებინა. წინადადება მივიღე, მაგრამ შევფიქრიანდი: ეს «მგზავრის წერილები» ხომ 40 წლის წინათაა დაწერილი. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ზოგიერთი მხარე პირველი მგზავრობის შემდეგ რამდენჯერმე მოვინახულე, სვანეთში ასვლა 33 წლით შემაგვიანდა. ერთ-ერთი მგზავრობის შემდეგ «კომუნისტში»¹ წერილი დავბეჭდე, ამ გამოცემის წინასიტყვაობად მას ვიყენებ მცირე შემოკლებებით. ვგონებ, მან გამოხატოს ის ცვლილებანი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მოხდა.

სვანეთში პირველად 1925 წელს ვიმოგზაურე.

ვნახე ცადაწვდილი მთები: მოღუშული უშბა, მკერდგანიერი შხარა, კეკლუცი თეთნულდი, წყალმრავალი ენგური, კოპჭია სოფლები ურიცხვი კოშკით.

ვნახე ჯიხვისტყავიანი წარბშეკრული ვაჟკაცები, ტყეში გასული მოსისხლენი, ტამრების ირგვლივ მლოცველნი, მოვისმინე დიადი ჰიმნი მზისადმი «ლილე», დავტკბი უჩვეულო რიტმის ცეკვებით. ერთი სიტყვით, ვნახე რომანტიკის მხარე, სადაც ჯერ კიდევ იგრძნობოდა გარდასულ საუკუნეთა სუნთქვა.

კვლავ სვანეთისკენ მივდივარ ახლა და ვფიქრობ: ნეტავ როგორია დღეს ეს კუთხე? ვიცი, გზები გაიყვანეს, სკოლები აშენდა, მრავალმა ახალგაზრდა სვანმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა. ამჟამად ბევრი სვანია აგრონომი, ბიოლოგი, ინჟინერი, გეოლოგი, ექიმი, ლიტერატორი, ეკონომისტი, ბევრ მათგანს პირადადაც ვიცნობ, მაგრამ მინდა ვნახო, როგორ განახორციელეს მათ ჩვენი ახალი ცხოვრების ძირითადი ამოცანები.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ სოფელ ჯვართან, ზემო სვანეთის კარიბჭესთან, ხელი ასწია ახოვანმა ვაჟკაცმა. მანქანა შევაჩერებინე. ნაცნობი ინჟინერი გამოდგა, ხაიშამდე მიდიოდა. ჩვენ შორის მალე გაიბა გულითადი საუბარი.

– მე, როგორც ინჟინერ-გეოლოგს, ამ მთებში ხშირად მიხდება მოგზაურობა. დაახლოებით თქვენი ასაკის გახლავართ. 1925 წელს, როცა თქვენი ჯგუფი მესტიიდან აფხაზეთისკენ გავიდა, ჩვენი, გეოლოგ-მზვერავების ჯგუფი მაშინ ლატფარის უღელტეხილით მესტიაში ჩამოვიდა. თქვენ ბრძანებთ, რომ გაინტერესებთ, როგორი იქნება ახლანდელი სვანეთი? ერთ ამბავს გიამბობთ და შემდეგ თვითონვე გამოიტანეთ დასკვნა.

– შარშან, – დაიწყო ჩემმა თანამგზავრმა, – ქვემო სვანეთში გახლდით. ჩემთან იყო ერთი ჩემი თანამშრომელიც. საბადოს შესახებ ზოგიერთი საკითხი გვექონდა დასაზუსტებელი. საქმეს რომ მოვრჩით, ჩემმა თანამგზავრმა მთხოვა, ერთ სოფელში შევიაროთ, აქაურმა ახალგაზრდამ ჩემი ქალიშვილი შეერთო, მართალია, ისინი ამჟამად არ არიან, მაგრამ მისი ნათესავები ჯერ არ მინახავს, აქედან რომ მათ უნახავად წავიდე, ვაჟკაცობასაც დამიწუნებენ და ქართველობასაცო.

სადამოს უკვე ორსართულიანი სახლის ზემო სართულის დარბაზში სუფრას ვუსხედით და იყო გულთბილი მასპინძლობა, ისმოდა სიმღერა სვანური, კახური, იმერული, ქართლური და – ყველა ქართული. მასპინძლის გარდა სუფრას უსხდნენ მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, ერთი დოცენტი, ყველა აქაური, – ჩვენ ორს გარდა.

გაგრძელდა ლხინი. ცაზე ვარსკვლავები დიდი ხანია ანათებენ. შუა ლხინში ვიყავით, უცბად ელექტრონი ჩაქრა, დიასახლისები დატრიალდნენ და სულ მალე ორი დიდი ნავთის ისეთი ლამპა შემოიტანეს, რომ სინათლეს ბევრი არა დააკლდა რა, დარბაზი ისევ გაჩირაღდნებული იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენს მასპინძელს მოუსვენრობა დაეტყო, ელექტროჭადს მალ-მალე შეხედავდა ხოლმე. ბოლოს ვეღარ მოითმინა და თავის შვილს მიმართა – უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებულ ახალგაზრდას.

– ბიჭო, დაურეკე ელექტროსადგურში, აამუშაონ ჩქარა, თორემ ამ ნავთის ლამპამ თვალეებში სინათლე გამომილია.

მოულოდნელად თითქოს შავი ფარდა აიხადაო, თვალწინ დამიდგა 1925 წლის ზემო სვანეთისაკენ მიმავალი მგზავრების ჯგუფი. ჩვენი მასპინძელი მაშინაც სწორედ ეს კაცი გახლდათ, აი, ეს მხიარული, თეთრი თმით შემოსილი ჭარმაგი კაცი. თითქოს ნათლად ცოცხლობდა მაშინდელი სურათი: შუაცეცხლი ანთია, იხარშება ვახშამი, მაგრამ, აი, ჩანელდა ცეცხლი, ვახშამი უკვე მზად არის. ჩვენი მასპინძელი ტრიალებს. ანთო კვარი, გაგვინათა სუფრა: «ჩემი არჩეული კვარიაო», ამბობს და იღიმება. აი, ასეთი ღიმილი დაჰკრავს ახლაც, როდესაც ელექტროსადგურზე ბრაზობს: გაჩირაღდნებულმა ლამპამ «თვალეები დამივსო»...

გამიხარდა, რომ ასე მკვეთრად განსხვავდებოდა ძველი ახლისგან. თვითონ ეს დარბაზი კმაროდა სიხარულისთვის. კარადა წიგნებით, კედელზე სურათები. სადღაა ძველი მაჩუბი, ბოსლიდან რომ თავი გადმოეყოთ ძროხებს საცხოვრებელ დარბაზში.

ვეღარ მოვითმინე. წამოვხტი და გადავხვიე გაკვირვებულ მასპინძელს, როცა გაირკვა ჩემი ოცდაცამეტი წლის წინანდელი სტუმრობა, ამან ერთხელ კიდევ აგვავესებინა სასმისები, – დაამთავრა საუბარი ჩემმა თანამგზავრმა.

გამიტაცა ფიქრმა: ამაზე უკეთესი რაღა უნდა ვნახო? კითხვას ვაძლევ ჩემს თავს და ვინ იცის, რანაირი სურათი არ წარმოვიდგინე. დიდხანს ვართ ჩუმი მეც და ჩემი თანამგზავრიც.

მიიკლაკნება კლდეში გაჭრილი გზა, ძირს კი ქუხილით მიექანება წყალმრავალი ენგური. ივლისში ის ჩვენებურ სხვა მდინარეებს არ წააგავს, რომლებიც ამ დროს განახევრდებიან ხოლმე. ზაფხულში ენგურს წყალი არ აკლდება, მას კავკასიონის ყველაზე დიდი და ძლიერი მყინვარები კვებავს: ჰადიშის, წანერის, ლეხზირის, ჭალათის, გულისა და სხვა მრავალი. ასეთი მყარმარაგიანი მეორე მდინარე კავკასიონზე არ მეგულება. მართალია, ჩვენში ცოტა როდია სწრაფი მდინარეები, მაგრამ ასეთი გრძელი და თანაც მთელ მანძილზე დაუდევარი არც ერთი არ არის. ერთგან, ლახამულასა და ხაიშს შუა, ორასიოდე მეტრის მანძილზე მას თავისი სისწრაფე შეუნელებია. აქ ის აღარც გრგვინავს და აღარც ღრიალებს. სწორედ ამის გამო სვანეთში ერთი იუმორით სავეს ლეგენდა შექმნილა: პეტრე მოციქული შეხვედრია მეორე მოციქულს და საუბარი კარგად რომ გაეგოთ, ენგურისთვის უთხოვნიათ: «ცოტა წყნარად, ნუ ხმაურობ». თურმე «ამიტომ» არის აქ ენგური წყნარი და თვინიერი.

ენგურს, ამ დიდ ეროვნულ განძს, მოვლა უნდა. იქნებ გაგიკვირდეთ, მდინარეს რა მოვლა უნდაო. უნდა,

როგორ არ უნდა! აი, დააკვირდით, მდინარის ტალღებს მოაქვს და მოაქვს სოჭისა და ნაძვის მორები, მრავალი გარიყულა ნაპირზე, ჩახერგილა კლდეებში, მდინარის ვიწროებში. ეს მორები ჩვენი ტყის მიერ მოძღვნილი განძია, საქალაქო მასალა, რომელიც ქალაქის ქარხნისაკენ მიექანება. რასაკვირველია, ტყე უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ ისეთ მთიან ქვეყნებში, როგორც ჩვენი მხარეა, თუ ტყის ექსპლოატაციის საქმეში შევდგომთ დავეშვით, ზედმეტად ვიხარბეთ, გამოუსწორებელ ბოროტებას ჩავიდინთ. მოტიტვლდებიან მთის ფერდობები და მათი ენგურიც მხოლოდ ბოროტებად იქცევა... სამწუხაროდ, ზემო სვანეთში ასეთი შეცდომა უკვე დაშვებულია. წარსულში ეს შეცდომა მოხდა ნაკრას ხეობაში, სადაც მშვენიერი წიწვიანი ტყეები, უკვე კაი ხანია, ანწლმა შეცვალა. ამ ცოტა ხნის წინ ლატალის ტყეებიც ზედმეტად გაამეჩხერეს. ამჟამად ახალი საექსპლოატაციო უბნებიც არ არის დაზღვეული ასეთი შეცდომებისგან. დროა, რომ ენგურის ქალაქის ქარხნისათვის ხელოვნური ტყეების გაშენებას უფრო ენერგიულად მოვკიდოთ ხელი ენგურის ჭალებში, სამეგრელოსა და აფხაზეთის ვაკეებზე.

– მართლაც, მეტისმეტად საშიშია ეს სალიმარის კლდეები! – მირღვევს ფიქრს ჩემი თანამგზავრი.

გადავიხედე, მარჯვნივ თვალუწვდენი უფსკრულია, ენგურის ხმაურიც კი ვეღარ აღწევს ჩვენამდე, ძირს თითქოს პაწაწინა მდინარედ მიიკლავება. ვაშა ვაჟკაცის მარჯვენას, რომ ასეთ კლდეებში გზა გაკაფა. დღეს, საბჭოთა ეპოქაში ნამდვილად ხორცი შეისხა თამარის დროის ერთ-ერთი ეპიტაფიის სტრიქონებმა:

«უსიერი მთა გაკაფე.

დიდი შარაგზა გავიღე»...

მართლაც, გზა გაკაფულია უსიერ კლდეებს შორის, მაგრამ ამ გზას ჯერ კიდევ დიდი მუშაობა სჭირდება. სამაგიეროდ, ეს შრომა ერთითად ანაზღაურდება: რამდენი სოფელი და თემი შეიძლება ერთ მთლიან კურორტად გადაიქცეს. ამისათვის აქ ყველაფერია: მინერალური წყალი, ფიჭვნარი და ნაძვნარი, შესანიშნავი მთის ჰაერი, თოვლიანი მთები, სიმაღლე – ზღვის დონიდან 1000 – 2400 მეტრამდე. აარჩიეთ, რომელიც გნებავთ: ცხუმარი, ლენჯერი, ლატალი, უღვარი, წვირმიში, კალი თუ ივარი... კურორტების მოსაწყობად დაუშრეტელი წყაროა, დაუშრეტელი...

სვანეთის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტივაა: მსოფლიო მნიშვნელობის კურორტები, ალპური ბანაკები, ტურისტული ბაზები. არსად, ასე მცირე ფართობზე, იმდენი ლამაზი და ნაირ-ნაირი მთა არ არის, რამდენიც ზემო სვანეთში. ამიტომ აქ ისტორიულ ძეგლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამჟამად მესტიაში შეკრებილია მნიშვნელოვანი სიძველენი: IX, X, XI საუკუნეების ხელნაწერები, ჰადიმის სახარება, სხვადასხვა უნიკალური ხელნაწერები, ოქრომჭედლობის ნიმუშები და სხვ. ყველაფერი ეს კი ერთ პატარა ნატამრალშია მოთავსებული... და ეს მამინ, როდესაც სვანეთში იმდენია შესანახი, მოსავლელი, სამუზეუმე, რომ მთელი ერის ისტორია დაიწერებოდა. მესტიაში აუცილებლად უნდა აიგოს ახალი მუზეუმის შენობა, ექსპონატები კარგად უნდა დამუშავდეს და განლაგდეს. ვფიქრობ, ეს საქმე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ უნდა იკისროს.

მუზეუმის ეზოში ვიცანი ის პანტა, რომელიც 1925 წელს ვნახე და რომელმაც მამინ ჩემი ყურადღება მიიპყრო. ამ ნამყენმა პანტამ მაფიქრებინა, რომ აქ ხილის მოყვანაც კარგად შეიძლებოდა. და აი, მესტიაში ახლა ყოველ ეზოში უკვე პატარა ბაღა-ბაღებია. აქ უხარებიათ: ვაშლებიდან – კეხურა, ბელფლიორი, შამპანური, რენეტი, ზამთრის ოქროს პარმენი და სხვ; ბალი დროგანა, ქლიავებიდან: შავი ქლიავი, ჭანჭური, მწვანე რენკლოდი და მრავალი სხვა. ბაღები კოლმეურნეობაშიც გაუმშენებიათ.

რასაკვირველია, არაზუსტი იყო «ბუნების კარისა» და «დედა ენის» ცნობები, «სვანეთში ქერის მეტი არა მოდის რა».

როგორც ჩანს, სვანეთი, ჩვენს სხვა მთიან მხარეებთან ერთად, ერთ-ერთი სამშობლოა ზოგიერთი ხორბლისა. ზემო სვანეთში არსებობს სოფელი დოლი (ბეჩოს თემში), «დოლის პურის» სახელწოდებაც ამ სოფლიდან უნდა იყოს წარმოშობილი. სვანეთში დოლის პურს დიდი პატივით იხსენიებენ. «დია, დია, დოლაშ დიარ». ეს სვანური იდიომია, რომელიც ვერ ითარგმნება, მაგრამ აზრის გადმოცემა შეიძლება. ამ თქმაში არის ნატვრაც და ქებაც დოლის პურისა. «ახ, სადა ხარ, დოლის პურო», «დედაც, დედაც, დოლის პურო» და სხვა. თუ მესხეთში არსებული ერთი ადგილის სახელწოდება «დოლის ყანა» შეიძლება სახელის მიმცემი იყოს დოლის პურისთვის, მამინ უპრიანია, ეს პრიორიტეტი სოფელ დოლს ჰქონდეს, მით უმეტეს, ზემო სვანეთის დოლის პურის მარცვლის ღირსება უფრო მაღალია. ამიტომ, გასაკვირი არ არის, ბარში დოლის პურის ჯიში მთიდან წაეღოთ და ეწოდებინათ იმ სოფლის სახელი, საიდანაც წაიღეს. მით უმეტეს, დიკას თითქმის ყველა არსებული ქვესახეობა მოინახა სვანეთის სხვადასხვა პატარა მინდვრებში. მიწათმოქმედება, ისევე როგორც მთელ საქართველოში, აქაც კარგად იყო განვითარებული. მის განვითარებაში მთელ ქართველ ხალხთან ერთად სვანსაც თავისი წვლილი შეჰქონდა და არც ერთ დარგში არ უდებდა ტოლს დანარჩენ საქართველოს.

ახლა?

როდესაც მესტიის კლუბში შეკრებილ ზემო სვანეთის აქტივს ვუცქერდი – 500 კაცამდე იყო, ერთი-ორის გარდა ყველა ადგილობრივი: ექიმი, მასწავლებელი, აგრონომი, ეკონომისტი, მეტყევე, ინჟინერი, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი და ასე დაუსრულებლივ.

გავიფიქრე, რომ არც ახლა დაუდებდა ტოლს.

1950 წ. იალბუზიცი მოვიგონე. აზაუმდე მანქანით მივალ-მეთქი, ვიფიქრე. ასეც მოვიქეცი. აზაუს მიდამოებში რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება დამხვდა – საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის და თბილისის უნივერსიტეტის. «თერთმეტის თავშესაფრამდე» მანქანით ავედი! აქ აშენებულია კომფორტული სასტუმრო, ასევე რამდენიმე შენობა სამეცნიერო დაწესებულებისათვის.

ამჟამად საბაგირო გზაც კეთდება.

და ასე – ყველგან.

და ის, რაც ახალი გაკეთდა, როგორ გარდაიქმნა ჩვენი ქვეყანა, თქვენ უნდა დაწეროთ, ჩემო ძვირფასო ახალგაზრდა მკითხველებო.

იალბუზი (1925 წ.)

გამგზავრება

იშვიათია ისეთი ლამაზი კუთხე, როგორც **კავკასიონია**, მეტადრე ის ნაწილი, რომელიც საქართველოს საზღვრავს. თვალწარმტაცია ამწვანებული და ათასნაირად აყვავებული ფერდობები, სადაც ჩამოჩუხჩუხებს წმინდა, ანკარა ნაკადულები, შრიალებს დაბურული და გაუვალი ტყეები, სადაც ათასწლოვანი ხეები ფოთლების ნელი რხევით გვიამბობენ გარდასულ წელთა ამბებს.

უფრო თვალწარმტაცია ჩვენი მთები, თეთრი სამოსით შემოსილი საყვარელი მთები, ასე ამაყად რომ ამართულა ცის კიდეში და იქიდან მდუმარედ გადმოსცქერის ველებსა და მდელოებს, ტყეებსა და ღრეებს.

ვინ იცის, რა ხდება მარადი ყინულით დაფარულ მათ მკერდზე, მყინვარებისგან დაღარულ კალთებზე.

ნეტავ როგორია ჩვენი მთების უმაღლესი მწვერვალი იალბუზი, ასე დინჯად რომ გამდგარა განზე და ასე ამაყად გადმოჰყურებს კავკასიონის მწვერვალებს? იალბუზი ხომ ყველაზე მაღალია არა მარტო ჩვენს მთებში, არამედ ევროპაშიც.

ვინ იცის, რამდენი მდინარე იბადება მის კალთებზე, რამდენი მცენარე ხარობს!

მაგრამ განა მარტო იალბუზია ჩვენთვის უცნობი? აგერ, სვანეთის სიამაყე, მრისხანედ რომ ამართულა, სამთავიანი უშბა; კოპწია და ნაზი, მსოფლიოში ულამაზესი მწვერვალი თეთნულდი; ცალმაგი, მკერდგანიერი, გრძელი მწვერვალით შხარა, ყომტანთაუ, მისი ტოლი, ხევის პატარმალი, დედა მრისხანე თერგისა, მყინვარწვერი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი ლამაზი და დიადი მწვერვალი! რამდენნაირი ხალხი ცხოვრობს ამ მთის ორწოხებში, რომლებსაც ჩვენ შორიდან ვუცქერით. როგორ ცხოვრობენ ასეთ მიუვალ მთებში, რას აკეთებენ? ოჰ, როგორ მინდა ვიცოდე ჩვენი მთების თავგადასავალი, გავიცნო ჩვენი ტყეები, ჩვენს მთებში მცხოვრები ხალხი, მდინარეები, რომლებიც ასეთი ზავითა და ზათქით მოექანება ძირს ამ მთის კალთებიდან.

განა სირცხვილი არ არის, არ ვიცოდე ყოველივე ეს, რაც ასე ახლო არის?

მწყინდა, რომ ჩვენში კარგად არ იყო მოგვარებული ჩვენი მხარისა და განსაკუთრებით მთების შესწავლის საქმე. იქ ხომ მეცნიერებისთვის მრავალი უცნობი განძია. ამ განძს თავისი ძლიერი ხელი უნდა შეახონ განახლებული ცხოვრების შვილებმა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილებამ გადაწყვიტა, 1925 წლის ზაფხულში მოეწყო ექსპედიცია იალბუზზე და სვანეთში.

ექსპედიციას ხელმძღვანელობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ნიკოლაძე. გაჩაღდა სამზადისი. საქართველოს მთავრობამ ყოველგვარი დახმარება აღმოგვიჩინა. ჩვენი განზრახვა ძალიან მოეწონათ და ეს უფრო გვახალისებდა. 1925 წლის 26 ივლისს 27 კაცი, გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, მატარებლით გავედით თბილისიდან.

ჩვენი გეზი ასეთი იყო: თბილისი – პიატიგორსკი, მატარებლით; პიატიგორსკი – კისლოვოდსკი – კარმოვო – გუნდელენი, ბაქსანის ხეობით, ზედა ბაქსანი – იალბუზი, დონდუზოროუნის გადასასვლელით – სვანეთი, ხოლო სვანეთიდან – აფხაზეთი, ქვეითად.

29 ივლისს ჩავედით პიატიგორსკში და შევუდექით ქალაქის დათვალიერებას.

პიატიგორსკი ცენტრია კავკასიის მინერალურ წყალთა ჯგუფისა, რომელშიაც შედის კისლოვოდსკი, პიატიგორსკი, ესენტუკი და სხვა. იქ მიწის წიაღიდან გადმოსჩქეფს სხვადასხვა თვისების მინერალური წყალი. ამ წყაროებისა და მშვენიერი ჰავის წყალობით, ეს ადგილები საუკეთესო კურორტებს წარმოადგენს და მშვენივრად არის მოწყობილი.

ამ წყაროებს მეთვრამეტე საუკუნეშიც იცნობდნენ. 1812 წელს იქ აშენდა პირველი სახლი, 1912 წელს კი უკვე 40 000 მცხოვრებზე მეტი იყო.

წინათ იქ სამკურნალოდ მხოლოდ არისტოკრატია მიემურებოდა, დღეს კი იგზავნება: მუშა, კოლმეურნე თუ მეცნიერი, ყველა, ვინც ჩვენი სახელმწიფოსთვის ღირებულებას ქმნის. მათთვის მოწყობილია სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები.

დილით ადრე გვესმის ხმაური: გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, იალბუზი მოჩანსო. სწრაფად წამოვცვივდით და აივანზე გავედით. მზე ჯერ არ ამოსულიყო, ცა გრძნობდა მის სიახლოვეს და სიხარულით კამკამებდა.

შორს, ცის დასალიერზე, გადაჭიმულა ლურჯად მოელვარე ე. წ. **გამყოლი ქედი**, რომელსაც კლდოვანს ეძახიან. მის ზურგს უკან კი ამართულა ორთავიანი ჭაღარა დარაჯი კავკასიონისა. ლალია და შეუპოვარი მისი იდუმალი მზერა, მისი სიზვიადე გულში შიშსა და რაღაც იდუმალ მოწიწების გრძნობას ბადებს. თვალი ვერ მოვაშორეთ, სანამ დასავლეთიდან წამოსულმა ღრუბლებმა არ დაფარა ის. ეს ნისლი კარგი ნიშანი არ არის, მაგრამ არა უშავს რა!

კისლოვოდსკში 31 ივლისს ჩავედით. გიორგიმ ინახულა საკ.კ.პ.(ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხანაგი **ს. ორჯონიკიძე** და აცნობა ჩვენი მგზავრობის დაწყება. მან საჭირო განკარგულება გასცა და მოგვცა წერილები სვანეთის აღმასკომის თავმჯდომარის სახელზე.

იქვე შევხვდით პროფესორ ანისიმოვს, გეოლოგს და ძველ ალპინისტს, მან უამრავი რჩევა-დარიგება მოგვცა. რუსეთის მეცნიერთა სახლში რუს პროფესორთა და მოღვაწეთა თანდასწრებით მოგვიწყვეს მეგობრული საუბრე და გვისურვეს გამარჯვებით დაბრუნება.

იქ გავიცანით კავკასიის მთასვლა-მგზავრობის განყოფილების წევრები და პროფესორი ალტბერგი, ფროლოვი და სხვები. ისინი იალბუზისკენ წასვლას აპირებდნენ და გვთხოვეს, ერთად გვემგზავრა.

„ზუზანკალის ველები“

კისლოვოდსკიდან 2 აგვისტოს გავედით. ბარგი ურემზე აწყვია. იქაური მალაკნები დავიქირავეთ. გზა **ყაბარდოს ზეგანზე** მიდის, რომელიც კისლოვოდსკის სამხრეთითაა გადაჭიმული. ფართოა ეს ზეგანი, მისი დასასრული კავკასიონის მთის კალთებში იკარგება.

წინათ აქ ცხოვრობდნენ თავისუფლებისმოყვარე ჩერქეზები, მაგრამ ვერ აიტანეს რუსეთის მეფის ძალმომრეობა: დიდხანს იბრძოდნენ, დამარცხდნენ, მთელი სოფლები აიყარა და გადასახლდა შორეულ ოსმალეთში...

სამხრეთისაკენ მკაფიოდ აიმართა იურის სისტემის ქედი, ე. წ. **კლდოვანი ქედი**. ის მოელვარე მზის სხივების სინათლეზე ნაირ-ნაირი ფერებით იყო დამშვენებული. ვწუხდით, რომ ამ ქედს იქით ღრუბელთა კედელი ჩანდა, რომელშიც გახვეულიყო ორთავიანი იალბუზი. ვწუხდით უფრო იმიტომ, რომ ეს ღრუბლები მწვერვალზე ასვლას გააძნელებდნენ.

ჩრდილოეთისკენ კი ამართულიყო კისლოვოდსკის მთები (ცარცის ხანისა).

კავკასიის მთები წარმოიშვა დედამიწის ზედაპირის გაცივების დროს მომხდარი შეკეცვისა და შეჭმუჭვნის გამო. ძლიერმა წნევამ (სამხრეთიდან დასავლეთისკენ) ამოსწია დედამიწის სიღრმიდან გრანიტი და მთის სხვა ქანები, მათთან ერთად აიწია ე. წ. ნალექმა ჯიშებმაც, რომლებიც გრანიტის ქანებზე იყო დაწოლილი. ეს ფენები ერთმანეთზე ეწყობოდა დედამიწის არსებობის განმავლობაში. ვაკე ადგილებზე 16 კილომეტრის სიღრმეზე უნდა ჩათხაროთ მიწა, რომ ყველა ეს ფენა დაგხვდეთ და შეისწავლოთ. ჩვენს მთებში მათი უმრავლესობა შეჭმუჭვნის გამო ზევითაა ამოტანილი.

ჩრდილოეთის მხრიდან პირველი ქედი ნიჟარების კირქვისგან შედგება. ამ ფენას ეწოდება მესამეული ხანის ფენა. ასეთია **შავი მთები**. მეორე ქედი ცარცის ქანებისგან შედგება. ეს პირველზე უფრო ძველია და ცარცის სისტემისაა.

მესამე რიგი მთებისა, რომელიც კავკასიონის მთავარ ქედს ფარავს, უფრო ძველი ხანისაა და მას იურა ეწოდება.

ყოველ ამ ფენაში გვხვდება მაგარი და რბილი ქანები (მთის ჯიშები), მაგრამ არც ამ მთებს შერჩათ ერთი სახე.

მთების დიდი მტერია წყალი. იგი ნელ-ნელა და შეუჩერებლად ხვეტს მთებს, თან მიაქვს რბილი ქანები, მაგარი ქანები კი უფრო დიდხანს რჩება. «ირეცხება» და იცვლება მთების სახე. ამ წყალმა შექმნა ხეობები. ხეობების ადგილას ქანები წინათ უფრო რბილი იყო, დარჩა მაგარი, უფრო შეუდრეკი ნაწილები, როგორც პარალელური ქედები.

მთების მწვერვალებიც ჩამორეცხა, გამოიფიტა და ახლა ზღაპრული კოშკებივითაა ლაჟვარდ ცისკენ ამართული. რაც უფრო ღრმად შევდივართ ამ ხეობებში (ჩრდილოეთიდან – სამხრეთისაკენ), მით უფრო მაგარია მთის ჯიშის და იმიტომ მთებიც უფრო მალეები გვხვდება. ბუნების სხვადასხვა მოვლენებმა მათ ჯერ კიდევ ვერაფერი დააკლო, აქ უფრო მეტია გრანიტის ქანები, დედამიწის გულიდან მზის სინათლეზე ამოწეული.

მესამეულ ხანაში აღიმართა იალბუზის ვულკანური კონუსი და ამონთხეული ნიაღვარით დაიფარა თვალუწვდენი სივრცეები ასეული კილომეტრის მანძილზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, იმავე ძალამ, რამაც წარმოშვა იალბუზი, შეარყია დედამიწის ზედაპირი და ასწია თვალუწვდენი მინდორი, რომელსაც დღეს ყაბარდოს ველი ეწოდება. აქედან იალბუზამდე მანძილი პირდაპირი ხაზით 90 კილომეტრია.

ამ ადგილების შესახებ პროფესორმა ანისიმოვმა გვითხრა:

გზადაგზა მრავალი ხრამია და ამ ხრამების კედლებზე მოჩანს ცარცის ხანის ქანები. მხოლოდ ამ ბოლო დროს დაამტკიცეს მეცნიერებმა, რომ ისეთი შლამი, რისგანაც შექმნილია ეს ქანები, მხოლოდ ოკეანეთა და დიდი ზღვების ძირში ილექება. ის მიკროსკოპულ ცხოველთა ორგანიზმებისგან იქმნება. ცხადია,

ადგილები, სადაც ჩვენ მივდიოდით, ოდესღაც ოკეანეთა ბობოქარი ტალღებით ყოფილა დაფარული. თანამედროვე გეოლოგების გამოანგარიშებით, ერთი მეტრის სისქის ასეთი ქანის დალექვას დაახლოებით ერთი მილიონი წელი სჭირდება. ამ ადგილებში კი ხშირად შეგხვდებით 300-400 მეტრის სისქის ასეთი ქანი და როდესაც უცქერი მათ, სრულიად აშკარად წარმოგიდგება თვალწინ, თუ რა ხნისაა დედამიწა. თვით კისლოვოდსკში, «ახალ პარკში» არსებობენ **«წითელი ქვები»**. ეს წითელი ქვიშაქვაა. მის ზევით კი **«ლურჯი ქვებია»**, – ეს მაგარი თიხაა. ასეთივე მაგარი თიხის სვეტები გვხვდებოდნენ გზადაგზა ყაბარდოს ველებზე. ცნობილია, რომ ზღვას თიხა და ქვიშა ნაპირზე გააქვს და იქ ილექება და არა – შუაგულ ზღვაში. ასეა დღესაც, ასე იყო ადრეც – გეოლოგიურ წარსულში. მაშინ შუაგულ ზღვაში ილექებოდნენ ის ქანები, რომელთა სისქეც მთელ კილომეტრს აღწევს და დღეს ამ ქვიშაქვასა და თიხნარში ხშირად ნახულობენ ხმელეთის გაქვავებულ ცხოველებს. ზღვის პატარ-პატარა უბეები ალბათ ხმელეთის მცენარეებით იყო შემოსილი. სამაგიეროდ, ცარცის ხანის დროს იქ ზღვის ტალღები ბობოქრობდა...

ჩვენ ირგვლივ გაშლილიყო ველი, მწვანე ბალახით დაფარული. აი სამყურა, იონჯა, თიაქარსლა, ფარსმანდუკი, კრაზანა... ეტყობა, ადამიანის ხელი იშვიათად ხვდება.

უცქერის იაგორა, ჩვენი გამყოლი, ამ ბალახებს და მეუბნება: «აფსუსია, რომ ეს ბალახი ჩვენში არ არის: რამდენ ცხორსა და ძროხას შევინახავდი, ეს სამოვრები რომ ჩვენში იყოს».

კარგია ეს ველი თავისი ბალახეულით, მაგრამ ირგვლივ არც ერთი ხე არ დგას, არც ერთი ბუჩქი, რომ დალილმა მგზავრმა თავი შეაფაროს. სიცხე კიდევ არაფერი, კავკასიის არც ერთ მხარეში არ მინახავს ამდენი ბუჩანკალი. ფუტკრის ნაყარივით ირევიან და გააქვთ ბზუილი. მერე რა მწარედ იკბინებიან! მათ ნაკბენ ადგილას ხორცი სივდება და სისხლის წითელი ზოლი ჩნდება.

ამ ველებს, ყაბარდოს დიდ ველს, **ბუჩანკალის ველები** დავარქვით.

ველებზე მოჩანს სოროები, სოროს წინ ყრია შექმული და დაღრღნილი თავთავები. აქ ბევრია მინდვრის თავგი.

კისლოვოდსკის 26-ე კილომეტრზე გზის ნაპირთან აღმართულია შვეული მთა, რომელსაც აქაური მცხოვრებნი **«მყვირალა მთას»** ეძახიან. ეს **ზღეხობის** მთაა. მყვირალა მთას ეძახიან იმიტომ, რომ აქ გამოძახილი მკაფიოდ გაისმის. საკმარისია ოდნავ ხმამაღლა დაილაპარაკო, რომ მთა უკანვე გესვრის შენ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. ბუჩანკალის ველებზე გატანჯული ხალხისათვის სწორედ კაი ადგილი იყო შესასვენებლად. ზოგიერთ ჩვენგანს ხმაც კი ჩაეხლიჩა ყვირილით და მთაც უკან გვიბრუნებდა ყოველივე ნათქვამს. ჩვენს ყვირილზე მთათა მწვერვალიდან რუხი არწივები წამოიშალნენ და ზანტი ფრენით კლიდან კლდეზე გადადიოდნენ.

ბაქსანის ხეობა

ორი დღის მგზავრობის შემდეგ შევდივართ მდინარე ბაქსანის ხეობაში. მღვრიე ბაქსანს ამბავი მოაქვს იალბუზიდან, ეს ხომ მისი პირმშოა – იქ დაბადებული.

აკი ამიტომაც ასე ზავთიანად მიეშურება ქვემოთკენ, რომ ამბავი ჩაუტანოს თერგს. თერგი მყინვარწვერზე იბადება, მის კალთებში, ხოლო მყინვარწვერი და იალბუზი და-ძმაა, ერთ დღეს დაიბადნენ, ერთ დროს ამოხეთქა დედამიწის გულმა ისინი თავისი მკერდიდან, ორივე ნელ-ნელა გაცივდა და ცეცხლის მფრქვეველ მთებად იქცა. ხშირად გაბოროტებულნი, მრისხანებით მოცულნი, აფრქვევდნენ ისინი ცეცხლს, ისროდნენ წილვარს² და თავიანთ გარშემო ქმნიდნენ ახალ-ახალ მთებს. მარტო ყოფნა ეზარებოდათ, უნდოდათ მათ გარშემო მთების ჯარი გაჩენილიყო და აკი გაჩნდა კიდევ და, თითქოს რა იხილეს, რომ კმაროდა, გულიც დაუცხრათ, გაჩერდნენ და გაცივდნენ, მარადი თოვლით დაიფარნენ.

ვიწროა ბაქსანის ხეობა, ირგვლივ ჩამოტიტვლებული კლდეები, რუხი მთები აყუდებულან, რომელთა წვერებსა და ორწოხებში მრავალჭირნახული ნაძვი მოჩანს. ამ ტიტველ კლდეებში ჩაუტანებია მას თავისი ფესვები, ჩაუბლუჯავს და სწოვს საზრდოს. გაჭირვება მიჩვენე და გზას გიჩვენებო, ნათქვამია, – მაშ რა ქნას, რითი ირჩინოს თავი? ქარისა და ყინულისგან კლდე ადვილად იშლება, ადვილად იმტვრევა და რახარუხით ეშვება ქვემოთ, ბაქსანის ტალღებისაკენ. არც ეს ტალღები აყრიან ხეირს, კლდეს ეჯახებიან, ამტვრევენ და ქვიშად ქვეულს მიაქანებენ კასპიის ზღვის ნაპირებისკენ.

თითო-ოროლა ფიჭვს შორის მოჩანს მიწაზე გართხმული ღვია. საცოდავს თავი მაღლა ვერ აუწევია, თითქოს ეშინია, რომ ვერ გაუძლებს ქარტეხილებს და ურჩევნია მიწაზე იყოს გართხმული.

ამ დიდებულ ხეობაში სოფელ გუნდელენიდან შევდივართ, იქ ერთმანეთს ხვდება ორი მდინარე – გუნდელენი და ბაქსანი. კარმოვიდან გუნდელენამდე 32 კილომეტრია. ეს სოფელი შესანიშნავია იმით, რომ მდებარეობს ფართო ტაფობში, რომელსაც ირგვლივ არტყია თავისებური მწვერვალები – ლაშკუთა, კაჩყარტაში, ხლებეიში და სხვები. საიუკო ქედის ერთ-ერთ კლდეში მრავალი გამოქვაბულია, სადაც პოულობენ აუარებელ ძველ იარაღს, აბჯარს და ჩაჩქანს. ამ გამოქვაბულთა შესწავლას უკვე საბჭოთა სპეციალისტები და მეცნიერები შეუდგნენ.

როგორც ყველა მდინარის ხეობა, ისე ბაქსანის ხეობაც ფართოვდება იქ, სადაც მთები რბილი ქანებისგან შედგება. სოფელ გუნდელენის ზემოთ, იურის მთის ჯიშებში ხეობა ვიწროვდება და იკუმშება. ამას იქით პატარა ზეგანი – ჯანხოტია. ეს იყო საზღვარი ბაქსანის ხეობაში მცხოვრებ ტომებსა და ყაბარდოელებს

შორის. ვაკე ადგილი ყაზარდოელებს ეჭირათ და ქვევით წამომსვლელ ბაქსანებს ყაზარდოს მფლობელისთვის ხარკი უნდა ეძლიათ. ამ ნიადაგზე არა ერთი და ორი ვაჟკაცი გამოსალმებია წუთისოფელს, არაერთი დედა და სატრფო ატირებულა. კარგა ხანია, რაც ამ ველზე ყველის ქარხანა ააშენეს. გადავივლით რა ჯანხოტიას, სწრაფად შევდივართ იურის ქედებში. ჩამოტიტვლებულ ფერდობებზე ალაგ-ალაგ მოჩანს მცენარეთა მწვანე საფარი და ბაქსანიც ვიწრო ხეობაში უფრო გამალებული მიქუხს. თოთურთარის გამოსასვლელთან მდინარეზე გადებულია ე. წ. ალქაჯთა ხიდი, რომელსაც მართლა შეეფერება ეს სახელწოდება – უცნაური, ზღაპრული კლდეები, ნაპრალები და მქუხარე ბაქსანი ამართლებს მას. ამ ადგილას კლდოვანი ქედია გადაკვეთილი, მთავარი ქანი კირქვაა, რომელსაც შევიწროებული მდინარე თავის ტალღებს ახეთქებს.

ამის შემდეგ ხეობა კვლავ ფართოვდება, გზის აქეთ მოჩანს მორენებისა და მყინვარის ნაშთები. ეს გვაფიქრებინებს, რომ კავკასიონის მყინვარები აქამდე ჩამოდიოდა, დღეს კი უკან დაუხვევია – აქედან პირველ მყინვარამდე 50 კილომეტრი მაინც იქნება.

უკვე ვიწრო და კლდოვან **შამ-ბავატი**ს ხეობაში შევდივართ. მაღალი, ბუმბერაზი მთები ლაჟვარდი ცის სივრცეში იკარგებიან. პირველად აქ განვიციდით მთების სიდიადეს და ბუმბერაზობას. წინ წასულები პატარა ჭიანჭველებივით მოჩანან. შამ-ბავატი 3-4 კილომეტრზეა აქედან. კვლავ განიერ ხეობაში გავდივართ.

მარცხნივ, ჩვენ წინ, ცის დასალიერზე, მოჩანს მთავარი ქედის თოვლიანი მწვერვალი **ტიხენგენი**, თუმცა მის სილამაზეს და სილადეს კავკასიონის ბუმბერაზი – **იუსენგის** მწვერვალი ჩრდილავს.

მარჯვნივ თვალს ვერ ვაშორებ ზღაპრულად ლამაზი, უცნაური მთების მწვერვალებს. თითქოს ხელოვნურად აუშენებიათო კოშკები მთათა წვერებზე. ეს კლდოვანი მთებია: **ალამადია** და **ნაუყიძე**. ამ უკანასკნელის მსგავსება ქართულ სიტყვასთან ვერვინ აგვიხსნა. გაკვირვებულები გავცქეროდით ცაში ასულ მის კოშკებს.

მთის ქედებზე ნათლად მოჩანს ბაქსანის ტერასები, რომლებიც მოგვითხრობენ ძველ ამბავს, თუ როგორ ეცემოდა ბაქსანი ძირს ნელ-ნელა და აღრმავებდა თავის კალაპოტს. აქ ბაქსანს ერთვის დაუდგარი მდინარე **გესენტი**, რომელსაც სათავე მყინვარებში აქვს. მის ნაპირზე **ჩეგემისკენ** და **ბეზინგისაკენ** მიდის ვიწრო ბილიკი. მარცხნივ მთის ფერდობზე მოჩანს სოფელი **ბელიმო**, რომელიც ქვედა იურის მთებითაა შემოფარგლული.

გზის აქეთ-იქით, კლდეებზე და პატარა ტაფობებზე ჯარივით ჩამწკრივებულა კოწახურის ეკლიანი ბუჩქები. ეს გვალვიანი და მშრალჰავიანი ადგილის ბუჩქი თავს აქ კარგად გრძნობს, ამ მხარის ბატონ-პატრონი გამხდარა. სხვა ბუჩქი და ხე იშვიათია.

კლდეებზე, სადაც ადამიანი ვერ მისწვდება, გადარჩენილა ფიჭვები, მიუვალ ადგილებში შეხიზნულა. ძირს კი მხოლოდ კოწახური და ღვიაა, რომლებიც მშრალ ჰავას და გვალვას კარგად იტანენ. ირგვლივ აზიდული გადახრუკული კლდეები და მთები მოწმობს, რომ აქ ჰავა მშრალია, გვალვა ხშირი მოვლენაა. სხვა ბალახეულიც ამის მაჩვენებელია.

ნაზფოთლიან და ღეროიან ბალახს ვერც კი შენიშნავთ ან – ძალიან იშვიათად. ბალახი უმთავრესად უხეშია, სქელღეროიანი. ფოთოლი მაგარი და სქელი აქვს, ბუსუსით და ბეწვით შემოსილი, ხშირეკლიანი. ფესვები მიწაში ღრმად აქვს გადგმული, ან მრავალი ფესვურა აქვს გატანილი, ან ბოლქვები და ტუბერები, – ასეთი მცენარე ყველაზე ადვილად იტანს უწყლობას და გვალვას.

აქ ბაქსანელები ცხოვრობენ. მათი შემოსავლის მთავარი წყარო მესაქონლეობაა, მაგრამ სადაც ადამიანი დასახლდება, იქ უეჭველად, თუ ეს ოდნავაც შესაძლებელია, მიწის დამუშავება იწყება. ბაქსანელებსაც მოუნახავთ შესაფერისი მიწები, დაუთესიათ ქერი, კარტოფილი, მთის ნაკადულებიდან გამოუყვანიათ პატარ-პატარა არხები და რწყავენ მინდვრებს. მოურწყავად აქ არაფერი არ მოდის. ირწყვება სათიბებიც. ამის წყალობით ბალახს აქ ორჯერ თიბავენ და საქონლისთვის კარგა ბლომად აგროვებენ თივას.

ბაქსანის ნაპირას გზა შეკეთებულია და ჩვენი ცხენის ურმებიც სწრაფად მიდიან. ჩვენც არ ვრჩებით უკან.

გვიდამდება სოფელს გარეთ, ბალიმის ზევით. ცის ქვეშ გავათენებთ ამაღამდელ ღამეს. გადავედით მინდორზე, აქ უნდა მოვეწყოთ. საჭიროა შეშა ცეცხლის დასანთებად. ვის გაუგონია, ღამე მთაში გაატარო და ცეცხლი არ დაანთო!

ტყე შორს აღმოჩნდა. ასე იცის მთამ. ორი ნაბიჯის სავალზე გეჩვენება, არადა მიდიხარ და გზა აღარ მთავრდება.

ავედით ტყის პირამდე. არყის ხე ყოფილა. ალბათ კარგა მაღალზე ამოვსულვართ. დავხედე ანეროიდს, აჩვენებს 1300 მეტრს ზღვის დონიდან. ჩვენ მხარეზე კი, ე. ი. კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, არყი ჩვეულებრივად 2000 მეტრზე გვხვდება, ეს იმიტომ, რომ ჩვენკენ უფრო თბილა და არყიც თბილ ადგილებს სხვებს უთმობს – მუხას, წიფელს, ნაძვს, სოჭს, ფიჭვს, ხოლო თვითონ მაღლა ექცევა, უფრო ცივ ადგილებში. აქეთ, ჩრდილოეთში კი უფრო დაბლა ჩამოდის.

ტყის პირას უკვე მოჭრილი იყო რამდენიმე ხე და წამოვიღეთ.

ცეცხლი დავანთეთ. სხვები ვახშმის სამზადისს შეუდგნენ, მე კი არყის ხეს კანი შემოვაცალე, დავახვიე და ცეცხლი მოვუკიდე. კვარით აენთო, ჩვენს მთებში არყის ხის ქერქს კვარის მაგივრად ხმარობდნენ, ასე

ახვევდნენ და ინახავდნენ. ნავთის მაგივრობას სწევდა, ჩირალდნადაც იყენებდნენ.

უკვე აენტონენ ცაზე ვარსკვლავები. მიწას მთის ბინდი დაეცა და ყოველივე მიყუჩდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ნაბადზე წამოწოლილები წყნარად ვსაუბრობთ, თითქოს გვემინია, სიჩუმე არ დაირღვესო. ძირს კი, ხევში, მიქუხს ბაქსანი, დაუდგარი მდინარე. ხან მიყუჩდება და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება, მაგრამ ეს წუთიერად მხოლოდ, ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ჩაიბუტბუტებს, ჩაირაკრავებს და ხშირად გაბოროტებულად დაიროხროხებს. ამავე დროს შორეული მთებიდან მოისმის ხრიალი, თითქოს მომაკვდავის ხმააო. მართლაც კვდება, კლდე კვდება: თავის მშობელ მთას ჩამოსცილდა იგი, მოსწყდა და ძირს, ხევისკენ დაექანა ხრიალით.

ვისაც ღამის მშვენიერება არ უნახავს, მთაში უნდა წავიდეს, დაანთოს ცეცხლი და გულაღმა გაწოლილმა უცქიროს ცას.

ასე დიდხანს ვიწევი და ვუცქეროდი უსასრულო ცას და ჩაშავებულ მთის მწვერვალებს.

შავ სილუეტებს ნელ-ნელა თეთრი, მკრთალი ფერი გადაეფარა, მაგრამ – მხოლოდ მწვერვალებს და თითქოს კანკალი დაიწყეს ამ ბუმბერაზებმა. ეს მთვარე ამოდის, ამოდის დინჯად და მთელი არემარე თეთრ-ყვითელი ფერით ნათდება.

შორს სადღაც ტურამ დაიყმულა. არასასიამოვნოდ გაისმა მისი შემზარავი ხმა, გაისმა და დაიკარგა, მაგრამ მას მალევე მეორე, მესამე მოჰყვა.

– რა არის, ნეტავ? – ისმის ვიღაცის შეშინებული ხმა.

– რა არის და მგლები არიან, იერიშით მოდიან ჩვენზე.

– მამ, ნუ დავიძინებთ.

– ნუ დავიძინებთ, მართლა მოდიან, – ხუმრობს ვიღაც.

გამოუცდელ კაცს მართლა შეეშინდება, მეტადრე მას, ვისაც ტურების საზარელი ყმული პირველად ესმის. დილით ადრე გავუდექით გზას. სოფელ **კუკუჯანის** გზიდან მოჩანს გვერდის ქედის მწვერვალები **ქი-სავათი** და **საყაშილი**, აქედან ხეობას **მუხურ-თუზი** ეწოდება. სურათი სწრაფად იცვლება. ბაქსანის დაუდგარ ტალღებს აქ გაუკვეთია გვერდის ქედი და საშინელი მრისხანებით მიექანება ქვემოთკენ. წინ მივიწევთ და მთის ქანებსაც ცვალებადობა ეტყობა, იურის ხანის ქანები ფერად-ფერადი გრანიტით იცვლება. ცოტა ზევით, **ელჯურთოს** ხეობაში, ბაქსანი ვიწრო კალაპოტშია მომწყვდეული და გაბოროტებული ეხეთქება კლდოვანი გრანიტის ნაპირებს. უცხად დარიალი აგონდება კაცს. აგონდება იმიტომ, რომ ბაქსანსაც გვერდის ქედი გაუკვეთია და, რადგან მაგარი გრანიტისათვის ვერა დაუკლია რა, გაბოროტებით ბუტბუტებს და ქუხს. იქვე ბაქსანელთა ზღაპრული დედოფლის გომაგოს კომპის ნანგრევები მოწყენილი დაჰყურებს მღვრიე ტალღებს. გომაგოს დღესაც ამკობს თავის სიმღერაში ლაღი ბაქსანელი.

ცოტა ზევით გადატრუსული ქედები ფერს იცვლის, აქ სიმწვანე მეტია. მაღლა, მთის ორწოხებში ფიჭვი უფრო მეტი მოჩანს, ხოლო ძირს ღვია ფარავს მთის კალთებს. მიწაზე გაწოლილა მისი გრძელი ტოტები, ხშირად ორი-სამი მეტრის სიგრძის, ცერის სიმსხო ღერო კი თხუთმეტი წლისა იქნება. დასავლეთის მხრიდან თითქმის ყველა ბუჩქი შერუჯულია, შეტუსული და გადაწოლილი აღმოსავლეთისკენ. ჩანს, ამ ხეობაში დასავლეთის მხრიდან უბერავს ქარი და ხშირად მოაქვს სიცივე და ღვიის ბუჩქიც მზისკენ იხრება. დასავლეთის ცივი ქარისგან დასუსხული აღმოსავლეთის მზით თბება.

ალაგ-ალაგ პატარ-პატარა ნათესებია: ორრიგიანი ქერი, რომელსაც აუარებელი სარეველა მცენარე შესევია და ლამობს მის მოსპობას, დაჩაგვრას და განადგურებას. ამ ყანებში ბარდაც კი, ეს ტკბილი ცერცვი, ქერის მტრად გადაქცეულა.

ქერზე მეტი კარტოფილია ყველგან. კარტოფილი მთიელის საუკეთესო მეგობარია, სიცივესა და გაჭირვებას ყველაზე კარგად ის უძლებს. რასაკვირველია, ნოყიერ ადგილზე უკეთესია, მაგრამ მწირ ადგილსაც არ იწუნებს და ამ მთებშიც უხვად მოდის.

ძალიან გაუჭირდებოდათ ბაქსანელებს, კარტოფილის მოსავალიც რომ არ ჰქონდეთ.

კარგია კარტოფილი? – ვეკითხები ბაქსანელს.

ივინის, თეთრ კბილებს მაჩვენებს, წყვეტს კარტოფილის ფოთლებს, კოცნის და კიდევ ივინის. ივინის ლამაზად. რა ქნას: ქართული არ იცის, მე კიდევ ბაქსანური არ ვიცი, მაგრამ ერთმანეთს მივუხვდით. გავიგე, რამდენად ძვირფასია მისთვის ეს მცენარე.

მალმის ხეობის ბოლოდან ბაქსანის ხეობა დასავლეთისკენ უხვევს, იქით, საითაც იალბუზია. სულ 40-იოდე კილომეტრია დაგვრჩა მის ძირამდე, 120 კმ. უკვე გამოვიარეთ, თუმცა მესამე დღე არც კი დაღამებულა.

ჩვენი ქალები ამაყად და თავისუფლად მოდიან, თითქოს ცის კამარაში დანავარდობდნენ.

აი, რას ნიშნავს ვარჯიში, წრთობა.

ელჯურთოდან მთები კვლავ განზე იწევენ. მოჩანს მწვერვალი ჩალმაზი, ხოლო მის ძირში, – სოფელი ჩალმაზი.

ცოტა წინ, მთების ჩარჩოებში, აღმართულია **იუსენგის** მწვერვალი, მყინვარებით და მარადი თოვლით დაფარული.

ჩალმაზიდან, ურუსბიევომდე (ბაქსანამდე) 8-10 კილომეტრია.

აი, უკვე სოფელში ვართ. ორი ახალგაზრდა გოგონა გადამდგარა ბაქსანის ნაპირას, კლდეზე. კლდე დიდი სიმძლივლიდან გადაჰყურებს ბობოქარ ტალღებს. ფეხი რომ დაუსხლტეთ, დაილუპებიან, მოუსვენარი ტალღები შთანთქავენ. ესენი აქ ტყუილად როდი დგანან, საქმეს აკეთებენ: ხელში თითისტარი უჭირავთ და მატყლს ართავენ. თავიანთ გრძელ თითებში შეატრიალებენ თითისტარს და ჩაუშვებენ ძირს, მდინარის ტალღებისკენ. კლდის ძირამდე ათი მეტრი მაინც იქნება და თითისტარს ხშირი დატრიალება არ უნდა, ხელი არ იღლება. ტრიალებს თითისტარი და ირთვება ძაფი, სანამ თითქმის ტალღამდე არ ჩავა. შემდეგ ამოახვევენ ძაფს და ხელახლა ჩაუშვებენ.

აცვიათ უბრალო ჩითის კაბები, კაბებქვეშ გრძელი შარვლები, ფეხზე კი მესტები. არავითარი სამკაული არა აქვთ.

აქ სამკაული, მოსართავი, მხოლოდ გათხოვილ ქალს შეშვენის თურმე. ზედატანზე სადა ვერცხლის ღილები აკერიათ. აქ მკერდზე ვერცხლის ღილი იმას ნიშნავს, რომ ქალი ქმრიანია, თუ ღილები არ აკერია – გასათხოვარია.

კაცებს ჩოხები აცვიათ, ხანჯლები შემოურტყამთ, თავზე ფაფახი ან უმეტესად მოთელილი ნაზდის განიერი ქუდეები ახურავთ. ქვეითად მიმავალი იშვიათად შეგხვდებათ, თითქმის ყველა ცხენზე ზის, გვერდით ნაზადი მოუგდია.

– სად მიხვალთ? – გვეკითხებიან ხშირად.

– **მინგი თაუზე**³ უნდა ავიდეთ.

ექვით გვიცქერენ და გვეუბნებიან:

– მინგი თაუ ადვილი მთა არ არის. მასზე არავინ ასულა და ვერც ავა.

საკვირველი ხალხია, აქ ცხოვრობენ და არ იციან, რომ მის მწვერვალზე ბევრი ყოფილა. თითონ მათ კი არც უცდიათ. ან რა უნდათ? მის მარად თოვლში რას ნახავენ? ბალახი რომ იყოს, მათი თხა-ცხვარი სულ მოივლიდა და თვითონაც ავიდოდნენ. ახლა კი სასარგებლოს ვერაფერს ხედავენ და იმიტომ არ ადიან.

ჩვენც ეჭვის თვალით გვიყურებენ: ნეტავ რა უნდათ, რომ ამ სიშორიდან წამოსულანო.

მაგრამ ვინ არიან თავად ბაქსანელები?

ისინი რამდენიმე თემად ცხოვრობენ მდინარე ბაქსანისა და მის შენაკად მდინარეთა ხეობებში, რომლთაც სათავე კავკასიონის ქედისა და იალბუზის მყინვარებში აქვთ.

წინათ მათ მთიელ თათრებს ეძახდნენ, ჩვენი სვანები კი დღესაც «ბაქსანელ ოსებს» ეძახიან. ეს ხალხი ოსმალური ენის კილოკავით ლაპარაკობს.

ტებერდისა და ყუბანის სათავეში **ყარაჩაელები** (ჩერქეზები) ცხოვრობენ, ბაქსანის ხეობაში – **ბაქსანელები** (ურუსბიეველები), მდ. ჩეგემზე – **ჩეგემელები**, მდ. ურვანზე – **ბეზინგიელები** და მდ. **ჩერეჭე** – **ბალყაელები**. უკანასკნელი ოთხი თემი – ბალყარელთა ჯგუფს ეკუთვნის, თავიანთ თავს კი **თაულებს** ეძახიან (მთიელებს). როდის და რისთვის შემოეხიზნენ ამ ადგილებს, ჯერჯერობით დანამდვილებით არაფერია ცნობილი.

სიმღერა-ლექსებსა და ლეგენდებში ხშირად იხსენიებენ ყირიმსა და მის მიდამოებს. თავიანთი ადათით და ზნე-ჩვეულებით ეს ხალხი ძალიან წააგავს **ადიგელ ყაზარდოებს** (ჩერქეზებს), მათი ენის კილოკავი ჯერ სავსებით არ შეუსწავლიათ და გამოუკვლევიათ, სამწიგნობრო ენა კი აზერბაიჯანულია. სარწმუნოება მაჰმადიანური აქვთ. დღემდე ის საკმაოდ არის მათში ფესვადგმული.

შესაძლებელია, ისინი იმ ურდოების ნაშთს წარმოადგენდნენ, რომელნიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ნახევარში შემოესივნენ დღევანდელი რუსეთის ველებს და დარჩნენ იქ, შემდეგ კი უფრო ძლიერმა და ახალმა ხალხმა შეხიზნა ისინი ამ მთების ხეობებში.

ბაქსანელებს ცხვარი და ძროხა ბევრი ჰყავთ. აყენებენ მაწონს და შემდეგ დღვებენ. მათი სადღვებელი ჩვენსას როდი ჰგავს: აკვანს მოგაგონებს, არწევს და ასე იღვვებება. დოს წყლის მაგივრად ხმარობენ და «აირანს» უწოდებენ. სტუმრად მისულს, უპირველეს ყოვლისა, დიდი ხის ჯამით აირანს მიაწოდებენ. მართლაც, საუცხოოა ეს აირანი. დადლილზე თითქოს უცებ დაისვენეო, ისე მოქმედებს. მეტად სასიამოვნო სასმელია.

ბაქსანი

ურუსბიევი ბაქსანის ხეობის დიდი სოფელია. მას დღეს **ბაქსანს** ეძახიან. იგი ამ ხეობის ადმინისტრაციული ცენტრია, აქ არის ადმსაკომი და სხვა დაწესებულებები, არსებობს კოოპერატივიც.

აქ წინათ ცხოვრობდნენ ამ ხეობის ბატონები – თავადი ურუსბიევები. მდიდრულად იყო მოწყობილი მათი სასახლე, ან რატომ არ ექნებოდათ მოწყობილი მთის მშრომელი ხალხის ყვლეფით და დაბეგვრით გამდიდრებულებს? ეწოდნენ უქმ ცხოვრებას, არ ზოგავდნენ ხალხის ფულს და ვითომც სტუმართმოყვარენი – ყველა უცხოელს მდიდრულად უხვდებოდნენ. მათი არა იხარჯებოდა რა, სამაგიროდ, სახელი მათი იყო.

ურუსბიევებს ცალკე ოთახები ჰქონდათ მოწყობილი მთაში მოსიარულე მგზავრებისათვის. კარგა ხანს ინახებოდა ამ სახლში წიგნი, სადაც ხელი მოეწერა კავკასიონის მწვერვალების დამპყრობს, პირველ

ევროპელს, ფრეშვილდს. ამ გაბედულმა ევროპელმა გადალახა უძნელესი გადასასვლელი, მიაღწია მწვერვალს: იალბუზს, შხარას, მყინვარწვერს... ეს თითქმის სამოცი წლის წინ მოხდა. მინდოდა იმ წიგნის ნახვა, სადაც ამ მამაცი მთამსვლელის შენიშვნა იყო შეტანილი, მაგრამ... მთის ხალხმაც ამოისუნთქა თავისუფლად, გადაიგდო კისრიდან უღელი და მიწისპირიდან აღგავა ბატონთა სახსენებელი. დანგრეული აღმოჩნდა სახლიც და წიგნს სადღა ვნახავდით.

სოფელი ბაქსანი გაშენებულია იმ ტაფობში, რომელიც ოთხი მდინარის შესართავში შეყუჟულა. ორი ამ მდინარეთაგანი, **ბაქსანი** და **ადილ-სუ** მთავარი ქედიდან მოქუხს, ხოლო ორი – **სულთრანი** და **კირით-სუ** იალბუზის მკერდზე იბადება. მათი ხეობები ერთმანეთზე უფრო ლამაზი, მომხიბვლელი და თვალწარმტაცია. მოლურჯო მთებს ამაყად დაჰყურებს **ადილ-სუს** და **იუსენგის** მწვერვალები.

ადილ-სუს ხეობის ნაპირზე ვიწრო ბილიკი მიიკლავნება, რომელიც ბაქსანიდან ათი კილომეტრის გავლის შემდეგ ვეებერთელა მყინვარს მიადგება, მყინვარიდან ბილიკი მესტიის გადასასვლელზე ადის, საიდანაც ერთი დღის სიარულის შემდეგ ჩახვალთ ზემო სვანეთის ცენტრში, სოფელ **მესტიაში**.

ადილ-სუს ხეობა ულამაზეს ხეობად შეიძლება ჩაითვალოს. აქედან გადასასვლელია **ჩეგემსა** და **ადილ-სუს** მყინვარებზე.

სოფელს გარშემო პატარა მინდვრები აკრავს, ქერითა და კარტოფილის ნათესებით. უფრო მეტია სათიბი, სადაც მკერდგანიერი მთიულები ბალახს თიბავენ. მათი თიბათვე აგვისტოში იწყება.

მინდა, დაწვრილებით გავიგო მათი ცხოვრების პირობები და ვეკითხები ერთ სოფელს:

– რითი ცხოვრობთ, რა არის თქვენი შემოსავლის წყარო?

– ცხვარი და ძროხა, თხა, მეჯოგეობას მივდევენ. ვყიდით ყველს, ერბოს, საქონელს და მისი საფასურით ვიძენთ, რაც გვჭირდება.

– ცხენებს არ აშენებთ? ყარაჩაული ცხენი განთქმულია...

– ვაშენებდით, მაგრამ ახლა ცოტასღა ჰყავს. ბევრი იყო ისეთი, ვისაც ხუთასი ცხენი ჰყავდა, მაგრამ მსოფლიო და სამოქალაქო ომებმა გაანადგურეს. თეთრგვარდიელმა ბანდიტებმა დროებით ჩვენი მხარეც ჩაიგდეს ხელში. ხალხი მთაში გაიხიზნა და იქიდან ებრძოდა მტერს. მეურნეობისთვის იმ დროს ვის სცხელოდა, მთავარი იყო მათი მოშორება. მოვიშორეთ და ახლა უკვე თავისუფლად შევუდევით ცხოვრებას, ისევ ვამრავლებთ ცხენებს, მალე უფრო მეტი გვეყოლება.

– მეჯოგეობას მისდევენ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ხალხი თითქმის სულ სოფელშია, ან თივა არ გინდათ, ან სხვა რამის მომზადება? როდისღა უნდა მოესწროს?

– მზადებით ყველაფერს ვამზადებთ, თივასაც და დანარჩენსაც. ამას უმთავრესად სვანები აკეთებენ, სვანეთიდან გადმოდის სამუშაოდ და ისინი თიბავენ. ორი კვირის მუშაობაში სამი წლის მოზვერს აძლევენ. ამ მუშაობისთვის ხელფასი აქ საქონლით განისაზღვრება, თიბვა ორი კვირის განმავლობაში ერთი მოზვერი ღირს. ეს გადაწყვეტილია. რაჭველებიც მოდიან, ისინი ხუროები არიან, სახლებს აშენებენ. სახლის აშენებაში ჩემი ერთი მეზობელი ოცდაათ მოზვერს აძლევს. ჩვენ ასეთი მუშაობა არ გვეხერხება...

აქ ამზადებენ ნაბდებსა და ქეჩებს და ნალჩიკსა (ყაზარდო-ბალყარეთის ასსრ ცენტრია) და კისლოვოდსკში ჰყიდის. ბაქსანელები უფრო კარგად ცხოვრობენ, ვიდრე სხვა სოფლები.

ასე ვსაუბრობდით მე და ერთი ბაქსანელი, რომელსაც გზაზე დავეწყე.

მიუუახლოვდით სოფელს. მოსახლეობა გარეთ გამოსულიყო და ცნობისმოყვარეობით ათვალერებდნენ ჩემს ამხანაგებს. «აქეთ ქართველები იშვიათად გვხვდებიან, წინათ სულ სხვები მოდიოდნენ» – ამბობს ერთი მოხუცი. არც კი სჯერა, რომ ქართველები ვართ.

– გამარჯობათ, გამარჯობათ! – მხიარულად გვესალმება ერთი მთიელი ქართულად, გაგვიკვირდა.

– გაგიმარჯოს, ძმავე, საიდან?

– სვანი ვარ! თქვენი ჭირიმე, სამუშაოდ ვართ წამოსულები.

ყველა მას შემოვხვებით, ათას შეკითხვას ვაძლევთ.

– წავალ, თქვენი ჭირიმე, ამხანაგს ვეტყვი თქვენს მოსვლას, – და ჩქარი ნაბიჯით გვცილდება.

მე ჩემს ნაცნობს ვესაუბრებოდი. ამ დროს მოგვიახლოვდა ქერა ქალი და რუსულად მომმართა:

– უცხოელო, თუ გაქვთ დასარეცხი, დასაკერებელი, მე მომეცით.

ხელში ბავშვი უჭირავს, სუფთად აცვია, სულ არა ჰგავს ბაქსანელს... მიკვირს.

– სადაური ხართ, სად ისწავლეთ რუსული?

– მე აქაური არ ვარ, ჩემი სამშობლო შორეული ავსტრიაა!

– აქ როგორ მოხვდით?

– რუსის ჯარი რომ კარპატებში შემოიჭრა, ტყვედ ჩავვარდი და ცოლად შემირთო აქაურმა ჯარისკაცმა. დამთავრდა ომი და ქმარმა აქ წამომიყვანა, აქ ვცხოვრობ.

– აქ ჩვენებურებიც ცხოვრობენ, – გვეუბნება სვანი, – ჩამოსახლებულნი არიან, აქაური ქალები ჰყავთ ცოლად და აქაურ წესზე ცხოვრობენ...

გვინდოდა ერთი მათგანის – დადემქელიანის ნახვა, მაგრამ სვანეთში წასულიყო სტუმრად. გვეწყინა, მაგრამ რაღას ვიზამდით. გვეწყინა იმიტომ, რომ ის ბევრ რამეს გვიამბობდა აქაურ ადათსა და ჩვეულებზე,

დაგვეხმარებოდა კიდევ.

– აბა, წავიდეთ, ბარგს მივხედოთ, – ამბობს ჩვენი მწე, სანდრო.

– სადილიც შევუკვეთე, აქ სასადილოა. გაუგიათ ჩვენი მოსვლა და

მოუწყვიათ, – თანაც მიგვითითებს ერთ წარწერაზე, რომელიც საშინელი რუსულითაა ნაწერი.

მოგვიტანეს ცხვრის ხორცი, ნახევრად ცომი მჭადი, მაგრა ვინ დაეძებს...

– მობრძანდით, მიირთვით, – ვთავაზობ ერთ ბაქსანელს.

– გმადლობთ, თუ ჩვენი თვალთ არ ვნახეთ ვინ დაკლა, ვერა ვჭამთ, აკრძალული გვაქვს ჩვენი ადათით.

გვთავაზობენ ძალზე მყარალ არაყს, რომელიც აქ ძალიან კარგ სასმელად ითვლება, მაგრამ უარს ვამბობთ, ჩვენ არა ვსვამთ სასმელს, მეტადრე მგზავრობისასო, ვკასუხობთ.

ბაქსანელები არ გვიჯერებენ: «ვნახოთ, როგორ არ დაღვეთ სვანურ არაყს, იქ კარგი არაყი იციან, ანწლისაა»...

სვანური არაყი აქ განთქმული და მიღებული ყოფილა – ანწლის კი არა, თაფლისაც რომ იყოს, არაყს არ დაღვეთ, არც სხვა სასმელს...

მართლა, დამავიწყდა მეთქვა, რომ ლიდუსი დილიდანვე ცუდად იყო, სიცხე ჰქონდა და თავს კარგად ვერ გრძობდა. უკან წასვლა კი შეუძლებელი იყო. ისლა დაგვრჩენოდა, ჩვენ თვითონ მოგვევლო.

ახლა უფრო მომდის ბრაზი, რომ თბილისიდან ექიმი არ წამოგვეყვა, ვითხოვეთ კი.

ყველას დადვრემილობა დაგვეტყო სახეზე. რა ვქნათ, რა ვუყოთ, როგორ ვუშველოთ ჩვენს ყოჩად ლიდუსის, რომ მალე მორჩეს და კარგად გახდეს? მაგრამ რა შეგვიძლია დიდი სურვილის მეტი.

მრავალნაირი წამალი გვაქვს, მაგრამ ეს რომ რამე რთული ავადმყოფობა გამოდგეს? აი, რისი გვეშინია. თუ ციებაა, არა უშავს რა, ადვილად გადაიტანს და ადვილად მორჩება...

იალბუზის ძირში

შუადღემ მოაწია, ჩვენ კი ისევ ბაქსანში ვართ. ვერ იქნა, ვერ დავიძარით.

გავურიგდით მეზარგულებს, ცხენები და ვირები უნდა მოეყვანათ, მაგრამ არ მოიყვანეს.

წავედით, ვიპოვეთ.

– თუ მოგვიმატებთ, წამოვალთ, თუ არა და – არა...

ბევრი გვაწვალეს. ბოლოს ძლივძლივობით ავკიდეთ ბარგი ცხენებს და გავუდექით გზას.

ლიდუსი ცხენზე შევსვით, მას ქვეითად სიარული არ შეუძლია, ცდილობს თავი მოიმხიარულოს, მაგრამ შეწუხება მაინც ეტყობა, ჩანს, სიცხე არ გამოწელებია. გვინდა, რამეთი ვასიამოვნოთ. ვთავაზობთ თაიგულს, მაგრამ ძალიანაც რომ გინდოდეს, ლამაზ თაიგულს ვერ შეკრავ, რადგან ირგვლივ მოტიტვლებული ქედები და ღორღიანი კლდეებია.

მთის წვერებზე, მიუვალ ადგილებში მოჩანს ფიჭვი, ხოლო ძირს – მიწაზე გართხმული ღვია და ეკლებიანი კოწახური. აქა-იქ თვალში გვხვდება ხურტკმელის საცოდავი ბუჩქები.

ირგვლივ ცხელი ადგილების მცენარეულობაა (ქსეროფიტები), რაც ამ მაღალ მთებში საკვირველად ეჩვენება თვალს, გეგონება, უდაბნოს დასაწყისში შედიხარო. ასეთი მცენარეულობა უფრო თვალსაჩინოა გამყოლ ხეობებში: იქ უბერავს სამხრეთის მშრალი ქარი, რომელიც აშრობს ანაორთქლს, აშრობს ნიადაგს და ხშირად მთელი ზაფხულის განმავლობაში წვიმა იშვიათი მოვლენაა. ასეთ ადგილებში სწორედ გვალვის ამტანი მცენარეები უნდა დასახლებულიყვნენ. არ არის თვალწარმტაცი ასეთი ადგილების მცენარეულობა, რომელიც თავის დასაცავად ბუსუსითა და ეკლითაა შემოსილი. ასეთია: კოწახური, ღვია, წვრილფოთლიანი ასკილი, ჯორისძუა, აბზინდა, კოპრჩხილა, ურო და სხვ. ყველას ვხედავთ აქ.

სწორედ იმიტომ, რომ აქ ჰავა მშრალია, სათიბებს რწყავენ, პატარა ნაკადულები ჩუხჩუხით ჩამორბიან მდელოებზე და მის მკერდს ზურმუხტისფრად ამწვანებენ.

ბაქსანიდან მეთავე კილომეტრზე ფიჭვის ტყეში შევდივართ. გული სიხარულით ივსება. ქოჩორა ფიჭვები ამაყად ამართულან და მხიარულად გვიწვივენ თავის ჩრდილში. პირველად ფიჭვის მეტს ვერც ერთ ხეს ვერ ვხედავთ, ადგილ-ადგილ კოწახურის ბუჩქები გვხვდება. არ ჩანს არც ბალახი... ტყის ზედაპირი კლდიანი და ღორღიანია. იშვიათად თუ მოჰკრავთ თვალს უროს და კლდის ძირებში მარწყვის პატარა ბუჩქებს, მშრალი ადგილის ხავსს და სხვადასხვა ფერის მღიერს. ესეც მშრალი ქსეროფიტული ტყეა.

აგერ მისდგომია სიმონი გრანიტის ერთ კლდეს და მქედელივით უშენს თავის ჩაქუჩს, ამტვრევს კოლექციისათვის ნაირ-ნაირ გრანიტს და ავსებს ჩანთას, ხელში ვეებერთელა ნაჭერი უჭირავს.

– აბა, წამომიღეთ, ეს შენ, ესეც შენა...

– ძმავე, თბილისამდე შენ მთელ კავკასიონს დაამტვრევ, რად გინდა მაგდენი, ვინ უნდა ზიდოს?

– კარგია და აბა რა ვუყო?

ძლივს ვარწმუნებთ, რომ ამდენის წაღება შეუძლებელია.

ბრაზობს და ბოლოს მხოლოდ საანალიზო ნიმუშებს იღებს.

– ლამაზია, კარგი ნიმუშია და ცოდოა...

– სიმონ, აჰა, ეს კლდე წავიდეთ, ნუ მოამტვრევ, ასე მთლიანად, – ეხუმრება ვალიკო.

მივდივართ ზევით და პირველად გვხვდება არყის ხე, ლამაზი, თეთრტანა კეკლუცი მაღალი მთებისა.

ახლად აღმოცენებული ტყე არსად ჩანს. ასე რომ გაგრძელდეს, ხომ განადგურდება ეს მშვენიერი ფიჭვნარი. მიზეზიც მალე გამოირკვა: თხა და ძროხა იყო გაშლილი არყნარში და ძოვდა.

– რასაკვირველია, ახალგაზრდა ტყე არ გაჩნდება, თხა რას დააყენებს! ამოვა თუ არა, მოკორტნის, მოკვნიტს და გაზრდას არ დააცდის. თუ არ შეწყვიტეს აქ საქონლის ძოვება, ტყე განადგურდება, მით უმეტეს, რომ ტყეს სიბერე შეჰპარვია და ასწლოვანი ფიჭვები ძირიან-ფესვიანად ამოვარდნილები ყრია ბრძოლის ველზე დახოცილი ვაჟკაცებით. ასე იცის ფიჭვმა, ფესვი ღრმად ვერ მიაქვს მიწაში. ზამთარში, როდესაც თოვლს დადებს, თუ ქარიშხალი ამოვარდა, ასე იღუპება. ცოდვა კი არის ამ ტყის განადგურება.

აგერ, მქუხარე ბაქსანის ნაპირზე ქვები ჟანგისფრად შეღებილა, ეტყობა რკინის შემცველი წყალი აქ მრავლადაა. საუცხოო საკურორტო ადგილია, აქვეა იალბუზი, მრავალი მყინვარი... მსოფლიოს სააგარაკო ადგილად გადაიქცევა.

– აჰუ, ვირო, აჰუ!.. მესმის ხმა. წაქცეულ ვირს აყენებდა მიტო, მაგრამ ვერას გამხდარიყო. გამოირკვა, რომ მიტოს დიდი სიცხე ჰქონდა და არც კი გაგვაგებინა. ბარგის ყურისგდება დღეს მე მხვდა წილად.

ადვილი როდია ბარგის თვალყურის დევნება და თანაც ასეთ უღრან ადგილებში. ექვს ვირს მიერეკები, ბარგით დატვირთულს, მშიერი სახედრები ხან აქეთ გადაუხვევენ ტყეში, ხან – იქით, ხან ერთი გაგექცევა, ხან მეორე, ყველას უნდა გამოუდგე, ყველა გზაზე უნდა დააყენო.

ეს კიდევ არაფერი, რომ გარბიან, ხეებს ეჯახებიან და ბარგს ხან გვერდით მოიქცევენ, ხან ძირს გადმოყრიან, გაფანტავენ ამ კლდოვან ბუჩქიან ნაპირზე.

უნდა დააყენო ყველა, შეკრა და აჰკიდო. აკიდება არც ისე ადვილია ერთი კაცისთვის, მეტადრე, თუ ამ საქმეში გამოუცდელი ხარ, ხშირად ოფლი წურწურით ჩამოგდის, მაგრამ საქმე ბოლომდე მაინც ვერ მიგიყვანია, რადგან ბარგის ხან ერთი მხარე გადასძლევს, ხან მეორე. თვით ბაქსანელებიც კი, რომელნიც ბარგის აკიდებაში ყველაზე დახელოვნებულ მთიულეებად მიმაჩნია, ასეთ ბარგს ორნი ჰკიდებენ ხოლმე.

რასაკვირველია, თავი არ მივანებე და მე და მიტო ერთად გავყევით ბარგს. მეუბნებოდა: წადი, შენი ბრალი ხომ არ არის, დღეს შენი რიგი არ არისო, მაგრამ რას წავიდოდი, მაწუხებდა მიტოს ავად გახდომა. ლიდუსის ავადმყოფობა გამოირკვა: ციებაა, რამდენიმე დღის შემდეგ გაუვლის. მიტოსი? ხანგრძლივად სიარულს შეუჩვეველია და ვაითუ ამან იმოქმედა.

აბეზარი და მოუსვენარი ვირები მთელ დღეს ჩაქჩაქით მოდიან, თითქმის არ შეუსვენიათ და თანაც ასე აცაბაცა გარბიან.

ბაქსანიდან მთის ფერდობებზე შეფენილი პატარ-პატარა სოფლები გვხვდება. აქა-იქ მოჩანს ნათესი, ქერი და კარტოფილი. ყოველი სოფლის გარშემო უფრო და უფრო მატულობს სათიბები, რომელნიც პატარ-პატარა ნაკადულებით და წყაროებით ირწყვება.

ბაქსანისაგან გადარეცხილა მთავარი ქედის ფერდობები და ადგილ-ადგილ კრისტალური ქანები გამოჩენილა. ჩვენგან მარჯვნივ მრავალ ადგილას მოჩანს იალბუზისაგან ამონთხეული წიაღვარი. ბაქსანიც პალეოზური დროის ვულკანურ და კრისტალურ ქანებს შორის მიქრის. მისი მარცხენა ნაპირი მთავარი ქედია, მარჯვენა კი გვერდის გამყოლი ქედი. სოფ. გაიგომ-ბაქსანთან მდინარეს გადაუკვეთია ძველისძველი მორენა უძველესის, აწ გამქრალი მყინვარისაგან ჩამოტანილი. მთელ ხეობაში, ქვემოთკენ, ხშირია ასეთი ძველი მორენა, რომელიც დღეს უკვე ტყითაა დაფარული. ალბათ, იალბუზისა და მთავარი ქედის მყინვარები 40-90 კმ სიგრძეზე ეშვებოდნენ ძირს. უკანასკნელი გამოკვლევების შედეგად **ა. ლ. რეინჰარდტი** იმ დასკვნამდე მივიდა, რომ «შუა კავკასიონის ძველი მყინვარები სრულიად ავსებდნენ არდონის, თერგის, ურუხის და სხვათა ზემო ხეობებს. ამ ხეობათა მყინვარები ზოგიერთი გადასასვლელით შეერთებული იყო ერთმანეთთან და ქმნიდა ერთგვარად ძლიერ მყინვართა საფარს, რომელიც ვაკეზე არ გამოდიოდა და იურის სისტემის სამხრეთით მთავრდებოდა (ე. ი. იმ ქედებთან, სადაც პირველად გვექონდა საუბარი – **კლდოვანი ქედი**) 900-1200 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან. თოვლის ხაზი 1000-1200 მ. სიმაღლეზე ითვლებოდა ე. ი. 900 მ. უფრო ქვემოთ ჩამოდიოდა, ვიდრე ეს დღეს არის. დასავლეთ კავკასიაში კი მზიმთის ხეობაში მყინვარი 500 მ. სიმაღლეზე მთავრდებოდა ზღვის დონიდან და თოვლის ხაზიც 1300 მ. უფრო დაბლა იყო დღევანდელზე».

ყოველივე ამის დამამტკიცებელი საბუთი ჩვენ თვალწინ ამართულა. ესენია გარდიგარდმო ძველი მორენები და ასეთივე – ბაქსანის ქვემოთ, რის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ.

სოფელ თეგენეკელთან ბაქსანს ერთვის მქვევარე მდინარე ადილ-სუ. მის ხეობაში მოჩანს მწვერვალი ადილ-სუც.

სოფლის ცოტა ზემოთ ბილიკი იყოფა: ერთი დონღუზ-ორუნისაკენ მიდის, ხოლო მეორე იალბუზისკენ და ჩვენც ამ გზას გავყევით.

ტყე გახალისდა: არყი, ტირიფი, ხეშავი, ვერხვი, ნეკერჩხალი შეემატა.

– იალბუზი, იალბუზი! – მესმის ხმა და ავიხედე ზევით.

მალლიდან დინჯად, წარბშეკრული დაგვექეროდა ჭადარა იალბუზი, თითქოს უკვირდა ჩვენი იქ მისვლა.

ძირიდან არ ეტყობოდა დიდი სიმაღლე, არც ძნელად ასასვლელი ჩანდა.

– ეს არის იალბუზი? – კითხულობს იაგორი, ჩვენი გამყოლი. გაკვირვება იხატება მის სახეზე: ის სხვას

ელოდა.

– არა ჰგავს ჩვენს კოპწია ხევის პატარძალს!⁴ – ამბობს ამაყად იაგორი.

– მთა შორით არ გაისინჯების, ახლოდან უნდა ინახოს, – უპასუხებს მას გახა და დურბინდით შესცქერის.

– კურტნია, დატვირთულ კაცსა ჰგავს, წაკუზულა როგორღაც, – არ ცხრება იაგორი.

– გესალმებით, იალბუზო, მოვდივართ, მოვდივართ!

– უკვე შენს კალთებზე ვართ, კავკასიონის უხუცესო!

– აზაუში დღეს ვერ მივალთ, სადამო გვისწრებს, – გვეუბნება ჩვენი ურუსბიეველი გამყოლი, – აქ სოფელია და მის მახლობლად უნდა გავათიოთ ღამე...

გვეწყინა, მაგრამ რას ვიზამთ.

მდინარეს მივადექით. მოჩქევს, მოთამაშობს და მოაქვს მაღალი მთების სუსხი. ეს თერსკოლის მდინარეა, თერსკოლი კი იალბუზის მყინვარია...

უნდა გავიდეთ. ვიჭერთ თითო ვირს და გავდივართ წყალში. ტალღა მაგრად გვეცმს.

– აი, აქ უნდა გავათიოთ ღამე, – ჩერდება ჰარუნი ქარისგან წაქცეულ ფიჭვებთან და აწყობს ბარგს. მას ყველანი ვშველით. იქვე ბაქსანელების უკანასკნელი სოფელია, თერსკოლი. კაჩკაროვების სოფელს ეძახიან.

ყველი, რძე, პური და სხვა რამ უნდა ვიშოვოთ, ქლაქიდან წამოდებულ მარაგს ხელი არ უნდა ვახლოთ, სანამ სოფლებში იშოვება რამე. ჩვენმა მნემ სოფლისკენ გასწია.

ვაგროვებთ შემას, ღამე ცივი იქნება, უკვე კაი სიმაღლეზე ვართ – 2200 მ., აქვე – მყინვარები. მზე გადაიწვერა და მისმა ოქროსფერმა სხივებმა ააელვარა მთის მწვერვალები.

ღამის გასატარებლად მოხერხებულ ადგილს ვემებთ. ყველგან ლოდებია და ოდროჩოდრო.

სოფელში გაიგეს ჩვენი მისვლა, ჩამოვიდნენ, გვათვალიერებენ. უკვირთ მოკლე შარვლები, მოკლესახელოიანი ხალათები.

მნემ რძე, ყველი და მჭადი იშოვა. ვიქეივებთ, უქვევლად ვიქეივებთ.

ცეცხლი გუზგუზებს და მისი შუქი ჯადოსნურად ეფინება არემარეს. ცაზე კი ვარსკვლავები კიაფობენ. იალბუზს დასაზვერად ცივი ნიავი გამოუგზავნია და ყურში რაღაცას ჩაგვჭურჩულებს. ბაქსანი კი მოქუხს, მოაგორებს კლდეებს, ასკდება თავის ნაპირებს.

ჩვენი სიძლერა ეფინება არემარეს და მთის საიდუმლოებასთან ერთად შორეულ სერებს იქით იკარგება...

– დაიძინეთ, ადრე უნდა გავუდგეთ გზას, – ისმის განკარგულება.

– რადა, გიორგი, რად დავიძინოთ?

– იმიტომ, რომ თხები ხართ...

ვიცინით, მაგრამ არ ვიცით, რადა ვართ თხები...

შრიალეებენ ფიჭვის ხეები. სისინებს სიო. ციმციმებენ ვარსკვლავები და ჩვენ, დაღლილებს, ძილი გვეპარება.

იალბუზზე ფეხი შედგა

დილით ადრე მზესთან ერთად ვიღვიძებთ.

ცივი წყლით ვიბანთ პირს და ვემზადებით წასასვლელად. მე, სიმონმა და ატომ გადავწყვიტეთ, ვნახოთ თერსკოლის მყინვარი და იალბუზის აღმოსავლეთის ქედით ჩავიდეთ აზაუში. რუკით ეს თითქოს შესაძლებელია.

გადავწყვიტეთ და წავედით, ავეყვით ქედს. სოფელ თერსკოლის უკან ფიჭვნარია, მაგრამ ნელ-ნელა თხელდება და ტანწერწეტათა ნაცვლად ახლა ტოტებგამლილი ხეებია. აქ ერთმანეთს აღარ უშლიან და ამიტომ გაუტანიათ ასე განზე ტოტები, – თავისუფლება მეტი აქვთ. აი, ფიჭვიც აღარ ჩანს და მის ნაცვლად თეთრტანიანი და ტოტებდამუვებული არყის ხეებია. არყია უკანასკნელი წარმომადგენელი მაღალ მთებში, იმის ზევით ხე ვეღარ იზრდება, მხოლოდ დეკის ბუჩქებიღაა.

ველოდი, რომ აქ დამხვდებოდა ზურმუხტოვანი, ყვავილებით დამშვენებული მდელოები, მაგრამ მოვტყუვდი. სად არის თრიალეთის ველების სილამაზე და ბარაქა!

აქ არის მაღალი მთის მცენარეულობა, მაგრამ დაჩაგრული, დაბეჩავებული, თითქოს შეწუხებული. ეტყობა, სამხრეთის ქარები აქაც ახდენენ თავიანთ გავლენას. ნალექები აქაც იშვიათი უნდა იყოს. აკი ჰარუნმაც მითხრა, წელს წვიმა არ გვინახავსო.

აი, თუნდაც წართხალი. მე მას ულამაზეს მცენარედ ვიცნობდი, აქ კი როგორ დაჩაგრული ჩანს; მხოლოდ დვალურა ელვარებს ისევ სისხლისფრად და ამაყად იქნევს თავს.

2000 მეტრზე აქ ტყე თავდება და იწყება ალპური ზონა. აგერ თერსკოლის მყინვარი, რა მედიდურია და ზვიადი!

ჩავჭერთ ფერდობი და ჩავედით ხევში. მდინარის კლდიან ნაპირს ავეყვით, ხან ერთ კლდეზე ავფოფხდებოდით და ხან – მეორეზე, ქვიდან ქვაზე ვხტოდით, კლდიდან – კლდეზე. მდინარის შხეფები ჩვენს სახეს ეალერსებიან. მოქუხს და მოთამაშებს მდინარე ვიწრო ხეობაში. მყინვარის ბოლო ლურჯად ელვარებს და გადმოქუხს ჩანჩქერი. კლდეზე წარწერას ვამჩნევთ.

«1912 წელს მყინვარის ბოლო აქ იყო პროფ. ბუში». ბუში ცნობილი მეცნიერია, კავკასიონის მთებში ხშირად უმოგზაურია – გადავზომეთ ამ ადგილიდან მყინვარამდე და ოცი მეტრი გამოვიდა.

თორმეტიოდე წელიწადში მყინვარმა ოცი მეტრით უკან დაიხია, დაიკლო. ჩვეულებრივ, მყინვარი წინ მიიწევს, აქ კი იკლებს. ეს იმიტომ, რომ ჰავა შეიცვალა, იმდენი თოვლი აღარ მოდის და საკმაო საზრდოს ვეღარ აწვდის. ტყის განადგურება, უდიერი გაკაფვა ამას ხელს უწყობს.

მყინვარისაგან განთავისუფლებულ ადგილებში უკვე რამდენიმე მცენარე დასახლებულა, უპოვია ბინა და კლდის ხრეშსა და ღორღში მოუკალათებია, იქიდან იღებს საზრდოს. იქვეა ყინულის ვეებერთელა მთა, მაგრამ ეს პაწაწები მაინც ახერხებენ სიცოცხლეს, ყინულს, მარადიულ თოვლს უმკლავდებიან, ახალ-ახალ ადგილს სტაცებენ და თვით სახლდებიან.

აქ ხომ ბრძოლაა, ბრძოლა ახალი ადგილების დასაპყრობად და აკი ამ მრისხანე თერსკოლისათვისაც წაუგლეჯიათ ადგილი!

ფრთხილად მოვთხარე ეს მცენარეები, და ჰერბარიუმისთვის მისამატებლად შევიწინა ხე აბგაში.

ჩამოვსხედით ქვებზე. დიდხანს შევცქეროდით მყინვარის ელვარებას, ვუსმენდით ჩანჩქერის შხუილს და მხოლოდ შემდეგ ავყევით ფერდობს. მივდივართ ნელა, რადგან სახიფათოა სიარული, შეიძლება ფეხი დაგიცდეს და, – მშვიდობით ცხრათვალა მზევ!

მივიწვევთ ზევით. აი მარადი თოვლიც. ანეროიდი 3300 მ. აჩვენებს, მოტიტვლებული ადგილებიდან პატარა, დაბალი მცენარეები იჭყიტებიან.

ერთი უყურეთ, რა ლამაზები და მორცხვები არიან, რა მოკრძალებით იცქირებიან თავიანთი ჭიოტა⁵ თვალებით. პატარა ტანს იკეთებენ, დიდი ყლორტები და ღეროები მათთვის ზედმეტია, აქ ხომ ზაფხული მოკლეა, პატარა, ამიტომ ღეროს გასაკეთებლად დროს აღარ ხარჯავენ, ამოყოფენ თუ არა თავს მიწიდან, მაშინვე ყვავილი ეშლებათ, რომ თესლის გაკეთება მოასწრონ. თესლი რომ არ გაიკეთონ, ხომ გაწყდა მათი სახსენებელი. სწორედ ამიტომ აქვთ პატარა ტანი, დიდი ღეროს გაკეთებას ვერ შეძლებენ, სუსხიანი ზამთარი მოუსწრებთ.

აი, გადავიარეთ ჭიუხები, რომელებიც ვულკანური ქანებისგან შედგება.

შეფრთხილდნენ შურთხები, კლდის ფერისანი. ცხვირწინ აგვიფრინდნენ. ვერც კი შევამჩნიეთ, რუკრუკით გადაფრინდნენ მესამე ფერდობზე.

გავედით თოვლ-ყინულზე (ფირნის ველი) – თეთრ, დაუსრულებელ მინდორზე, ჩვენ წინ იალბუზის მწვერვალია, მედიდური და ამაყი, ახლა იგი აღარა ჰგავს წელში მოხრილ ვაჟკაცს.

რა სიდიდეა, რა დაუსრულებელი იდუმალება!

თითქოს ზღაპრულ ქვეყანაში მოვხვდი, სადაც მარადი სიჩუმე და სიდიადეა ბუნების ბატონი...

ვდგავართ და აღტაცებულები შევცქერით კავკასიონის ორთავიან ბუმბერაზს. სიხარულით და სიამაყით ივსება გული, სიზვიადე იტაცებს ჩვენს არსებას, გული გრძნობს ბუმბერაზობას და მტვრიან ქალაქებში დარჩენილები პატარა, თვალით უჩინარ ჭიანჭველებად გვეჩვენებიან.

– მოდი, ავიდეთ ახლავე წვერზე!

– ავიდეთ... – და მივდივართ წინ.

ვიცით, რომ ახლა ასვლა არ შეიძლება, ვერც მივალთ. მაინც მივდივართ. თოვლ-ყინულს ხრამხარულში გააქვს ჩვენს ფეხებქვეშ.

აი, ერთ ადგილას თოვლი ჩატყდა და სვიმონი ფეხებით შიგ ჩაეფლო. წინ გადმოიხარა, თითქმის თოვლზე გაწვა. ვეცით, ამოვიყვანეთ. ვინ იცის, რა საშინელი უფსკრულია და ახლა დაღუპვა მხოლოდ თავქარიანობის ბრალი იქნება.

– არა, ძმავ, ხუმრობა ძვირად არ დაგვიჯდეს, სხვა არა იყოს რა, 3500 მეტრია. დროა ჩავიდეთ ჩვენებთან, ისინი უკვე მივიდოდნენ ბინაზე.

ვეშვებით დასავლეთისკენ. ჩვენი ანგარიშით, იქით უნდა იყოს აზაუს «ყაზარმები», სადაც ჩვენები უნდა მისულიყვნენ.

ჩავირბინეთ თოვლიანი ადგილი და ხასხასა მდელოზე გავედით. ზედ შუაზე ჩამორბის ანკარა, აღმასა ნაკადული. მის ნაპირზე ჩამოვსხედით, მცირედი საუზმე გვაქვს, მთამ მადა მოგვგვარა და ჩვენც გემრიელად შევქექვეით გამხმარი მჭადის ნატეხებს, სასმელად წყაროს ვეწაფებით. ასეთი გემრიელი საუზმე, კარგა ხანი იყო, არ მეჭამა.

ლაღობს გული და ვეხუმრებით ერთმანეთს.

ფერდობი ორივე მხარეზე უფსკრულით თავდება, ჩასვლა შეუძლებელია, უკან დაბრუნება კი იმას ნიშნავს, რომ საღამომდე ვერ მივალთ.

– ჩავყვით ნაკადულს, – გადავწყვიტეთ და ასეც მოვიქვეით. ნაკადული ხშირად ჩანჩქერად იქცევა და ჩვენც თხებივით მივცოცავთ კლდეზე, ხან ზედ ვეკვრით, თითქოს გვინდოდეს, სამუდამოდ შევეთვისოთ მას.

უეცრად ნაკადული წყდება, თავდაყირა მიექანება უფსკრულში, სადაც დაჭრილი ლომივით ღრიალებს ამღვრეული და აბობოქრებული მდინარე.

მთანი ბანს ეუბნებიან მის კვილს. რაღაც საშინელი ორომტრიალია.

შევდექით და გაშტერებულნი ჩავაცქერით უფსკრულს. ხმა ვერ ამოგვიღია, ვერც რამეს იტყვი, როდესაც ხედავ ასეთ ამბავს, მთების შინაურ ბობოქრობას, მდინარეთა და ჩანჩქერთა კვილს.

კლდეს ჩასდევს ნაშალი. ძირს რომ ჩავიდეთ, ადვილად მივაღწევთ. სვიმონი მისდევს სახიფათო ნაპრაღს.

მე და ატო ვუშლით, ის კი სულ ქვემოთ მიდის.

ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ, თითქოს უფრო სწორეა. სვიმონი გვაფიქრებს: ფეხი რომ დაუსხლტეს, მოსწყდება და დაიღუპება.

გავხედეთ და დავინახეთ, რომ კლდე-კლდე მოდის ჩვენკენ.

გული გვიჩერდება: საშინელი უფსკრულის ნაპირზე მოდის, ბილიკი მაინც იყოს, ნაშალი კლდეა, ფეხს ვერ უძლებს, დაადგამ და ფეხქვეშ ინგრევა. გამტერებული თვალებით ვუცქერით, გვინდა, რაც შეიძლება მალე გამოვიდეს სამშვიდობოს.

– რას მიდიოდა, ნეტავ, იქით, – ვამბობთ ხან ერთი, ხან მეორე.

ამ დროს სიმონმა მხარი იცვალა, შეტრიალდა და ქვემოთკენ გადაქანდა. «დაიღუპა», – გავიფიქრეთ. «არა, გაჩერდა». მართლაც, მოასწრო შეჩერება და ფრთხილად გამოჰყვა კლდე-კლდე. აი, მოლზე ჩავიდა. ძლივს თავისუფლად ამოვისუნთქეთ. სახიფათო გზას გადარჩა, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, რა ადგილებში ვართ ახლა? სანამ ჩვენებამდე ჩავალთ, იქნებ უარესი დღე დაგვადგეს.⁶

– აგერ ჩვენები! – წამოიძახა ატომ, როდესაც კარგა დიდი მანძილი გავიარეთ.

ძირს გაშლილ მდელოზე ფიცრული სახლი იდგა. მის გარშემო ჩვენებს ბანაკი დაეცათ.

დავჭყვივლეთ, გაიგონეს და გამოგვეხმაურნენ.

ციცაბო კლდით ძირს ვეშვებით, მდინარის ნაპირისაკენ.

მცირე ხნის შემდეგ ჩვენებთან ვართ. ეშვადებთან, დღესვე უნდა ავიდეთ იალბუზის ქედზე. აქ უკვე ყოფილან წინ წასული რუსეთის ექსპედიციის წევრები. ისინიც ჩვენთან ერთად წამოვლენ.

ვეშვადებით, მაგრამ თითქოს ორ ბანაკად გაიყო ჩვენი ექსპედიცია: «იალბუზელებად» და «აზაუელებად», ე. ი. ვინც მწვერვალზე უნდა ასულიყო და ვისაც აზაუში უნდა დაეცადა.

თბილისშივე გადაწყდა, ვინ უნდა ასულიყო მწვერვალზე და ვინ – არა. ვინც პატარა იყო, მას მწვერვალზე ასვლა ეკრძალებოდა, იმიტომ, რომ მოუმაგრებელ, ნორჩ ჯანს მაღალი მწვერვალის თხელი ჰაერი აწყენს, ხიფათში ჩააგდებს. ასევეა ხანში შესულიც: ასეთ ადამიანს გული არ უვარგა მაღალი მთისთვის.

ძირს დამრჩენნი ეხვეწებოდნენ გიორგი ნიკოლაძეს, მე წამიყვანე, მე წამიყვანეო, თუმცა, მივმართოთ თვითონ გიორგის დღიურს:

«ძალიან ვჩქარობდით, რადგან ღამდებოდა უკვე, ამიტომ ბარგის განაწილება ვერ მოვასწარით. ახლა უნდა გამოგვერკვია, ქვევით ვინ რჩება, ეს კი ძნელი საქმე იყო. თავდაპირველად რჩებოდნენ: ბეჟიკო, ვერა, ირმა, სონია, თამარი, მაგდა, მაგრამ ყოველი მათგანი ცალ-ცალკე მეხვეწებოდა, მეც წამიყვანეო. მე საშინლად მეცოდებოდნენ ისინი, მაგრამ ძლიერ მკაცრად მეჭირა თავი, რათა სისუსტე არ მეგრძნობინებინა.

კომკავშირულ კოსტია რაზუფაევს კი ნება მივეცი წამოსვლისა, რადგან მთელი მოწყობილობა ნაწილობრივ მაინც იშოვა თავისთვის.

ახლა ჯერი მიდგა მიტოზე და ლიდუსიზე. ამათ გავუსინჯეთ სიცხე ჩვენი მეტეოროლოგიური თერმომეტრით: მიტოს 38.5⁰ ჰქონდა, ხოლო ლიდუსს 37⁰. ცხადი იყო, იალბუზზე ვერ წამოგვეყვებოდნენ. ლიდუსის მდგომარეობა პირდაპირ ტრაგიკული იყო. მე ვერაფერი ვუთხარი მას, თითქოს ვერ ვამჩნევ, ისე მიჭირავს თავი. საწყალმა თავი ვერ შეიკავა და აქვითინდა.

დანარჩენი ქალებიც ტიროდნენ. საზოგადოდ, ჩვენი გამგზავრების სურათი საზარელი იყო: ირმა ტირის, მაგდა მოთქვამს, ვერა, ასმათი, ლიდუსი ქვითინებენ. დანარჩენებიც ძლივს იკავებენ თავს.

რუსები გაკვირვებით გვიცქერიან. მე აჩქარებით გზას გავუდექი. ცოტა რომ გავიარე, მივიხედე და დავინახე: ლიდუსი უკვე დამშვიდებული, გამირული თავშეკავებით, ღიმილით მორბოდა ჩემკენ. გამოვესალმე... ამის შემდეგ უკან აღარ მიგვიხედა, ისე გავწიეთ წინ».

მართლაც, თითქოს სამუდამოდ ვცილდებოდით ერთმანეთს, თითქოს მიუსვლელ ადგილას მივემგზავრებოდით და არ უნდოდათ ჩვენი მართო გაშვება.

«ამდენი ხანი ერთად მოვდიოდით, ვიზიარებდით ჭირსა და ლხინს, ახლა კი მართო გვტოვებთ», – აი, რას წაიკითხავდით მათ სახეზე.

მეტადრე ლიდუსი იტანჯებოდა. მყინვარწვერზე ხუთნი ავიდნენ ერთად: მარო ბეჟანიშვილი, მარო ტყავაძე, ელიკო ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი და ლიდუსი ჩხეიძე. დღეს კი ამ ხუთეულს ერთი აკლდებოდა და ეს იყო ლიდუსი. ვეღარ გაიზიარებდა მათთან ერთად იალბუზზე ასვლის სიხარულს.

აი, რატომ იყო მისი თვალები ცრემლით სავსე. ისიც იცოდა, რომ წამოსვლის ნება არ ჰქონდა, რადგან ავად იყო.

ბეჟიკო არ ტირის, მაგრამ კოპებშეკრულია, არც იღიმება, ძველებურად თვალები არ უბრწყინავს.

მინდა დავამშვიდო, სათითაოდ მივუალერსო, მაგრამ რომ არა მაქვს ამდენი დრო? არც შემიძლია ლაპარაკი, რადგან ძალიან დაღლილი ვარ. ნეტავ ბანდულების გამართვა მაინც მოვასწრო!

იქვე კლდეზე ავფოფხდი და ვგლეჯ საბანდულე ბალახს, რომელიც კლდეებში ბლომად არის, მაგრამ ძნელი კი არის მასთან ასვლა, – კლდე შვეულია. ძნელია, მაგრამ როგორ გინდა, არ ახვიდე: თუ ბალახს ვერ მოიმარაგებ და ბანდული არ გამართავ, ვერ ჩაიცვამ და, მამასადამე, ვერ წახვალ.

მეც მივფოფხავ და ვგლეჯ მთიულების ამ შესანიშნავ წინდას. აი დავგლიჯე, მოვაგროვე. ეჰე, კარგა მალლა ამოვსულვარ. უკან რომ გადავიხედე, ასე მეგონა, კედელზე ვარ-მეთქი მიკრული. ფერდობი სულ შვეულია. გამოვქანდი და ფართხაფურთხით წამსვე ძირს ვიყავი.

– აი, ნიკო, შენთვის ავარჩიე, კაი ბანდულია, – მეუბნება გახა და მაწვდის ბანდულებს, – მთელი კავკასიონი რომ მოიარო, ფეხი არ გაგიცივდება, არც ბანდული დაიგლიჯება. აჰა, თქვენც, სიმონ, ატო, ყოჩაღად მოეწყვეთ, თანაც წამოიღეთ ბალახი, იქ არ იქნება, იქ თოვლია. ბალახი რომ დაგაკლდეს, გონჯია, ფეხი დაგამრება, – გვარიგებს გახა. ხან ერთთან მიდის, ხან მეორესთან და ბანდულებს აცმევს.

– ასმათ, აბა, ყოჩაღად, ბალახი ცოტა არ მოგივიდეს, შენ როგორა ხარ, ელიკო, მარო? ცუდია, ლიდუსი რომ მრჩება, მაგრამ მერმის კიდევ ავალთ, —არ ივიწყებს არც ლიდუსის.

– იაგორ, გამიმართე ბანდული, მიშველე, როგორღაც კარგად ვერ ჩავიცვი, – ვეუბნები იაგორს.

– მართლაც არ ჩავიცვამს კარგად, ჩქარობ, გეტყობა. აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო. ასეთი წასვლის წინ დინჯად უნდა მოემზადო, ყველაფერი კარგად უნდა იყოს გამართული, გზაში საძებარი არა უნდა გაგიხდეს რა, თორემ ძნელია, უბრალო საქმე კაცს ფათერაკს შეჰყრის, – მეუბნება დინჯად იაგორი, ჩემს ბანდულებში თივას აგებს და თანაც მასწავლის: აი, ასე უნდა, ყოველთვის მე არ ვიქნები შენთან, თვითონ შენ უნდა შეგეძლოს, ხომ იცი, კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო.

– მართალი ხარ, ჩემო იაგორ, – ვეუბნები ღიმილით.

– კიდევაც, რომ მართალი ვარ, – და თვითონაც ელიმება. მომწონს ეს მთის შვილი, დინჯი, მოფიქრებული, ჭკუამახვილი და გონიერი იაგორა.⁷

ბოლოს ყველანი მზადა ვართ, მივდივართ, ვერც კი ვემშვიდობებით დარჩენილებს, გვემინია, გამოთხოვება ქვითინად არ გადაიქცეს.

დაღლილები ვართ, მაგრამ რას იზამ, აქ დაღლილობა და ჩამორჩენილობა კაცს არ გამოადგება.

აქ საჭიროა მაგარი მუხლი და გამძლეობა.

ჩვენს ბარგს ვაბარებთ მათ, ვინც რჩება და ბილიკზე გამწკრივებულნი მივდივართ ზევით, ზევით, იალბუზისკენ.

მცენარეულობა იგივეა, რაც თერსკოლთან იყო. აქ მთავრდება ფიჭვის ტყე, ალაგ-ალაგ მოჩანს ტირიფი, ღვია, ხოლო ჩრდილოეთის ქედებზე – დეკიანი. წმინდა სუბალპებია, მშვენიერი ალპური ბალახი ბიბინებს და ათასფრად ხასხასებს.

აღმართი დიდია, თითქმის შვეული და ბევრ ხალხს ასეთ აღმართზე სიარულისას სიფრთხილე მართებს. ეს მაგრძნობინა მუშტისოდენა ქვამ, რომელიც თავში მომხვდა და სისხლი მადინა: წინ მიმავალს დაუგორდა იგი შემთხვევით.

ამაღამ ე. წ. «კრუგოზორზე»⁸ უნდა დავრჩეთ. აი, ავედით კიდეც.

სუნთქვა შემეკრა.

ბევრჯერ მივლია ჩვენს მთებში, მაგრამ ასეთი სილამაზე იშვიათად მინახავს. მოჩანს კავკასიონის მცირე ნაწილი, მაგრამ რაც მოჩანს, იშვიათად ლამაზია, ლამაზია მეტადრე ხოტი-თაუ თავისი მყინვარებით. ის საუცხოოა და კოპჩია, მარადი თოვლით და ყინულებით შემოსილი, ჩამავალი მზის სხივებით ათასნაირად შეფერადებული!

– ჰაუ, კავკასიონის ქედო, რამდენი რამის მომსწრე ხარ, რამდენ გრიგალს გადაუვლია შენს თავზე და მაინც ასე ამაყად, შეუპოვრად იცქირები!

გული არ დგება საგულეს, გინდა გაფრინდე და თავს შემოველო, თავს დაუარო მარადი თოვლით დაფენილ მწვერვალებს. გინდა უთხრა, რომ ასე საყვარელია, ასე ძვირფასნი არიან ისინი შენთვის.

გულის მაგივრად კლდე უნდა ედოს კაცს, რომ ბუმბერაზი მთების ცქერისას მათმა სილამაზემ არ წარიტაცოს, უზომო სიყვარულითა და სიხარულით არ აავსოს.

– რა ლამაზია! – მეუბნება თვალეზაბრწყინებული გიორგი, რომელიც ბარგს იხსნის ზურგიდან და თან სიხარულით სავსე თვალეზს ვერ აცილებს შორეულ მთებს.

ჩამობინდა და ღამის მთების იდუმლებამ დაისადგურა ირგვლივ.

მოვგროვდით ყველანი. აჰა ვართ ოცივე. აქ არიან რუსეთის ექსპედიციის წევრებიც თავიანთი გამოცდილი, სანდომიანი შესახედაობის წინამძღოლით ფროლოვითურთ. დამავიწყდა მეთქვა, რომ ისინი ჩვენზე ადრე წამოვიდნენ, კისლოვოდსკში არ მოგვიცადეს, თანახმად შეპირებისა. ჩვენ სულ ვდარდობდით, რომ უჩვენოდ ავიდოდნენ, მაგრამ თურმე აზაუში გვიცდიდნენ, რათა ერთად შევდგომოდით გზას მწვერვალისკენ. გაგვიხარდა მათი იქ დახვედრა, მათაც გაუხარდათ ჩვენი ნახვა და «კრუგოზორზე» უკვე ერთად მივეგებეთ საღამოს.

ასაღამურდა⁹. მუშხუნა გავუშვით. მისმა მუქმა წყვილიადა გააპო და სინათლე მოჰფინა ირგვლივ. ეს იყო ნიშანი ჩვენი მშვიდობით ამოსვლისა.

მცირე ხნის შემდეგ ძირსაც გამოჩნდა სინათლე: ეს ბეჟიკო გვასახობდა. გაგვიხარდა, რომ ამ უდაბურ ადგილებში იყო ხალხი, რომელიც ჩვენზე ფიქრობდა და თვალყურს გვადევნებდა.

ნიშნად ჩვენი სიხარულისა, ჰაერი მეორე მუშხუნამ გააპო. მისი ხმა ყრუდ გავარდა მთებში და დიდხანს

მირუხრუხებდა მთის ჭიუხებში.

ძირიდან პასუხი არ იყო, სინათლე აღარ დაგვიანხავს. იქნებ ნისლის ბრალიც იყო, რომელიც აზაუმში მძიმედ და სქლად ჩამოწვა. მზიდველები, რომლებმაც ბარგი ამოგვიტანეს, უკან ბრუნდებიან. წერილს ვატანთ, ისეთი სიყვარულით, თითქოს დიდი ხნის დაკარგული ძმის ბინა ახლა გაგვეგოს და პირველ წერილს ვწერდეთ! სულ სამი-ოთხი საათი კი არის, რაც დავემორდით.

ნისლები დევებივით ჩაწვნიან ხევებში, ჩამომყუდროვდა ირგვლივ. მთების იდუმლებას მხოლოდ ჩვენი მხიარული სიმღერა არღვევს – უდარდელი, ლაღი და თამამი. ეს სიმღერა საყვარელ მთებს, იალბუზის მწვერვალს მივუძღვენით.

გული სიხარულით მევესება. იმედი გვაქვს სრული გამარჯვებისა.

ბურჟუაზიული ქვეყნების ალპინისტები ამბობდნენ, რომ მაღალ მწვერვალებზე ასვლა მხოლოდ «რჩეულებს» შეუძლიათ, ისიც თითო-ოროლას, სად გაგონილა მასობრივად ასვლაო. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ეს ზღაპარი გაგვექარწყლებინა, დაგვემტკიცებინა, რომ ალპინიზმი უნდა გახდეს მასობრივი სპორტი, საბჭოთა ქვეყნის მშრომელთათვის მისაწვდომი სპორტი. მივაღწევთ კი მიზანს? – ვფიქრობთ გულში.

მარჯვნივ და მარცხნივ კი აზაუს მყინვარების ქუხილი ისმოდა. ეტყობოდა, მოსწყდებოდა ხოლმე ყინულის დიდი ლოდი და ქვევით ქუხილით მიექანებოდა. ამ ქუხილს მთანი ბანს ეუბნებოდნენ და დიდხანს, დიდხანს ისმოდა მთების გადაღმა ეს ყრუ გუგუნი.

თერთმეტის თავშესაფარი

დილით ადრე შევუდექით კლდიან ბილიკს.

არა, ბილიკი რა სათქმელია, აქ ბილიკს ვინ გაიყვანდა, ვის რად უნდოდა ბილიკი? აზაუს მყინვარის კლდიან მორენაზე მივდივართ. ვულკანური მთის ქანები გვისერავს ფეხებს, მაგრამ ვინ აქცევს ამას ყურადღებას.

ფროლოვის ჯგუფის წევრებს «ბაშმაკები» აცვიათ, ჩვენ კი ბანდულები. მათ ფეხი უსხლტებათ, მასზე დაკრული ლურსმნებიც კი ვერ შველით და ჩვენს ბანდულებს თითქოს შურით უცქერიან.

– ბანდულებით მინდოდა წამოსვლა, მაგრამ ვერ მოვასწარი, – ამბობს ფროლოვი.

ის გამოცდილი მთამსვლეელია, იალბუზზე ორჯერ იყო ასული, ერთხელ – მყინვარზე.

მყინვართა მორენებზე იზრდება მაღალი მთის მცენარეულობა. გადავჭერთ დიდი მყინვარი, ახლა უკვე მისი მეორე გვერდის მორენით მივდივართ. აი, მარადი თოვლის ხაზიც, მაგრამ ის უცბად როდი იწყება: ჯერ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა თოვლსა და მცენარეებს შორის. ყოველ ახლადმოტიტვლებულ ადგილზე მცენარე იკიდებს ფეხს, დადნება თუ არა თოვლი, ამოყოფს მიწიდან ჭიოტა ყვავილს, მაგრამ მორცხვია და მალე ამთავრებს სიცოცხლეს. ძლივს ემჩნევა მიწაზე, უფრო მზვარე, მზისგან უხვად გამთბარ ადგილზე ცოცხლობს. აქ, ამ სიმაღლეზე, ჩრდილოეთ ფერდობზე, ვერ იცოცხლებს, აქ მზე მისთვის საკმარისად ვერ იმეტებს თავის სხივებს.

ავლით კლდე და ღრე. სიმაღლე 3600 მ-ია უკვე და იწყება ვეებერთელა, თვალუწვდენელი თოვლ-ყინულის ველი (ფირნის ველი). ეს არც წმინდა თოვლია და არც ყინული, რაღაც საშუალოა მათ შორის. აქ თოვლი მარილის ხვიშირივით¹⁰ დამარცვლულია. ყოველწლიურად ემატება თოვლის ახალ-ახალი ფენა. ზაფხულის განმავლობაში დნება და თოვლიც თავის სიმჩატეს, თავის პირველყოფილ სახეს კარგავს, მაგრამ მთლად გადნობას ვერ ასწრებს. მზის მხურვალე სხივების შემდეგ ხშირად, მეტადრე ღამლამობით, დიდ ყინვას იჭერს და ზედაპირი იყინება, თხელი ფენა ეკვრის კანივით. ზამთრისპირზე, როდესაც ახალი თოვლი მოდის, ასე კანდაკრული ხვდება შარშანდელი თოვლი, ზაფხულის მზისაგან სახეცვლილი.

და ასე ეფინება ფენა ფენას, წლითი-წლობით, საუკუნიდან საუკუნემდე. არც ზამთარში მოდის აქ ისეთი თოვლი, როგორც ბარად ბარდნის ხოლმე. მაღალი მთის თოვლი უფრო მაგარია, წვრილი ნემსებივით ეცემა ძირს: დიდი სიცივის გამო უცებ იყინება წვრილ-წვრილად.

აი, ამ საზღვარზე ცხოვრობენ მთების ბატონ-პატრონი ლაღი ჯიხვები და არჩვები. აქვე, თოვლში, ეძებენ ისინი საზრდოს, ძირს ვერ ჩამოდიან, ადამიანისა ეშინიათ. მათ თან სდევენ შურთხი და სხვა ფრინველები.

წინ გახა მიგვიძღვის. «აქ უფსკრული იქნება, არ გადაიაროთ», – გვეუბნება და მიგვითითებს გვერდით. გარეგნულად არაფერი ეტყობა და გასაოცარია, როგორ ამჩნევს, რომ იქ უფსკრული უნდა იყოს.

– რაით ამჩნევ, გახა, რომ იქ უფსკრულია?

– გული მეუბნება, თოვლიც სხოა იქ.

ჩვენ ამ «სხონაირ თოვლს» ვერ ვამჩნევთ და ვუჯერებთ: ის ხომ მთის ბილიკთა პროფესორია.

უკან იაგორა კაზალიკაშვილი მოდის, დაურიდებელი, გამბედავი, მაგრამ ფრთხილი მოგზაური, ხშირად მოსცილდება ბოლოს, ამოგვირბენს გვერდით და გვეუბნება:

– ყოჩაღად, გენაცვათ, ფეხი არ შეგიშინდეთ, ხომ იცით, იალბუზზე რომ ვერ ავიდეთ, ხევის პატარძალი გაგვიჯავრდება, მარტო მე რად დამიბრძოვეთ, თუ ბიჭები იყავით, რატომ ჩემს უფროს ძმას ვერაფერი დააკელითო.

ძალიან უნდა იაგორას, რომ ავიდეთ იალბუზის მწვერვალზე: რომ არ ავიდეთ, სირცხვილიაო.

ყველას გვიყვარს იაგორა, თავისი ვაჟკაცობით, პირდაპირობითა და სიყვარულით საყვარელი გულით.

– ჰაუ, ქალაუ, ყოჩაღად, გენაცვალეთ, – ამხნევეს ხან ერთს, ხან მეორეს.

– ნელა იარეთ, ჩემი ნაბიჯით, – ამბობს გახა და ნელ-ნელა ადგამს ნაბიჯებს: მთაში ჩქარი სიარული არ შეიძლება, გული ვერ გაძლებს, აქ ხომ ჰაერი თხელია და სუნთქვაც ძნელი.

თვალეზზე მუქი სათვალეები გვიკეთია, უამისოდ თვალი დაგვიბრმავდება, ულტრაიისფერი სხივი უხვად და თვალს გაგვიფუჭებს. სამაგიეროდ, სახე უკვე გაგვიშავდა, ყველას შავად გააქვს ლაპლაპი.



იალბუზი, თერთმეტის თავშესაფარი

– შევისვენოთ, – ყოველი ხუთი წუთის შემდეგ წამოიყვირებს გახა და ყველანი იქ ვჩერდებით, სადაც ფეხი დავადგით, დაღმა ვიხედებით, – ეს ადამიანს ამსუბუქებს.

სხვა არა იყოს რა, წინ კავკასიონის ქედი უფრო ლამაზი და თვალწარმტაცია, ვიდრე «კრუგოზორიდან».

რამდენი ისეთი მწვერვალი მოჩანს, რომელსაც ქვემოდან ვერ ვხედავდით.

აი ის, საგანგებოდ ნაკვეთი მწვერვალი შტავლერია. აგერ ცალმაგი განიერი დონღუზ-ორუნიც, აი, უშზაც, მრისხანე, კოპებშეკრული. მისი ორი მწვერვალი ცაში აწვდილ ორ ხელსა ჰგავს!

– შეხედეთ მწვერვალს, იქ ახლა ქარიშხალია, – გვიჩვენებს ჯოხით გახა და მწვერვალისკენ იყურება.

ღრუბლები ზეწარივით თხლად აჰკვრია ცას.

– არა უშავს რა, იყოს ქარი, – ამბობს გიორგი და ვგრძნობთ მტკიცე გადაწყვეტილებას, იმედს და რწმენას, რომ ამ მრისხანე ქარისა და ქარაშოტისაც არ ეშინია.

ეს პირველი ნიშანია გამარჯვებისა და იალბუზის მწვერვალზე მედიდურად, ფრთაგამლილად ასვლისა.

მზე გადიხარა, ნაბინავარზე რომ მივედით.

ვხედავთ მარად თოვლში გახვეულ რამდენიმე მოტიტვლებულ კლდეს. აქ გაათია ღამე თერთმეტმა მთამსვლელმა, ქარბუქისგან გზააბნეულმა. მაშინ მათ არ იცოდნენ, სად იყვნენ და რა ერქვა ამ ადგილს. არც რამე ერქვა მანამდე, ამის შემდეგ დაერქვა თერთმეტის ნაბინავარი.

ბარგი მოვიხსენით. მზე უკვე გადახრილია და კარვები სწრაფად უნდა გავმართოთ, თორემ ღამის სიცივე ხეირს არ დაგვყრის. ორი კარავი ბაქსანელს მოაქვს, იგი ჯერ ისევ თოვლ-ყინულზეა და რაღაცას ყვირის, ზევით აღარ მოდის.

გვინდა ჩავეშველოთ, მაგრამ არ უნდა, თვითონ ამოვა, ალბათ, ფულის მომატებას თხოულობს, განა ჩვენ მასზე ნაკლები ბარგი მოგვაქვს?

როდის-როდის ამოვიდა, დააგდო კარავი და დაიწყო ყვირილი: «სულელები და ოხრები ხართ, რა გინდათ, ამ სიმაღლეზე რომ მოძვრებით, რა დაგრჩენიათ აქ? გული მტკივა, გული»...

მთის თხელი ჰაერი არ ჰყოფნის. მივხვდით მის შეწუხებას და ვამშვიდებთ, არა უშავს რა, დამშვიდდი, დაისვენე და გაგივლისო, ვეუბნებით. ზოგს უკვირს მისი გაწყრომა, მაგრამ საკვირველი აქ არაფერია: რატომ უნდა ამოსულიყო ამ თოვლში, რა უნდა ენახა აქ სასიკეთო, თივას ვერ გათიბავს და თხა-ცხვარს ბალახს ვერ მოაძოვებს.

აი ახლაც იმიტომ ამოვიდა, რომ 30 გირვანქის ამოტანაში 5 მანეთს იღებს... და ესეც ემწარა, თქვენ რომ არა, მე აქ არ ამოვიდოდიო, – გვიჯავრდება.

მალე დაეშვა ქვემოთ და თოვლ-ყინული ძუნძულით ჩაირბინა, მას თან გაჰყვა ერთი სხვა კაცი ფროლოვის ჯგუფიდან – მგონი ლინგვისტი იყო, – მან თავშესაფარამდეც ვერ მოაღწია.

კარვები უნდა დავდგათ. აქაურობა ქვითა და ლოდითაა სავსე, მაგრამ სხვა გზა არ არის, რაღაც უნდა მოვახერხოთ.

ჩადის მზე, ელვარებს ყინული, ელვარებს ბროლის მუზარადი კავკასიონის მწვერვალებზე.

სისინებს სიო და ისმის წყნარი, იმედიანი სიმღერა.

ძირს, ხეებსა და ორწოხებში, მძიმე ფიქრით ჩაწვა ნისლი.

პირველი იერიში

გათენდა დილა...

ეჰ, ვერ არის კარგი ნიშანი: ქარი უბერავს. მწვერვალზე უარესი ამინდია, ეტყობა, იქ ქარიშხალია.

ცა კი მოწმენდილია. ზოგჯერ წამოვა ხეებიდან ნისლი და თხელ ლეჩაქს გვახვევს, მაგრამ ისევ გადიყრის,

ისევ გაქრება.

ძირს ნისლია ჩაწოლილი. აზაუში დარჩენილებს, ალბათ, არც კი ჰგონიათ, რომ ცა აქ ასე მოწმენდილია და მზის სხივები გვეალერსება.

– უნდა გავწიოთ, გზაში გამოიდარებს, – ამბობს გიორგი.

სწრაფი მზადებაა: ბანდულების გასწორება, წრიაპების მიმაგრება, ხელთათმანების მარჯვედ ჩამოცმა.

თითქოს ბრძოლის წინ საიერიშოდ გამზადებულები უხმოდ ვდგავართ. გულში გამარჯვების იმედია, მაგრამ ქურდული ფიქრი გაგვიელვებს ხოლმე: «რომ ვერ ავიდეთ, მაშინ?»

– ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი. წინ, ძმებო! – და მიდის წინ გახა, უკან მარო ტყავადე მისდევს, მას მეორე მარო, ელიკო, ასმათი და სხვები მისდევენ.

სულ უკან კვლავ იაგორაა. ყოველი ოცი ნაბიჯის შემდეგ გახა დგება და დგებიან ყველანი... ღრმა ამოსუნთქვა.

– ნელა იარეთ, – ისმის გახას ხმა ზევიდან.

– ნუ აჩქარდებით, – ამბობს იაგორა.

ქარი ზუზუნებს, არ ეტყობა, რომ გაჩერებას აპირებს.

მწვერვალი ნისლში გაეხვევა, დაიმალება, თითქოს ჭაღარა თავი გააქნია და დარდი და ნაღველი გადაიყარაო, მერე ისევ მოიშორებს ნისლს და კვლავ წუთით გამოჩნდება.

ერთი ჩამოგვცილდა, ზურგი გვაქცია: აღარ შემოძლიაო. მთის ავადმყოფობა მოერია უეჭველად.

მთის ავადმყოფობა ადვილი არ არის: თავბრუ გეხვევა, გული ძალზე გიცემს და გგონია, საცაა წაიქცევი, ძილი გერევა საშინელი სიძლიერით, ყოველი ნაბიჯის შემდეგ გინდა წამოწვე და დაიძინო. ბევრს დაუძინია კიდევ, მორეგია ეს ძილი და აღარც გაღვიძებია, სამუდამოდ მოუნახავს ბინა კავკასიონის კალთებზე, ამ მარად თოვლში.

ქარი უფრო ძლიერდება, ზუის, ნამქერს გვაყრის სახეში, მაგრამ მაინც წინ მივდივართ.

– ვიაროთ, სადამდეც შეიძლება სიარული, – ამბობს გიორგი.

– არ აისვლების, გიორგი, ასეთ ამინდში, გვაფრთხილებს გახა.

– ჯერ ხომ შეიძლება სიარული?

– შეიძლება, – იყო პასუხი.

– მაშ, ვიაროთ.

ქარი კი თმებს იწეწს და კვიის, კვიის გააფთრებული და გაწინამატებული. უკანანი ვერ ვხედავთ წინ წასულებს, ნისლში არიან დაკარგულნი.

აგერ ვიღაც ჩამოგვცილდა კიდევ, უკან მოჩანს ნისლში, ეძნელება დარჩენა, მაინც ჯდება, ჩვენ ზევიდან ვუყვირით:

– ადექი, წადი, ნუ ჯდები.

დგება და მოდის ჩვენკენ.

– ნუ მოდიხარ, – უერთდება ჩვენი კვიილი ქარის ზუილს და ისიც, თითქოს ესმისო, მიდის, მიდის ნელის ნაბიჯით და თან უკან-უკან იხედება.

მომაგონდა ჯეკ ლონდონი თავისი ალიასკით, ჩრდილოეთ ამერიკით, სადაც მიიტბორებიან დაუსონი და კლონდაიკი, – მათ ნაპირზე კი ბედის მამიებელთა გაჭირვებული ხეტიალი, მარადი ბრძოლა თოვლში. იქ თუ დაიღალა, დასუსტდა ვინმე, ბედის ანაბარა რჩება თოვლის უდაბნოში, ვინ უშველის? და ისიც უცქერის, თუ როგორ შორდება ამხანაგი, როგორ შორდება მასთან ერთად სიცოცხლეც... მაგრამ ეს მხოლოდ შორეული შედარებაა. საბჭოთა ალპინისტებს რა აქვთ საერთო ამ ბედის მამიებლებთან? აქ მზრუნველების გარეშე არავინ დარჩება.

– ზუუუ! – ზუზუნებს ქარი და სიცივე ძვალ-რბილში გვივლის. ვედარაფერს ვხედავთ, სათვალე ყინულით იფარება. ახლა თხუთმეტი ნაბიჯის შემდეგ უნდა შევჩერდეთ. მივაპობთ ქარს, მივდივართ წინ.

– გაგვიშვი!..

– არააა!.. – ხმაგაბმით გვპასუხობს ქარი და სიბრაზე და ცივი ნამქერი მოაქვს.

– შევიცადოთ, იქნებ გაჩერდეს...

მაგრამ დღეს ქარმა, ალბათ, პირობა დასდო, რომ იალბუზის სიამაყე არავის შეალახვინოს და უფრო გამძაფრდა, გაკაპასდა და გაალმასდა.

თავშესაფრისკენ! და 4800 მ-ის სიმაღლიდან მიჰქრიან მთასვლელები ქვევით. სამი რჩება მხოლოდ: სიმონი, ფროლოვი და ერთი მისი ამხანაგი. «ჩვენ მაინც ვცდითო».

ჯერ არავის უკითხავს თავისი თავისთვის, იწყინოს თუ არა. ვის აცდის ამას გაკაპასებული ქარი, სიცივე და ნამქერი?

აი, თერთმეტის თავშესაფარიც. თითქოს ფარდა უცბად აიხადაო, ისევ გამოჩნდა ოცი მეზრძოლი, რომლებიც პირველი იერიშიდან უშედეგოდ ბრუნდებოდნენ.

– რაღა დღეს მოუნდა ქარს ამოვარდნა?! – ისმის საყვედური.

– უჰ, ძნელია, ძმავ, სული მეხუთებოდა.

და უკვე გამზადებულ ცხელ ჩაის სვამენ, რომელიც სპირტის ერთადერთ ქურაზე დულდება.

– ნეტავ სად არიან სიმონი და ფროლოვი?

– კი არ დაიღუპონ სადმე.

– ფროლოვი ნაცადია, ხიფათს დროზე აიცდენს.

...და აი სამნიც.

– ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთი პირდაპირ! – ამბობს ფროლოვი.

– ჩვენ უკან ვბრუნდებით, თქვენ რას იტყვით? – ეკითხებიან გიორგის რუსეთის ექსპედიციის წევრები.

– ჩვენ დავიცდით, სანამ არ გამოიძარებს, – პასუხობს და გადადის პაიკს ჭადრაკის დაფაზე. მოსკოვის «პრავდას» კორესპონდენტს ეთამაშება.

ისინი უკან ბრუნდებიან, ჩვენ ვრჩებით.

რჩება «პრავდა» კორესპონტენტიც.

– ზუუ! – ზუზუნებს და კივის ქარი იალბუზის ორწოხებში.

– მეც წავალ, – ამბობს ატო.

ყველანი გაკვირვებით მივშტერებივართ: რატომ უნდა წავიდეს? ნუთუ გადაწყვიტა, აქ არ იცადოს და ძირს ჩავიდეს?

– სურსათი შემოგვაკლდება, მოვამზადებთ და ხვალ დილისთვის ისევ ამოვალ, მზიდველებს დავიქირავებ და ისინი წამოიღებენ.

თან თავზე ჩაფხუტს იხურავს.

იშვიათი ადამიანია თავისი რაინდობით. ყოველთვის პირველია გაჭირვებაში მისახმარებლად.

– მე უფრო კარგად მოვამზადებ, ვიცი, რაც გვაკლია, – და ხელში წერაყინი უჭირავს უკვე.

– დაიცა, ატო, ჩვენებთან წერილს გაგატან, – და დახუთული, გაყინული ხელით წერს გიორგი: «მვირფასებო, ყოჩაღად იყავით, თუ კარგი დარი იქნება, თერთმეტის თავმესაფრამდე ამოდით. დაბრუნებას მოასწრებთ, გამოგვიგზავნეთ»...

– ჩქარა, გიორგი, აგერ, წასულები ნისლში ეხვევიან.

ატოს მიაქვს წერილი და ძირბის თოვლ-ყინულზე. მისი შავი სილუეტი ქარისგან მოტანილ ნისლში ინთქმება.

ქარი კი ზუზუნებს და ზუზუნებს.

გიორგი და «პრავდას» კორესპონდენტი კლდესთან მიყუჟულან და ჭადრაკს თამაშობენ. აქ, ამ კლდის ძირას, არის ჩვენი საჭადრაკო კლუბი, საუცხოოდ მოწყობილი: მვირფასი მაგიდები, სკამები, ბროლის შუშები. ყველაფერი ეს კლდის ნამტვრევი, ყინული და თოვლია. ჩვენს კლუბში ჰაერიც საუცხოოდ სუფთავდება – ირგვლივ ღიაა და საზარელი ცივი ქარი უბერავს, მას მწვერვალებიდან გამოტაცებული ნამქერი მოაქვს, მაგრამ ეს რაა, როდესაც საქმე პირველობას ეხება! აქ ჭადრაკს ყველა ხალისით თამაშობს. ტურნირია. გიორგი ტურნირს გარეშეა გამოცხადებული, მას უნდა ეთამაშოს იალბუზის წვერზე ის, ვინც ტურნირში პირველობას მოპოვებს. ყველაზე ძალიან დევიკოა გატაცებული. ხშირად ისმის მისი ხმა: «ქიმ, ჩემი პაიკი, ჩემი მხედარი, დედოფალი». ქარში იკარგება ეს ხმა.

აი, ლევანს ეთამაშება. ის ყველაზე სერიოზული მოწინააღმდეგეა. ცივი ქარი ქრის, მაგრამ დევიკოს ოფლი სდის. ხუმრობა ხომ არ არის: რომ წააგოს, დაკარგავს იალბუზის წვერზე ჭადრაკის თამაშის სიამოვნებას...

ბედმა უმტყუნა, წააგო...

– ჰა, დევიკო, როგორ არის საქმე? მგონი, კაპაბლანკას გინდა შეეჯიბრო, არა? – ეუბნება ლევანი ხუმრობით. პირველობა მას დარჩა და უფლება აქვს, ასე იხუმროს. იალბუზის წვერზე ის და გიორგი ითამაშებენ.

– კარგი ერთი, შემთხვევით მოხდა ასე, – პასუხობს დევიკო უგულოდ. ხუმრობის გუნებაზე აღარ არის.

ასეთი ჯილდო პირველობისთვის ჯერ არავის მიუღია.

– პრიმუსი გაგვიფუჭდა, აღარ ინთება, – აცხადებს ვანო.

იგი პრიმუსს ჩაჰკირკიტებს. ხუმრობა ხომ არ არის: წყალსაც კი ველარ ავადუღებთ, ხოლო ცხელი წყალი აქ ძალზე საჭიროა, მეტადრე მაშინ, როდესაც ასეთი მშვენიერი საჭმელი გვაქვს: ძველი, ნაცარში «გამომცხვარი» პური, რომელსაც გამომცხვარი მხოლოდ თხელი კანი აქვს, შიგნით კი წებოსმაგვარი ცომია. გვაქვს აგრეთვე ხილის თათარა. მართალია, ისიც ცოტა მოიძველებს, მაგრამ არჩევა არ შეგვიძლია. გვაქვს შაქარიც.

გემრიელად და მადიანად შევექცევით ამ უგემრიელეს სანოვავს. თუ ჩვენი პრიმუსი ვირიდან ჩამოხტა და წყალი და ყავა აგვიდულა, თითოს ნახევარი ფინჯანი მაინც შეგვხვდება და მაშინ ხომ ყარამან გმირები ვიქნებით, შევექცევით მადიანად, თუმცა ყაირათით. აქ დიდი მადა გვაქვს, ცოტა ფრთები უნდა შევაკვეცოთ, თორემ შეიძლება მშივრები დავრჩეთ: იქნებ არ გამოიძაროს და დიდხანს დაგვჭირდეს ლოდინი. უსურსათოდ მწვერვალს კი არა, იალბუზის ძირსაც ვერ მივალწევთ.

სამაგიეროდ, ვტკბებით ბუნებით და მისი სიდიადით.

როცა გავხედავ კავკასიონის ქედს და დავაკვირდები მის ბუმბერაზობას, სილამაზეს, სიდიადეს, მავიწყდება ყოველივე.

ულამაზესი მწვერვალები: შტავლერი, ცალმაგი, მკერდგანიერი დონღუზორუნი ჩვენ წინ არიან ამართული.

ლოდინი

აგერ, იმ ქედებს გაღმა ქვეყნიდან გადმოსულები შევყუჟულვართ კლდეების ძირში, დაობლებული ნიბლიებივით.

არ ვიცით, რა ხდება ძირს, არ ვიცით, რას ფიქრობენ ჩვენზე. იციან კი, რომ ცოცხლები ვართ?

ამ მარად თოვლში მარტო ჩვენ ვჩანვართ, ირგვლივ არავინ არის. გარინდებულები ვწევართ კარვებში და თუ მზემ გამოანათა, გამოვართვეთ ნაბადს და ზედ წამოვწვებით. მაგრამ მზე დიდი ხნით არ იმეტებს თავის სხივებს.

აი, თითქმის მოიწმინდა. მზე კაშკაშებს, ნისლი შემოხეულ ჩოხასავით არტყია კლდის ნაპრალებს და ორწობებს.

ისინიც გაქრნენ, კარგი ამინდი დგება.

ყველამ იმედიანად ამოისუნთქა...

აი, აქ, ჩვენ წინ, დაიბადა პაწაწა ნისლი. რა ლამაზია, რა ბუნჩულა და მშვენიერი... მაგრამ რა მოსდის, როგორ გაიზარდა, შიგ გაგვახვია ყველანი და მძიმედ დააწვა მთის კალთებს.

ჩამოშავდა, ჩამოხნელდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ნიავიც კლდეზე გადაიჩეხა და სული განუტევაო.

ამირანის მრისხანებას ჰგავს კოპებშეკრული, პირქუში, გულჩახვეული.

თითქმის დაბნელდა. ჯერ კი შუადღეა მხოლოდ.

უცხად ქარმა დაიზუზუნა, შეარყია ღრუბელი. მერე გაიელვა, განათდა ირგვლივ ყოველივე.

დაჭექა, დაიქუხა და ეს ქუხილი მთებს მოედო. დიდხანს რუხრუხით მიდიოდა შორს, შორს, ჩვენს იქით.

– აბა, რკინეული თოვლში გადაიტანეთ.

დაფაცურდა ყველა: მთაში დიდი მიზიდულობა აქვს რკინას, ის ხომ ელექტროგამტარია და შეიძლება მეხი დაგვეცეს.

– მომეცი წრიაპები, ჯოხები, წერაყინები, ნუ იგვიანებ!

ყველაზე მეტს ლადო ყვირის და თავპირისმტკრევით ეზიდება ყოველივეს, რასაც კი რკინა აქვს.

ელვამ გარშემო დაგვირბინა. თითქოს ხელის წავლებაც კი შეიძლებაო, ისე ახლოა ჩვენთან. ქუხს და ჭექს.

გრგვინავს ირგვლივ ყოველივე, რუხრუხებს, თითქოს მთა და კლდე ინგრევა, ძირი ეცლება და უსასრულო უფსკრულისკენ მიექანებაო. გაყრუვდა ყოველივე. რა პატარა ხარ ამ დროს, უძლური, არაფრის შემძლე, სრულიად არაფრის. ბრაზი მოგდის შენს უმწეობაზე.

ცა კი ინგრევა და რუხრუხებს. წვიმის მსხვილი წვეთები, თოვლი და სეტყვა ერთმანეთშია არეული.

აი, გაიპო ღრუბელი და გამოჩნდა ლურჯი ნატეხი. ეს ცაა. ნიავემ გაფანტა ღრუბელი, მოგვაშორა შავი საბური, ხოლო ელვარე მზემ ალერსიანად დაგვანათა თავისი ძვირფასი, ამ დროს უფრო მეტად ძვირფასი, სხივები.

ქვემოდან, ბაქსანის ხეობიდან ყრუ გუგუნნი გვესმოდა. იქ ისევ ავდარი იყო. ჩამავებული ღრუბელი გველემშაპივით გაწოლილიყო ჩვენ ქვემოთ, ხევში, ქუხდა და ელავდა. ზევით, ჩვენთან, მზე ასე ლამაზად ანათებდა, ჩვენ ქვემოთ კი ავდარი იყო, ელვა, ჭექა-ქუხილი...

ახლა უკვე სიხარულს გვგვრიდა ეს სიდიადე და სილამაზე.

– გიროგი, დიდხანს უნდა ვიცადოთ?

– სანამ არ ავალთ...

– როდის ავალთ?

– როცა გამოიდარებს.

გაწვრილდა გული ლოდინით და უსაქმობით. ვინ იცის, როდის გამოიდარებს? მანამდის რა გავაკეთო?

პროფესორი ალტბერგი შხელდის მყინვარზე ასვლას აპირებს. მოდი, წავალ. საუკეთესო შემთხვევაა, შემდეგ ამოვალ ჩვენებთან, – გადავწყვიტე და უკვე მივექანები ქვევით, მინდა მივუსწრო ალტბერგს. ლამაზი და შესანიშნავია შხელდის მყინვარი.

ჩემთან ერთად მოდიან: მიტრო, იაგორა და ერთი მასწავლებელი, რომელიც პიატიგორსკში მოგვეკედლა, ჩვენთან ერთად მოისურვა იალბუზზე ასვლა, მაგრამ ვეღარ მოახერხა, რადგან წინა დღეს ავად გახდა და ახლა უკან ბრუნდებოდა. ძალზე წუხდა, რომ ამგვარად უნდა დაბრუნებულიყო.

უფრო საშინელ გუნებაზე იყო იაგორა, იგი ნაღვლობდა მთელი თავისი არსებით, რომ ძირს დაბრუნება უხდებოდა. ეს ხომ მისთვის უდიდესი ტანჯვაა, მაგრამ იმდენად ცუდად იყო, რომ მისი დარჩენა აღარ შეიძლებოდა, უარესად გახდებოდა.

მივდივართ ჩუმად, ხმას არც ერთი არ ვიღებთ. ყველას მოღუშული და დაფიქრებული სახე გვაქვს.

– რაი დამემართა ეს, რვაჯერ ვიყავ მყინვარწვერზე¹¹ და არც როდის ასე არ გავმხდარვარ, ახლა კი რად მიმტყუნა ბედმა, რად მიმტყუნა? – ამბობს იაგორა.

ვამშვიდებ, ხან რას ვუამბობ და ხან რას, მაგრამ არ იქნა, მისი შუბლი არ გაიხსნა, ღიმილი არ შეეპარა.

– არა, მე ის უფრო მწყინს, რომ გიორგისაც ეწყინა.

მართლაც, გიორგის ძალიან ეწყინა.

მიტროს კი დაბრუნება იმდენად არ სწყინს: მიტრო საუკეთესო სპორტსმენია, მრავალ გამაჯვებასაც მიაღწია ამ დარგში, მაგრამ მაღალი მთის ჰაერს ადვილად ვერ იტანს.

აი ჩავლიეთ ფირნის ველი, ჩავედით აზაუს მორენებზე, მცენარეულობა უკვე გვხვდება აქა-იქ. გული უფრო მიხალისდება, ვკრეფ ფრთხილად და ვაწყობ ჩემ აბგაში, რომელიც განუმორებლად თან დამაქვს.

და აი აქ, კლდეებს შორის, ვხედავთ: ატო და ლიდუსი მოდიან. მეწყინა ლიდუსის დანახვა, ვაითუ ცუდად გახდეს.

– რად წამოხვედი, როგორ იქნება?

– უკვე კარგად ვარ, კარგადაც მოვდივარ...

ატომ შემომჩვილა, მზიდველები წინ წამოვიდნენ, სურსათი მიაქვთ, არ ვიცი, სად არიან, გზაც არ იციან და თუ ვერ ამოვიდნენ თავშესაფარში, რა გვეშველებათ.

მართლაც საფიქრებელი იყო ეს. გზაში არ შეგვხვედრიან, იქნებ ასცდნენ გზას? ხვალამდის ხომ მშვიდობა დარჩებიან ჩვენები! ვაითუ, ხვალაც ვერ მივაწოდოთ სურსათი!

ამ ამბით შეფიქრიანებულები დავშორდით ერთმანეთს და შევპირდით, თუ შეგვხვდებოდნენ, გზაზე დაგვეყენებინა, მაგრამ ეს საჭირო აღარ გახდა, რადგან მზიდველები, ალბათ, სხვა მხრით წავიდნენ ან კლდეებში აგვცდნენ. სურსათი დანიშნულებისამებრ მივიდა.

მე მრავლად მოვკრიფე მცენარეულობა.

– რას კრეფ, ნიკო, მაგის გული გაქვს განა? – მეკითხება იაგორა.

– აბა რაის გული უნდა მქონდეს ჩემო იაგორ?

– ნეტავი შენ!

შემეცოდა, ძალზე შემეცოდა ეს მთის შვილი, მთებთან შეზრდილი და შეთვისებული. მე შემომნატრის, არადა ის უნდა იყოს მბრძანებელი ამ ჭიუხიანი კლდეებისა.

უკვე შებინდდა, როდესაც აზაუში ჩავედით. მე და იაგორა წინ მივდივართ, ჩამორჩენილ მასწავლებელს ვუცდით კარგა ხანს, მაგრამ არ ჩანს. ხომ არსად გადაიჩეხა? ამ ღამეში კლდიდან რომ ფეხი დაუცდეს, ხომ მეტიც არა უნდა, უცადი კაცია.

მთაში უბედურება უცბად მოდის, იქ გაწყდება, სადაც არ ელი. გავძახოთ, იქნებ ხმა მოგვეცეს.

ვეძახით. ჩვენი ხმა სადღაც მთებს იქით იკარგება. გვესმის ჩამორჩენილის გამოხმაურება. სუსტად ისმის მისი ხმა, ძალა არა აქვს, დაქანცა გზამ, დაიღალა, ძლივს მოდის.

ჟივილ-ხივილით მოგვეგებნენ ჩვენები, გაგვიმასპინძლდნენ, მოგვიტანეს ყველი, რძე, მაწონი... დიდებული ვახშამი იყო პირდაპირ, მაგრამ იაგორას ხელი არაფრისთვის უხვია, დანა პირს არ უხსნიდა.

ალბერგი და ფროლოვის ამხანაგები ჯერ არ წასულან. გამიხარდა, დავდეთ პირობა, რომ ხვალ, 11 აგვისტოს, დილით ადრე გავიდოდით.

მინდა ჩქარა წავიდეთ, რომ მალე დავბრუნდე და ისევ ავიდე ჩვენებთან, იქნებ მივუსწრო და მათთან ერთად ავალ მეც...

– განა შეძლებთ, შხელდაც მოიაროთ და იალბუზზეც ახიდეთ? – მეკითხება პროფესორი ალბერგი. – თუმცა, საკვირველი ხალხი ხართ ქართველები, თქვენ დასახულ მიზანს უეჭველად მიაღწევთ, გაქვთ გამძლეობა და დიდი სურვილი.

არაფერს ვეუბნები.

– ვნახოთ, ხვალ ადრე წავიდეთ და მერე მომავალი გვიჩვენებს.

სამზადისში ვარ. ჩვენებს სურსათი უნდა გავუზავო. ვიყიდე ყველი, გამოვაცხოხინე პური (ფქვილი თან გვაქვს). გამოაცხვეს ნაცარში, რასაკვირველია. ოცდამედი პურის გამოცხოხობაში 5 მანეთს მართმევენ. ვჯავრობ, მაგრამ რა გაეწყობა. მზიდველებს ვურთხევთ, თითო 7 მანეთს მთხოვს. ამასაც უნდა დავთანხმდე. უნდა აუტანონ, თორემ მშვიდობა დარჩებიან.

გვიან მივდივარ კარავში დასამინებლად. იაგორას არ სძინავს.

– დაიძინე, იაგორ, კარგად დაიხურე და მალე კარგად გახდები.

– რად მინდა ძილი, თუ კარგად არა ვარ. ეჰ...

მთელ ღამეს ბორგავს, არ ეძინება.

გამომეღვიძა. იაგორა ფეხზეა, ბანდულებს ისწორებს.

– რას შვრები, იაგორ?

– ღამე წყნარი იყო, შეიძლება დილით ჩვენები ავიდნენ და უნდა ავუსწრო. კარგად იყავ, ნიკო!

და მიდის. გამიკვირდა მისი სიმტკიცე, მაგრამ რომ არ წასულიყო, უარესად გახდებოდა ავად, უარესად დადარდიანდებოდა.

წავიდა და მზის ამოსვლისას უკვე ჩვენებთან იყო, მათთან დარჩა ბოლომდე, ასვლისას სხვებს შველოდა.

მარტო იაგორასთანაა ადამიანებს შეუძლიათ ეს.

მეც გამიწია გულმა მათკენ. კინაღამ წავყვი.

– არა, მე შხელდაზე წავალ... და დავიძინე.

11 აგვისტოს რუსეთის ექსპედიციის წევრებთან ერთად წავედი შხელდაზე, რომელიც ასე მიზიდავდა.

შხელდას მცინვარი

შხელდას მცინვარი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ მხარის მცინვარია. ის შხელდას მთაში იღებს სათავეს და ძუძუს აწოვებს მდინარე ბაქსანის ერთ შესანიშნავ შენაკადს – **ადილ-სუს**.

დილით ადრე მივდივართ. ისევ ქვევით უნდა ჩავიდეთ, თითქმის 10-12 კმ. უნდა გავიაროთ და შემდეგ **ადილ-სუს** მარჯვენა ნაპირს ავეყვით. აქ ბუნება სწრაფად იცვლება.

ტყე ნამდვილი ტყეა: დაბურული ფიჭვის გვერდით ვხედავთ თეთრტანა მთრთოლვარე ვერხვს, მრავალნაირ ტირიფს და ხშირ ბუჩქნარს. დიცი და დუცი ადამიანზე მაღალი იზრდება, იმდენად, რომ შიგ ხშირად ცხენიანი კაციც კი დაიმალება.

პროფესორი ალტბერგი საქმიანი, წყნარი კაცია, მთებში სიარულს ნაჩვევი არ არის, მივდივართ ნელა, ტყის ნაპირებით, ვეძებთ ჟოლოს და ტყის სხვა ხილს, ხურტკმელს და ხუნწს.

ბედი მაქვს ამ შემთხვევაში: ხშირად წავაწყდები ხოლმე მსხმოიარე ბუჩქებს, მოვწყვეტ და მივუტან.

მადლობას მეუბნება, თან ჯავრობს, რატომ მე ვერა ვპოულობო.

ხეობა ლამაზია, ირგვლივ სიმწვანეა და მშვენიერი ფიჭვის ტყე.

გული გწყდება კაცს, რომ ხედავ ასეთ უდიერ მოპყრობას ბუნების ამ გვირგვინისადმი. ნაჩეხია უთავბოლოდ: ხშირად მოჭრილი აღარ წაუღიათ და ლპება ტყეში. იმავე დროს, გაჩენილა მღრღნელი ჭია და ანადგურებს ტყეს.

აფსუსი კია: ეს ტყე ხომ მთელი სიმდიდრეა ამ ხეობისთვის. მით უმეტეს, ამდენი მჟავე წყალი კავკასიონზე არსად მინახავს, გარდა შოვისა (რაჭაში) და სვანეთისა.

ტყე რომ განადგურდეს, დაილუპება მთელი ეს მხარე.

აქეთ-იქით ამართული მწვერვალები ცაში იკარგება. ზედ სავარცხლის კბილებივით მოჩანს ფიჭვის ხეები.

აქ ბუნება უფრო მინაზებულა, ვიდრე ბაქსანის ხეობაში. მხოლოდ ადილ-სუ მიარღვევს მრისხანედ ხეობას და რაღაც ველურ, დაუდგომელ სიმღერას მიიმღერის, თან მიგუგუნებს.

წინ **შხელდასა** და **ჩათინ-თაუს** მწვერვალები აზიდულა. თითქოს გოთური სტილის ტაძრის კოშკებიაო, ისე ამართულა ცაში მათი კბილები.

იქვე მდინარეები **ბაშ-ყარა** და **ადილ-სუ** გადმოქუხს ჩანჩქერებად კლდეებიდან და ერთმანეთს მძაფრად ეხვევა. არ ვიცი, რას შევადარო ეს ხვევნა: ძლიერ სიყვარულს თუ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებას.

ერთ წამს იქვე ტრიალებენ, თავრეტდახვეულებს თითქოს ერთმანეთთან შეჯახების გამო გზა აზნევიან და არ იციან, საით წავიდნენო, მაგრამ მალე ღრიალით მიქანებიან ქვევით.

აი ტყეც თავდება და მაღალი მთის მდელოები გადაჭიმულა ათასფერი ყვავილებით. სერებზე ცხვრის ფარები მოჩანს მწვანეზე შავად შეფენილი.

მოსალამოვდა, როდესაც მეცხვარის ბინას მივაღეკით, ქოფაკი ძაღლები გამოგვეგებნენ ყეფით და ღრენით. შავჩოხიანმა მოხუცმა გარეკა და ღიმილით მიგვიწვია ფერმაზე.

ახალი აირანი შემოგვთავაზა და გული გაგვიგრილა.

— მიირთვით, ნამგზავრზე კარგია, – გვეუბნება.

მადლობას ვუხდით.

მცინვარი აქვეა, მაგრამ ზევიდან ნისლი მოდის და ირგვლივ ყოველივეს ჰბურავს. ნისლიდან მდინარის ხმაური მოისმის.

აი, ჩამორეკვს თხა და ცხვარი. ბღავილმა გააყრუა ირგვლივ ყოველივე. პატარა მწყემსები მარჯვედ დარბიან თხა-ცხვარს შორის და სწრაფად წველიან.

ცეცხლი აინთო. ქვაბები დადგეს, რძე დუღდება. ცაზე ვარსკვლავები ენთება. ნასიამოვნები ვართ მასპინძლის გულუხვი დახვედრით და ტკბილად გვეძინება ცეცხლის პირას.

დილა ნისლიანია. მძიმედ ჩამოწოლილა ნისლი მთების ორწოხებში, მაგრამ ნიავეზე ეტყობა, რომ მალე გაიფანტება. მართლაც, ცხვრის ფარასავით აჰყვა იგი მთების კალთებს და ლაჟვარდში დაიკარგა.

გამახსენდა პოეტის სტრიქონები:

«გუშინ სიზმრად ტყის ფერიამ საიდუმლოდ ჩამჩურჩულა, რომ იმ მთაზე ნისლი დევსო, ჩემსავითო ნაზ-ფუნჩულა».

მცინვარი ბარაქიანი მოჩანს, მისი ბოლო 15 მეტრი სისქისაა, მუქ ლურჯად ლაპლაპებს.

გვერდის მორენით ავეყვით და ზევით ავედით; პირველად ვხედავ ასეთ მცინვარს, მთლად კლდითა და ღორღით არის დაფარული, ერთი სუფთა ადგილი არსად ჩანს. საერთოდ, მცინვარი ასეთი როდია, მას (ჩვეულებრივ) ხაზად გასდევს მორენა, დანარჩენი ნაწილი კი სრულიად სუფთაა.

ეს არაფერი, რომ მთლიანად კლდის ნამტვრევებითა და ღორღით არის დაფარული, ზედ აუარებელი მცენარეულობა იზრდება: ფიჭვი, ტირიფი, არყი, მთრთოლავი ვერხვი. ბალახეული ხომ თითქმის სამოცამდე სახეობისაა. აქ ნიადაგი სულ არ არის, მის მაგიერ ღორღის თხელი, ქვიშანარევი ფენაა, ხოლო მის ქვეშ ყინულია. მცენარეები მაინც დასახლებულან.

აქ, მცინვარის ძირში, შევხვდი ერთ უძველეს მცენარეს, დრიასს. ამ მცენარეს ხშირად პოულობენ

სკანდინავიის მთებში, ასევე ქანებზეც აღბეჭდილიც გვხვდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამყინვარების ეპოქაში მსგავსი მცენარეები წამოუღია იმ მყინვარს, რომლითაც დაფარული იყო დღევანდელი ევროპა და რუსეთის ველი. წინსვლის დროს ჩრდილოეთის მცენარეებიც თან მოჰქონდა, კავკასიონის მყინვარები კი ველებსკენ იყო გაჭრილი; როდესაც ევროპის მყინვარმა უკან დაიხია და ევროპა გაათავისუფლა, ამ მცენარეთა ნაწილი გაჰყვა უკანვე, ძველი სამშობლოსკენ. ნაწილი კი დარჩა ჩვენს მთებში, რადგან იქ, მყინვარებთან, შესაფერისი პირობები დახვდა. ასეთები არიან დრიასი, ჩაგვერა არყი, ჩაგვერა ტირიფი და სხვა მრავალი, რაც შხელდაზე ბლომად დამხვდა და სხვაგანაც შეყუჟულა მთებში. თუმცა, ამაზე ქვემოთ.

ყველა ეს ხე, მართალია, პატარაა, მაგრამ მათაც ხომ სიცოცხლე უნდა!

ერთი ტირიფი გამოვასალმე სიცოცხლეს, – წელამდე არც კი მწვდებოდა, მოვჭერი და დავითვალე მისი წლოვანება: 25 წელზე მეტისა იყო.

შევკრიბე მცენარეები და ფრთხილად ჩავალაგე: ძალიან საინტერესო მყინვარია. ამ მყინვარის მცენარეულობა გვაფიქრებინებს, რომ მაშინ, როდესაც მთელი ევროპა ყინულით იყო დაფარული, აქ, თვით მყინვარზე შეიძლება მცენარეები იზრდებოდა.

ყინულის ამ ვეებერთელა ზღვაზე მცენარეებით დაფარული პატარ-პატარა კუნძულები მოჩანდა. ეს «ზღვა» მთლად უსიცოცხლო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამის დასამტკიცებლად კიდევ მრავალი მასალა უნდა შეიკრიბოს.

მყინვარი თითქმის მთელ სიგრძეზე, შვიდ კილომეტრზე, კლდის ასეთი ნამტვრევების საფარით არის შემოსილი და იქნებ ესაა მიზეზი, რომ ის, უკან დახვევისა და დაკლების ნაცვლად, წინ მიიწევს. ქვების ეს ჯაგმანი იფარავს მას მზის სხივებისაგან და ისე ძლიერად აღარ ადნობს, როგორც სხვებს.

მყინვარები: ახალ, თერსკოლი, ბაშ-ყარა და სხვები უკან იწევენ, იკლებენ. ჰავა საგრძნობლად შეცვლილია იქ. ეტყობა, ამ ათიოდე წლის მანძილზე თერსკოლს 20 მეტრით დაუხევია უკან, პატარა ახალს – თითქმის 60 მ-ით და ა. შ.

ამაზე, უეჭველია, გავლენას ახდენს ის მიზეზებიც, ზემოთ რომ ვახსენეთ და ხეობის ტყეების გაჩანაგებაც. მცირდება ტყე, მცირდება ნალექიც.

შხელდა კი ამ საფარის შემწვობით წინ მიიწევს. მასპინძელმა ერთ კლდეზე მიგვითითა და გვითხრა: «მყინვარი იქ 100 დღის შემდეგ მივაო». იქამდე 28 მეტრია. შეიძლება ასი დღის განმავლობაში არ მივიდეს, მაგრამ უბირი მცხოვრებიც კარგად ამჩნევს ამ წინსვლას, თვალთაც კი ეტყობა. მყინვარის წინ ფიჭვის კორომია. მყინვარის მიერ მიტანილი ხრეშით ზოგი ხე კაცის სიმაღლეზეა დაფარული. იქ, თერსკოლს, მცენარეები აწვებიან, აქ კი პირიქით, შხელდას მყინვარი ედავება ფიჭვებს ახალ-ახალ ადგილებს, თითქმის ტყეში ჩამოჭრილა. ახალ მოზარდ ფიჭვებზე უკვე გავლენაც მოუხდენია, დაუჩაგრავს მის მიერ მოტანილ სიცივეს, ისე თამამი ნაზარდი აღარა აქვთ, როგორც ცოტა მოშორებით და მომყუდროებულში მდგომარეებს.

ერთი ფიჭვი კვლავ გამოვასალმე სიცოცხლეს. სიმაღლე ერთი მეტრი ჰქონდა, თუმცა 11 წლის აღმოჩნდა. 11 წლის ფიჭვი კაი მაღალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორ უნდა გაიზარდოს ამ სიცივეში.

მე და ფროლოვი წინ მივდივართ. ვეებერთელა კლდიდან კლდეზე გვიხდება ხტომა.

შხელდას კედელზე სამ მყინვარს შორის მწვანე მოლი მოჩანს. «იქამდე მივიდეთ, მოვკრიფოთ მცენარეები, ბევრი საინტერესო იქნება», – ვეუბნები ფროლოვს და მივდივართ.

სანამ კლდეს მივუახლოვდებით, ქვის საფარი მთავრდება. ჩვენ წინ მოჩანს სუფთა და პრიალა ყინულის მინდორი, რომელიც აღმოსავლეთისკენ უხვევს და იქ უშბას მახლობლად იღებს სათავეს. აქეთ-იქიდან, შვეული კლდეებიდან ჩამოდის პატარა მყინვარები და უერთდება მას. ვითვლი მყინვარებს: ერთი, ორი, რვა, ათი, თხუთმეტი – ბევრია!

აქ, ამ სუფთა ნაწილზე, იწყება ნაპრალები. შორიდან გვიხდება მოვლა ან დაურიდებლად ზედ გადავლა. აი, მყინვარზე პატარა და ანკარა ნაკადს გაუჭრია ბროლის კალაპოტი, მიქრის და მიქუსს.

ფრთხილად ავედით შხელდას ციცაბო კედელზე. იქ მწვანე მოლზე მოვაგროვე მცენარეები. ვინ იცის, ასეთი ადგილიდან როდისღა ჩამოვიტან!

შხელდას საფარი უბრალო, ჩვეულებრივი მორენა არ არის, იგი რაღაც შემთხვევითი მოვლენით უნდა იყოს გამოწვეული.

ყველაზე სწორი ახსნა ის არის, რომ შხელდას კლდე ჩამოინგრა და ზედ დაეყარა. ეს ჩამონგრევა თვით შხელდის მთასაც ეტყობა, თითქმის 200 მეტრის სიმაღლეზე შვეულ კედლად დგას. ამ კედლისა და მყინვარის საფარის შემადგენლობა ერთი და იგივეა, არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან. კლდის ჯიში გრანიტია, მათი მოხატულობაც ერთნაირია.

კლდის ძირიდან ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე მყინვარი თითქმის სრულიად სუფთაა. ალაგ-ალაგ ნამდვილი მორენები მოჩანს, ეს სუფთა ნაწილი ის მანძილია, რომელიც კლდის ჩამონგრევის შემდეგ მყინვარს გაუვლია, წინ წასულა.

აქაურ მცხოვრებთა თქმით, კლდე ამ 50 წლის წინ ჩამონგრეულა. დაწვრილებით ცნობებს, რასაკვირველია, ვერ შევკრებთ.

დიდხანს ვსხედვართ ამ წმინდა მოღვწე და გაცეკერით მყინვართა სამეფოს. აქ ადამიანს ავიწყდება ყოველივე მიწიერი, ავიწყდება ყოველდღიურობა.

აქ გული ასე ლაღი და თავისუფალია.

მზე კაშკაშებს და ათასფრად აელვარებს მყინვარის მკერდს.

— დღეს თქვენები მწვერვალზე ავიდოდნენ. რომ ნახავ, ჩემ მაგივრად მიულოცე, – მეუბნება ჩემი თანამგზავრი.

გული მწყდება, რომ მათთან არა ვარ, მაგრამ მაშინ შხელდასაც ხომ ვერ ვნახავდი...

დროა წავიდეთ, მაგრამ არ მინდა წასვლა.

უკან ვბრუნდებით.

უკ, რა მანძილი გაგვივლია, ვეღარ გავლიეთ გზა. 9 კილომეტრი კლდეებზე ხტუნვა ადვილი არ არის.

ბევრი გაჭირვება მინახავს, მაგრამ ასეთი დადლილობა არასდროს მიგრძენია.

ერთმანეთს ვუზიარებთ შთაბეჭდილებას – ყველა კმაყოფილია.

საუზმის შემდეგ ნაბადში ვეხვევი და მალე ღრმა ძილი მიტაცებს.

ოკ, რომ იცოდეთ, რა კარგია ასეთი მშვიდი ძილი, ასეთი მგზავრობის შემდეგ, მეტადრე როდესაც მთის მდინარე ტკბილ ნანას გეუბნება!

გამარჯვება

12 აგვისტოს ექსპედიციამ იალბუზის მწვერვალს მიაღწია.

ამ უჩვეულო გამარჯვების შესახებ გიორგი ნიკოლაძე თავის დღიურში წერს:

«დილის 3 საათზე რომ გამეღვიძა, მთვარის ბრწყინვალეობამ გამაკვირვა. მთვარე უკვე მცხრალი იყო, მაგრამ ისე ბრწყინავდა, რომ თვალს ვერ ვუსწორებდი. რიჟრაჟი იწყებოდა.

იალბუზისკენ გავიხედე. მწვერვალი ოდნავ ნისლში იყო გახვეული. კავკასიონის მთავარი ქედი კი მთლიანად ჩანდა, უშბავ კოხტად იხატებოდა. ქარი ისევ ქროდა, მაგრამ თითქოს შესუსტებულიყო. გახა გავაღვიძე, ვიმსჯელებთ ერთად და გადავწყვიტეთ, ზევით ასვლა გვეცადა.

5 საათსა და 30 წუთზე გაუდექით გზას ერთ რიგად მოწყობილები. გახა ისევ წინ მიგვიძღვის... უკანმავლად კი იაგორაა.

პასტუხოვის¹² ნაბინავრამდე დღეს გზა სულ ადვილია, თოვლ-ყინულა ღამით გაყინულა და ფეხს კარგად უძლებს. გახას სიარულის წესი ძალიან მომწონს: ყოველი 5 წუთის სიარულის შემდეგ ის აჩერებს მთელ ხალხს დასასვენებლად ერთი წუთით. მივდივართ ძალიან ნელა და დასაწყისში უფრო ნელა, ვიდრე ასვლისას. საკვირველია, დღეს ყველა კარგად გრძნობს თავს, ვიდრე 9 აგვისტოს, როცა პასტუხოვის ნაბინავრამდე ორსაათნახევარი ვიარეთ და იქ მისვლამდე ბევრი ჩამორჩა. დღეს კი საათსა და 50 წუთში მივაღწიეთ ნაბინავარს და არავინ ჩამორჩენილა. პირიქით, ყველა მშვენივრად არის.

პასტუხოვის ნაბინავარზე ნახევარ საათს დავრჩით. დილის მზე გვერდიდან ანათებს და საკვირველ მკაფიობას აძლევს მთებს.

პასტუხოვის ნაბინავრიდან დაიწყო ფარული და ღია ნაპრალები, ასე ხარბად რომ უცქერიან გაუფრთხილებელ მთამსვლელს. გაეშალეთ თოკები და ყველას გვიჭირავს ხელით, გახამ კი ყულფი გააკეთა თოკზე და ცალი მხარი შიგ გაუყარა.

მივდივართ მარდად, გახა თანდათან სიჩქარეს უმატებს. საკვირველია, როგორ ჰყოფნის მას, შუახნის კაცს, სუნთქვა ასეთი სიარულის დროს. გახამ გვერდზე გადაუხვია და წიაღვრის კლდეებს მიადგა. საუცხოო სანახაობა იყო ეს კლდეები. ვწუხვარ, რომ ვერ გადავიღე, მაგრამ ქარი აქ იმდენად გამლიერდა, რომ ძალიან ძნელია აპარატის ხელში დაჭერა.

გახამ თოკები დაგვაკეცინა და დაიწყო პირდაპირ მწვერვალისკენ ასვლა. ასვლა არ არის ძნელი, მხოლოდ ხელს უშლის ის, რომ სქელი თოვლი ფეხქვეშ ინგრევა და ფეხი ცურდება, მაგრამ სახიფათო არ არის. რამდენჯერმე დავინახეთ ორ მწვერვალს შორის უნაგირი, რომელიც ახლა გაცილებით დაბლაა ჩვენზე. ნისლი იწყებს ჩვენს დაფარვას.

მწვერვალი კი მთლად ნისლშია.

ვალიკო დაჯდა და ვეღარ დგება. ამბობს, სუნთქვა არა მყოფნის, გული საშინლად აჩქარებულად მიცემს, ასე თუ ვიარე, გული უსათუოდ გამისკდებაო. როგორღაც უეცრივ ცუდად გახდა, გაყვითლდა და საშინელი დაქანცულობა აწერია სახეზე.

— მწვერვალამდე 50 მ. დარჩა. დაისვენე და მერე ამოდი, – ვეუბნები და მასთან იაგორას ვტოვებ.

ანეროიდი უკვე მიახლოვებას გვიჩვენებს. მთლად ნისლში ვართ. საშინელი ქარია. აი, უკანასკნელი გაჩერებაც. ყველა ყოჩაღად არის, ყველა მხიარულია (გარდა ვალიკოსი და სანდროსი), ყველა გულდამშვიდებული ლაპარაკობს, ისე, თითქოს ასულები ვიყოთ. ხანდახან გამოჩნდება დასავლეთი მწვერვალი და მასზე იხატება საკვირველი და უშველებელი ყინული – სრულიად უთოვლო და მშვენიერი ცისფერი.

ისევ გავიჭიმეთ ერთ რიგად. ნისლის გამო მწვერვალი არა ჩანს. ცოტა ხანს ვიარეთ ასე. ზევით ავიხედე და დავინახე, რომ გახა გადარეულივით ხელებს იქნევს. ასმათიც რაღაცას ყვირის. მერე ისევ წინ წავიდნენ და

ნისლში მიიმალნენ. დავლუნე თავი და წინ წავედი. თურმე მწვერვალი იქცა. აუტანელი ქარია. მყინვარწვერზე ასვლის დროსაც არა ყოფილა ასეთი საშინელი ქარი.

ამ აუტანელ ქარსა და ნისლში ჩვენები ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან, ულოცავენ.

აველ თუ არა, მეც მეხვევიან, მკოცნიან და მილოცავენ ასეთ დიდ გამარჯვებას.

მე მაინც არ მჯერა, რომ მწვერვალია. მივდივართ მე და გახა. ირგვლივ დაქანებაა.

კვლავ მილოცვა და სიხარული.

გახა წიკლაურის აღტაცებას საზღვარი არა აქვს.

აი გიორგი, ხომ ვასახელეთ ჩვენი ქვეყანა. მე ხომ გითხარი, ან მოვკვდები, ან იალბუზზე აგიყვან-მეთქი. შენ აქაური თათარი გამყოლად რომ გექირავნა კიდევ, მე მას წინ არ გავუშვებდი. მე უნდა ვყოფილიყავი წინ: ჩვენები მე უნდა ამეყვანა უეჭველად. გიორგი, შენ დოვლათიანი კაცი ხარ და შენი დაბადების დღეც დოვლათიანი გამოვიდაო...

დღეს ჩემი დაბადების დღე იყო და ყველა მილოცავდა, რადგან გამოვაცხადე, მილოცვას მხოლოდ მწვერვალზე მივიღებ-მეთქი.

აი ვალიკო და იაგორიც... გამიხარდა. გამიხარდა და გადავხვებო, გადავკოცნე.

მწვერვალზე ყველანი ამოვედით. მწვერვალს ყველამ მოვალწიეთ».

მართლაც სასიხარულო და საზეიმო იყო. ამდენი ერთად სად ასულა, რომელ მწვერვალზე?

ჩვენი ქალები: ასმათი, ლიდუსი, მარო, ელიკო და მარო ხომ პირველი ქალები არიან მთელ მსოფლიოში! ამ მწვერვალზე ჯერ არც ერთი ქალი არ ასულა, იალბუზის მწვერვალი არც ერთ ქალს არ დაუძლევიან.

დიდი გამარჯვებაა და ეს გამარჯვება შედეგია გიორგის რკინის ნებისყოფისა, მან სწორად აიღო ალლო და თბილისშივე გადაწვიტა, უეჭველად ავსულიყავით. ამისთვის მან ყველაფერი იღონა, ყველაფერი კარგად მოამზადა. გააკეთა და გაგვაკეთებინა ყოველივე, რაც შესაძლებელი იყო.

წერდნენ, დიდ სიმაღლეზე დიდხანს არ შეიძლება დარჩენაო, მაგრამ გიორგი ამბობდა, რაც უფრო დიდხანს დარჩები, ჯობია, შეეჩვევი, შეეთვისები გათხელეზულ ჰაერს და მწვერვალზე ასვლა აღარ გაგიჭირდებაო. პროფესორი ანისიმოვიც გვირჩევდა, თუ პირველად ვერ ახვალთ, ძირს ჩამოდით, აზაუში და კვლავ სცადეთ ასვლაო, მაგრამ გიორგიმ გადაწვიტა, თერთმეტის თავშესაფარში დარჩენილიყო 4300 მ. სიმაღლეზე და მართალიც გამოდგა. ხალხი შეეჩვია თხელ ჰაერს, გაკაჟდა და ამიტომ ეს უძნელესი მწვერვალი ასე ადვილად გადალახა, ადვილად მოიძო ფეხქვეშ კავკასიონის ბუმბერაზი, ამაყი იალბუზი.

მის მწვერვალს ამდენი ხალხი ერთად ჯერ არ უნახავს, არ უნახავს მას შემდეგ, რაც დედამიწის მკერდიდან ასე ამაყად ამოიშარათა.

ამით არის ეს გამარჯვება უფრო დიდი, უფრო საამაყო.

თერთმეტის თავშესაფარში დამტკიცდა, რომ მთაზე ასვლის წინ კი არ უნდა გაექცე თხელ ჰაერს, არამედ უნდა ეცადო, შეეჩვიო მას და მაშინ ადვილად გადაილახება ყოველი სიძნელე.

ამიტომ იყო, რომ ისინიც კი, ვინც პირველი ასვლის დროს ცუდად გრძნობდნენ თავს, დღეს აფრინდნენ მწვერვალზე და თავზე მოექცნენ მას.

ეს იყო 12 აგვისტოს. ეს უეჭველად ღირსშესანიშნავი დღეა, უეჭველად აღინიშნება ჩვენს ისტორიაში:

«12 აგვისტო, საბჭოთა ალპინიზმის ბრწყინვალე გამარჯვება».

«...მწვერვალზე 15 წუთს დავრჩით. 12¹⁵—12³⁰ საათს. ნისლში ვართ გახვეული და ვერას ვხედავთ», – განაგრძობს გიორგი.

«დავიწყეთ ჩასვლა. მყინვარწვერთან შედარებით აქ სულ სხვა სურათია. იქ ხომ 1200 საფეხური გავჭერით ასვლისას, აქ – არც ერთი. ჩასვლისას სულ ადვილია კლდეებზე სიარული.

მშვიდობით მივდივართ კლდის ძირამდე, მხოლოდ ვალიკოს დააზრა ხელები და სიმონმა კონიაკით დაუზილა».

კლდეების ძირიდან მწელი გზა იწყებოდა: აქ დაგორება ძალიან ადვილია. თუ დაგორდა ვინმე, აზაუს მყინვარის ნაპრალებში ჩაიღუპება. ძალიან ვშიშობ: ასე გმირულად ავედით ყველანი, არც ერთი არ ჩამორჩენილა, ვაითუ ახლა დაგორდეს და დაიღუპოს ვინმე».

შევაჩერე, გავისწორეთ წრიაპები და თოკებს მოვავლეთ ხელი.

სანამ ასეთი გზაა, ხუმრობას თავი ანებეთ, ფრთხილად და სერიოზულად იყავით, – გავეცი განკარგულება.

ფრთხილად ჩავედით ნაპრალებამდე, აქ სიარული გაძნელდა, რადგან ფირნის ველი დარბილებულიყო და ფეხი ეფლობოდა. თოვლი მოულოდნელად ინგრევა და გახა, რომელიც წინ მიდის, ისე უცბად ჩავარდა ერთ-ერთ ნაპრალში, რომ კინაღამ ორივეს (მე და სიმონს) თოკი ხელიდან გაგვისხლტდა. ძლივს გავაჩერეთ უფსკრულში ჩაკიდებული გახა. სანდრომ (უკან მოდიოდა) მოისურვა გახას შველა, გადადგა განზე ნაბიჯი და წელამდე უფსკრულში ჩავარდა. მე და სიმონი ვდგავართ შუაში. წინ გახა გვიკიდია თოკზე, უკან სანდროა ჩავარდნილი, არ ვიცით, რა ვქნათ, რადგან თოკს ხელს ვერ გავუშვებთ. სანდროს ასმათი მიეშველა და მეც ცალი ხელით გახა წვალეებით ამოვართიე. იმ ნაპრალში საშინელი უფსკრული დავინახეთ...

და 3 ს. 30 წამი იყო, როცა შინ მივედით ამ საგმრო და საისტორიო ასვლის შემდეგ... – ამთავრებს გიორგი.

ეს მართლაც დიდი გამარჯვება იყო და დიდხანს, დიდხანს ემახსოვრება იალბუზს ეს იერიში ახალგაზრდა მთამსვლელებისა, რომელთაც წინ ჭადარა მოხევე გახა მიუძღოდა, ხოლო გვერდიდან ფარავდა იაგორა კაზალიკაშვილი, ხევივით გულმართალი და ალალი ვაჟკაცი.

გამოთხოვება

«ავგისტოს ცამეტი თენდებოდა. გამარჯვების მეორე დღეს, – განაგრძობს გიორგი თავის დღიურში, – დილის 6 საათზე უმრავლესობა უკვე ფეხზე იყო. იალბუზის წვერი სრულიად მოწმენდილია, მაგრამ ქარი დღეს უფრო ძლიერია. ცხადად ჩანს ქარბუქი და თოვლის კორიანტელი იალბუზის წვერზე. ცხადად ჩანს აგრეთვე ჩვენი გუშინდელი კვალი, თითქმის წოწის კლდეებამდე, მაგრამ მთავარი ქედი დღეს სულ სხვა სურათს წარმოადგენს. მისი დასავლეთის მხარე მძიმე ღრუბლებით არის შემოსილი. სვანეთისაკენ მდებარე ხეობებიც სავსეა ღრუბლებით, ეს ღრუბლები ნელ-ნელა ჩვენკენ მოიწევენ და თანდათან მთელ ქედს ფარავენ. ეს სურათი რაღაც ზღაპრული სილამაზის სანახაობას წარმოადგენს და ჩვენ გვწყინს, რომ ქედს უნდა გამოვესალმოთ.

ზარგს ვკრავთ, კლდეებზე საბოლოო წარწერებს ვაკეთებთ და გამგზავრების თადარიგში ვართ. როგორ მეწყინა, როცა კარები ავხსენით და დავკეცეთ. «ზეციური» ჩვენი ბინა ინგრეოდა და ისევ დედამიწის ყოველდღიურობას ვუბრუნდებოდით»...

მართლაც ძნელია, ძნელია მოცილება იმ ადგილებისა, სადაც ყოველი კუთხე ათასი მოგონებითა და ნაირ-ნაირი განცდით არის შენთან დაკავშირებული.

აქ არ იცი დარდი და ნაღველი, აქ ისე ზვიადი და ლალი ხარ, ვით არწივი, რომელიც ღრუბლიან მწვერვალებს ამაყად და მედიდურად უვლის.

აქ გული სიხარულით და სიყვარულით გეცხება, გიყვარს ყოველივე, რასაც კი ხედავ...

ვინა თქვა, მაღალ მთებს სიკვდილის ფრთა აქვთო გადაფარებული. აქ მარად თოვლსა და ყინულზეც კი კრთის სიცოცხლე.

აგერ, თოვლზე მოჩანს წითელი ზოლი. თეთრ თოვლზე დაქვეულ სისხლსა ჰგავს. ამას «**ალპინისტის სისხლს**» ემახიან. ეს პატარა მცენარეა, მხოლოდ მიკროსკოპში გაარჩევ ცალ-ცალკე, ერთად კი ასე სისხლად მოჩანს თეთრს, ხელუხლებელ თოვლზე (ის წყალმცენარეთა ჯგუფს ეკუთვნის).

მისი დანახვა თითქოს აფრთხილებს კაცს, მოაგონებს, რომ ამ მაღალი მთის ორწოხებში მრავალჯერ დაღუპულა გამბედავი მთამსვლელი და სამუდამო ბინა მოუნახავს ყინულთა უფსკრულებში.

«ქვემოდან, – განაგრძობს კვლავ გიორგი, – ბაქსანის ხეობიდან ნისლი თანდათან ზევით იწევდა და გვიახლოვდებოდა. აქ ჩვენებს სურათი გადავუღე, რადგან ძლიერ ლამაზი იყო მათი გავლა მორენაზე, როცა სულ ახლოს, მათ უკან, ნისლი იყო. ამ სურათების გადაღებაში ჩამოვრჩით. შორს, ჩვენგან მარცხნივ, დავინახეთ ბალახოვანი ფერდობი. ძლიერ გვესიამოვნა მისი სინაზე და სიმრგვალე, მრისხანე და წვეტიან კლდეებზე ხეტიალს შეჩვეულებს. მყინვარი გადავიარეთ და ჩვენც შევდგით ფეხი რბილ, მწვანე მოლზე. ნისლში გავეხვიეთ, უკვე ღამდებოდა»...

უკვე ღამდებოდა, როდესაც მე, შხელდას მყინვარიდან დაბრუნებული, აზაუს ვუახლოვდებოდი. სულ დამავიწყდა ჩემი მგზავრობა, ჩემი სიხარული, რომ შხელდაზე ვიყავი, როდესაც გზაში შემხვდა «პრავდას» კორესპონდენტი და მითხრა:

– ავედით თორმეტში, ყველანი კარგად არიან, დღეს ჩამოვლენ.

ღამდებოდა, როცა აზაუზე მივედი... არავინ არის. მიტროს გარდა ყველა ზევით წასულა.

ღიმილით და მხიარულად მხედებიან იზიმურათი და თავბუხი. ესენი ბაქსანელები არიან, ახალგაზრდა ბიჭები, ერთმანეთს ძმებს ემახიან, თუმცა ძმები არ არიან. ისინი სამჯერ იყვნენ თერთმეტის თავშესაფარში, ჩვენებს სურსათი აუტანეს. კარგი ბიჭები არიან, ყოჩაღები და იარაღს კარგად ხმარობენ.

ნისლი ჩამოწვა და ჩამოხნელდა. უცბად რაღაც ცეცხლმა ნისლი გააპო და მეტისმეტად ლამაზი, ნაზი და რბილი სინათლე მოჰფინა ირგვლივ.

მამხალა იყო. მოდიან...

მიტრომაც აუშვა აქედან საპასუხო მამხალა. მივრბივართ წინ. ისინი ფერდობიდან ეშვებიან, ისმის ნელი სიმღერა. შავები, გარუჯულები არიან...

ჩვენი ბინის გარშემო ზეიმი გაიმართა, ამ მთებში არნახული ზეიმი.

ბაქსანელები, რომელთაც აზაუში თხა-ცხვარი ჰყავთ, გვილოცავენ, იღიმებიან და სულ «ყოჩაღ, ყოჩაღს» გაიმახიან. ახლა უკვე მეგობრებად გრძნობენ თავს. «აქამდის არა გვჯეროდა, რომ ახვიდოდით, მაგრამ საკვირველებიდან გამოვედით, როდესაც ხუთ დღესა და ღამეს არწივებივით იმ მთებში ისხედითო», – გვეუბნებიან...

კაჩკაროვოდან ამოვიდნენ სხვებიც. ქალები არიან და გაკვირვებით ათვალიერენ ჩვენს ქალებს. აქებენ მათ. ძლიერ ცეცხლზე იხარშება თიკნის ხორცი და ისმის ნელი სიმღერა. ეს სულის ამოთქმა გრძელი და ძნელი გზის შემდეგ.

– ყოჩაღ, ყოჩაღ, – ამბობს მახაუ, მოხუცი ბაქსანელი. ამბობს რუსულად, მეტი არც იცის.

მოსწონთ ჩვენი სიმღერა. ყველას გვინდა გავიგონოთ მათი სიმღერაც, ჯერ არც გვსმენია.

ვთხოვ იზიარებ, ს იმდროს. ის მხიარულად იცინის და ეძახის ყასუმს, მახაუს შვილს, ახალგაზრდა მთიელს.

მისი თვალები დამფრთხალი შველივით დარბიან.

და იწყება ბაქსანური სიმღერა...

ყასუმმა დააკაკანა, შემოსძახა, იგი ლექსს ამბობს. სხვებმა ტაეპის დამთავრების შემდეგ დააგუგუნეს მოძახილი, ბანი. დიადია, უეჭველად, ეს სიმღერა, მედგარიც, მაგრამ მასში ისმის დაუსრულებელი სევდა-მწუხარებაც. ამ სიმღერაში დახატულა მდინარეთა ზავითიანობა, კლდეთა წარბშეკრული გამოხედვა. დიდი, დიდი მწუხარება უნახავს ბაქსანელს ამ მთებს შორის მკაცრ ბუნებასთან ბრძოლაში და ყოველივე ეს ისმის ამ ნაღვლიან სიმღერაში, რომელსაც ასე თავდადუნულები ამბობენ. იქნებ დასტირიან რამეს, იქნებ თავიანთ ბედს, თავიანთ წარსულს.

ლამაზია მინგი-თაუ, ნისლ-ღრუბლებით შემოსილი.

ლამაზია, მომხიბვლელი, მაგრამ ყველა ვერ ავა მის წვერზე...

ბევრი ჩაიღუპება მყინვარებში, მზესავით რომ ელავენ.

სული გეხუთება, გული გადმოვარდნას ლამობს, აქ რომ მიდიხარ.

იშვიათად თუ ვინმე გაინავარდებს მინგი-თაუს წვერზე.

მძიმეა და ძნელად სასუნთქი მისი ჰაერი.

მკერდი ასტკივა და პირიდან სისხლი ამოხეთქს.

მაგრამ ვინც იქ ავა, ღირსია ვაჟკაცის სახელი ატაროს.

მას უნდა მივართვათ ყალმუხის ქუდი, ძვირფასი ჩოხა.¹³

გაგვაკვირვა ამ ლექსმა, გაგვაკვირვა და გაგვახარა კიდეც: მათ კარგად იციან იალბუზის საშინელება.

– თქვენც ასეთი ვაჟკაცები ხართ და ძველებურად წელი რომ მოგვდევდეს, ძვირფასი ჩოხა ყველას უნდა მივართვათ, ყველას უნდა შეგთავაზოთ, მაგრამ რაღა გვრჩება?! – თქვა ამოხვრით მოხუცმა ბაქსანელმა და, ალბათ, მის თვალწინ გადაიბრინეს ცხენისა და საქონლის ჯოგებმა, რომლებიც თეთრგვარდიელთა შემოსევამ შთანთქა, – მაგრამ მალე, სულ მალე ისევ დოვლათიანები ვიქნებით, ჩვენში უკვე მრავალი აგრონომია, ხელს გვიწყობენ, გვშველიანო

ბაქსანელი ბედნიერია მხოლოდ მაშინ, როცა ჯოგი ჰყავს. ეს არის მისი ხენა-თესვაც, მევენახეობაც. ამ ჯოგმა უნდა აცხოვროს და მიიყვანოს წლიდან წლამდე. თუ ჯოგმა უმტყუნა, უმტყუნებს ბედიც და მშვიერი ზამთარი მოელის. ეს მწუხარება მათ სიმღერაშიც მოისმის.

«სატრფო დასტირის მინგი-თაუს ნაპრალებში ჩაღუპულ ვაჟკაცს, დასტირის და მოთქვამს... ამ ვაჟკაცის დაღუპვის შემდეგ მინგი-თაუს მყინვარები ელავენ ისე, როგორც მზის სხივზე ამოღებული ხანჯალი ელავს, მაგრამ შავთვალა სატრფოს რა? მისი ჭაბუკი დაიღუპა და აღარ დაბრუნდება»...

სიმღერა სიმღერას მოსდევს.

ყველა მიწას ჩასცქეროდა. ცეცხლის ალზე მოჩანდა მათი სახეები.

და აი, ამ დროს შემიყვარდნენ ისინი, უფრო ვიგრძენი ამ მთის შვილების გულის ცემა, ბრძოლით სავსე ცხოვრება.

მათ სიმღერაში არის სინაზეც, მწუხარებაც და ამ ჭიუხების სიველურეც.

ღამე ჩამოწვა და ჩამოშავდა. ბაქსანის გუგუნე ამ სიმღერას უერთდრებოდა...

დამინების დროა. არ გინდა, მოსცილდე ამ მთიელებს, ჩვენთან ხელიხელგადახვეულებს, მაგრამ ძილი თავისას შვრება...

და გამოსათხოვებელ სალამს ვუგზავნით დამარცხებულ იალბუზს.

დღეს პირველად დამარცხდა იალბუზი ახალგაზრდა საბჭოთა ალპინისტების მიერ.

მას ჯერ არ უნახავს თავის მწვერვალზე 19 კაცი ერთად. ამბობენ, 1824 წელს მწვერვალზე ერთი გამბედავი ბაქსანელი ავიდაო, მაგრამ მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო და მხოლოდ 1868 წელს მიაღწია აღნიშნულ მწვერვალს გამბედავმა და შესანიშნავმა ინგლისელმა მთამსვლელმა **დუგლას ფრემფილდმა**. ამ არაჩვეულებრივი ენერჯის და გამბედაობის კაცმა ჯერ დასძლია ხევის პატარმალი, მყინვარწვერი (5038 მ.), შემდეგ თავის თანამგზავრ **დედასუსთან** ერთად გაიარა მთელი ქედი მყინვარწვერიდან იალბუზამდე და იალბუზის მწვერვალს მიაღწია თერსკოლის მყინვარის გზით. ეს იყო პირველი მერცხალი ევროპელ მთამსვლელთა შორის, რომელმაც ახალი ქვეყანა აღმოაჩინა ალპინიზმისათვის. ამის შემდეგ დაიწყეს კავკასიონისკენ წამოსვლა სხვებმა. 1874 წელს აზაუს მყინვარების ხეობით ავიდნენ ინგლისელი მთამსვლელები: **გროვე, ჩოკკერი და გარდინერი**. 1884 წელს მწვერვალს მიაღწიეს უნგრელმა **მორის დეჩიმ** და იტალიელმა **სელამ**.

რუს ალპინისტთა შორის იალბუზის წვერზე პირველი იყო **პასტუხოვი**. იგი რამდენჯერმე ავიდა მწვერვალზე.

1890 წელს კავკასიონის სიამაყე მოინახულა ცნობილმა გერმანელმა მთამსვლელმა **მერცხაბაერმა** და თავის თანამგზავრ **პერჩელერთან** ერთად მიაღწია დასავლეთის მწვერვალს. 1903 წელს ამავე მწვერვალზე ავიდნენ **დისტელი** და **იფანი**. ამავე ხანს ფრანგი მეცნიერი **პოგენპოლი** კვლევა-ძიებას აწარმოებდა. მან

იალბუზის ქედზე მეტეოროლოგიური სადგური გამართა.

ყველაზე შესანიშნავი იყო **ფიშერის** ასვლა, რომელიც იალბუზს ჩრდილოეთის მხრიდან მიადგა. ეს მხარე კლდოვანი და ჭიუხიანია, ფეხის მოკიდებაც კი შეუძლებელი ხდება ხშირად, მაგრამ გამბედავმა და თავდადებულმა მეცნიერმა მიზანს მაინც მიაღწია.

XX საუკუნის დასაწყისში იალბუზს ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე, მაგრამ ყოველთვის ვერ აღწევდნენ მიზანს. 1907 წ. იალბუზზე ავიდა **ლისენკოვი**, ხოლო 1908 წ. **დუბიანსკი** (ეს უკანასკნელი 1907 წელსაც იყო, მაგრამ ვერ ავიდა) და **ლისენკოვი** ერთად.

1910 წ. პირდაპირ ზეხწევს მიაღწიეს ინგლისელებმა **გუგამ და რამამ**. მათ ერთ დღეს ორივე მწვერვალი მოინახულეს.

1911 წ., სამ ივლისს, მწვერვალზე ავიდნენ **ფროლოვი, როხელი და ხოდჩიევი**. მათი ასვლა შესანიშნავია იმით, რომ ასე ადრე ჯერ არავინ ყოფილა მწვერვალზე. ამ დროს ხშირი წვიმებისა და ქარტყილის გამო თავდადებული ადამიანი თუ გაბედავს იალბუზზე ასვლას.

1914 წ. უკანასკნელად იყო **გოლუბევი** და ამის შემდეგ კი **1925 წ. 12 აგვისტოს პირველად მიაღწიეს მწვერვალს საქ. გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილების წევრებმა – 19 კაცმა ერთად.**

აი, აქ, იალბუზის ძირში, ერთმანეთს მისდევენ პირველ ალპინისტთა სახეები. მაგონდებიან სხვა მწვერვალებიც და მათ შორის მიუკარებელი და მრისხანე **უშბაც**, უძნელესი მწვერვალი. ბევრჯერ სცადეს მასზე ასვლა და ბევრი გამბედავი მთამსვლელი ჩაეხუტა სამუდამოდ მის მყინვარებს. დიდხანს არ ემორჩილებოდა იგი ადამიანს. მაგრამ 1903 წელს ის მაინც დამარცხდა: **ხუთმა გერმანელმა მთამსვლელმა** მიაღწია მის ორივე მწვერვალს.

განა მარტო უშბა იყო ასეთი? **ადაი-ხობმა** (4.646 მ.) არანაკლები მსხვერპლი მოითხოვა. 1884 წ. პირველად მიაღწია მის მწვერვალს **ფონ-დემიმ**, ხოლო 1890 წ. – ინგლისელებმა **კოკინმა და გოლდერმა**. **1893 წ.** ეს მწვერვალი დასძლია **გიორგი ქავთარაძემ**. ამის შემდეგ მასზე აღარავინ ასულა.

შორს წავიყვანს ყველას ჩამოთვლა... მრავალია ჯერ მისაღწევი მწვერვალი, მრავალი საკითხი მოითხოვს გაშუქებას...

მოდით დავხელოებთ შორეული მხრიდან და ცდილობდნენ, მოემოქმედათ ის, რაც ჩვენი ვალი იყო. ახლა ეს საქმე წარატებით დაიწყო და მომავალში უფრო წარმატებით გაგრძელდება.

ამის თავდება ეს უჩვეულო გამარჯვება, აგრეთვე 1924 წ. მყინვარწვერზე ასვლა.

ასეთი მიღწევა მთამსვლელობის საქმეში ახალ ერას ქმნის. წინათ მწვერვალებზე ასვლა თუ თითო-ორი კაცისთვის იყო შესაძლებელი, ახლა იგი მასობრივი ხდება.

მივდივართ, იალბუზო და ელოდე, რომ გინახულებთ უფრო მეტნი, უფრო მეტის გამბედაობით, რადგან უკვე ვიცით შენი ავ-კარგი.

ამ ფიქრით გტოვებთ...

სვანეთისაკენ

სამი დღის დასვენება აზაუში სამ კვირად გვეჩვენებოდა. მართალია, ყოველი კლდე, ხე, ბილიკი მრავალნაირად იყო ჩვენთან დაკავშირებული, მაგრამ თითქოს მოგვბეზრდა და გული ახალი ადგილების სანახავად მიგვიწევდა.

თვით ეს დიდი გამარჯვება, იალბუზზე 19 კაცის ასვლა, ჩვენს თვალში ფასდაკარგულივით ჩანდა, მაგრამ, როდესაც რომელიმე ბაქსანელი მოვიდოდა ჩვენთან და თვალეზგაბრწყინებული მოგვილოცავდა გამარჯვებას, მაშინ უფრო ნათელი ხდებოდა ჩვენთვის, რომ ახალგაზრდა საზოგადოება ამის შემდეგ უფრო წელგამართული და ფეხმაგარი იქნება.

გვაფიქრებდა და გვაწუხებდა, რომ დღემდე ვერ ვაცნობთ ჩვენი ამბავი თბილისში, იქ კი, ვინ იცის, როგორ ელოდნენ ამბის გაგებას, მაგრამ უახლოეს ტელეგრაფამდის 160 კილომეტრი იყო. სვანეთში მისვლამდე ვერას გავხდებოდით, მხოლოდ იქიდან შეგვეძლო გვეცნობებინა.

აი, უკვე სამი დღეა, აზაუში ვართ. ვისვენებთ, დიდი გზა გვაქვს გასავლელი – კავკასიონის მთავარი ქედი უნდა გადავლახოთ.

მზიდველები უნდა ვიშოვოთ, მაგრამ საქმე გამწვანდა: დრო არა აქვთ, თიბვა დაიწყო და ვერ მოცდებიან. ახლა თიბვა მთავარი სამუშაოა აქ. თუ თივა საკმარისად და დროულად არ დაამზადდეს, ზამთარში მათი მთავარი მარჩენალი – ძროხა და სხვა პირუტყვი საზრდოს გარეშე დარჩება.

დაგვთანხმდნენ, რომ ბარგს აგვიტანდნენ დონლუზ-ორუნის გადასასვლელამდე, ბაქსანელთა უკანასკნელ ბინამდე; ამის შემდეგ ბარგი ჩვენ უნდა გადაგვეტანა. ძნელი იყო, მაგრამ სხვა გზა არ იყო, თითო კაცზე ორი ფუტი მოდიოდა და ეს ტვირთი უნდა გვეტარებინა უმაღლეს და ძნელ გადასასვლელზე.

ბოლოს გავიგეთ, რომ სოფელ კაჩკაროვოში სვანები მუშაობენ. 15 აგვისტოს სანდრო წავიდა მათთან და სადამოხე ოთხი სვანი გვეწვია, ბარგის ნაწილი მათ უნდა ეზიდათ.

პირველად კოპებშეკრულები გვებაასებოდნენ, მაგრამ მალე გაეხსნათ გული. ახალგაზრდა სვანებმა, რომანოზმა და გელამ კარგად არ იციან ქართული. გვიღიმიან უფრო ხშირად. გრიგოლი ვაჟკაცური

შეხედულებისა და ქართულად კარგად ლაპარაკობს. უხარია, რომ ქართველები მიჰყავს სვანეთისაკენ და თანაც გამარჯვებული ქართველები. ბევრი უვლია, კარგად იცის, რა გამარჯვებაზე ლაპარაკობს.

«ჩვენში ქართველები იშვიათად მოდიხართ, ხალხი კი დანატრულია. სირცხვილი არ არის, გელამ და რომანოზამ ქართული არ იცოდნენ!» – გვეუბნება გრიგოლი. გრიგოლის ლაპარაკში საყვედური გამოსჭვივის და ჩვენ გვესმის ეს საყვედური. მართალია, განაპირა კუთხეებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით აქამდე...

იმ დამეს ჩვენი სვანები ჩვენთან დარჩნენ, ცეცხლს ვუსხედით და ვუამბობდით ერთმანეთს ამბებს. საუბარი სიმღერამ შეცვალა. გრიგოლმა პირველმა დაილილინა «ლილე», დიადი სვანური სიმღერა. ნელი და წყნარი იყო პირველად, მაგრამ ჩვენების ბანი რომ ისმინეს, თვალები გაუბრწყინდათ და ნელი ღიღინი ძლევამოსილ გუგუნად გადაიქცა, იალბუზსაც ესმა მთის ორწოხებში შექმნილი ძლიერი ჰიმნი, ჰიმნი მზისა და გამარჯვებისა, — გამარჯვების იმედით სავსე სვანური «ლილე».

გაეხარდათ, ძალიან გაეხარდათ. უკვირდათ, რომ ჩვენებმაც იცოდნენ ლილე.

გათენდა. მოვიდნენ ბაქსანელები. ავკიდეთ ბარგი ცხენებს.

ძლივს დავიძარით. მივდივართ.

ერთხმად: «ნახვამდის, იალბუზო!» სავსე გულით მივისწრაფვით სვანეთისაკენ, სადაც მრავალ ახალს ვნახავთ.

საჭიროა მხოლოდ იქამდე მისვლა და ეს არცთუ ასე ადვილია: მთავარი ქედი უნდა გადავიაროთ დიდი ტვირთით.

სოფელ კაჩკაროვოდან გავუხვიეთ დონღუზ-ორუნისკენ, სამხრეთის მიმართულებით. გზა დონღუზ-ორუნ-სუს ხეობით მიდის, მაგრამ ჯერ ბაქსანის მღვრიე ტალღები უნდა გადავიაროთ.

ადვილია მისი გადალახვა, ხიდია გადებული, მაგრამ ხიდი სახიფათოა: ორი ხე ქანაობს და ხშირად ელამუნება ქოჩორაყრილ ბაქსანის ტალღებს. ფეხის გადაცდენა, ფეხის დასხლტომა და სამუდამოდ ჩაგხუტებს თავის ძლიერ მკლავებში ეს მყინვარების პირში.

ბაქსანზე გადასვლის შემდეგ აღმართს უნდა შევუდგეთ, მაგრამ აღმართი მოსაწყენი არ არის: დაბურული ტყითაა შემოსილი და შემკული. უზარმაზარ ფიჭვის ხეებს ტანი აუყრიათ, თითქოს უნდათ, მზეს მიაწვდინონ ხელები. თეთრტანა ვერხვები აშრიალებენ და აკანკალებენ ვერცხლისფერ ფოთლებს. ტყუილად კი არ ეწოდება ამ მაღალი მთის ვერხვს «მთრთოლავი ვერხვი».


მის ჩრდილებში ნიადაგს ფარავს ვეებერთელა კაცის სიმაღლე ბალახი – დუცი, დიცი, ბოვერა, შალდაყი და სხვა.

თვალს ესამოვნა, როდესაც ნამდვილი ტყე დავინახეთ, მაღალი მთის ტყე. ეტყობა აქ, კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე, უფრო მეტი სინესტეა, ვიდრე იალბუზისა და გამყოლი ქედის ფერდობებზე.

ამიტომ არის აქ ჯარად აყრილი ეს მაღალი და ხშირი მცენარეულობა.

– დაიცადე, ქვევით უნდა ჩავიდეთ, რაღაც დაიკარგა, – მეძახის გიორგი და მეც მარტო ვრჩები, არყის ხისა და ვერხვის ჩრდილებში.

დაცდა საჭიროა, რომ ხშირი ყვირილით გზის მიმართულება გაიგოს უკან დარჩენილმა. წინ, ხმის მანძილზე დარჩება ალბათ ვინმე.



იალბუზის ექსპედიცია ეშვება მწვერვალიდან მყინვარ აზაუს მორენაზე.

წამოვწექ მხარეთემოზე და ველი. «ნეტავ რა დაკარგეს, ან რა დროს დაკარგვა იყო», ვფიქრობ და ვუცქერი, როგორ ირევა ათასი მწერი ნაირ-ნაირ ყვავილებზე. ვუგდებ ყურს მათ მოუსვენარ ბზუილს და თვალს ვადევნებ, როგორ გადააქვთ მტვერი ერთი ყვავილიდან მეორეზე, როგორ წუწნიან მის წვეს, ნექტარს. «მამიდასაც ვნახავ და კვიცსაც გავხედნიო», – სწორედ ამ მწერებზე არის ნათქვამი: ყვავილის წვენი იკვებებიან კიდეც და მის დამტვერიანებასაც ხელს უწყობენ.

– ნიკოლო! – მესმის ზევიდან ძახილი, მოსწყინდათ ლოდინი და მარტო ყოფნა.

— ჰაეეე... – ვებმარებები და ვაგრძელებ ხმას, რომ ტყემ უფრო დიდხანს მისცეს ბანი, რომ ტყის ეს საკვირველი იდუმალება დაირღვეს და ცოტადენ მაინც შეიშმუშნოს უცხო მხრიდან შემოჭრილი ძახილით.

– გიორგი! – ვიძახი გაბმით. მეორე მხრიდან თითქოს ტყე გამომეხმაურა და ჩემი სიტყვები უკანვე მესროლა, დამიბრუნა.

გიორგი კი ხმას არა მცემს, შორს წასულან, ალბათ.

ვიძახი კიდევ, მაგრამ მხოლოდ ტყის იდუმლება მეხმაურება...

ველი. კარგა დიდი ხანი გავიდა, ეჭვი დამებადა, იქნებ გზას ასცდნენ და ამიტომ არ მეხმაურება.

მე კი წასვლის უფლება არა მაქვს.

ავედი ვერხვზე და იქიდან გადავძახე, დავკვივლე მთელი ძალით და გამიხარდა, როდესაც მთის ორწოხებმა სხვადასხვა მხრიდან მომცეს ხმა და ამ ხმაურში გიორგის და ლევანის შეხმაურებაც ვიცანი. აქვე ახლოს არიან. აგერ, ხეებს შორის გამოჩნდნენ კიდევ. წერაყინი დაჰკარგვიათ და თითქმის კაჩკაროვომდე ჩასულან. ხვითქი გადასდით შუბლზე და ძლივს სუნთქავენ. მცირე შესვენების შემდეგ მხიარულად გაუუდექით გზას, დავტოვეთ ტყე და გავედით მთის მდელოზე, სადაც ბალახი ათასი ფერით შემოგვლიმის და გვესალმება. ძირს დონღუზ-ორუნ-სუ მიჩქევს და მის ნაპირზე ჩვენი ცხენები, ბარგით დატვირთულები, ჭიანჭველებივით მოჩანან (ცხენოსნები ხეობით წავიდნენ, ზემო ბილიკზე ვერ გაივლიდნენ).

წინ კი მთის კალთებზე ჩვენები მიდიან, ცალრიგად გამწვრივებულნი.

გავწიეთ მგლური ნაბიჯით. ლიდუსი და ასმათიც სწრაფად მოდიან. ვიწრო ბილიკი მივატოვეთ და მდელოებზე გავედით. აქ სიარული არც ისე ადვილია. ნიადაგი დაჭაობებულია, ზევიდან გადაკრული აქვს ისლისა და ჭაობის სხვა მცენარეების უყი¹⁴ მიწა, მათი ფესვების სქელი ბადე. რეზინივით ადი-ჩადის მიწა. ეს არცთუ წმინდა ჭაობია: მაღალ მთებში, სადაც დამდნარი თოვლის წყალი ძირს ხეობისკენ ვეღარ იწრიტება და სადაც პატარა ვაკე ადგილები დახვდება ხოლმე, ასეთი «ჭაობები» ჩნდება. ფეხს რომ ადგამ, ძირს მიიწევს და სიარულს აძნელებს, მაგრამ სწრაფად გადავიარეთ ეს «დაბრკოლებაც» და აგერ მთიულის ბინაც. ფერდობებზე ცხვარი და ძროხაა შეფენილი, ალაგ-ალაგ ნათიბები მოჩანს.

ჩვენები ბინაზე მისულან კიდევ, ცხენებიდან ბარგს იღებენ. ჯერ შუადღევ არ არის. გიორგი ეუბნება მზიდველებს, გადასასვლელის პირამდე გაგირიგდით და იქამდე უნდა წამოხვიდეთო. ისინი კი პასუხობენ, ჩვენ ამ ადგილს ვგულისხმობთო.

არ არის სასიამოვნო, რომ ამდენი დრო გვეკარგება, ნახევარი დღე, მაგრამ რას გააწყობ. თავბუხი და იზიმურათი გვემშვიდობებიან, ძმურად გვკოცნიან და გვთხოვენ, არ დავივიწყოთ, წერილი მივწეროთ, თუ კიდევ ჩავალთ როდისმე, ისინი მოვიკითხოთ...

ყოჩაღი ბიჭები არიან. აგერ რა კოხტად მოახტნენ ცხენებს და ჰკრეს ქუსლი. მიქრიან ცხენები ვიწრო ბილიკზე და მიაქროლებენ ერთგულ მხედრებს.

გრიგოლის რჩევით გადაწყდა: გელა უნდა წავიდეს სვანეთში ახლავე. იქ ცხენები უნდა დაიჭიროს და დაგვახვედროს დონღუზ-ორუნის ძირში, სვანეთის მხარეს. ერთადერთი გამოსავალი ეს არის.

– მაგრამ როგორ მოასწრებს, გადასასვლელზე დაუღამდება, არ შეიძლება ახლა წასვლა...

ასე ვბჭობთ. გრიგოლს ეღიმება და უთარგმნის გელას ჩვენს საუბარს, ის კი გულიანად იცინის.

– ბევრჯერ უვლია გელას ამ გზით უარეს ამინდშიც...

სვიმონმა წაყოლის სურვილი გამოთქვა, სწრაფად მოემზადნენ და წამში მთის ქიმს მიეფარნენ.

ძნელად გასასვლელი გზა აქვთ. გადასასვლელი თუ დაღამებამდე გადაიარეს, კიდევ კარგი, თუ არა და გაუჭირდებათ.

– გელას არა უშავს რა, სვიმონმა თუ შეძლო...

ჩვენ ახლა 2800 მეტრის სიმაღლეზე ვართ, ჩვენ პირდაპირ ამართულია დონღუზ-ორუნის მთა, რომელზედაც მყინვარები შვეულად ეშვებიან და ვიწრო ხევში ერთდებიან. დრო კიდევ არის სადამომდე, გადავწყვიტე მყინვარის დათვალიერება, ახლო მოჩანს. ხევში ჩახვალ და იქვეა. მსურველი არავინ არის და მარტო მივდივარ.

ფერდობი დაქანებულია, ფეხი სხლტება, დავეცი რამდენჯერმე და ძირს სრიალით წავედი. თითქოს სასიამოვნოც არის, არ ვცდილობ თავის შეკავებას, მაგრამ, ეჭვ, აქ ხუმრობა არ გამოდგება: ფერდობის ძირში მიჩქევს და მითამამობს ლურჯი მდინარე, სულ ადვილად შეიძლება მის ტალღებში გავიბანო და ეს ბანაობა არცთუ სასიამოვნო იქნება, სიცოცხლეს ადვილად გამოგასალმებს.

მოვიმარჯვე წერაყინი, მისი წვერი მიწაში ჩავარჭვე, შევდექი და ფრთხილად წამოვდექი, ფრთხილად ვადგამ ფეხს. თავქარიანობა და მეტისმეტი სილაღე აქ კაცს არ გამოადგება.

ჩავედი ნაპირზე, მყინვარი იქით არის, გადასვლა არც ისე ადვილია, მაგრამ უცბად ვიწროვდება კალაპოტი და წყალიც დუღს და ბობოქრობს. აქ, ამ ადგილას, თითქოს ძალათიო, ერთი ნაპირიდან მეორეზე ვეებერთელა კლდეა გადებული. მშვენიერი, მკვიდრი ხიდია. წყალი ეჯახება და აწყდება ამ ხიდს, თითქოს თავიდან უნდა მოიშოროსო, მაგრამ კლდე აინუნშიაც არ აგდებს ამ იერიშს და წარბმუხრელად დგას.

ავედი კლდეზე და დიდხანს ვტკბებოდი მდინარის ამ მოუსვენარი იერიშით. გზის გაკაფვა უნდა, ამ კლდის ჩამოცილება. ვინ იცის, იქნებ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ამაყი კლდე-ხიდი, ნამსხვრევებად და ქვიშად ქცეული, კასპიის ზღვის ნაპირებზე ეყაროს, სადმე ჭაობში.

ახლოს რომ მივდივარ და ვუმზერ ამ მდინარეთა აბობოქრებულ, გაალმასებულ და გამმაგებულ იერიშს,

ვფიქრობ: ძლიერი ყოფილა კლდე, რომ აქამდე კიდევ დარჩა და გაუძლო ამ იერიშებს, რომ აქამდე სრულიად არ განადგურდა.

მეორე ნაპირს გავყევი, კლდის ნამტვრევებზე მივდიოდი, ფეხები მტკიოდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი. მდინარე მარცხნივ უხვევდა და მისი სათავე არ ჩანდა. მეც იქით გავუხვიე. სათავე დაკარგული აღმოჩნდა: ჩემ წინ პატარა მთა იყო აღმართული და მისი მკერდიდან გადმოდიოდა ეს მოუსვენარი სილამაზე სალი კლდებისა. ვეებერთელა წყაროს ჰგავდა, ისეთ წყაროს, რომელსაც შეუძლია დიდი ლოდების აგორება და გაცამტვერება. ავეყვი ამ გორაკს, თავზე მოვექევი მწვერვალს. ჩემ ქვევით პატარა ლამაზი ტბა იყო გადაჭიმული, ლურჯი ტბა. ალაგ-ალაგ წყალმცენარეები მოჩანდა. მინდოდა ჩასვლა, მაგრამ ირგვლივ კლდეები შვეულად ჩადიოდა და მარტოსთვის ჩასვლა არც ისე ადვილი იქნებოდა.

ეს ტბა მყინვარისაგან არის შექმნილი. დონლუზ-ორუნ-სუ თავისუფლად მორაკრავებდა ალბათ, მაგრამ, აი ერთ დღეს მყინვარის მოტანილმა ხრემმა, ლოდმა და ზვავმა გზა გადაუღობა, შეაჩერა მისი თავისუფალი ნვარდი, ამ ტაფობში მოაქცია, შეაგუზა და ტბად აქცია. ეუცხოვა მჩქეფარე მდინარეს ეს სადგომი, მაგრამ თავისი მაინც ქნა: ჩამოტანილი ზვავი და დაბრკოლება რომ ვერ გადალახა, ამ ხრემსა და კლდეში გაძვრა, გაჟონა და მეორე მხარეს წყაროსავით გავიდა.

მეძნელებოდა ამ სილამაზისთვის თავის დანებება, მაგრამ აქ ხომ ყოველ ნაბიჯზე აუწერელი სილამაზეა! გავბრუნდი მყინვარისკენ. არც ეს არის ნაკლები. თითქოს ხელოვნურად ნაშენ ჩარჩოშია მოქცეული. ეს ჩარჩო, ალბათ, ძველი, წინანდელი მორენა უნდა იყოს. ძველი მორენა მდიდრულად არის შემოსილი და შემკული მცენარეულობით. აქ არის უმთავრესად ჩაგვერა, ქონდარა, მაღალი მთის არყი, ფიჭვი, რამდენიმენაირი ტირიფი, ღვია და განუყრელი დეკა. ეს ხეები მეტრის სიმაღლესაც ვერ აღწევენ. ამათ გარდა გვხვდება მკვეთრი და ჭიოტყავავილიანი მრავალნაირი გვირილა – ყვითელი, წითელი, ცისფერი, აგრეთვე მთის შროშანა ვეებერთელა ყვითელი ყვავილებით, ეს ყვავილთა შორის ყველაზე ამაყი მთის ბანოვანი და სხვ.

ამ ჩარჩოს წვერს სიგანე არა აქვს, ცალი ფეხი ძლივს დაიდგმის. ადგილ-ადგილ ჯამბაზობის გაკვეთილსაც ადვილად მიიღებთ. აქედან ექვსი მეტრი შვეულად უნდა ჩაფოფხდე ძირს და ახალ მორენაზე ჩახვალ, საიდანაც მყინვარი იწყება.

მინდა მყინვარი გასწვრივ გადავჭრა და მეორე ნაპირზე გადავიდე. გადასვლა ძნელი არ არის, ნაპრალები არა ჩანს, არც დიდი ლოდებია. მთელი მისი ზედაპირი კლდის ნამტვრევით არის დაფარული, მაგრამ ის საშენ ქვაზე დიდი არ არის.

მივდივარ ფრთხილად, რადგან ზოგან ნაპრალმა უკვე თვალი შემომამჭყიტა და მაცნობა – ნუ გამითამამდებო.

ამ სიფრთხილემ რაღაც ობლობის გრძნობა აღძრა ჩემში. ვიგრძენი, რომ მარტო ვიყავი ამ ყინულოვან სამეფოში, მაგრამ მეორე მხარეს მაინც უნდა გადავსულიყავი. ნაპირის მორენადან 30 მ-ის მანძილზე, ყინულზე, გაშლილ ხრემზე მოჩანდა პატარ-პატარა მცენარეები და იმათი წამოღება მინდოდა.

ზედ შუა მყინვარზე პატარა, რამდენიმე მეტრის სიგანე «ტბა» დამხვდა, სავე მწვანე წყალმცენარეებით. წამოვიღე, შუშები ავავე ამ მცენარეებით. იშვიათი შემთხვევაა! ვინა თქვა, ყინულზე სიცოცხლე არ არისო? სიცოცხლე თურმე ყველგან იკიდებს ფეხს.

მყინვარის მეორე მხარეც პირველს წააგავს, იქითაც ისეთივე ჩარჩოა, ხოლო ძირს – სწრაფი და მოუსვენარი მდინარე. ჩემ წინ აღმართულია დონლუზ-ორუნის მთის შვეული კედელი, რომელზეც მყინვარები ჩამოკიდულა, მოტიტვლებულ ადგილებზე კი სიმწვანე მოჩანს. გამიტაცა ამ სიმწვანემ და მინდა გადავიდე, მაგრამ დასავლეთით მზე უკვე ჩახუტებია თეთრ მწვერვალებს და, ალბათ, სულ მალე ჩაეხვევა მის ორწოხებს. ძალზე შემგვიანებია, შელამებამდე მივალ თუ არა, ესეც საკითხავია. მყინვარზე შემოღამება კი ადვილი საქმე არ არის, ვინ იცის, რანაირ ნაპრალს წააწყდები.

მთაში მანძილი ახლო მოჩანს, თვალს ატყუებს, სულ ახლოს მეგონა, მთელ დღეს კი მოვუნდი.

პირი ვიბრუნე და სწრაფი ნაბიჯით წამოვედი ბინისკენ.

ამ დროს თითქოს ზურგზე მთელი მთა დამეცაო, მომესმა გვრგვინვა და მთების ზანზარი. მივიხედე უკან: მთის მწვერვალიდან ზვავი მოდიოდა, მოდიოდა ზავით და ზათქით. იდგა კორიანტელი და ბურუსი. ამ ხმაურს მთების გამოძახილი ემატებოდა და გაყრუვდა ირგვლივ ყოველივე.

ლადი და ზვიადი იყო ზვავის მოწყვეტა მწვერვალიდან.

შებინდებულზე მივედი ბინაზე. ცეცხლი სამურად გუზგუზებს. იხარშება ხორცი. ადუღებენ რძეს. გახა ტრიალებს.

სასიამოვნოა ახლა ყოველივე ეს, დაღალულ და მშიერ გულზე, მაგრამ უფრო სასიამოვნო იყო, როდესაც ნაბადში გახვეულს, ერთ ქვის ძირას მწოლარეს, მესმოდა ზვავის რუხრუხი, მთების ყრუ გუგუნე, როდესაც თავზე დამცქეროდა კავკასიის მთების შავი ღამე, ათასი ვარსკვლავით მომღიმარი.

თვალის გადავლებით

სანამ მივატოვებდეთ იალბუზის კალთებს, მოკლედ გავიხსენოთ ის, რაც დღემდე ვნახეთ. გადავავლოთ თვალი კავკასიონის ჩრდილოეთის ფერდობის რელიეფს და აგებულებას.

იურის, ცარცის და მესამეული ხანის ნალექი ქანები, რომელნიც ერთმანეთს ცვლიან ვაკის მიმართულებით, თითქმის თანაბარნი არიან და ნაკლებ დაქანებულნი, ასეა თეთრი მდინარიდან თერგამდე. მათი ასეთი აღნაგობა გამოწვეულია ეროზიული მოვლენებით. ნაკლები როლი არ ითამაშა აგრეთვე ქანების გამძლეობის უნარიანობამ. მთის მაგარი ქანებისაგან შეიქმნა გვერდის გამყოლი ქედები, რომელთა სამხრეთი ფერდობი უცბად არის ჩამოწყვეტილი, ჩრდილოეთისა კი – ნაკლებად დაქანებული. ჩრდილოეთის ქედს შავ მთებს უწოდებენ, უფრო მაღალს, რომელიც ახლოა კავკასიონის მთავარ ქედთან – კლდოვან ქედს (ამ ქედზეა მწვერვალი ნაუჟიძე, რომელიც გზიდან მოჩანდა). ეს ქედი შედგება კირქვისა, ქვედა ცარცის დოლომიტებისა და ზედა იურისაგან. ამ ქედებს შორის მოქცეული იყო უფრო რბილი ქანები: ქვიშა, თიხა და სხვები, რომლებმაც მალე ქედი მოიხარეს ეროზიული მოვლენების წინაშე და შექმნეს ე. წ. გამყოლი ხეობები. ასეთია თვით ბაქსანის ხეობა. ეს გამყოლი ხეობები ადგილ-ადგილ ფრიად გაგანიერებულია. მათ თავიანთ მკერდში შეუყუჟიათ მრავალი ათასი მცხოვრები. ასეთია გამყოლი ხეობა, მოქცეული მთავარ ქედსა და კლდოვან ქედს შორის, რომელიც თითქმის 460 კმ. სიგრძეზეა გაჭიმული. ასეთი გამყოლი ხეობა მრავალია, სიდიდით კი განსხვავდებიან. სიდიდე დამოკიდებულია მდინარის აუზზე.

აი, ასეთ გამყოლ ქედებს შორის კავკასიონის მთის ორწოხებში შეჭრილია ველის, მშრალი ადგილების მოყვარული მცენარეულობა, რომლის შესახებ უკვე ვისაუბარეთ.

ამისი ხელის შემწყობი პირობა და მოვლენა აუარებელია. ისინი გეოლოგიურ წარსულშიც უნდა ვეძებოთ, განსაკუთრებით გამყინვარების ეპოქაში. მრავალი მეცნიერის გამოკვლევის წყალობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ გაყინვარების ეპოქას უეცრად მოჰყვა უფრო მშრალი ეპოქა, ვიდრე დღევანდელი ეპოქაა. ეს მშრალი ეპოქა ხასიათდებოდა იმით, რომ ადგილობრივად გავრცელდნენ და ფეხი მოიკიდეს მშრალი ადგილების მცენარეებმა. კავკასიონის მყინვარებმაც უკან დაიხიეს (იხ. თავი «იალბუზის ძირში», «შხელდა» და სხვ.) და დატოვეს მოტიტვლებული ადგილები. ამ უკან დახევას თან გაჰყვებოდა ველის მცენარეულობაც, მით უმეტეს, რომ ამას ხელს უწყობდა სხვადასხვა ატმოსფერული მოვლენა. კავკასიონის მყინვარები ქმნის მშრალ ფენისებურ ქარებს (ფიგუროვსკი), რომელნიც განუწყვეტლივ ქრიან გამყოლ ხეობებში. ამის გამო საუკეთესო პირობა იქმნება მშრალი ადგილების მცენარეულისათვის. თუ დღევანდელ ჩვენ მყინვარებს ასეთი მნიშვნელობა აქვთ, – ამბობს ერთ-ერთი მკვლევარი (ნ. შჩუკინი), – მაშინ გაყინვარების ეპოქის დროს უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა და უფრო მეტ გავლენას მოახდენდა ის თვით ჰავაზედაც. მშრალი და ძლიერი ქარები გამოაშრობდნენ და გამოფიტავდნენ ხეობებს და უდაბნოს სახეს მისცემდნენ.

მართლაც, როდესაც ასე ახლოს ხარ ამ ხეობებთან და თვითონ ათვალიერებ იქაურ მცენარეულობას, აშკარად რწმუნდები ზემოთქმულის ჭეშმარიტებაში. 2000 მ. სიმაღლეზე ხშირად წააწყდები ისეთ მცენარეს, რომელიც რუსეთის სამხრეთი ველების დამახასიათებელია, მშრალი ადგილების მოყვარული. ჩახედული რომ არ იყო ამ მთების წარსულში, ეს მოვლენა გამოცანად დარჩებოდა.

კავკასიონის ფლორის მკვლევარმა, პროფესორმა კუნენცოვმა ამ მოვლენას, დიდი ხანია, ყურადღება მიაქცია და უწოდა «მთა-ველის მცენარეულობა». მთის ქსეროფიტებში (მშრალი ადგილის მოყვარული მცენარეები) ასეთი მცენარეულობით მთლიანი სივრცეები როდია დაფარული, – ის ალაგ-ალაგ გვხვდება, უფრო მოტიტვლებულ, ღორღიან ადგილებში. ასეთი ადგილები კი ხშირად რამოდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრს მოიცავს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს მცენარეულობა ეკლითა და ბუსუსითაა შემოსილი, ფოთოლი წვრილი და პატარა აქვს – რაც უფრო მცირეა ფოთლის არე, მით უფრო ნაკლები იქნება აორთქლება. თუ ფოთოლი ფართოა, მაშინ თავდაცვის სხვა საშუალება ექნება. ასეც არის: ფართო ფოთოლი დაფარულია თეთრი, რუხი ან ყომრალი ბუსუსით, რომელიც ღეროსა და ფოთლებს ქეჩასავით ეკვრის. თუ ფოთოლს ასეთი ხშირი ბუსუსი არა აქვს, სანთლისებური ფიფქითაა შეფრქვეული და აორთქლებას ისიც აწელებს. ხშირია სქელფოთლება მცენარეები. ამ სქელ ფოთლებში იმარაგებს ის საჭირო წყალს. შეიძლება ყველა ეს თვისება ერთ მცენარეზე შეგვხვდეს. ხშირი და მწვავე ეკალი იფარავს მას ცხოველთა და მავნებელთაგან. ამგვარად, ფრიად კარგად აქვთ მათ განვითარებული მრავალი ისეთი მოწყობილობა, რომელიც ხელს უშლის ზედმეტი წყლის აორთქლებას. მიწისქვეშა ნაწილთაგან შესანიშნავია მათი ძლიერი ფესვი, რომელიც ადვილად არღვევს მეტად მძიმე ნიადაგსაც და საჭირო წყალს დიდი სიღრმიდან იღებს. ამ ქსეროფიტებში სჭარბობენ მრავალწლიანი ბალახები და ბუჩქები.

ასეთივე ქსეროფიტული მცენარეების დიდი კუნძულებით არის მოფენილი კავკასიონის აღმოსავლეთი ნაწილი, მთათუშეთის ჩათვლით და სამხრეთ კავკასიის ზეგანი. ეს მცენარეულობა, როგორც აღვნიშნეთ, ვითარდება მშრალ და მოტიტვლებულ ადგილებზე და უკანასკნელ ხანებში უფრო და უფრო ვრცელდება, რადგან ტყეების დაუნდობელი ჩეხვის გამო ირეცხება და ტიტვლდება მთის ახალ-ახალი კალთები. ამ ქსეროფიტული მცენარეულობის კერას დასახელებული ადგილები წარმოადგენენ. იქიდან ვრცელდება კავკასიონის ფარგლებში და ტყეების განადგურებასთან ერთად ახალახალ მხარეებს იკავებს. ასეთ კერებად, ჩემი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს იალბუზის მახლობლად მდებარე ხეობებიც, სადაც მცენარეთა ეს ტიპი

სწრაფად იჭერს იპყრობს ფართობებს.

თუ ტყის დასაცავად ზომები არ მივიღეთ, ის გაქრება და ქსეროფიტებით შეიმოსება ქოჩორა მთები. ქსეროფიტებს მიეკუთვნება: კოწახური, ღვია, ხეშავი, კავკასიონის ასტრაგელი, ველის ხვართქლა, ალავერდი, აბზინდა, კოპრჩხილა, ვაციწვერა, ურო და სხვა მრავალი, უმთავრესად ჯვაროსანთა, ლაშქროვანთა, ცერცოვანთა და რთულ ყვავილოვანთა წარმომადგენლები.

გულდასმით რომ დაუკვირდეთ ამ ადგილების მცენარეების სიას, აღმოაჩენთ ისეთ მცენარეებს, რომელნიც თბილისის მიდამოებშიც ხშირად გვხვდება და გარე კახეთის მშრალი ველების მუდმივი თანამგზავრია (ურო, კოპრჩხილა და სხვა მრავალი).

ასეთი მცენარეულობა ხარობდა ძველ ეპოქაში, გამყინვარების პერიოდში, რომელსაც შემდეგ უეცრად მშრალი ეპოქა მოჰყვა. დღევანდელი ზოგი ბუნებრივი ფაქტორიც (ხეობა, მქროლავი ქარი) ხელს უწყობს ამას. არანაკლებ უწყობს ხელს თვით ადამიანიც, რომელიც დაუნდობლად ანადგურებს ტყეებს და ატიტვლებს ქედებს. ეს ქედები იფიტება, შრება და, ცხადია, იქ ისეთი მცენარე სახლდება, რომელიც უფრო ადვილად შეეგუება ასეთ ადგილებს და აიტანს იქაურ პირობებს. ამრიგად, როგორც ვთქვი, ქსეროფიტები უფრო მეტსა და მეტ ადგილს იჭერს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მცენარეულობა მკაფიოდ არის გამოსახული სამხრეთის ფერდობებზე, იმიტომ, რომ ეს ქედები უფრო ძლიერად განიცდის მზის სხივების მოქმედებას და ზედმეტად შრება.

ამ მცენარეულობაზე ამდენი ხანი იმიტომ შევჩერდით, რომ მაღალ მთებში ასეთი მოვლენა იშვიათია და მცენარეთა გეოგრაფიის საერთო შაბლონურ კანონებს არ ემორჩილება.

მოკლედ შევხვით მაღალი მთის მცენარეულობასაც, რომელიც ჩვეულებრივად გაბატონებულია და ამ მხარეს მაღალი მთის მცენარეულობის სახეს აძლევს.

აქ წმინდა ალპური მცენარეულობა იწყება ომტენის მთებზე და, პროფესორ ბუმის გამოკვლევით, 1500 მ. სიმაღლემდე ჩამოდის. აღმოსავლეთისაკენ მისი ზონა მაღლა-მაღლა იწევს და ბაქსანზე, ჩეგემსა და ბალყარობეთში 2000 მ. სიმაღლეზეა.

მთელ ამ მანძილზე ალპური მცენარეულობა ერთნაირია და დიდი განსხვავება არ არსებობს. დამახასიათებელ მცენარეებად ალპური და სუბალპური ზონებისთვის მოვიხსენიებ ალტაის იას, გენციანას, დვალურას, ბაბუაწვერას, ვერონიკას, მთის გვირილას, მთის ღიღილოს და სხვ.

მათ შემდეგ ჩამოდის ჩვენი მთის განუყრელი ბუჩქნარი დეკა, რომელიც ხშირად ძალიან სქელსა და გაუვალ ქვეტყეს ქმნის სუბალპების არყის ხის ტყეებში. პროფესორ ბუმის მოწმობით, ომტენის მთაზე დეკა 1500 მ. ჩამოდის, ტებერადაზე – 1700 მ., ბაქსანის ხეობაში – 1800 მ., ხოლო თუშეთში 2200 მ. სიმაღლეზეა და ქვემოთ იშვიათად ჩამოდის.

დეკიანი ბუჩქნარი ფრიად დამახასიათებელია კავკასიონის მთებისათვის. დეკა მაღალი მთების დამამშვენებელია, განსაკუთრებით ზაფხულობით, როდესაც თეთრად აყვავდება ხოლმე და ისე მოჩანს მთის ფერდობებზე, თითქოს ცხვარი შეეფინაო. დეკიანი ბუჩქნარი ხასიათდება თავისი განსაკუთრებული ნიადაგით, რომელსაც დეკიანის წანახში ეწოდება. აქ მცენარეულობაც თავისებურია, ამ ბუჩქნარისთვის დამახასიათებელი. ზოგჯერ დეკიანებში მიმოფანტულია თითო-ოროლა ხე: ცირცელი, მთის ბოყვი და სხვა, რომლებიც სუბალპების ტყიდან ამოჭრილა.

სუბალპების ტყედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე არყის ტყეების ზემო სარტყელი (უმთავრესად ბუსუსიანი არყი და რადეს არყი). ამ ზონაშია ერთმანეთში არეული დეკა და სუბალპების სხვა მცენარეები, მაღალ მოზარდ ხეებს შორის კი არყის ხის, ბოყვისა და ცირცელის გარდა იშვიათად შეგხვდებათ რამე.

არყის ტყის ზემო სარტყელის გარდა არსებობს ქვემო სარტყელიც (იქ გავრცელებულია მეჭეჭიანი არყი). ამ სახის ტყეში მრავლად არის სხვა ჯიშის ხეებიც, როგორიცაა მთრთოლავი ვერხვი, მუხა, რცხილა და სხვ.

ბაქსანის ხეობაში ტებერადაზე, მარუხისა და მდინარე ყუბანის სხვა შენაკადებზე აყრილია მშვენიერი ფიჭვის ტყე. ეს ტყე მეტწილად წმინდაა და, როგორც წინა თავებში უკვე აღვნიშნეთ, ქსეროფიტულ სახეს ატარებს. ძალიან ხშირად აქ შერეულია სხვა ფოთლოვანი ჯიშები და ზოგჯერ სოჭიც.

ეს ტყე ხშირად ძალიან ქვევით ჩამოდის, 250 – 300 მ. სიმაღლემდეც კი. ჩვეულებრივად კი 800 – 1200 მ. ქვემოთ იშვიათი მოვლენაა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს მხარე მცენარეულობით არცთუ იმდენად ღარიბია, მხოლოდ კავკასიონის სამხრეთის ფერდობისაგან მას ძალიან განასხვავებს ის ხშირი ქსეროფიტული კუნძულები, შუა მთებში რომ შეჭრილა (ბაქსანის ხეობა, ჩეგემი, ჩერექის, იალბუზის და ჩრდილოეთ-დასავლეთის ქედები, მდინარე ყუბანის შესართავები, ტებერადა, ულუხურცუკი და სხვები).

რაც შეეხება ჩვენი შავი ზღვისათვის დამახასიათებელ მცენარეულობას, აქ იშვიათად შეხვდებით მას (ბზა, წყავი, წაბლი, ღიჭი, შქერი, ბამგი). დღემდე აღმოჩენილია მხოლოდ თითო-ოროლა ეგზემპლარი და თვალსაჩინოდ არსად არ იზრდება. ამ მხარეში მათი არსებობა უფრო შემთხვევით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ყუბანის ხეობაში კი ხშირია. აქ, მაღლა მთებში ხომ ყოველ 20 მ. სიმაღლესაც მნიშვნელობა აქვს. ყოველ სიმაღლეს თავისი განსაკუთრებული სახე აქვს, რაც ამ მცენარეულობით განისაზღვრება. ამაზე მრავალი დიდტომიანი წიგნი დაიწერება.

ყველა გულდაწყვეტილი შორდება იალბუზის თოვლიან ველს (მისი ფართობი 250 კვადრატულ კილომეტრს უდრის) და იალბუზის მყინვარებს, რომელთა შორის შესანიშნავია ირიკის მყინვარი (9 კმ. სიგრძე), აზაუ, თერსკოლი და სხვები. აქ, იალბუზის კალთებზე, 70 მყინვარზე მეტია. ყველას ვხედავდით, მრავალ მათგანზე ამაყად დავდიოდით. ახლა კი ვცილდებით, ვტოვებთ მათ.

ვგრძნობ, ეს პირველი ასვლა თავდება იმის, რომ ჩვენი მომავალი ახალგაზრდა მთამსვლელები უფრო გაქელავენ იმ ძნელ ბილიკს, რომელიც პირველმა მთამსვლელებმა გაავლეს მარადიულ თოვლზე...

იქ ბუნების მრავალი საიდუმლოებაა დარჩენილი და მკვლევარის თვალს ელის.

ეს მკვლევარი კი შენ უნდა იყო, ჩემო ახალგაზრდა მკითხველო...

შენ უნდა ამოიკითხო ჭაღარა კავკასიონის დიდი წიგნი.

უშბის სადარაჯოზე (1925 წ.)

სამხრეთის მზისაკენ

იალბუზის მწვერვალს 1926 წლის 12 აგვისტოს მივალწიეთ. ამის შემდეგ მის მიდამოებში ვიმუშავეთ რამდენიმე დღე და გამოვეშურეთ სამხრეთ ფერდობებისკენ. დონღუზ-ორუნის გადმოსასვლელის დასაწყისამდე ბარგი ცხენებით მოვზიდეთ, აქედან კი ზურგით უნდა გვეტარებინა. არც ერთი ბაქსანელი არ დაგვთანხმდა სვანეთში გამოყოლაზე.

სიმონი და გელა გუშინვე წავიდნენ სვანეთისაკენ, რათა გადასასვლელის მეორე მხარეს დაგვახვედრონ ცხენები. ჩვენ კი 17 აგვისტოს გავუდექით გზას.

ვიწრო ბილიკზე გაიჭიმა ჩვენი ქარავანი. უხმოდ მოვდივართ, მძიმე ტვირთის ქვეშ ზურგი გვეზინიქება. ვაჟებს ორ-ორი ფუთი მოგვაქვს, ქალებს – თითო. ამ მთებში, ამ ბილიკებზე და უფსკრულთა ნაპირებზე ეს მეტად დიდი ტვირთია. მით უმეტეს, რომ 3600 მეტრის სიმაღლეზე მდებარე უღელტეხილი უნდა გადავლახოთ.

– ნელა იარეთ, ნაბიჯით, – ამბობს გრიგოლი და დინჯად მოაბიჯებს. თან მოერეკება მოზვრებს, რომლებიც გელამ ბაქსანელებისგან იყიდა (ჩვენთან მოდიან გრიგოლა და რომანოზა, სვანები, რომლებიც ბაქსანში ვნახეთ. გელა ხომ დაწინაურდა).

– ეს რაღა წამოსაღებია? – არ ისვენებს რომანოზი და ჯავრობს თავის ტვირთზე. მას კლდის ნიმუშებით სავსე ტომარა ჰკიდია ზურგზე. – ჩამოდი ჩვენში, სვანეთში და მთელი ცხენის საპალნეს გამოგატან ასეთ კლდეებს. აქედან რომ არ წაიღო, იქ კი არ არის?

ცოტა არ იყოს მეშინია, ტვირთი ჩუმად არ შეამსუბუქოს. მას ხომ კარგად არა აქვს წარმოდგენილი, თუ რამდენად საჭიროა ჩვენთვის იალბუზიდან წამოღებული მთის ქანები.

ერთხელ შემემთხვა ასეთი ამბავი, ამიტომ მეშინია. 1924 წელს ყელის ტბიდან (ლიახვის, ქსნისა და არაგვის სათავეები) მთის ქანის ნიმუშები წამოვიღე. ჩემს გამყოლს გამოვატანე, მას კი გზაში გადაეყარა. ბინას რომ მივუახლოვდით, იქ აეკრიფა სულ სხვა ქანები. მეწყინა. ძალიან მეწყინა, მაგრამ ის დიდხანს ვერ მიხვდა ჩემს მწუხარებას.

– კლდე ხომ ყველგან კლდეა და მისი ტარებით ზურგი რად უნდა მომეწყვიტა? – მეუბნებოდა თავის გასამართლებლად.

რომანოზიც ასე ფიქრობდა. მით უმეტეს უნდა ეფიქრა ასე, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და აღმართზე სუნთქვა უძნელდებოდა.

შუბლის ძარღვები სისხლით ჰქონდა ყველას დაბერილი, ხოლო კისერი წაგრძელებული, მაგრამ ჩვენი სვანები მეტ გასაჭირში იყვნენ. ხამი მოზვრები არ ემორჩილებოდნენ და ხშირად ხტებოდნენ გზიდან, უკან გაქცევას ლამობდნენ. ხან რომანოზი, ხან გრიგოლი მისდევდა ბარგიანად. უყელდნენ წინ და მოაბრუნებდნენ.

– მოიხსენ ტვირთი და ისე გამოუდექ.

– სანამ მოვიხსნი, მოზვერი თვალს მიეფარება, – გვპასუხობდნენ მშვიდად და გაუდგებოდნენ გზას.

ოფლში ვიწურებით. თუმცა მზე ჯერ არ ამოსულა. მზე რომ დაგვაჭერს სხივებს, მერე რაღა იქნება?

აი, გადავიარეთ ერთი სერი, მეორე, ჩავედით ღელეში, გადავიარეთ კვლავ სერი და ჩვენ წინ ყინულის კედელი აღიმართა.

– ამ კედელზე უნდა გადავიაროთ, მერე დავისვენებთ, ძირში...

ირგვლივ კლდის ნამტვრევები ყრია, ალაგ-ალაგ თოვლი დევს და დილის მზით შემთბარი ცრემლად იღვრება. იქვე, თოვლის მახლობლად, ყვითელ ბაიას და მზის ფურუსულას დაუმშვენებია დიდი ფართობი. თითქოს ყვითელი საფენი გადაუფარებიათო, ისეა ამ ყვავილებით მორთული უკლდეო ადგილები.

აღმართს შევუდექით. არც ისე ადვილია სიარული: ყინულებსა და მყინვარებზე მივდივართ, წელში ვერ ვიმართებით, შეიძლება ტვირთმა გადაგძლიოს და გადაიჩიხო.

ფრთხილი სიარულია საჭირო, ადგილ-ადგილ თოვლი ტყდება და წელამდე ვცვივით შიგ. აგერ მარო ჩავარდა, ამოათრიეს.

– ფრთხილად! – ისმის გიორგის ძახილი.

ავიარეთ ერთი მყინვარი, მეორე. მთის წვერზე უნაგირი გამოჩნდა. აგერ იქ უნდა ავიდეთ, მერე

დავეშვებით.

ზევიდან თოფის ხმა შემოგვესმა, – იქ ვიღაც ასულა უკვე და გვაცნობებს, გადასავალი ახლოაო.

– ამოდი, ამოდი! – მესმის ლევან ყანჩაველის ხმა ზევიდან.

იქ უკვე თხუთმეტამდეა ჩვენები. მალე მეც მოცელილივით დავეცი ძირს, ძლივს ვსუნთქავ. გავშალე ნაბადი და წამოვწექი. ერთ საათს მაინც დავრჩებით აქ. ჯერ კიდევ ბევრნი არიან უკან. აგერ თამარი, ჯერ პირველ მყინვარზე მოჩანს.

მწოლიარე ვათვალიერებ მოტიტვლებულ კლდეებს. აქ თოვლი ვერ ჩერდება, აგერ ხავსი, აგერ ფხიჯა, ქარცხვი და სხვები თოვლს ზემოთ, თავისუფალ კლდეებში შეეყუჟულან და სიცოცხლის ცეცხლი დაუნთხათ 3600 მეტრის სიმაღლეზე ამოდენა მყინვარების თავზე. მაშასადამე, მცენარეები თოვლის ხაზს ზევითაც ცოცხლობენ, თუ მიწა ან მისი მაგვარი რამ იპოვნეს.

გზააბნეული ჯიხვი თუ გაივლის ოდესმე ამ ორწოხებში და მშვიერი სულს მოიბრუნებს.

საზღვარზე ვდგავარ: სამხრეთისაკენ სვანეთია, ჩრდილოეთისაკენ – ბაქსანის ხეობა.

სამხრეთისაკენ, ქვემოთ, გადჭიმულია ნაკრას ხეობა, ულამაზესი და უმშვენიერესი. მოჩანს წიწვოვანი ტყე. იქ სოჭი, ნაძვი და წიფელი იქნება მთავარი. ძირს კი მდინარე ნაკრა მიიკლაკნება.

ცისკენ ამართულან თოვლიანი მწვერვალები – შტავლერი, ცალმაგი და სხვები.

ნაკრას¹⁵ ხეობისაკენ ვეშვებით. სწრაფად და მხიარული ჟივილ-ხივილით ჩავლიეთ თოვლის ხაზი. ვის ახსოვს, რომ ზურგზე დიდი ტვირთი ჰკიდია! ტკბილი და სასიამოვნო სითბო ვიგრძენით. ეს სამხრეთის მზის ბრალია. ის უფრო კარგად ათბობს აქეთ მოქცეულ ფერდობებს.

– სალამი სვანეთო! – ისმის აღფრთოვანებული ხმები.

აი, ჩავლიეთ თოვლის ხაზი, ჩავედით მცენარეულობის არეში და მაშინვე თვალში გვეცა ქედის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფერდობების განსხვავება:

ამ მხარეს მცენარეულობა ძლიერია, ლამაზი და დოვლათიანი, მსუქანი მიწის ძუძუს წოვს იგი. ფერი მკვეთრი და მომხიბლავი აქვს.

აქ არის დიდი ბაია, ყვითელი ელვარე ფურცლებით, ლურჯი, ცისფერი მთის ღიღილო და მაღალი მთის სხვა მრავალი მცენარე.

ალბათ ეს სიმკვეთრე იმის ბრალია, რომ ჩრდილოეთის მხარე უფრო ნესტიანია.

კავკასიონის ქედის მრავალ ადგილას ვყოფილვარ – თუმ-ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთში, ოსეთში, მაგრამ ასეთი ვეებერთელა და უზარმაზარი დუცი და დიყი არსად მინახავს – მათი სიმაღლე ხშირად სამ მეტრს სიმაღლეს აღწევს. მათ მახლობლად ხარობს ათასი სხვა ყვავილი, ერთმანეთზე ულამაზესი.

ეს მცენარეულობა დამახასიათებელია სწორედ დასავლეთ საქართველოს მთამაღალის ბუნებისათვის და მას ბოტანიკურ ლიტერატურაში სუბალპების მაღალი ბალახეული ეწოდება. კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში იგი იშვიათი მოვლენაა. ამ მაღალი ბალახეულობის წარმოშობის მთავარ ფაქტორებს წარმოადგენს სითბო და დიდი სინესტე. ეს მცენარეულობა მაღალ მთაში ხშირად ტყის მოსპობის შედეგადაც ჩნდება.

მაღალი მთის ბუჩქებშივე, სადაც დეკა, არყი, ტირიფი და ნეკერჩხალი კორომებს ქმნის, მრავლად დაგვხვდა ხუნწი, მოცვი და წითელი გემრიელი ჟოლო, რითაც გზადაგზა პირს ვიგემრიელებდით.

ვჩქარობდით, რადგან შუადღე გადადიოდა და მყინვარის ნაკადულები ადიდდებოდა. მართლაც ნაკადულები მოდიდებული დაგვხვდა. წყალი წელზე გვწვდებოდა, მაგრამ ჟივილ-ხივილით გავედით. გამოვიარეთ კლდიანი ორწოხები, გრანიტის ლოდებით მოფენილი. როცა ჩავედით უძღვერში, ნამდვილი ტყის პირას, მზეც გადაიხარა.

ღამე უნდა გავგეთია კაცის სიმაღლის ბალახით დაფენილ ადგილზე. იქ უნდა მოსულიყო გელა და მცირე ხნის შემდეგ მან მართლაც გულდაგულ მოაჭენა ჯორი.



იალბუზის ექსპედიცია დონღუზ-ორუნის ფონზე.

თვალეები უბრწყინავს, სიცოცხლით სავსეა ლომგული, ვეფხვივით მარდი და სწრაფი. გუშინ წამოვიდა, მთელ ღამეს იარა და მოგვასწრო კიდეც.

მხიარულად მოგვესალმა, გაგვიღიმა. უნაგირს ახსნა გულა და ცხენდაცხენ გადმოგვიდო. თვითონ კი წინ გაქუსლა, უკან დარჩენილების მისაგებებლად.

მოგროვდა ყველა – დაღლილი და მხიარული.

მდინარის მეორე ნაპირას «მშვენიერ» ცხენზე მჯდომარე სვიმონიც გამოჩნდა. ცხენს ერთი ფეხი დასახიჩრებული ჰქონდა, ვერ ადგამდა. სვიმონსაც ცხვირი გაეტეხა, – ღამე გზას ასცდენოდა, ქვებზე დაცემულიყო. მალე ჯიქურ მოადგა ჩვენს კრებულს და ამაყად გადმოგვხედა.

– ცხრაჯერ მაინც წავიქეც წუხელის, – გვეუბნება სვიმონი, – როგორ გადავრჩი, არ ვიცი. ბნელი ღამე იყო. ვერას ვხედავდი, წინ გელა მიდიოდა და ცელს ქვაზე არტყამდა, ამ ხმას მივდევი. გელა არ წაქცეულა.

აი ამონაწერიც სვიმონის დღიურიდან:

«ნაშუადღევს 3 სთ. 50 წ. იყო, როდესაც მე და გელა ქალდანი გიორგის განკარგულებით გაუუდექით გზას. მიუხედავად დიდი დაღლილობისა, ეს განკარგულება ფრიად მესიამოვნა. ავიკიდე ჩემი ბარგი და გავყევი უკან გელას, რომელმაც ხელში დაიჭირა ურუსბიევოში ნაყიდი ცელი. მივდიოდით ძალიან მარდად და შეუჩერებლად. საშუალება არც კი მქონდა კარგად დავკვირვებოდი მიდამოებს: მთებს, ყინვარებს, ქანებს. თუ ერთი წუთით შევჩერდებოდი რომელიმე ქანის გასასინჯავად, შემდეგ სირბილით უნდა დავწეოდი გელას, ისე შეუჩერებლად და უკანმოუხედავად მიდიოდა იგი.

ავიარეთ ალპური მდელოები, გავუარეთ მარჯვნივ დონღუზ-ორუნის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ ტბას და მივადწიეთ თვით დონღუზ-ორუნის მყინვარს.

ასეთივე ნაბიჯით განაგრძო გელამ სვლა მყინვარზე. ვიგრძენი დაღლილობა. ცხადი იყო, გელამ დამძლია, მაგრამ მე თავს არ ვზოგავდი, რომ არ ჩამოვრჩენოდი.

მაინც ჩამოვრჩი. გელამ შემატყო დაღლილობა, მომიცადა. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ბარგი ჩამომართვა და თვითონ აიკიდა... მაგრამ მაინც ვერ მივდევი. იალბუზზე ასვლისას არ დავქანცულვარ ასე, როგორც დონღუზ-ორუნმა დამქანცა. მეტად სწრაფად მივდიოდით.

ნახევარი მყინვარი რომ ავლიეთ, გელამ გადაწყვიტა შესვენება. ცხადი იყო, ჩემი გულისთვის ისვენებდა. სამი წუთი შევისვენეთ. მაგრამ ამან იმდენად გამომაკეთა, რომ თავისუფლად მივდევი. მალე შევდგი თ ფეხი გადასასვლელზე და ამან გამახარა, მეტადრე იქით გადახედვამ, თითქოს ექვსი კილომეტრი მანძილი საათსა და 40 წუთში არ გაგვევლოს.

ეს ჩემი სიხარული, სვანეთის ნახვით გამოწვეული, გელას უფრო გაეხარდა, ესიამოვნა.

მშვენიერი გადასახედა: შორს მოჩანს სვანეთის ქედი, ახლოს – ნაკრას ხეობა. მის მარცხნივ და მარჯვნივ ამართულან კლდოვანი მთები, ზოგი თოვლით დაფარული. შორს, სამხრეთ-დასავლეთით, თვალს იტაცებს ლამაზი, თოვლიანი მწვერვალი შტავლერი (ქართულად «მერცხლის ბუდე»), ძირს – ხეობა, უდაბური ტყით მოსილი.

სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდობებს შორის განსხვავება დიდია.

გელა მეუბნება მთების და ხევების სახელებს. მანვე დამანახვა ის ადგილი, სადაც ჩვენებისათვის ცხენები უნდა მოვრეკოთ.

დიდხანს ვიქნებოდით ასე გაჩერებული და ამ სურათით მოჯადოებული, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მანძილი გვქონდა გასავლელი, დღეც უკვე იწურებოდა, და მარდი ნაბიჯით დავეშვი ძირს. ხან მივრბოდით და ხან თოვლზე მივსრიალებდით. მალე ჩავედით ხეობაში. თოვლიანი ადგილები რომ გავლიეთ, ერთბაშად შევედით მდელოთა სამეფოში...

მშვენიერ ყვავილებში მცირე მოგზაურობის შემდეგ მივადექით გიჟ და დაუდეგარ ნაკრას.

არ მესიამოვნა ამ ცივ საღამოს ცივსა და მოუსვენარ მდინარეში გასვლა.

გელამ ჯოხი გამოჭრა და მითხრა:

– შენ მოიცადე, ჯერ მე გავალ.

წყალში პირდაპირ შევიდა, ტანისამოსიანი, ჩემი ბარგით. წყალი წელს ზევით შემოსწვდა და წააბორძიკა კიდეც, მაგრამ ვერ წააქცია, იბრუნა პირი წყლის მიმართულებით, გეზად გავიდა მეორე ნაპირზე. მხოლოდ მშვენიერი სვანური ქუდი გადაუვარდა და წყალმა წაიღო.

ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე უნდა დავმდგარიყავი ამ სურათის მაყურებელი...

წყალში ჩავედი, წერაყინი მოვიმარჯვე. მაგრამ წერაყინმაც ვერ მიშველა: ისე მაგრა მომაწვა წყალი და ისე ამითამაშა ფეხები, რომ ვეღარ გავუძელი და წავიქეცი. კიდევ კარგი, რომ წაქცევისას მდინარის მეორე ნაპირის ახლოს ვიყავი. გელა გადმოხტა და მიშველა. ნაპირზე ავედი.

ყველაფერი დამისველდა. გამიფუჭდა მკერდის ჯიბეში შენახული ქალაღებები, ფული. ბიჯზომს ისარი მოსტყდა. გელა ისე შეწუხდა, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყოს. ცოტა შევჩერდით, შემოვიწურეთ ტანისამოსი და კვლავ ჩქარი ნაბიჯით გავწიეთ.

დადამდა, შავი ბინდი დაეცა არემარეს. გზა კი ჯერ დიდი გეჭონდა გასავლელი, მერე ნაკრას «გზა», ვეებერთელა ლოდებით მოფენილი, უცნაური «სახტომიალო». გელა იშვიათი სისწრაფით დახტოდა ამ ქვებზე და მეც მივყვებოდი, რაც შემემლო... შევედით ნაკრას ხეობის ტყეებში, იქ უკვე უკუნის სიბნელე იყო, ერთ მეტრზე გელას ვეღარ ვხედავდი. მიკვირდა, როგორ იკვლევდა გელა გზას. ასეთ დღეში გადავტოპეთ რამდენიმე გიჟი მდინარე. ამ სიბნელეში ისე მიდიოდა გელა, თითქოს ზეპირად იცოდა, სად რა ქვა იდო. მე კი ხანდახან ისე წამოვკრავდი ფეხს ქვას, დიდი სიფრთხილე რომ არ გამოემჩინა, მთლად დავიმტკრეოდი.

ერთ ადგილას წავიბორძიკე, პირქვე დავვარდი და სახე ქვას დავარტყი. სისხლმა იფეთქა. გავმახე გელას. იგი წამსვე ჩემთან გაჩნდა. ცხვირი ისე დამეჟეჟა, რომ ტუჩებთან მქონდა გასწორებული. სისხლს ვეღარ ვაჩერებდი, ორ ტოტად მოდიოდა.

გელა წუხდა, ბორგავდა. ქართულს კარგად ვერ ლაპარაკობდა და არ იცოდა, მწუხარება როგორ გამოეთქვა. გაჩერება აღარ შეიძლებოდა, რადგან სველები ვიყავით და ცივ ღამეში გავცივდებოდით. როცა სისხლის დენა შეწყდა, წავედით, სიარული სჯობდა სიცივისაგან კანკალს.

დიდი სამსახური გავვიწია ბაქსანიდან წამოღებულმა ცელმა. გელა წინ მიდიოდა, ცელს ქვებზე მიაწვრიალებდა და მეც მის ხმას მივყვებოდი.

გამოცდილ გელას მაინც აერია გზა. კლდე-ღრეებში ხეტიალის შემდეგ უკან შემოვბრუნდით. ტანისამოსი ოდნავ შეგვაშრა. წინ წასვლა აღარ შეიძლებოდა. გავშაღეთ ნაბადი, წამოვწექით. გვემინებოდა, მაგრამ ცახცახმა თვალი არ მოგვახუჭინა. ასე ვიყავით ორ-სამ საათს და ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა რიჟრაჟი შევნიშნეთ. გავწიეთ წინ. მალე მივაღწიეთ სოფელ ნაკრას. პირველსავე მოსახლეს ვთხოვეთ პური. მსხლითაც გავვიმასპინძლდნენ.

ავედით გელას სახლში, სადაც დაგვხვდნენ მისი დედა და და-მმანი. გულგაშლილად გავვიმასპინძლდნენ.

გელა არც კი დაჯდა: შენ ისაუზმე, მე ცხენებს ვიშოვიო, მითხრა და თვალს მიეფარა.

მცირე წაძინების შემდეგ მე და გელა გამოვბრუნდით ჩვენების შესახვედრად».

აი, სვიმონის მგზავრობა. მართლაც, დღისით ძლივს მოვდიოდით ამ ღორღიანებზე და როგორ გაიარეს მათ უმთვარო ღამეში?!

უბედური შემთხვევა

მხიარული გულით შევდივართ ნაკრას დაბურულ და უღრან ტყეში. ბარგი სულ ცხენებს და ჯორებს ჰკიდია.

ვესალმებით ტანწერწეტა სოჭებს. აგერ თვალუწვდენი კლდიდან გადმოჩქეფს ჩანჩქერი და ათიათას მარგალიტად ბრწყინავს მზის ელვარე სხივებზე.

უდარდელი და ლაღია გული, მაგრამ თითქოს ეს ჩვენი სიხარული შეშურდა ვიღაცას.

უკან ვიყავით ჩამორჩენილები. გავიარეთ დაბურული ბუჩქნარი. აგერ პატარა ტაფობზე შეკრებილან ჩვენები. ცხენები და ჯორები ლაღად დაეხეტებიან.

– რაშია საქმე, რა ამბავია?

გზა დავვიცალეს – და აი, ნაბადზე წევს თვალუბდახუჭული მარო ტყავამე, გაყვითლებული და ფერმკრთალი. ეტყობა, თავს ძალას ატანს და არა კვნესის. ცხენთან ახლოს მოდიოდა, ცხენი წაიქცა და მაროს დაეცა, ქვეშ მოიყოლა. ამ დროს მას ფეხში შეერჭო წერაყინის წვეტი, ირგვლივ სისხლი მოჩანს.

უხვევენ ჭრილობას. ჭრილობა კი ღრმაა, სახიფათოა. სისხლი რომ მოეწამლოს? უსუფთავებენ სპირტით და იოდით.

კრიჭა შეგვეკრა ყველას, ღიმილი გავვიქრა. ერთადერთი საზრუნავი ისღაა, როგორ წავიყვანოთ მარო, როგორ მოვიქცეთ, რომ ეს ყოფა შეეუმსუბუქოთ.

გამოვჭერთ საკაცე, თოკები გავხლართეთ, ჯერ ფოთლიანი ტოტები დავაგეთ, ზედ ნაბადი გავშაღეთ და მარო გადავაწვინეთ. ეტყობა, ტკივილი ძალზე აწუხებს, მაგრამ თავს იკავებს.

– გელა არა ჩანს? სად არის? — კითხულობს ვიღაც.

– წინ წავიდა, ცხენებს დაგახვედრებთო.

დატვირთული ცხენები წინ გავირეკეთ ოთხმა – სვიმონმა, გახამ, იაგორამ და მე. უკან სვენებ-სვენებით დაჭრილი მოჰყავდათ დანარჩენებს.

მალე შავ ტყეში შევედით.

ზღაპრულია ეს ტყე, იდუმალი. ხმა, კრინტი არსაიდან ისმის. მზის სხივიც კი ვერ ატანს ძირამდე. ვეებერთელა, ცამდის ატყორცნილი გოლიათები – სოჭები სქელი ხავსით შემოსილა. მათი ტოტებიდან ასი წლის მოხუცის ჭადარა წვერივით დაშვებულა გრძელი მღიერები. ნიადაგი მკვდარია, არსად არის მცენარის საფარი. აქა-იქ თავმოკვეთილი დევებივით წაქეულა ვეებერთელა ხეები. ბრძოლის ველზე დაცემულ, უპატრონოდ დატოვებულ ვაჟკაცებს ჰგვანან ისინი. ლპებიან და ესალმებიან სიცოცხლეს. ძირს დაცემული ხეები ხავსსა და გვიმრაშია გახვეული. ფრინველის ხმაც კი არსაიდან ისმის. იდუმალემა, სიჩუმეა ირგვლივ. ზღაპარში გაგონილ გაქვავებულ და მკვდარ ტყეს მაგონებს ეს უსაზღვრო იდუმალემა, ეს სიდიადე, ეს უზარმაზარი ხეები. მთელ არსებას იმორჩილებს ეს მყუდროება... ალაგ-ალაგ ძირს მოჩანს წყავის, ბამგისა და ათასში ერთხელ მოცვის ბუჩქები. ეტყობა, შავი ზღვის ჰავა ამ უღრან ტყეებშიც ამოჭრილა. ასეთი

მცენარეები შავი ზღვის სანაპიროებზე იცის.

არც ერთი ჩვენგანი ხმას არ იღებს და ამ სიდიადით განცვიფრებულნი მდუმარედ მივდივართ, თითქოს გვეშინია, ეს იდუმალეა არ დავარღვიოთ.

ხან ერთი ცხენი გადმოაგდებს ბარგს და ხან მეორე. ვუსწორებთ და კვლავ ჩუმად მივდივართ.

გზას ვიკვლევთ ნიშნებით – ნაძვისა და სოჭის ტანზე ცულით არის ჩამოთლილი ტაშტისოდენა ადგილი, ეს გზის მაჩვენებელია.

გადავიარეთ მდინარეები.

«როგორ გადმოიყვანენ ამ წყალზე ქალს», – ვამბობთ და ვიხედებით უკან. ამხანაგები ჯერ არა ჩანან. ნელა მოდიან, ძნელია საკაცის ტარება ასეთ გზებზე.

სევდაა ჩაწოლილი ჩვენს გულში და ამ სევდას აძლიერებს ეს ზღაპრულად იდუმალი ტყე.

ასალამოვდა. ბინდი ჩამოიპარა თვალუწვდენელი მწვერვალებიდან.

ტყეში შემოგვეგება გელა, ცხენი მოჰყავს, საუზმეც წამოუღია ჩვენთვის. გვკითხა მაროს ამბავი და იქითკენ გაქანდა.

ჩამობნელდა, ჩამოშავდა.

– აქ ფრთხილად, უფსკრულებია, – გვეუბნება სვიმონი და ჩვენც ვუმატებთ სიფრთხილეს, რადგან ნაკრას შხული და მუქარა ქვევიდან, ღამის წყვდიადიდან შემოგვეფხვს.

ვარსკვლავები აენთო, როდესაც ავიარეთ ტყიანი ქედი. თეთრ ტანზე ვცნობ ჩვენი ტყეების სიმშვენიერეს. ქოჩორა წიფელი უნდა იყოს.

გვესმის ძაღლის ყევა ძალიდან, თითქოს ციდან დაგვეფხვსო. ბილიკზე გამოჩნდა შუქი, წინ მოიწევს – კვარი უნთიათ და გვეგებებიან. გრიგოლია.

– მობრძანდით, მობრძანდით, მარო როგორ არის?

ჩამოგვართვეს ცხენები. ბალები და ახალგაზრდა ქალები ფუსფუსებენ.

კალოზე ცეცხლი ანთია, ვეებერთელა ქვაბებით რაღაც იხარშება.

და-ძმური სალამი. ხელებს დაგვაბანინეს.

– მობრძანდით, დაბრძანდით. დაილაღენით? – გვეპატიჟება ახალგაზრდა ქალი. საუზმე მოაქვს.

ესენი გელას და-ძმები არიან.

გვავიწყდება დაღლა, გამოვლილი გრძელი გზა. მცირე ხნის შემდეგ ქშენით შემოვიდნენ რომანოზი და გელა: საკაცით მარო მოიყვანეს.

ფრთხილად დაასვენეს. მაროს დაღლა და გატანჯვა ეტყობა. გელას და რომანოზს ტანისამოსი მთლად სველი აქვთ ოფლისგან, მძიმედ სუნთქავენ, მაგრამ მაინც გვიღიმიან.

— ნეტავ ეს არ მოსვლოდა მაროს და... – შემომჩივის რომანოზი.

იმდენადაა შეწუხებული, რომ მე ვამშვიდებ.

კალოს პირას ფარდულია, გამოიტანეს თივა, სუფთა ლოგინი და მარო ქალებმა ფრთხილად ზედ გადაასვენეს. თავს ევლებიან.

მცირე ხნის შემდეგ მოვიდნენ ლევანი და გიორგი, ოფლში გაწურულები.

– ქაჯები არიან პირდაპირ, ქაჯები! – ქშენით ამბობს გიორგი.

ეს შეეხებოდა გელას და რომანოზს. თურმე მოვიდნენ თუ არა, ჩამოართვეს საკაცე, შეასწორეს, გაიდეს მხრებზე და ისე სწრაფად წამოვიდნენ, რომ ჩვენები უკან ჩამორჩნენ. ლევანი და გიორგი, როგორც ყველაზე ძლიერები, უკან გამოჰყვნენ შესაცვლელად. ეხვეწნენ გზაში – ჩვენც ვატარებთო, მაგრამ გაგონება არც კი უნდოდათ თურმე, არაფრის გულისთვის არ შეინაცვლეს: ჩვენს სახლში ხართ, ახლა ვეღარ შეგაწუხებთო, – ეუბნებოდნენ. ბოლოს ვეღარც გიორგიმ და ლევანმა შეძლეს მათთან სიარული და ჩამორჩნენ.

– ქაჯები ყოფილან – იმეორებს კიდევ გიორგი. უკვირს მათი გამძლეობა: ათ კილომეტრზე მეტი შეუსვენებლივ ატარეს, ატარეს სახიფათო ბილიკზე, იმდენად სახიფათოზე, რომ მარო ერთხელ კინაღამ გადმოვარდა და ეს ვერ უპატიებიათ თავისთვის. თვითონ მარო ამშვიდებდა მათ.

მოაღწიეს ჩამორჩენილებმაც. ზოგი გზას ასცდენია, ტყეში სხვა ბილიკზე გადაუხვევია და, ალბათ, ახლა ტყე-ღრეში დაეხეტება. გრიგოლმა დაჩეხა კვარის კუნძი და ხუთი სვანი კვარის ჩირაღდნებით ხელში ჩაჰყვა ბილიკს, გაისმა რამდენიმე თოფის ხმა და გამოძახილმა დაიგუგუნა მთებში.

მცირე ხნის შემდეგ ყველამ უკლებლივ თავი მოვიყარეთ. გაშალეს სუფრა. გელამ ხბო დაგვიკლა თურმე, ქალებმა ხაჭაპურები დააცხვეს და გაჩაღდა საგულისგულო ქეიფი. გელა თავს დაგვტრიალებს: არ მოიწყინოთ, ძმებო, ოჯახი არ დამიძრახოთო, ამბობს და ხან ერთს ამოგვიდგება გვერდში და ხან მეორეს. მისი მეზობლებიც მოსულან, – ჩვენი გართობა სურთ.

უხარიათ, რომ «ჰინგიტაუ»¹⁶ ასე ადვილად და მშვიდობით დავძლიეთ. ქართველების სახელი ყველგან წავაო, – გვეუბნებიან.

უკვე გუგუნებს სვანური «ლილე», გუგუნებს ძლიერად, ამაყად.

მხირულმა და ლამაზმა «ჰოუ ბუბა ქაქუჩელამ» დაირბინა მთის ხეები და ორწოხები. საკვირცელია, რომ ამ სალ კლდეებში, სადაც ყოველი ნაბიჯი ბრძოლაა არსებობისთვის, ასეთი კეკლუცი და სხარტი სიმღერა

წარმოიშვა, თუმცა ამ სიკვლეუცემიც ისმის ზოგჯერ ნაღველი და სევდა...

ძირს მიქრის და მიქუხს ნაკრა. თოვლიანი მთები ზევიდან დაგვცქერიან.

«ჰოუ, ბუბა ქაქუჩელა» კი დანავარდობს ნიავეთან ერთად.

– აბა, ცეკვა, ცეკვა!

ვის ახსოვს დადლილობა და დაქანცულობა?! სიმღერა ვარსკვლავებისაკენ მიქრის მისასალმებლად, ისეთი დიადი და მხიარულია იგი...

«შიამოდი, შამარერა», – მღერის გუნდი და ტრიალებს ფეხის თითებზე გელა, მსუბუქად უვლის გრიგოლი.

ეს ხომ ძველისძველი ცეკვაა, დანარჩენ საქართველოში გადავარდნილი, დავიწყებას მიცემული. მერე რა ლამაზი, რა პლასტიური და მსუბუქია!

უფრო ძლიერია და მედგარი «ვაურაშა», თავისუფალი სულის ჟღერა – სიმღერა და როკვა, პირველი ადამიანის ვედრებას რომ ჰგავს.

– დადლილები ხართ, მოისვენეთ: ფარდულქვეშ თივაა გამლილი, ზედ ფარდაგებია დაგებული.

რამდენიმე კაცი სათივეში მივდივართ. ფარდულქვეშ ჩვენი ქალები მოეწყვენ. აგერ მათთან სხედან გელას დები, ხელში ჩანგი უჭირავთ და წყნარი, ნელი სიმღერით ლექსებს უმღერიან.

დედის ტკბილ იავნანასავით ისმის მათი სიმღერა.

სმენად და მზერად ვარ გადაქცეული. ცეცხლის ალზე მკრთალად ჩანან მომღერალთა მოწყენილი სახეები. მწუხრისაა ეს სიმღერა, ძილისპირული.

– იცი, ნიკო, რა არის ეგ ჩანგი? – მეკითხება გრიგოლი.

– არა, ჩემო გრიგოლ, არ ვიცი.

– ეგ ჩანგი ვაჟკაცის მარჯვენაა, – და მიაბობს ლეგენდას ჩანგის შესახებ.

«სვანეთში იყო ერთი მოხუცი. ერთი შვილის მეტი მას არავინ გააჩნდა. ერთხელ სვანები საომრად წავიდნენ. მოხუცის შვილი რაღად დარჩებოდა სახლში? ისიც ვაჟკაცი იყო. გალესა ხმალი, გამართა მშვილდ-ისარი და წავიდა. კაი ხნის შემდეგ დაბრუნდა სვანთა ლაშქარი, მაგრამ მოხუცის შვილი აღარ ერია მათში. იქ, ბრძოლის ველზე დარჩა გულგანგმირული. ჩაიცვა მოხუცმა რკინის ქალამანი, დაიჭირა რკინის ჯოხი და დიდი ხნის ძებნის შემდეგ მიადგა ბრძოლის ველს. დიდხანს ეძება, მაგრამ ვერსად იპოვა მოკლული. დევთა ნაომარს ჰგავდა ბრძოლის ველი. ირგვლივ ადამიანის ძვლები ეყარა. დაამტერდა ერთ ჩონჩხს. საცვეთებზე იცნო საყვარელი შვილი. ხმალი გვერდით ეგდო. მთლად გახრწნილიყო, მხოლოდ ერთ მკლავს შეხმობოდა ზედ ტყავი და მოხრილი დარჩენილიყო. ძარღვები ამოწეულიყვნენ და ლარებივით გაბმულიყვნენ. ჩამოუსვა ხელი და დაიკვნესა, დაიკვნესა ისევე მწუხარედ, როგორც მწუხარე იყო ამ მოხუცის სული. აღარ მოიშორა მან ეს თავისი ახალი ჩანგი და ზედ დამღეროდა თავის უბედო ბედს, რომელმაც ერთი შვილიც კი დაიშურა მისთვის. მას შემდეგ სვანეთში დარჩა ასეთი ჩანგი და ზედ დამღერა იმ მოხუცის მწუხარებას. აი, რა არის ჩანგი».

მესმის ნელი და ნაღვლიანი სიმღერა. მართლაც, სიმღერაში ჩანს იმ მოხუცის ცრემლი, მოისმის მისი სევდა და მწუხარება.

ძირს კი მოუსვენრად მიექანებოდა ნაკრა, საიდუმლოდ შრიალებდა შავი ტყე და ზღაპრული დევებივით იხატებოდა ბუმბერაზი მთების სილუეტები.

ათასში ერთხელ ძაღლის ყრუ ყეფა გაიჭრებოდა შავ ღამეში და შორეული მთების იქით დაიკარგებოდა.

ნაკრას ტალღების ჩქერასთან ერთად კვლავ მესმოდა ძლიერი და დიადი «ლილე».

სვანთა ჯომარდობა

მშვენიერ ადგილას დგას გელას სახლი: პატარა ტაფობი, ირგვლივ ტყით შემოსილი, ამწვანებული მთები, იქვე ძირს სათიბეები და ყანები. ეს საზაფხულო სახლია¹⁷ ხისგან აშენებული.

აქ მოჰყავს სიმინდი, პური, ბოსტნეული, ამზადებს თივას, საზამთროდ კი სოფელში ჩადის, თავრარში.

ქვემოთ, ნაკრას ხეობისაკენ გადავიხედე. მრავლად არის იქ გაფანტული ასეთი სახლები. აქ ახალი ადგილებია გატეხილი, ახოვბია გაკეთებული, ზოგი ზამთარშიც აქ რჩება.

მინდა ნათესები დავათვალიერო და მე და გრიგოლი მივდივართ ქვევით. გრიგოლს არ უკვირს, როდესაც ყანაში შევდივარ და ბალახს ძირიანად ვიღებ, არც ის უკვირს, რომ აზგაში ფრთხილად ვალაგებ.

– მრავალი სარეველა ბალახი ურევია თქვენს ყანებს, გრიგოლ!

– ეგ გვაწუხებს ძალიან. ახლა შენ იცი, იქნებ მაგის წამალი გვასწავლო რამე.

ვებასები და გრიგოლიც გულდინჯად მიგდებს ყურს. ნაუბარი ჭკუაში უჯდება, ზოგჯერ მისწორებს კიდევ: ეგ კარგია, მაგრამ ჩვენში არ გამოდგებაო. მომწონს მისი დაკვირვება. ბუნებას კარგად იცნობს, თითქმის ყველა მცენარის სახელს მეუბნება და მეც სიამოვნებით ვიწერ.

დღემდე გამეგონა: სვანეთში ქერის მეტი არაფერი მოდისო, მაგრამ ეს მართალი არ აღმოჩნდა. არა თუ ქერი, აქაურ პურის ნათესებში 15 სხვადასხვა ჯიშის პური დავითვალე, მათ შორის შავი დიკაც, რომელიც საქართველოს სხვა ნაწილში იშვიათია, ხოლო საქართველოს გარდა არსად მოიპოვება.

პურეულთან ერთად მრავლად არის სიმინდი, ლობიო და ნაირ-ნაირი ბოსტნეული. კარტოფილისა და ბარდას ნათესიც ხშირად მხვდებოდა.

აქ სახნავ-ნათესი სახლის გარშემოა, ქვის ყორეთი ან ხით შემოფარგლული და შემოღობილი, რომ საქონელი არ შევიდეს, რადგან ის აქ თავისუფლად არის გაშვებული.

ერთ ყანაში ვიდექი და ვარჩევდი სხვადასხვა თავთავს, ფრთხილად ვახვევდი ქაღალდებში.

– ვინა ხარ, ყანას რომ გვიძარცვავ?

მომესმა რიხიანი ხმა და ჩემ წინ აიძვრა წარმოსადგეგი, მაღალი ტანის, ხანშიშესული ქალი. გვერდით ახალგაზრდა ახლდა, მომღიმარი და პირმცინარი, რომელიც ჩემს აბგას შესცქეროდა და წარწერას კითხულობდა.

თავმდაბლად მივესალმე, მოწიწებით დაუკარი თავი. მის ოჯახში ვიყავი მის დაუკითხავად მისული.

– თქვენი მოსვლა გავიგეთ, გვესიამოვნა. შენც მაგ ყანის ნიმუშებს, ალბათ, სასიკეთოდ იღებ. მოზრმანდით სახლის კარს, დაისვენეთ. გრიგოლ, წამოდით! – გასძახა გრიგოლს, რომელიც ჩრდილში იჯდა და თხილს შეექცეოდა.

ერდოზე მიგვიწვია, ახალგაზრდა ქალმა კალათით ტკბილი პანტა გამოიტანა, მწიფეს გვირჩევდა და გვთავაზობდა. ბოდის იხდიდა, – სხვა ვერაფრით გაგიმასპინძლებდითო.

ახალგაზრდამ ქართული წერა-კითხვა იცოდა, კარგად კითხულობდა, მაგრამ შემომჩვილა – წიგნები არა მაქვს საკითხავიო. ქაღალდი მივეცი. გაუხარდა: ამდენი ქაღალდი ერთად არასოდეს მინახავსო.

მოხუცმა ჭრელი ძაფით მოქარგული ქისა ამოიღო, ყალიონი მოფშენტილი თუთუნით აავსო (ყოველი სვანი თავის სამყოფ წვეკოს თესავს) და ცეცხლი მოუკიდა.

ჩემს გაკვირვებაზე მიპასუხა: ბებერი ქალები ვეწევით თუთუნსო.

მზე საშუადღეოზე იყო აწეული, როდესაც მე და გრიგოლი ნელი ბაასით გელას სახლს მივუახლოვდით. ხალხს მრავლად მოეყარა თავი. ახლომახლო მოსახლეებიც მოსულიყვნენ, ებაასებოდნენ ჩვენებს. რიგი მღერის, რიგი ჩანგზე დალიდინებს და რიგი ჯომარდობაში ეჯიბრება ჩვენებს.

ჩვენ შორის საუკეთესო ჯომარდები არიან. მიტრო მიქაბერიძემ რამდენჯერმე საკავშირო შეჯიბრებაზე ჯილდოც აიღო, მაგრამ აი, აქ ეს მთის შვილები პირველობას ედავებიან.

– მჯობნიან, კაცო, მჯობნიან! – შემომცინა მიტრომ და ქვის სასროლად მოემზადა.

ქვის სროლა ძველ ბერძნულ ყაიდაზე აქ უფრო ლამაზია. შორ მანძილზეც ტყორცნიან, გადააჭარბა ბევრით გრიგოლის გატყორცნილმა ქვამ.

ჭოკით ხტომა – რა თავისუფალი, თავისებურია! თბილისში მინახავს ჭოკით ხტომა, საუკეთესო ჯომარდების ვარჯიში, მაგრამ გრიგოლის ხტომა უფრო მოხდენილი იყო.

– სვანები პირველ ადგილს დაიჭერენ ჯომარდობაში, – ამბობს გახარებული გიორგი.

აქ ჯომარდობა ჩვეულებრივი მოვლენაა. დღეობებში იმართება შეჯიბრი: ქვის ტყორცნა, სირბილი სისწრაფეზე და მანძილზე, ხტომა. ვინ იცის, იქნებ არგონავტები პირველად რომ მოადგნენ კოლხეთის ნაპირს, მათგან გადაიღეს ქართველებმა ასეთი სახე ჯომარდობისა.

განა მათი ფერხული იგივე დიდი ჯომარდობა არ არის? რამდენი მოძრაობაა შიგ, რთული ვარჯიში სიმღერით და ლექსით.

აი ჩაებნენ. ოცდაათზე მეტია. თანაბრად, მწყობრად გადგეს მარჯვენა ფეხი წინ და დასძახეს წყნარი და ძლიერი სიმღერა. ნელა და დინჯად მოძრაობს ფეხი და უვლის წრეს. ეს «ლამქრულია».

სვანები საბრძოლველად წავიდნენ აფხაზეთში, იქ ბრძოლაში გაიმარჯვეს და სახლში დაბრუნებისას შექმნეს ეს სიმღერა და ცეკვა.

პირველი ჩავლა დინჯია და დარბაისლური, თითქოს სამზადისიაო ბრძოლის წინ, ყოველი ნაბიჯი გაზომილია.

თანდათან ეს ნელი მოძრაობა სისწრაფეში გადადის – მეტი სიცოცხლეა, მეტი სიმღერე. ხმაც უფრო მწუხარია და ანთებული. აქ უკვე შეტევაა, იერიშით გადადიან და, მართლაც, ხელჩართულ ბრძოლას ჰგავს იგი, სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებას.

ერთი უყურე, რა ანთებული და გაბრწყინებულია გრიგოლის სახე, რა მკვეთრია მისი ფეხი მოძრაობა! დაადგამს ფეხს, ამასთანავე ისე ძლიერად, თითქოს მიწასაც კი უნდა გააგებინოს თავისი ზეიმი და გამარჯვება. რა სიხარულით არის აღტაცებული მოხუცი ქალდანაც კი. ვინ იტყვის, რომ ახლა იგი 70 წლისაა. პირიქით, ჭაბუკსა ჰგავს, ყაბახზე საკისკასოდ განავარდებულს.

— შნოიანი ხალხი ყოფილა, ლაზათიანი. სიხარულიც სცოდნიათ, ძმაც და ჭირიც ადვილი ასატანი იქნება ამათთვის. კაი მკლავმაგარი ბიჭებია, – მეუბნებიან იაგორა და გახა.

აი, შემოსძახეს სხვა სიმღერა, ცეკვაც სხვაა. წყვილ-წყვილად გადახვიეს ხელი ერთმანეთს და თანაბრად, მწყობრად ჩამოუარეს. რიტმი უჩვეულოა: თუ ერთსაც შეეშალა, წყვილის თამაშობა ჩაიშლება. ჩამოვლა სწრაფია და მარდი. მთელმა წრემ წყვილ-წყვილად უნდა ჩაიაროს. კოპწია და ეშხიანია ქალთა თამაში და ცეკვა, ფეხის წვერებზე შედგომა. ცეკვა შეფარდებულია სიმღერასთან და მოძახილთან, უამისოდ ცეკვა არ ივარგებს.

რომელი ერთი ცეკვა ჩამოვთვალო: 9 სხვადასხვა ფერხული და ცეკვა ვნახეთ დღეს, სხვადასხვა სიმღერით და ლექსით დამშვენებული.

დღეს დღეობაა. გელას ეზო სიხარულით და სიამოვნებითაა სავსე და გელაც თვალეზგაბრწყინებული გვევლება თავს. ხან მაროსთან მიირბენს, მიუჯდება გვერდით და ლამობს მის გართობას, ამ საერთო სიხარულში არც მარო იყო დავიწყებული. დილით ადრე გაგვზავნეთ კაცი ექიმისათვის ლახამულაში და შუადღეს გამოჩნდა კიდევ იგი.

ფეხმაგარ ჯორს მარდად მოათოხარიკებდა. გამოვეგებეთ, გაგვიხარდა, თბილისელი ნაცნობი აღმოჩნდა, ჩვენი უნივერსიტეტი დაამთავრა.

მას უფრო გაეხარდა ჩვენი ნახვა. სვანეთში ერთად ამდენი თბილისელის ნახვა სწორედ რომ იშვიათი მოვლენაა, – გვეუბნებოდა მხიარულად და მაროს ჭრილობას უხვევდა.

დაგვამშვიდა და გაგვახარა – საშიში არ არისო.

მალე გაიმართა მიზანში სროლაც. ფრთხილად ვესვრით. კარგი მსროლელები არიან სვანეთში და არ გვინდა, თავი შევირცხვინოთ...

გელას დამ გამოართვა იაგორას თოფი – მე უნდა ვესროლოო. ვაჟკაცურად გახედა სამიზნეს და არც ააცდინა.

– ყოჩაღ, დინა¹⁸, ყოჩაღ.

მართლა რომ დიანას ჰგავს, ბერძნული მითოლოგიის ნადირობის ღმერთს. იქნებ სახელი დინა დიანასგან იყოს წარმოშობილი?

სანდრო, ჩვენი მწე, გახარებული დარბის – კაცო, ფულის აღება არაფერში უნდათ, ჩვენი სტუმრები ხართო, ფულს როგორ გამოგართმევთო.

შუადღის შემდეგ გრიგოლი და რომანოზი მიდიან, ისინი ჭვიბერში ცხოვრობენ, ახალ სვანეთში, უთვირის გადასასვლელის იქით. მათ მიჰყვება ჩვენი თანამგზავრი, «პრავდას» კორესპონდენტი უსიგინი¹⁹. ვატანთ დეპეშებს, წერილებს.

ვუცქერი უთვირის გადასასვლელს, თოვლიანი შტავლერის ლამაზ მწვერვალს.

მთებს იქით ახალი სვანეთია, ჭვიბერი. ამ ორმოცი წლის წინ დასახლდნენ იქ სვანები. ჭვიბერშიაც მივალთ. გრიგოლი ხომ ასე სიყვარულით გვეპატიჟება იქითკენ. ყველას ძმურად გვეხვევა გამომშვიდობებისას. ენანება წასვლა, მაგრამ იმედი აქვს, რომ ჭვიბერში შევხვდებით.

უშბა

ბეჩოსკენ მივემგზავრებით 20 აგვისტოს.

ნაკრას ხეობას ვემშვიდობებით, აქედან გადავალთ «სადადემქელიანო» სვანეთში.

მივიწევთ მალლა, ფერდობი ნამვისა და სოჭის ტყითაა დაფარული, ქვეტყედ იელი გაშლილა და თავისი ყვითელი ყვავილებით შემოგვცინის.

ჩვენთან მოდიან სვანებიც, ბარგით დატვირთული ჯორებით. ერთმა ჯორს აბგა მოხსნა და ზურგზე მოიკიდა. გამიკვირდა, ვკითხე.

– ისედაც ბევრი ბარგი ჰკიდა, დამეღლება, მალე გაფუჭდება. საქონელს იმდენი უნდა აზიდვინო, რამდენსაც შეძლებს, – მიპასუხა და სიყვარულით გადაუსვა ხელი კისერზე.

მომეწონა ასეთი მოპყრობა საქონლისადმი. ან რა ქნას? ასე რომ არ მოუაროს, მალე დაუვარდება და შემდეგ ტვირთი თვითონ უნდა ზიდოს. სვანი ხომ ცხენით მოეზიდება მთელ სარჩოს. მიწა ცოტა აქვთ, წლის სარჩო საკმარისი არ მოსდით და დანაკლისს ბარიდან მოტანილით ივსებენ. ამ გზებზე მხოლოდ ფეხმაგარი ცხენი და ჯორი თუ გაივლის.

ავედით გადასასვლელებზე. ჩვენ თვალწინ ენგურის ხეობა გადაიშალა. ძირს, სადღაც ხრამებში მიიკლავნება ყველაზე მოუსვენარი მდინარე – ენგური. მის ნაპირებზე, მთის ფერდობებზე, შეფენილია სვანური სოფლები, 10 —15 კომლი მოჩანს თითო სოფელში. ყოველი სოფლის გარშემო ათასფრად აჭრელებულა ნათესები, თითქოს პატარ-პატარა, ნაირ-ნაირი ხალიჩები აგიაო მთის ფერდობებზე. აქ დათესილია: დოლის პური – წითელი და თეთრი, შავფხა დიკა – ფხიანი და უფხო, ფეტვი, კარტოფილი, სიმინდი, ცერცვი, ბარდა, ოსპი და ყოველი სახლის მახლობლად – კანაფი. კანაფს აქვე ამუშავებენ, ქსოვენ და თოკად გრეხენ. უკანაფოდ სვანეთის ოჯახი არ ვარგაო, – მეუბნება ერთი სვანი.

მარცხნივ კი გაწოლილა **სვანეთის ქედი**, რომელსაც ამშვენებს ბროლის გვირგვინოსანი, ლამაზი მწვერვალი **ლაილაჰ**. მოჩანს დაბურული ტყეები, წიწვიანი მცენარეები: ფიჭვი, სოჭი და ნამვი. სავარცხლის კბილებივით გადასდევნის ისინი ქედის მწვერვალებს.

ორ ქედს შორის არის შეყუჟული სვანეთი, ენგურის ვიწრო ხეობაში. ლამაზია, მაგრამ საცხოვრებლად ძნელი და მოუხერხებელი. მეტად ვიწროა, ფერდობებზე ალაგ-ალაგ მწირი ადგილებია, სადაც თესვა და ჭირნახულის მოყვანა შეიძლება. აქ მოყვანილი მართლაც რომ ჭირნახულია.

ჩავიარეთ სოფელი ლაშხრა, სოფელი თავრალი, აქედან მე, სვიმონი და ლევანი სოფელ ლახამულაში წავედით, ენგურის ნაპირას. სვანეთის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გვთხოვდა, იქით ჩავვევლო. ჩვენ მასთან ახლა საბოდიშოდ მივდიოდით, რომ ყველანი ვერ ვახერხებდით იქით ჩავალას.

თავრალიდან გზა დაღმართზე ეშვება, ქვევით, ენგურისაკენ. ფერდობი მუხნარით არის დაფარული, ადგილ-ადგილ ფიჭვი და ნამვიც მოჩანს.

პირველად გზა მშენებელი იყო. შემდეგ კი, ალბათ, ნამდვილ გზას ავცდით, მაგრამ ჩვენ მაინც მივდივართ. ზოგან გზა იმდენად შვეულია, რომ ხის ტოტებს ვეკიდებით და ისე ჩავდივართ მეორე ხის ძირამდე, რათა იქიდანაც იმავე გზით ჩავიდეთ. მოკლე შარვლები გვაცვია. ფეხები მთლად დაგვისისხლიანდა, დაგვეკაწრა, ფეხი სხლტება. გავიხადეთ ფეხსაცმელი და ფეხშიშველნი მივდივართ. ბანდულები მაინც წამოგველო.

ფეხშიშველა სიარული უფრო ადვილია, ფეხი აღარ სხლტება, მაგრამ წვრილი ხრეში არ გვასვენებს. იქ, სადაც ტყე შეთხელებულია და მზე სწვდება ნიადაგს, გავლა აუტანელია. ქვა მზისაგან ისეა გახურებული, ფეხისგულეებს გვწვავს. ერთ შვეულ ჩამონანგრევს გავყევით. მივდივართ ფრთხილად, კლდეს ვეკვრით, ცხელ ქვებს ყურადღებას აღარ ვაქცევთ: რა დროს ესაა, ფეხი რომ დაგვისხლტეს, თავრარის მდინარეში ამოვყოფთ თავს და დავიღუპებით.

დიდი ვაივაგლახით ჩავედით მდინარის ნაპირამდე, სულს ძლივს ვითქვამთ.

იქვე პიტალო კლდიდან წყალი გადმოდის წვრილად, გავსინჯეთ, მჟავაა, სასმელად სასიამოვნო. ერთი ჭირი მარგებელიაო, – აქ რომ არ ჩამოვსულიყავით, ამ წყალს ვერ ვნახავდით. სული მოვითქვით და მდინარის მეორე ნაპირზე გავედით. იქიდან პატარა სვანმა გავვიყვანა გზაზე, «იქ თხები დადიან მარტო, თქვენ რამ ავიყვანათო». ქართულს კარგად ლაპარაკობს, სკოლაში დადის.

შარაგზას გავყევით. ეს შარაგზა ადგილ-ადგილ ერთი მეტრის სიგანეა, ენგურის ნაპირს მისდევს, ენგურის შავი ტალღები ეხეთქება ნაპირებს და მოსვენებას არ აძლევს. ის ყველაზე ჩქარი მდინარეა ამ მთებში, ანგრევს და ანადგურებს, რაც გზაზე ხვდება, ვეებერთელა კლდეებს ნაკუწ-ნაკუწ აქცევს, ფშვნის და მიაქანებს ქვევით, რომ იქ, სამეგრელოს ვაკე ადგილებზე დატოვოს.

ლახამულას გადავხედეთ. ყანები აღებულია, აქა-იქ არის მხოლოდ დარჩენილი. თითქოს უეცრად გახურებულ თონეში მოვხვდითო, ისეთი სიცხე ვიგრძენით, აღმური იდგა ირგვლივ. გზის ნაპირზე დამხვდა ჩვენი ველების მცენარე – ურო. ამან გამაკვირვა: ეს მცენარე ცხელ ადგილებში იცის. თბილისის მიდამოებში მრავლად არის, ხრიოკ ადგილებზე მშენებლად ხარობს და, უეცრად აქ – სვანეთის მთებში!

– აქ, ალბათ, ვაზიც იქნება, – ვამბობ და მეცინება. ამ ორი საათის წინ მარადიულ თოვლთან ვიყავით და უეცრად გავჩნდით ვაზებთან და მშრალი ადგილების მცენარეებთან. საკვირველია!

ამ სიცხეს იწვევს ის, რომ ფერდობი სამხრეთისკენ არის მიქცეული და მოტიტვლებული კლდეები (ტყე უკვე გაუნადგურებით) ძალზე ხურდება მზის სხივებით.

გზის ნაპირას დგას კაკლის ხისოდენა ვაშლი და პანტა. ორივეს კარგად ასხია, ნაყოფით დახუნძლული ტოტები ძირსაა დახრილი, ფოთოლი აღარც კი ეტყობა. პირს ვისვლებთ. მართალია, მწკლარტეა და მჟავა, მაგრამ ვინ დაგიდევს ამას.

ლახამულაში აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე არ დაგვხვდა, უკვე წასულიყო. გავიხარდა, რომ საბოლოოდ აღარავისთან გვქონდა. გულლიად დაგვიხვდა იქაური მასწავლებელი. ცაცხვის ჩრდილში მიგვიწვია, მოატანინა მჟავა წყალი, ქლიავის ხიდან შეთვალული ნაყოფი ჩამოგვიკრიფა და გავაბით საუბარი.

შესანიშნავია ეს ცაცხვი, წინათ მის ჩრდილში განცხრომით იწვა თავადი დადემქელიანი და აქ იღებდა ყმათაგან გადასახადს. დღეს მის ქვეშ კომკავშირელთა კედლის გაზეთია გაკრული. ახალი სინათლე ამ მთებშიც მძლავრად შემოჭრილა. გამიხარდა.

ვნახეთ ექიმი და სუფთა ამბულატორია, ხალხი ექიმს პატივისცემით ეპყრობა. ექიმბაშები თანდათან ქრებიან.

არ შევმცდარვარ, როდესაც ხუმრობით ვთქვი: აქ ვაზი იქნება-მეთქი. ამბულატორიის წინ ვაზების მშენებელი ფანჩატური იყო გამართული. ჩემი და ლევანის სიხარული გაუკვირდათ კიდევ. ვაზი მწიფდება და არც იყინება თურმე. ადგილი იმდენი არ არის, თორემ ვენახიც გაშენდებაო, – მეუბნებიან. ტოტები მოვტეხე სანიმუშოდ. როდესაც ლევანი ნაცრით დაავადებულ ფოთლებს არჩევდა, სვანებმა «მცენარის დობტორი» დაარქვეს. ვაზი იზაბელა აღმოჩნდა. ანეროდს დავხედე – 1250 მ. მიჩვენა. შვეიცარიის ალპებში იტალიური ვაზი 1150 მ. სიმაღლეზე ხარობს. ჩვენში უფრო მაღლა ადის.

მთელი სოფელი სავსეა პანტისა და მაჟალოს უზარმაზარი ხეებით.

გვიგვიანდება და ჩვენც ჩქარი ნაბიჯით ვტოვებთ ლახამულას. სოფელ ლიჰაში ინგლისელები ვეგონეთ, ეუცხოვრათ მოკლე შარვლები, არ დაგვიჯერეს, ქართული ლაპარაკი მიღეთის ხალხმა იცისო, დავუსახელეთ სვანები და ვუთხარით ზოგი მათგანი ჩვენი ამხანაგები არიანო. მხოლოდ მაშინ გავვიხსნეს გული, მიგვიპატიჟეს სახლში, ნამგზავრები ხართ, შეისვენეთ, შენაყრდითო. გვთხოვეს, ბარად სვანეთის სასარგებლო სიტყვა გვეთქვა – გზა გაეყვანათ და დაემთავრებინათ.

ლიჰაში ვაზი ბევრია, ოცდაათი ძირი მაინც არის პანტაზე და ვაშლის უზარმაზარ ხეებზე ასული.

სოფლის გარეთ, კალოს პირას პურს ასუფთავებდნენ. წყაროს ქვეშ ხის დიდი ნავი იდგა. ნავი წყლით იყო სავსე. შიგ ჩაეყარათ კალოდან აკრეფილი პური და ურევდნენ. განიავების შემდეგ დარჩენილი ზუე და ბუნჩო ნავზე გადმოდიოდა, ძირს კი პური რჩებოდა. ზუე რომ მოაცილეს, ნავს ტომარა შეუდგეს და პატარა ნიჩბით აურიეს. პური ტომარაში ჩადიოდა, ძირს კი კენჭი და მსხვილი ქვა რჩებოდა.



უშბა მესტია-ბეროს გზიდან

ასე გარეცხილ პურს მზეზე აშრობენ.

რამდენი ენერგია, რამდენი შრომა იხარჯება!

გადმოვიარეთ ეცერი. იქ დადემქელიანები, სვანეთის ფეოდალები ცხოვრობდნენ, მათ შესახებ სასახლის ნანგრევებია ლაპარაკობს. კარგს ადგილასაა ეცერი: გაშლილ ფერდობზე პატარ-პატარა სოფლები ანკარა ნაკადულებით არის დასერილი.

ყანები ბარაქიანი და დოვლათიანია, თავთავი ძირს დაუხრია. წელზევით მცემს ყანა. ასეთი ბარდაც იშვიათად მინახავს. ზევით მოჩანს სოფელი **კურაში** დადემქელიანთა სასახლის ნანგრევებით. მხოლოდ კოშკი დგას ისევ ამაყად და გადმოსცქერის ეცერის მთელ თემს, რომელიც ხელისგულივით არის გადაშლილი...

დადემქელიანთა დრო წავიდა. ამ სასახლეში დღეს პატარა სვანები სწავლობენ. მათ სამუდამოდ მოიშორეს მამა-პაპათა გაჭირვება და მწუხარება. ამ ძველ ნანაგრევებზე ახალი შენობა და ცხოვრება უნდა აიგოს.

გვინდა დარჩენა, ყველაფრის დათვალიერება, მაგრამ თან არა გვაქვს რა, ნაბდები ჩვენებმა წაიღეს. ამაღამვე უნდა მივიდეთ.

მზე გადაიწვერა, როცა ეცერს მოვცილდით და გაკრული მგლური ნაბიჯით გავწიეთ ბეროსკენ. მივდივართ ენგურის ნაპირით, ის ჩვენ ქვევით მიქუხს. ვიცქირებით ძირს. გზის ორივე მხარეზე თხილის ხშირი ჭალებია, ალაგ-ალაგ ნაყოფით დატვირთული, ვივსებთ ჯიბეებს და გზადაგზა მივამტვრევთ.

დასავლეთი აწითლდა და აელვარდა ჩამავალი ზის სხივებით, არ ვიცით, ბერომდე რამდენი გვიკლია და მივისწავფვით წინ, არ გვინდა გზაში დაგვიღამდეს.

გადავიარეთ მთის ფერდობი – ერთი, მეორე. გზა უეცრად ჩრდილოეთისაკენ უხვევს. სამივე გაქვავებული შევდექით.

მწვანე მთების კალთებს შორის ამართულა მრისხანე უშბა. წელში გამართული და კოპებშეკრული გვიცქერის. საომრად გამზადებულ შაჟროხიან ვაჟკაცს ჰგავს, თავზე ბროლის მუზარადად ყინული ადევს, აბჯრად და ჩოხად შავი კლდე ჩაუცვამს.

რა მრისხანეა, რა ვაჟკაცური!

ჩამავალი მზის სხივებზე ელვარებს მისი მწვერვალი და ეს უფრო ამშვენებს მას.

დიდხანს ვიდექით, არ გვინდოდა თვალის მოშორება. გზა წერაყინის წვერით იყო დაკაწრული. აქ ჩვენებს უკვე გაუვლიათ და ჩანს, ისინიც მოუჯადოვებია უშბას ვაჟკაცობას და მრისხანებას.

იგი ჟრუანტელს ჰგვრის გამბედავ მთამსვლელსაც კი და აკი ხუთმა საუკეთესო მთამსვლელმა მის მყინვარებში პოვა საუკუნო ბინა.²⁰

სალამოს 9 საათზე უკვე ჩვენებთან ვიყავით.

უშბას კალთებში

«ლამაზი და მშვენიერი იყო მონადირე ბეთქილი, მკლავმაგარი და ახოვანი. ბევრი შენატროდა მის ვაჟკაცობას. ბევრი გასათხოვარი დინა ატარებდა გულში მის სახეს.

ბადალი არ ჰყავდა ვაჟკაცობაში. არა ყოფილა შემთხვევა, რომ მისი გასროლილი ისარი ასცდენოდეს მიზანს. მოვლილი ჰქონდა მთელი ჭიუხები, ისეთ ადგილს გადაირბენდა და გადაეველებოდა თავს, სადაც კლდეთა მეფეს, ამპარტავან არწივსაც კი გაუჭირდებოდა ბრწყალის მოკიდება. არ იცოდა შიში, სიკვდილს საამჟამოდ ეთამაშებოდა.

ერთხელ, უშბის კალთებზე ნადირობისას, შეეყარა ნადირთა მეფეს, ქალღმერთ დალის. გაშტერდა ბეთქილი, ქანდაკებასავით გაჩერდა ერთ ადგილას. ზღაპრად გაეგონა მზეთუნახავი, მაგრამ ოცნებითაც

ვერ წამოიდგენდა, თუ ასეთი იქნებოდა. მზის შუქი გადასდიოდა სახეზე, ზაგე ვარდის ფურცლით საუბრობდა, ამომავალი ცისკარი ჩაქრებოდა მისი მხილავი. ცხრა ნაწნავი მოქნილ ტანზე უცხოად გადაეშალა.

უფრო მეტი სიხარულით აენტო დინა-დალი... დიდხანს ეძებდა საქმროს თავისთვის, დიდხანს, მაგრამ დღემდე ვერ ეპოვა. ბეთქილი ხომ ის იყო, ვისზედაც აქამდე ოცნებობდა უძილო ღამეებში, თავის ნადირთა შორის. გადაეხვია დალი ბეთქილს და დატოვა თავისთან...

ბედნიერი იყო დალი, ტკბილი იყო ბეთქილთან ყოფნა, მაგრამ ბეთქილს სევდის ღრუბელმა შეუბურა სახე. პირველმა თავდავიწყებამ გაუარა და მოესურვა მიწის ხილვა, უშბის ნაპრალები აღარ ახალისებდნენ.

და მიატოვა ბეთქილმა ქალღმერთი დალი, ჩავიდა ძირს და გაახარა მოძმენი, მაგრამ არც მთლად გაიხარა ბეთქილმა: მისი ძმა ნაპრალებში გადაჩეხილიყო მის ძებნაში, რძალი კი, სილამაზე მთელი მხარისა, დაქვრივებული დახვდა... და ბეთქილსაც აუძგერდა გული სიყვარულით. გადაწყვიტა, რძალი ცოლად შეერთო.

დაივიწყა ბეთქილმა დალი, მაგრამ განა დალი დაივიწყებდა მას?

უშბას ძირში დიდი დღეობა იყო. სვანები ღრეობდნენ და დღესასწაულობდნენ. იყო შეჯიბრება მშვილდის სროლაში, ქვის ტყორცნაში, სირბილში, ჭიდაობაში. ახალგაზრდები ძალას არ იშურებდნენ...

უეცრად ხალხში ოქროსრქიანმა ჯიხვმა გაირბინა. ასეთი ამპარტავანი, ასეთი უზარმაზარი ჯერ არავის ენახა. ჯიხვი დასცინოდა მთელ ხალხს.

ბეთქილი, ბეთქილი უნდა დაედევნოს იმ ჯიხვს, ბეთქილმა უნდა ანანოს მას დაცინვა... და გაედევნა ბეთქილი ჯიხვს.

მიდის ჯიხვი ოქროსრქიანი და მისდევს ბეთქილი. გადაატარა კლდის ორწოხები, მაგრამ ისრის სასროლზე მაინც არ მიუშვა. შედგა ჯიხვი უშბის მკერდზე და აჰყვა მის მწვერვალს. უკვირს ბეთქილს, რომ მის წინ მშვენიერი გზაა, წინათ არასდროს უნახავს, არც გაუვლია აქ...

უცბად გაქრა ოქროსრქიანი ჯიხვი, გაქრა გზაც და ბეთქილი ჩაეკიდა უფსკრულში, ძლივს იკიდებს ფეხს, ჩამოსვლა შეუძლებელია. შეიკრიბა ხალხი უშბის ძირში, მაგრამ რით უშველონ?

მიხვდა ბეთქილი უბედურების მიზეზს და გადასძახა ხალხს, ქალღმერთმა დალიმ დამღუპა, ვეღარ გიხილავთ და ერთხელ კიდევ მაჩვენეთ სვანური ფერხულიო.

ხალხმაც იცეკვა, შექმნა ფერხული ბეთქილის სადიდებლად, ბეთქილის დასატირებლად.

ჩემმა დანიშნულმა იცეკვოსო, – გადმოსძახა ხალხს მალლიდან ბეთქილმა, და თვალცრემლიანმა დანიშნულმა ჩამოუარა შუშპარი. სწორედ იმ დროს, როდესაც მის თვალწინ შურისძიებით სავსე ქალღმერთი დალი აღიმართა, მოსწყდა ბეთქილი მწვერვალს.

ჩაიღუპა ბეთქილი უშბის ნაპრალებში. მისი სისხლით შავად შეიღება უშბის კლდეები, მისი თეთრი ძვლები ახლაც მოჩანს მწვერვალზე.

საშიშია, დაუნდობელია უშბა, იქ გაბოროტებული ქალღმერთი არ ინდობა არავის...

ბეთქილი, საბრალო, საწყალი ბეთქილი იქ დაიღუპა», – მიამბობს ბიმურზა და მაგონდება ის ფერხული, რომელსაც ცეკვავდნენ ნაკრას ხეობაში.

ყოველი ლექსის შემდეგ დაატანდნენ:

«საბრალო ბეთქილ, დენჟირ ბეთქილ».

იქნებ ჩვენც გაგვიწყრა ქალღმერთი დალი, რომ ჩვენი მისვლის უმაღლეს უშბამ ნისლი გადაიხვია, მეხმა რამდენჯერმე დაიგუგუნა და აცნობა ორწოხებს და ნაპრალებს: გაფრთხილდით, მოდის ხალხი, რომ თქვენს მკერდზე ფეხი შედგასო. უშბამაც მრისხანედ თავი გააქნია, ცამ უფრო დაიგუგუნა და კობებშეკრულმა შემოგვიტია, მაგრამ რის მთამსვლელები ვიქნებოდით, უშბას კალთებში ვყოფილიყავით და მის მკერდზე ფეხი არ დაგვედგა?

მწვერვალზე ასვლა არა გვაქვს გადაწყვეტილი, ამისთვის კარგი მომზადებაა საჭირო. ჩვენს წლებიდანვე გეგმაში არ შედის მწვერვალზე ასვლა.

გვინდა მხოლოდ ახლოდან ვუთხრათ სალამი კავკასიონის მწვერვალთაგან ყველაზე მიუკარებელს... და უშბაც თითქოს მიგვიხვდა გულის წადილს, ღრუბლები გადაიყარა და ოდნავ გაგვიღიმა, მხოლოდ ოდნავ...

ახალგაზრდა გამყოლი, მაზერელი საფარალი ჩარკვიანი ფრთხილად მიგვიძღვის წინ. გადავიარეთ გულის მყინვართა ნაპრალები და გავყევით სახიფათო ქედს. ფეხს ძლივს ვადგამთ, ორივე მხარეს უფსკრულია, აქ კი პირდაღებული მყინვარის ნაპრალები, ხარბი და გაუმაძღარი.

უდიდესი სიფრთხილეა საჭირო, აქ ბედი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ქანაობს: კენჭის დაგორებაც კი სახიფათოა.

– ფრთხილად, თქვენი ჭირიმე, თქვენ გენაცვალეთ, – ისმის საფარალის ხმა.

ყოველ ნაბიჯს წინდახედულად ვზომავთ, მაგრამ აი, ქედის მწვერვალიდან ელვასავით მოსწყდა უზარმაზარი ლოდი და საშინელი სისწრაფით წამოიღო სიკვდილი და განადგურება. სად გაექცევი? გადასახვევი არსად არ არის.

მიქრის იქით, საითაც ლევანი, ასმათი, ვერიკო მიდიან.²¹

– გაწექ! – გაისმის განწირული ხმა და სულის შეგუბება.

ნუთუ უშბამ უნდა შეიწიროს საუკეთესო ამხანაგები?

...და ლოდი სწორედ მათკენ დაეშვა. მაგრამ რაღაც საკვირვლად, სწორედ ლევანის თავთან ავარდა ჰაერში და კლდეზე გაწოლილ და განწირულ ამხანაგებს თავს გადაელო, მათ ფეხქვეშ დაეცა, დაიმსხვრა წვრილ ნამტვრევებად და ხრიალით წავიდა უფსკრულისაკენ.

არავის ეგონა, რომ ამხანაგებს ცოცხლებს ვნახავდით.

– თვალი დავხუჭე, სახე მივაბრუნე, – მიამბობდა იაგორა, – არ მინდოდა ცოდო-ბრალი თვალთ მენახა, საუკეთესო გოგო-ბიჭი დაჭეჭილი და სისხლიანი. როგორ ამეტანა? ვიდექ ასე. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ცოცხალი გადარჩა ვინმე და შველა უნდა. მივიხედე და მესმის ლევანის ხმა, ასმათის სიცილი, არა მჯეროდა, თავს ვფიცავ, თან როგორ დამეჯერებინა, ასეთ დროს ცოცხალი აღარავინ რჩება ხოლმე. ამას მეუბნება იაგორა, მთის შვილი. გიორგის გაყვითლებულ და მკრთალ სახეს ღიმილმა გადაურბინა. ეს იყო სიხარულის, დიდი სიხარულის გამოხატვა.

აქ ბევრს ვერას იტყვი, აქ სიტყვა თითქოს მთების მწვერვალებს იქით იკარგება.

მეტად პირქუშად დაგვიხვდა უშბა. მაგრამ მაინც მივესალმეთ, მის მკერდზე ფეხი შევდგი და იქნებ მცირე ხანში მისი ბროლის გვირგვინი ახალგაზრდა მთამსვლელთა გამბედაობით შეიმკოს.

მაზერში თბილისის უნივერსიტეტის საექიმო ექსპედიციას, პროფესორ ასათიანის მეთაურობით. სიხარულით შევხვდით, ვუზიარებთ შთაბეჭდილებას. ექსპედიცია ყოველი ოჯახის წევრს სინჯავს, ყველას ამოწმებს.

სვანეთში, მარად მყინვარებთან, ფიჭვისა და ნაძვის ტყეებში, სადაც ყოველ ნაბიჯზე შესანიშნავი მყავე წყლებია, სადაც ჰაერი წმინდაა და ჯანმრთელობისათვის უჩვეულო; სვანეთში, რომელიც უდიდესი კურორტია, სადაც სამკურნალოდ უნდა იგზავნებოდეს ავადმყოფი, – აი, ამ სვანეთში გავრცელებული ყოფილა ქლეციც. ეს ჩვენი სახალხო უბედურება.

გვიკვირს ეს მოვლენა, მაგრამ საკვირვლად არ მოგეჩვენება, როდესაც აქაურ სახლებს ნახავ, ბნელ, უსინათლო ბინას. სიცივის შიშით სახლებს ფანჯრებს არ უკეთებენ. ზამთარში საქონელიც საერთო საცხოვრებელ ბინაშია. ამასთან, სვანს საზრდო მწირი და ნაკლები აქვს, მუშაობა და ჯაფა კი აუტანელი, ყოველივე ეს დიდ გასაქანს აძლევს აღნიშნულ სენს.

სამი დღით დავცილდი ჩვენებს. ცხუმარის, ეცერის და იფარის თემები მიინდა დავიარო და დავათვალიერო, მასალა მიინდა შევკრიბო მეურნეობის შესახებ.

ვიყავი სვანის ოჯახში, თვალდათვალ და გულდაგულ ვესაუბრე სვანებს. განცვიფრებაში მოვდივარ, როდესაც ვისმენ მათ დინჯსა და დარბაისლურ საუბარს, ზედმეტი სიტყვა, ზედმეტი წინადადება არავის წამოსცდება.

«სადადეშქელიანო» სვანეთში ბეჩო, ეცერი, ცხუმარი, იფარი, ლახამულა და ჩუბიხევი ცალ-ცალკე თემებს წამოადგენენ. ისინი ერთმანეთისგან სულ 8-10 კილომეტრით არიან დამორებული, მაგრამ ყოველი თემი მაინც თავის განსაკუთრებულ იერს ატარებს.

ეცერელი და ბეჩოელი რომ ერთად დააყენო და თქვა, ორივენი სვანები არიანო, არ დაიჯერებ. რამდენადაც პირველი ახოვანი, მხარბეჭიანი და ლამაზი მოყვანილობის ვაჟკაცია, იმდენად ბეჩოელი მომცრო აგებულებისაა.

– ცხუმარი და ეცერი, ორივე სვანეთის თვალია, – მეუბნება ზაქარია არღვლიანი, რომელიც გამყოლადაა ჩემთან. უფრო კარგები იქნებოდნენ, რომ არ ამოჟლეტილიყვნენ, – დაუმატა დანანებით.

მიზეზი ვიკითხე. მიპასუხა: სისხლის აღება იციან ჩვენში. მრავალი საუკეთესო ვაჟკაცი შეეწირა ამ ჩვეულებასო.

დიდი მწუხარება გამოსჭვიოდა მის კილოში. ველაპარაკე სისხლის აღების საშინელებაზე, უბედურ შედეგებზე.

მას მხოლოდ გაელიმა და მიპასუხა:

– განა ჩვენ თვითონ არ ვიცით? განა ვერა ვხედავთ, რომ სისხლის აღების გამო ყოველწლივ საუკეთესო ვაჟკაცები აკლდებიან სოფელს? მაგრამ საქმე ის არის, რომ სვანი შეურაცხყოფას ვერ იტანს. დამნაშავე უნდა დაისჯოს, ასე მსჯელობს და ფიქრობს სვანი. დამნაშავეს თავისუფლად ყოფნას ვერ ავიტანთ... თუ კანონი ყურადღებას არ აქცევს ასეთ დამნაშავეს, თვითონ ჩვენ უნდა დავსაჯოთ. ასეა... ახლა თანდათან ბოლო ედება სისხლის აღებას, რადგან მთავრობა ზომებს იღებს, – დაამატა ჩემმა თანამოსაუბრემ.

სრულიადაც შეწყდება შურისძიება, ჩემო ზაქარია, რადგან ამ საქმეს ხალხის მთავრობა უდგას სათავეში. გზების გაყვანა, სკოლების სწრაფი მშენებლობა და ის დიდი კულტურული მუშაობა, რომელიც სვანეთშია გაჩაღებული, ძირფესვიანად აღმოფხვრის როგორც ამ ჩვეულებას, ისე სხვა უარყოფით მოვლენას.

ვინახულე სოფელი ლაბსყალდი. ის მთებშია მოქცეული, ნაძვისა და ფიჭვის ტყე აკრავს. ირგვლივ კი უფრო მეტი წიფლის ტყეა. გზის ნაპირებზე ვეებერთელა ვაშლისა და პანტის ხეებია. ალაგ-ალაგ ტყემალიც არის.


ნელი ნაბიჯით მივდივართ ზევით, სოფლისკენ. პატარა მჩქეფარე ნაკადულებს ადვილად გადავდივართ. გზის ნაპირზე, ყორულებსა და ახოებში პური, დიკა, ჭვავი, ქერი, ბარდა თესია.

ცხუმარში ყანები თითქმის მომკილია, რაც დარჩენილია, მკიან. ქალები მკიან, კაცები კი კალოზე ეზიდებიან.

აქედან ლაბსყალდამდე 5 - 6 კილომეტრია და ყანა მხოლოდ ოდომღერშია, იმასაც ჯერ კიდევ მწვანე ფერი დაჰკრავს. ცხუმარი 1300-1400 მეტრის სიმაღლეზეა, ლაბსყალდი კი – 1700 მ. სიმაღლეზე.

დოლის პური დიკას, ჭვავს და ქერს უთმობს ადგილს. ესენი უფრო ადვილად იტანს სიცივეს, ალაგ-ალაგ სიმინდიც მოჩანს. შვეიცარიის ალპებში 1700 მეტრზე ქერიც ძლივს მოდის. ასე იცის სამხრეთის ცხრათვალა მზე!

– ლაბსყალდში მთავარანგელოზი ვნახოთ, – მეუბნება ზაქარია.



აილამი და წურუნგალი ნისლეზში

– განა რა აქვს სანახავი? – ვეკითხები გულწრფელად.

ამაზე ზაქარიას ეცინება და მეუბნება:

– განა არ იცი ლაბსყალდის მთავარანგელოზი? ტამარი ოქროსა და ვერცხლის ხატებითაა სავსე. თამარ დედოფლის შეწირული ხატებია.

პირველად მესმის ასეთი ამბავი. არც დავიჯერე, ჩვენი ხალხი ხომ ყოველ ისტორიულ ნაშთს თამარს მიაწერს.

ავედით სოფელში. ზაქარიამ ერთი ფიცრული სახლის სახურავზე ამიყვანა. იქ რამდენიმე სვანი დაგვხვდა.

ტკბილი საუბარი გავაბით.

– წავიდეთ, ტამარი ვნახოთ, – ამბობს ზაქარია.

– შენ გეტყობა ხალხისათვის კარგი გინდა (გულისხმობდა, რომ სარეველა მცენარეების შესწავლა მიწის მუშისთვის იყო), ამიტომ გაჩვენებ. სხვა რომ იყოს, ახლო არ მივუშვებ, – მეუბნება დავითო და მიმიძღვის წინ.

ორი კარის გაღების შემდეგ შევედით ჩამოზნელებულ ტამარში. დავითომ სანთლები აანთო.

თვალები გამიცეცდა: ნახულმა ყოველივე წარმოდგენას გადააჭარბა, ვხედავდი ვერცხლში ნაჭედ ხატებს. ჩემი ყურადღება მიიპყრო «დავით და კონსტანტინეს» პატარა, შესანიშნავად გამოკვეთილმა ხატმა. ხაზების დიდ ცოდნას, ანატომიურ განზომილებას განცვიფრებაში მოვყავარ.

განა მარტო «დავით და კონსტანტინე», აი თვით «მთავარანგელოზი». განსაკუთრებული სიფაქიზით და სილამაზით არის შესრულებული, ხვეული ჩუქურთმა ჩასდევს ჩარჩოზე. არის ქართული ხელოვნების დაცემის დროის ნაკვეთი ხატებიც, მაგრამ განა ცოტაა ქართული ხელოვნების აპოგეის დროისა? ვინ იცის, რამდენ ბეჭა ოპიზარს, შესანიშნავ ქართველ მოქანდაკეს სძინავს ამ კლდეებში და მას ჯერ მცოდნეს ხელი არ შეხებია?

აქ არის საუცხოოდ ნაკეთები ვეებერთელა ვერცხლისა და ოქროს ჯვრები. არის აგრეთვე ხელნაწერები, პერგამენტზე საუცხოოდ შესრულებული. XI-XII საუკუნის ხელია.

ეს ხომ მთელი მუზეუმი ძვირფასი ნაკეთობებისა, ძვირფასი ნაშთებისა.

ყოველი ხატის გასინჯვის დროს ორივე ძმას უცნაური ცეცხლი უკრთის თვალებში. ალბათ, ასეთი იყო ძველ «წმინდანთა» გამომეტყველება. ნორმალური ადამიანის სახეს არ წააგავს მათი სახე. ფერმკრთალი, ჩაშავებული თვალები, ჩვეულებრივად უსიცოცხლო, რომელთაც გაბრწყინებულს ხედავთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხატებსა და ტამრის საუნჯეზე ელაპარაკებით.

მრავალი ასეთი ტამარი ვნახე სვანეთში და მათი მცველები გასაოცრად ჰგვანან ერთმანეთს. ამ საუნჯის მეთვალყურეობა მინდობილი აქვს რამდენიმე გვარს. მათი წევრები სხვებზე სუსტები არიან აგებულებით, ფერმკრთალნი.

– ყველგან ასეა, ყველგან, – მეუბნება ჩემს შენიშვნაზე ერთი სვანი, – ტამრის მცველები დანდობილი იყვნენ ხატის ძლიერებაზე და ღმერთზე – ღმერთი მოგვცემსო და თვითონ ნაკლებ უნარს იჩენდნენ არსებობისათვის ბრძოლაში. ამის გამო ისინი გადაგვარების გზაზე დგანან, ბევრი მათგანი უკვე ამოწყდა, თუმცა ერთი დიდი საქმე მაინც გააკეთეს მათ: დღემდე ხელუხლებლად მოიტანეს ეს ისტორიული საგანძური, რომელსაც საბჭოთა მეცნიერება შეისწავლის და რაც ამ ძეგლებში საჭირო და სასარგებლოა,

გამოიყენებს დღევანდელი ცხოვრებისათვის.

დღეს ეს ეკლესიები, ხატები ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ძეგლები, რომელთა საშუალებითაც შევძლებთ შვეისწავლათ წარსული, ხალხთა ყოფა-ცხოვრება, ხელოვნება.

თუ ყველას არ უშვებენ ამ ტაძრების სანახავად, ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ მეფის მთავრობის მოხელენი ხშირად მარცხვანდენ ისტორიულ ძეგლებს, მიჰქონდათ ძვირფასი ნივთები, ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერები და ყიდდნენ.

„უბატონო სვანეთი“

«არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია».

მიყვარდა ეს ძველი ქართული სიმღერა. ვნატობდი მენახა ისეთი ხალხი, რომელიც ამ სიმღერას ძველადვე მღეროდა და ეს ხალხი აქ, სვანეთში ვნახე.

უბატონო სვანეთში უნდა გადავიდეთ.

იქ ხალხი ფეოდალს არ ემორჩილებოდა, ბატონი ძველთაგანვე არად მიაჩნდა, იქ თავისუფლების სიმღერა ისმოდა.


ლევანი და სვიმონი ჩქარობენ, ფაცა-ფუცში არიან, ცხენებისთვის დარბიან. აი, მზე გადაიხარა და ძლივს მოვრჩით მზადებას. ცხენები დატვირთულია. შევუდექით ფერდობს, მთის ქედს, რომელიც სადადეშქელიანო და უბატონო სვანეთს შუაზე ყოფს.

მუხით და წიფლით არის ეს ქედი დაფარული. მათ ქვეშ თხილი, ქნავი და სხვა ბუჩქები ფარავს მიწას. მთელი სვანეთი ასეთი ქედებით არის დასერილი, ისინი ყოფეს ერთ თემს მეორისაგან. ერთ-ერთი მიზეზი თემთა განსხვავებისა ესეც უნდა იყოს. ბეჩოელისა და ჩუბი-ხეველის ლაპარაკიც კი განსხვავდება, თუმცა ისინი მხოლოდ 20-25 კილომეტრით არის ერთმანეთს დაშორებული.

ქედის მწვერვალზე ავედით. ჩვენ წინ უბატონო სვანეთის სოფლები გადაიშალა, მაგრამ არა, სოფლები არ ჩანან, ეს ციხე-კოშკების დაუსრულებელი რაზმებია გამწვრივებული. თეთრები, ტანწერწეტები ამართულან და ყელმოღერებით იცქირებიან.

სად ან ვისთვის უნდოდათ ამდენი კოშკი, ამდენი ციხე? იქ, ბარად, სამმო, საერთო ციხეები შენდებოდა, მტერს ერთად ხვდებოდნენ, აქ კი ყოველ ოჯახს თავისი საკუთარი ციხე ჰქონდა. იქნებ მთიულური სიამაყე ნებას არ აძლევდათ ურთიერთს მხარში ამოსდგომოდნენ? იქნებ ფიქრობდნენ, მტერს მარტო დავხვდებიო? და მართლაც, ყველა თავის კოშკში ჩაკეტილი, ცალკე ხვდებოდა მტერს, ცალკე უმკლავდებოდა იმ თავზედს, ვინც გაბედავდა მისი თავისუფლების შელახვას... მაგრამ, ვაი, რომ მარტო საერთო მტრის წინააღმდეგ არ იყო ამართული ეს კოშკები, მათ შინაური შუღლის შედეგად სისხლის ასაღებადაც იყენებდნენ.

მართალია, ბატონად ფეოდალი არ ჰყავდათ, სამაგიეროდ, აქ ბატონობდა სიბნელე და სიდუხჭირე. გარდა ამისა, თვით ეს სახელწოდებაც უბატონო სვანეთი – ნამდვილი არ იყო, დადეშქელიანები და სხვა ფეოდალები ხშირად ადებდნენ ხარკს ამ მხარესაც, რისთვისაც იყენებდნენ სამღველოებას, ადგილობრივ ბოზოლებს და საერთოდ შეძლებულებს. ხალხს ბატონობის სიმწარე დღემდე ახსოვს. როგორ შეიძლება ითქვას ასეთ წარსულზე უბატონო, თავისუფალი? სვანეთში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან დამკვიდრდა თავისუფლება, რასაც მოჰყვა სკოლები, საავადმყოფოები, სამკურნალო პუნქტები, აგროპუნქტები, გზა. ცხოვრება გაუმჯობესდა, დოვლათი ადგილზე დატრიალდა.



ქვემო სვანეთი, ს. ჟახუნდერი

ამას ვგრძნობდით და ვხედავდით ყოველ ნაბიჯზე.

თეთრი კოშკები ფარავს ყოველივეს. სახლები შავი ქვითაა ნაშენი. სახლის გვერდით კი უეჭველად თეთრად

გალესილი კომპია. იშვიათად თუ შეხვდებით შეუღლესავ და შეუთეთრებელ კომკს. ეტყობა, აქ კომპი უფრო მეტი ყურადღების ღირსი იყო.

კომპი ოთხი-ხუთი სართულისგან შედგება. ყოველი სართული ჭერით არის გაყოფილი, ხოლო ჭერში ერთი კაცის ასასვლელია. თუ გაჭირდა საქმე, მიიღვამს კაცი კიბეს, ავა პირველ სართულში და აიტანს კიბეს, იქიდან მეორეში, მესამეში ავა და ასე კიბეს სულ ზევით აიტანს. მარაგი წინასწარ მზადდება. კედელში დატანებულია წყლით სავსე დიდი ქვევრი, ასევე – სათოფურები ყოველი სართულის ირგვლივ. ზედა კომპის კბილებს შორის ვეებერთელა ლოდები აწყვია: თუ მტერი ციხის ძირში მივიდა, ოდნავი მოძრაობაა საჭირო, რომ ქვა ძირს ჩამოვარდეს და დაიტანოს თავზედი მტერი. ასეთ კომპში მთელი კვირაობით შეიძლება ჩასაფრება და გამაგრება.

შებინდა, როცა ლატალის თემში მივედით. გზა გადაგვიღობეს, შეგვაჩერეს თბილისის მუშაკის მსმენელებმა. მხიარულად მოგვესალმნენ. გვეპატიჟებინ: ამაღამ აქ დარჩით, ხვალ დილით გაგისტუმრებთო, მაგრამ გიორგის გადაწყვეტილი აქვს, ამაღამ მესტიაში მივიდეთ, ცხენებიც ერთი დღით გვყავს დაქირავებული.

ჩამოვამდა, თუმცა გზა კარგია, ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი და მხიარულად მივდივართ, მხიარულად მოსაუბრობს საფარალი.

საკვირველი ახალგაზრდაა. იცის ყოველი ბილიკის, პატარა ღელის, მწვერვალის და ფერდობის სახელი. იცის, საიდან რას მოუაროს. არ არის სვანეთში კუთხე, რომ არ იცოდეს. მთის ორწოხების ასავალ-დასავალსაც კი ჩამოგითვლით. ბევრი მინახავს მთიელი, დიდი მესხიერების პატრონი, მაგრამ ასეთს პირველად ვხვდები.

– როგორ გახსოვს, საფარ, ამდენი სახელი?

– შენ თავად როგორ გახსოვს ყველა ბალახის სახელი? მაშ, რაღა უნდა ვიცოდე? – ცოტა არ იყოს, წყენით ამბობს ის.

შევედით მესტიაში, ზემო სვანეთის დღევანდელ «დედაქალაქში». კომპებს შორის შავ ლანდებად მივიპარებით. უკვე შუალამეა და ჩუმად ვიძინებთ ორსართულიანი სახლის ერთ დიდ ოთახში. ეტყობა, ახალი შენობაა, ჯერ არც კი დამთავრებულია.

დილით ადრე გვინახულეს სვანეთის აღმასკომის თავმჯდომარემ და სხვა მომუშავეებმა. პიმენ დვალმა ნავერიანმა ჩამოგვიარა ყველას, სათითაოდ მოგვიკითხა. ბევრ ჩვენგანს თბილისიდან იცნობს, უხარია ჩვენი მშვიდობით დაბრუნება. რახან აქამდის მოაღწიეთ, ახლა ჩვენ ვიცით, თვალისჩინივით გაგიფრთხილდებითო, – გვითხრა და ასეც მოგიქცა, არ მოგვაკლო მზრუნველობა.

ვათვალისწინებთ მესტიას. გაშლილ ადგილზეა გაშენებული, თუ შეიძლება სვანეთში რომელიმე ადგილს გაშლილი ეწოდოს. აღმოსავლეთის მხრიდან ჩამოუდის მდინარე მესტია (ან მესტია-ჭალა). მას თან მოაქვს ლეხზირის მყინვარის სუსხი, იმ ადგილის სუსხი, სადაც ის იბადება. იქვე ერთვის ენგურს, რომელიც საოცრად ვიწრო კალაპოტში მიქუხს. ენგური მესტიას სამხრეთით ჩამოუდის, მრავალი კომპი მის ნაპირზეა აგებული.

მრავალი ახალი სახლი შენდება მესტიაში. საშენ მასალას მარხილებით ეზიდებიან. ზემო სვანეთში ურმის თვალი არსად გვინახავს. აქაურ გზებზე ურემი ვერ გაივლის.

სადამოთი ახმაურდა მესტია: ორმოცი ცხენით ჩამოვიდა რუსეთის კინოექსპედიცია. სურათი უნდა გადაეღოთ სვანეთის ცხოვრებიდან.

გაგვიხარდა ქართველ მსახიობთა ჩამოსვლა: აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, გ. დავითაშვილი, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ნ. შენგელაია, ალექსანდრე თოიძე და სხვები აქ არიან. გულმხურვალედ შევხვდით ერთმანეთს. ჩვენ გვინდა გავიგოთ თბილისის ამბები, მათ – იალბუზზე გამარჯვებისა... დიდხანს არ ვცილდებით ერთმანეთს.

ხვალ, 28 აგვისტოს ლეხზირის მყინვარზე მივდივართ.

მთამსვლელთა მეგლი

ადრე გასვლას ვაპირებდით, მაგრამ შევგვიანდით. ოპერატორები ვერ გამოეწყვნენ, ხან უნაგირები აკლდათ, ხან – ცხენები. ჩვენ გამზადებულები ვიყავით. გიორგი მოუსვენრობს, ეჯავრება, როდესაც დრო ტყუილუბრალოდ იკარგება. ბოლოს ყველა მზად არის. ოპერატორი იალოვი და მისი თანამემწე ცხენებით მოდიან, ჩვენ კი ფეხით. ჩვენთან მოდის პ. დვალის.

მხიარული ყიჟინით შევყევით მდინარე მესტია-ჭალის მარცხენა ნაპირს. ეს მდინარე სწრაფად მიჩხრიალებს და მიიმდურის მთის სიძღერას. თან მიაქვს მყინვართა სუსხი.

ნახევარი თუ ერთი კილომეტრის მანძილზე მესტიიდან მდინარის მოტიტვლებული რიყით მივდივართ, მაგრამ მალე შევდივართ მურყნარში. აქ მაღალი ხე იშვიათია. აქა-იქ მოჩანს წითელგვირგვინიანი ჭნავი, ეკლებიანი, დაჯაგებული ზღმარტი. თხილი ხომ განუყრელია აქაური ტყეებისათვის. სხვათა შორის, მრავალი შესანიშნავი ჯიში ხარობს აქ.

მურყნის შემდეგ ჩნდება ფიჭვი და არყი. მრავლადაა კოწახურის ეკლიანი ბუჩქი. ნიადაგი გადახრუკულია, ბალახი იშვიათად ჩანს. საერთოდ, ცხელი ადგილების ტყეს წააგავს, ექსეროფიტულს. ამ სურათს

ამთავრებენ მარჯვნივ, ფერდობებზე, გადამწვარი და გადაბუფული წიწვიანი ტყეები. ტოტებგადარცვული, შავად მომზირალი თითო-ოროლა ხელა დგას.

სავალალო სანახავია გადამწვარი ტყე. რამდენი სიცოცხლე მომკვდარა და მოსცილებია სამხრეთის მზეს.

საცოდავი ტყეა ამ ხეობაში. ბაქსანის ხეობის ქვედა ნაწილის ტყეს წააგავს თავისი იერიით, მხოლოდ აქ ფოთლოვანი სჭარბობს. არაფერი მსგავსება არ არის ნაკრას ხეობის ტყესთან. იქ კაცს აკვირვებს უზარმაზარი ხეები, აქ კი მათ ნასახსაც ვერსად წააწყდებით.

ეტყობა, დანალექი აქ ნაკლებია. შავი ზღვის ანაორთქლი აქამდე ვერ აღწევს, მრავალი ქედი ეღობება წინ. ნაკრას ხეობაში გრძნობ შავი ზღვის სანაპიროების ნესტიანობას. მესტია-ჭალის ნაპირის ტყე ქართლის ფერდობების მჭლე ტყეს მოგაგონებს.

ნაპირს ერთადერთი ბილიკი მისდევს და მას კაცი ვერ ასცდება. ამიტომ არც წინმავალია დანიშნული, არც უკანმავალი. ყველა თავის გუნებაზე მიდის, ყველას მიგვიხარია: გზაზე დაყრლი ლოდი და კლდე არ გვაფერხებს. ზოგჯერ კლდის ნამტვრევებში მოჩანს პირიტის მშვენიერი ოთხკუთხი კრისტალები.

ვინც წინ მივდივართ, ასეთ პირიტთან ლოდს გზაზე გადმოვაგორებთ და გამოსაჩენ ადგილას ვაგდებთ, რომ ნახოს სვიმონმა, რომელსაც გეოლოგიური ნიმუშების შეკრება აქვს დავალებული. სვიმონიც ჩერდება ასეთ ლოდთან, იღებს წელიდან ჩაქუჩს და იწყებს რაკარუკს.

მე და ლევანს ბევრი საქმე გვაქვს: მრავალი საინტერესო მცენარეა წამოსადები. სვიმონიც აითრევს ხოლმე რომელიმე ხის ვეებერთელა ტოტს და გვთავაზობს – წამოიღეთ, მცენარეებს ხომ აგროვებთო.

აი, ჩამოჩუხჩუხებს პატარა ნაკადული, მასთან აუცილებლად დახრილია ლადო («ზარია ვოსტოკას» თანამშრომელი ვლადიმერ ტატიშვილი) და პატარა, სათითისოდენა ჭიქით სვამს წყალს: რა მშვენიერია, რა დიდებულიაო, – ამბობს ყოველ დაღევაზე და ეს ოცდაათჯერ მაინც უნდა თქვას, რადგან ჭიქა მეტისმეტად პატარაა.

– ლადო, რას წვალობ, აი, ასე დალიე, – ვუბნები, ვახვევ ჯამისმაგვარად დუცის ფოთოლს და ვავსებ ანკარა წყლით. იმდენი ჩადის შიგ, რომ კაცი ერთი დაღევით ვერც კი მოერევა.

– ჰა? – გაკვირვებული ამბობს და შესცქერის ჩემს ჭურჭელს. მოეწონა, მაგრამ მაინც თავისი პატარა ჭიქა აავსო და დაატანა. – მშვენიერია, დიდებული.

ლადო აღტაცებულია ყველაფრით. სქელი ტყავ-ჩოხა აცვია და თბილი შარვალი. ოფლში იწურება, ხვითიკი გადასდის. ყაბალახიც თანა აქვს.

– ტყუილად არ დაგიჯერეთ, მარტო ნაბადი უნდა წამომეღო.

ჩვენ კი მოკლე შარვლებით თავისუფლად მივდივართ. ასე მივედით შხუილბოჩამდე. აქ ერთმანეთს უერთდება მესტია-ჭალა და ლეჟინვოლის მყინვარიდან გადმომჩქეფარე მდინარე. ერთდებიან, ეჯახებიან და დაუნდობლად ეკვეთებიან ერთმანეთს. გაღმა ნაპირზე მოჩანს ლეჟინვოლის მყინვარი. ეტყობა, ბარაქიანია, მაღალი მთიდან შვეულად არის ჩამოსული, მრავალი ნაპრალი მოჩანს.

მყინვარის წინა მორენებზე ტყეა შეჭრილი – ნაძვისა და არყის მოზარდი ტყე. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მყინვარი უკან იხევს, კლებულობს. წინააღმდეგ შემთხვევაში მორენებს მოაწვებოდა და ტყე ვეღარ გაშენდებოდა ზედ.

დიდი სურვილი მაქვს გაღმა გავიდე, ვნახო, მაგრამ მდინარეები ისეთი სისწრაფით მოქუხს, რომ ჩემი ცნობისმოყვარეობისათვის სიცოცხლეს ადვილად ვერ გავწირავ. თუ გადაადგი რამდენიმე ნაბიჯი შუა მდინარისაკენ, სწრაფად გაგაქანებს ქვევით, ჩაგიხვევს, შეიძლება ერთხელ კიდევ ამოგისროლოს ზემოთ, დაგანახოს სინათლე, შემდეგ კი... მშვიდობით, ძვირფასო სახეებო.

აქედან ცხენი ვეღარ ივლის, ვიწრო და სახიფათო ბილიკი მიდის მდინარის ნაპირ-ნაპირ. იალოვი და მისი თანაშემწე ბანდულებს იცვამენ. იალოვი ეტყობა ყოჩალი ბიჭია, ადვილად ეგუება ყველაფერს. მისი ამხანაგი კი ძლივს იკაკვება ბანდულებში, ემდურება, ფეხს მტკენსო. ვამშვიდებ: შეეჩვევი, არა უშავს-მეთქი, მაგრამ ის უიმედოდ ხელს იქნევს – არა, ძმაო, მე ისევ ბაქოს სწორი ქუჩები მიჩვენაო (ბაქოელია), მაგრამ მეტი რა ძალა აქვს, აქ თავისი ქრომის ფეხსაცმელი არ გამოადგება და ბედს უნდა დაემორჩილოს.

გრძელ ქარავნად გავიჭიმეთ ვიწრო ბილიკზე. ფრთხილად მივდივართ, აბგით ზურგზე. ვერც კი ვეტყვით, იმდენად ვიწროა იგი, ხშირად წყდება კიდევ. ჩანს, კლდე ჩანგრეულა და ხე არის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადებული. ეს სურათი იმდენად მოეწონა იალოვს, რომ აპარატი გამართა და გადაღება დაიწყო. შემდეგაც ყოველ ნაბიჯზე გვეძახდა: დამიცადეთ, უნდა გადავიღო, კარგია, დიდებულიო.

– მოითმინეთ. ლენტს გაუფრთხილდით, ზევით უფრო მეტია ლამაზი ადგილები.

– ოჰ, რა ვქნა! – ნანობს იალოვი. შეუწუხა გული თავის მზიდველებს, ყოველ წუთში ხსნის აპარატს.

მისი აღტაცება ჩვენც გვახარებს, მით უმეტეს, გზა გახალისდა: დაბურული ტყე, ხშირი, უზარმაზარი ნაძვი და წიფელი, ხშირად წაქეული და გზაზე გადახირული. ზედ უნდა გადავიდეთ, რაც ზოგჯერ არც ისე ადვილია. აქ მოკლე შარვალი სახარბიელო აღარ არის.

– უჰ! – ისმის წამოძახილი.

ეს გიორგია უეჭველად.

– რა ამბავია, რას ყვირი?



სვანეთი, ლასდილი, მდელი. უკან წურუნგალი და აილამა

– ჭინჭრებში ჩავვარდი, დამსუსხა!

გულიანად ვიცინეთ. მაგრამ ნუ დასცინი სხვასაო, ნათქვამია, და არც მე დამადგა ხერი.

ბილიკზე გადახიდულია ვეებერთელა ნაძვი. კაცის სიმაღლეა მისი სისქე. ავედი ზედ, მაგრამ ხავსზე ფეხი დამიცურდა და მაღალ ბალახში ჩავიკეცი. უეცრად წამოვხტი, ჭინჭრებში ჩავჯექი თურმე, თითქოს ცეცხლი მომედოო, ისე მეწვოდა მუხლები.

გულის დასამშვიდებლად ჟოლოს ბუჩქებს მივადექი და მისი მწიფე და გემრიელი ნაყოფის კრეფა დავიწყე. ნაპირიდან ავეყვი ზევით. დავტოვე ნაძვი და წიფელი და არყის ტყეში შევედი. აქა-იქ მოჩანს მაღალმთის ულამაზესი ქოჩრიანი მთის ნეკერჩხალი. მის ჩრდილებში ვხვდები დეკის (სვანურად – ჟგვერი) ხშირ ბუჩქებს. ეს იმის ნიშანია, რომ ტყე მალე მთავრდება და მაღალი მთის მდელოებზე გავალთ.

ძირს უკვე მოჩანს მყინვარი, მისი ზურგი ქვითა და ღორღით არის დაფარული. წინა მხარე ლურჯად ელვარებს, ხოლო მის გამოქვაბულიდან ჩანჩქერი გადმოქუხს.

მზე გადაიხარა.

– ნიკო, დღეს უნდა დაინიშნოს მყინვარი, თორემ ხვალ ვერ მოვასწრებთ, – მეუბნება გიორგი და მყინვარს ჩასცქერის.

აბგა მოვიხსენი, ზეთისფერი რულეტი ამოვიღე და სახიფათო ფერდობს ჩავყევი. კლდე ფეხიდან მეცლება და ძირს მიექანება.

– ფრთხილად, ქვა! – მესმის ხმა ზევიდან და სწრაფად ქვას გზას ვუთმობ. ეს გიორგის დაუგორდა. ისიც წამოსულა. მოდის სვიმონი, დათიკო, ფრთხილად მოაბიჯებს იალოვი, უკან აპარატაკიდებული სვანი მოსდევს.

ჩავედით ძირს და მოულოდნელად ახალი დაბრკოლება გადაგველობა – მყინვარამდე მდინარეა გადასავლელი. საშინელი სისწრაფით მიექანება. ავეყვით ზევით, ფონის ნიშანი არსადა ჩანს. ისევ ქვევით ჩავედით. იქ, სადაც ის უერთდება მყინვარიდან გადმომდინარეს, შუაში ქვა გდია, ნაპირიდან შეიძლება მასზე გადახტომა, ხოლო იქიდან მეორე ნაპირზე გადასვლა. გადავისროლე მეორე მხარეს წერაყინი, რულეტი და გადავხტი ქვაზე, მაგრამ სველ ქვაზე ფეხი დამისხლტა და წყალში ვარ. გადავაველე თვალი შესართავს, ლეხზირის სუსხიანი წყალი დუღს პირდაპირ. სწარად მოვაშორე თვალი, იქიდან სიკვდილი მიცქერდა, ელვასავით ზურგზე მოვექეცი ქვას და მეორე ნაპირზე გავედი. საშინლად დავვლილვარ: ფეხები მიკანკალებს, წყლის სუსხი მწვავს. მეტად ცივია. მუხლიდან სისხლი მომდის, მაგრამ არა უშავს რა...

გადმოდის გიორგი, დევი (დ. მიქელაძე), სვიმონი, სხვები ვერ ბედავენ.

იმ ნაპირზე იალოვი თავის აპარატს დასტრიალებს. მეტად ლამაზია ლეხზირის ბოლო: ვეებერთელა ლურჯი გვირაბიდან გადმოქუხს ცივი, სუსხიანი და კაპასი მდინარე.

დავინიშნეთ მყინვარის დასასრული, გადავზომეთ მკვიდრ ნიშნამდე და სიხარულით ვწერ:

«საქარ. გეოგრაფიული საზოგადოება».

«1925 წ. 28/7»

«მყინვარიდან 13,62 მეტრი».

ქართული სამეცნიერო საზოგადოების სახელი პირველად აღინიშნა ჩვენს მყინვარებთან, პირველად დაიდო ნიშანი.

ეს ერთი და სხვა ათასი.

აქ, კლდეზე, გრანიტის ნამტვრევზე, გიორგიმ გადაიღო სამი სურათი. იმდენად ლამაზი იყო, რომ

«მთამსვლელთა ძეგლი» ვუწოდეთ.

შეგვაგვიანდა. დროა, წავიდეთ და ავყვეთ ციკაბო ფერდობს. უკან დაბრუნება დაგვეზარა. ბანდულები გვაცვია, მაგრამ ფეხი სხლტება. დაგვცხა ისე, რომ აღმური აგვდის. ყურადღებას აღარ ვაქცევთ ნარ-ეკლებს. ქშენით ავედით ზევით.

ჩვენებს უკვე დაუბანაკებიათ: მშვენიერი მწვანე ტაფობი, გვერდით ანკარა ნაკადული ჩამოჩუხჩუხებს, მარჯვნივ ცამდე ატყორცნილი მწვერვალია.

ცეცხლიც დაუნთხიათ, ცხვარი დაუკლიათ (თან წამოვიყვანეთ), ქვაბები თუხთუხებს.

ნაკადულს გაღმა კლდეა გადმოხურული, გამოქვაბული. მე და ლევანი იქ გავედით, მეტი ვერც კი დაეტეოდა.

– ინდოეთის აკლდამაა, – მეხმაურება იალოვი და კინოსურათის სათაურს არქმევს ჩემს სადგომს.

– რათა, როდესაც სვანეთია?

გიორგის ხუთი თუ ექვსი ნაბადი გადაახურეს. ფოტოგრაფიული აპარატის ფირფიტები უნდა ჩააწყოს.

მზე გადაიხარა, ჩაესვენა მთის ორწოხებში და ლეხზირის მყინვარმაც მოციქულად ცივი სიო გამოგვიგზავნა.

ზარაქიანი ლეხზირის მკერდზე

ადრე მივდივართ ლეხზირის მყინვარზე.

მარჯვენა ნაპირის მაღალი მთის მცენარეულობით დაფენილ ქედზე მიდის ჩვენი ბილიკი, ვეშვებით ქვემოთ და ორი კილომეტრის მანძილზე მივხტით გრანიტის კლდის ნამტვრევებზე.

აი, ავედით გვერდის მორენებზე და ზედ დავცქერით ლეხზირს. შავ ზოლებად მოჩანს მორენები. ლეხზირი რთული მყინვარია, იგი რამდენიმე მყინვარისაგან შედგება.

მივდივართ ზევით, ყოველ ნაბიჯზე ახალ-ახალი სურათი იშლება, ახალ-ახალი სიდიადე, თვით ლეხზირი ვეებერთელა, განიერი, უშრეტი და ულავი გაზრდილა კავკასიონის ორწოხებს შორის.

მღელვარე მყინვარს დასცქერის შავი კლდე, დასავლეთის მხრიდან – უშბა, ჩრდილოეთიდან – ბჟედუხი, ზაშყარა.

კლდეების მკერდი დადარულია შვეულად ჩამომდინარე მყინვარებით, რომელებიც ლეხზირს ერთვის.

გამტვრეული ვარ ბუნების ამ ხელოვნებით.

მე ჩრდილოეთის მხრიდან ასე ახლო ვნახე ეს გოლიათები.

ფრთხილად მივდივართ მყინვარის ნაპრალის ნაპირზე.

– ფრთხილად, ნუ პამპულაობთ! – ისმის გიორგის ხმა. ის ყველაზე ზრუნავს.

მივდივართ წინ და ყოველი ნაბიჯი ახალი ხილვაა.

აი, თვით ლეხზირის მკერდზე მოჩქეფს ნაკადული. თითქოს ბროლის კალაპოტი გაუჭირაო ზედ მყინვარზე, მოწყვეტით ეშვება ლურჯ-მწვანე ნაპრალში და იქ საშინლად ბობოქრობს. ფრთხილად ვიხედებით შიგ. მეტად ღრმაა.

გვერდს ვუვლით ნაპრალს. აგერ, იქ ორბი ჩამომჯდარა მყინვარზე ჩამოგორებულ ლოდზე და სიამოვნებით დასცქერის რაღაცას.

ყინულში წყალი დუღს.

– აპარატი! – არ ცხრება იალოვი.

ამ დროს ისმის გრგვინვა, ქუხილი, ზანზარებს ირგვლივ ყოველივე. ჩრდილოეთის კლდეებზე ჩამოინგრა მყინვარი და უცხად გადმოხეთქა ვეებერთელა ჩანჩქერმა, ორასი მეტრის სიმაღლიდან მოწყვეტით წამოვიდა ძირს.

გამტვრეულები შევცქერით, სული ვერ მოგვითქვამს, ან როგორ გამოთქვამ ამ აღტაცებას?

– აპარატი, ჩქარა, უნდა გადავიღო! – ისმის იალოვის ადელვებული ხმა.

ასეთ სურათზეა ზედგამოჭრილი:

«ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქერიც გადმოქუხს ბროლის წყლიანი».

დიდხანს ისმოდა ეს გრგვინვა მთების ორწოხებში.

არად მიგვაჩნია შიმშილი, – საგზალი დილითვე შემოგველია, – და მივიწევთ უფრო ზევით.

მყინვარის ნაპირას, კლდეებში, მშვენიერი ლურჯი ტბაა. ნაპირზე თოვლი გაყინულიყო, მაგრამ წყალი იმდენად თბილია, რომ ბევრმა იბანავა კიდეც. იალოვი კი ატრიალებს თავისი აპარატის სახელურს.

მივადექით ყინულვარდნილს. თითქოს ზღვა ბობოქრობდა და ერთბაშად გაიყინა, გაშემდაო, ისეა მყინვარის ტალღები ურთიერთზე მიჯრილი. ვჭრით საფეხურებს და შვეულ, ვეებერთელა ნაპრალზე თოკებით ავდივართ.

გვახარებს ყინულის ბროლის კედლის დამორჩილება.

მზე გადაიწვერა, როდესაც სიარულით დადლილები უკან დავბრუნდით.

კლდეებზე ძლივს მოდის იალოვის თანაშემწე, ძალა აღარ აქვს.

ძალე ავედით სერზე, ზედ მოვექცეთ მის წვერს.

აქედან კი კარგად მოჩანს ჩვენი ნაბინავარი. იქ საფარალისა და წინ ჩასულებს უკვე დაუნთხიათ ცეცხლი.

საფარალი დილას წავიდა მესტიაში პურის ამოსატანად და ამოსულა კიდეც.

მხიარული ჟივილ-ხივილით ჩავედით ჩვენს ნაბინავარზე.

დაღლილობას არავინ გრძნობს. სიცილი და მხიარული საუბარი კარგა ხანს აყრუებდა მთებს, სანამ ცამ პირი არ შეკრა, არ დაიგრუხრუხა და წვიმა დაუშვა.

მოვისხით ნაბდები, კლდეებს შევეფარეთ.

ჩემი აკლდამა საუცხოო გამოდგა.

დილით მზემ გამოანათა და შუადღე არც კი იყო, როდესაც მესტიაში შევედით.

მუზეუმი კლდის ორწობებში

მესტიაში ვისვენებთ. ერთ დღეს კიდეც დავრჩებით და დავათვალიერებთ. აქ, კავკასიონის უღრან ხევეებში უკვე შემოიჭრა კულტურა, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს.

ქირურგიულ საავადმყოფოს, კბილის საექიმოს უკვე საგრძნობლად განუდევნიათ მკითხავები და ექიმბაშები, ხოლო ქობ-სამკითხველოს – ქადაგები.

ყოველივე ეს სულ მალე მოსპობს მას, რასაც ჩამორჩენილობა და უკულტურობა ეწოდება.

ხელისუფლების წარმომადგენელთა თავდადებული მუშაობა ამის თავდება. რაც მთავარია, მათ იციან ხალხის ავ-კარგი, ხალხის გულში არიან ჩახედულნი.

ვიწრო ბილიკს შევუდექით მესტიიდან მულახისკენ. «მთავარანგელოზზე» უნდა ავიდეთ. იქ დღეს მულახელებს დღეობა აქვთ. ვნახავთ ამ ძველი ჩვეულების ნაშთსაც.

– ის რა არის იქ, მაღლა? ბილიკი თუა? – ვეკითხები ჩვენს გამყოლს და მთის წვერისაკენ მივუთითებ.

– არა, არხია იქ გამოყვანილი, მულახის მინდვრები, სათიბები ირწყვება, – მპასუხობს გამყოლი და ჩემი გაკვირვებული სახის დანახვაზე იღიმება.

– ეს ყველაფერი უინჟინროდ, თვითონ გააკეთეს?

– გაჭირვებამ სვანს ინჟინრობაც ასწავლა, – მიპასუხა მოკლედ.

მართლაც, თუ არა ცხოვრების დიდი სიდუხჭირე, სხვა ვერაფერი აიძულებდა კაცს, რომ ამ სიმაღლეზე და უსიერ კლდეებში ყოველივე გამოეზომა და არხი გაეჭრა.



შხარა, დიხთაუ, ნამყვამი

ხვითქი წურწურით ჩამომდის სახიდან, მაგრამ მაინც მივისწრაფვი ზევითკენ, სადაც არხია. მინდა ვნახო. ნაშალი და ნამტვრევი კლდე ფეხებს მტკენს. ვსხლტები კიდეც. გამყოლი სიცილით მამხნეებს. ისიც მოდის. ქვევით, სხვა ბილიკზე ჩვენების ერთ ზოლად გაწყობილი ქარავანი მოჩანს.

აი, ნაშალი კლდეც მოთავდა, ფერდობი შემოსილია დაბალი ბალახით, მოლით. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ჩუსტებს ძირი ისე გაუგლუვდათ, რომ ფეხზე ველარ ვდგებით.

– ფეხშიშველი აჯობებს.

– კიდევაც რომ აჯობებს.

მივდივართ ფეხშიშველნი, შემდეგ აღარც ქვეზე ჩავიცვით. მივალწიეთ არხს.

ვიწროა არხი, ციცაბო ფერდობზე გაყვანილი ანკარა და ცივი წყალი მოჩუხჩუხებს პიტალო კლდეებზე, თითქმის მყინვარის ძირიდან გამოყვანილი.

სირბილით ჩავიარე მთა, რომელიც მულახსა და მესტიას აშორებს ერთმანეთისგან. აქ არის შეკრებილი ხალხი, მულახიდან და მესტიიდან, ჩვენებიც მოსულან.

ბევრს ველარ მივუსწართ. ხარი უკვე დაეკლათ. დაკვლის წესი, მსხვერპლად შეწირვისმაგვარი, დამთავრებული იყო.

მწვანე და ფართო მოლზე ზეიმია გამართული. აქ ფერხულია, იქ – ჯირითი, სიმღერა. განზე ვეებერთელა ქვაბებია ცეცხლზე შედგმული, ხორცი იხარშება.

ხან იქ მივდივართ, ხან აქ. მინდა ყოველივე ვნახო: სირბილი, ხტომა, ქვის ტყორცნა, ყოველივე ამაში სვანს ვერავინ შეედრება. ჯირითი კი არ მომეწონა, ვერ არიან ხეირიანი მოჯირითენი.

სადამო ხანია. მულახისკენ მივდივართ.

თითქოს ზღაპრულ ქვეყანაში მოვხვდითო, მთვარის შუქზე ელვარებენ შორეული მწვერვალები, შავად

იმზირებიან მახლობელი ქედები.

ლამეს დაუფარავს ყოველივე ნაკლი, ყოველივე ის, რაც თვალს ეჩოთირება და მთვარეს მხოლოდ სილამაზე გამოუჩენია.

სულგანაბული ვუმზერ ამ ზღაპარს, ვუსმენ ენგურის ყრუ გუგუნს, მთების იდუმალეზას.

... და არ მიკვირს, რომ მთაში ყველა მგოსანია!

– ლამაზია, ამბობს აღტაცებით ერთ-ერთი ჩვენგანი. მართლაც ლამაზი იყო, იმდენად, რომ დაღლილებს ძილსაც გვავიწყებს, დასვენებასაც. გვინდა დაუსრულებლად ვუცქიროთ. ბოლოს ძილი მაინც თავის ფრთას გვაფარებს წყნარად და ფრთხილად.

რა კარგი იყო იმ ღამის ძილი!

დილით რომ თვალი გადავაღვლეთ ვეებერთელა მულახის თემს, გვეუცხოვა. მთვარიანი ღამის ჯადო გამქრალიყო.

აქ ზოგი სოფელი მთის ორწოხებშია შემალული, 1800 მეტრის სიმაღლეზე, ზოგი ვაკეზეა, 1200-1300 მ. ძირს ყანებს უკვე მკიან, ლეწვაა. იქ, ზემოთ, წანერის მყინვარისაკენ, ყოველივე მწვანით არის შემოსილი. მანძილი ათიოდე კილომეტრიც არ იქნება.

თითქოს ჭრელი ხალიჩა დაუგიათო, ისეა აფერადებული მინდვრები, თითქმის ყველა ნაკვეთი თანაბარ

აქ თითქმის წესიერი თესლბრუნვაა, მიწა სწორ ნაკვეთებადაა დაყოფილი და ყოველ წელს მცენარე ახალ ნაკვეთზე ითესება: პური, ქერი, ცერცვი, ფეტვი, კარტოფილი.

აქ საშუალო მოსავალი უფრო მაღალია, ვიდრე ბარად, მაგრამ მიწა მაინც ცოტაა, ოჯახზე ერთი ჰექტარი ძლივს მოდის.

ის არხი, მთის ორწოხებში რომ არის გამოყვანილი, მულახის თემის მინდვრებსა და სათიბებს რწყავს, ამიტომ სამჯერად ითიბება ბალახი.

მულახიდან შუადღისას გავედით. ნელ-ნელა გავყვევით ვიწრო ბილიკს.

ასავლელი გვაქვს უღვირის გადასასვლელი, მშვენიერი მცენარეულობით დაფარული. ქვემოთ თხილი და რცხილაა, ზემოთ კი წიფელი, ფიჭვი, ნაძვი, ალაგ-ალაგ არყის ხე. მოლზე ყვითელი ენძელა აჭრელებულა და ალისფრად აწყეტს თვალებს.

უღვირის გადასასვლელიდან იფარში ჩავიბრინეთ. ამ თემში არ შევჩერებულვართ, კალაში გვინდოდა იმ დღესვე მისვლა. გავიარეთ ნაძვის მშვენიერი ტყე და საღამოს დაღლილები დავბინავდით კალის სკოლაში. დავიქანცეთ, რადგან გზას ხშირად ვუხვევდით.

– აქ კვარცის მარღვია აღმოჩენილი. და მივდივართ იქით, რადგან შეიძლება ოქროს ქვიშას წავაწყდეთ ან ოქროს ნიშნებს, ოდნავი კრისტალების სახით მაინც და ენგურს ესმის, როგორ გამალებით ვცემთ კლდეებს ჩვენს ჩაქუჩებს, ვამტვრევთ კლდეებს და ვსინჯავთ.

განსაკუთრებით სვიმონი იბრძვის. აგერ, სამფუთიანი ლოდი აურჩევია და ამტვრევს. ყურადღებით სინჯავს ყოველ ნამტვრევს. ვხედავ, ვერაფერი იპოვა. თავს იქნევს თავისთვის.

აგერ, გიორგი აცოცებულა შვეულ კლდეზე, იქ ხელით ამტვრევს ნაშალ კლდეს და ისიც ყოველ ნამტვრევს სინჯავს.

ბოლოს ვნახეთ ერთი ნაჭერი ნიშნებით. ოქრო უნდა იყოს. აქ საჭიროა დიდი ხნის მუშაობა და მხოლოდ მაშინ შეიძლება დადებითი შედეგის მიღება.

სამაგიეროდ, ვნახეთ ბროლის ლამაზი კრისტალები, ფერადი კვარცები და სხვა მინერალები.

კოლექცია შევავსეთ, შევალამაზეთ ახალი კრისტალებით, ახალი ყვავილებით, მცენარეებით.

მე პურის თავთავების ვეებერთელა კონა მკიდა ზურგზე.

ლევანი ჩამცივებია: «თუ ავადმყოფი თავთავები შეგხვდეს, მე შემინახეო». თვითონ იელის ტოტებსა და ფოთლებს სინჯავს. მან უცნობი ავადმყოფობა აღმოაჩინა, ნიმუშებს აგროვებს.

ვანო მალიმალ შლის რუკას და ადგილმდებარეობის სახელებში შესწორება შეაქვს.

წინათ, როდესაც ადგილობრივი, ენების უცოდინარი ხალხი ადგენდა რუკებს, სახელწოდებას ამახინჯებდნენ.

ასე, მუშაობაში გართულნი, მივედით კალამდე. აქაც ჯერ ყოველივე უნდა ჩავალაგოთ, ყოველივე სისტემაში უნდა მოვიყვანოთ.

სვიმონი ქვებს და მინერალებს ახვევს. მე და ლევანი მცენარეებს ვალაგებთ. გვშველიან ელიკო, ლიდუსი, ირმა. ზოგი წერს, ზოგი საუზმეს ამზადებს.

– დღიურები შეავსეთ, – ისმის გიორგის ხმა. მას უნდა, რომ ყველას ჰქონდეს დღიური შევსებული, არავის არაფერი გამორჩეს.

ხვალ კვირიკეს ტამარი უნდა დავათვალიეროთ.

აქ, ამ ძველ ტამრებში, დაცულია მრავალი ძვირფასი განძი, რომლებსაც ქართული ხელოვნების შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენც გვინდა ვნახოთ, შევისწავლოთ, აღვწეროთ.

ავყევით ტყით დაფარულ ფერდობს. უზარმაზარი ნაძვი და სოჭი ფარავს ვიწრო ბილიკს.

– აქ ხდება მსხვერპლის შეწირვა კვირიკობა დღეს, ივლისში. მოჰყავთ თიკნები და კლავენ, ავედრებენ

კვირიკეს, – მიგვითითებენ სვანები ერთ პატარა ტაფობზე, სადაც ცეცხლის ნანთები ადგილი ჩანს. ჯერ კიდევაა შემორჩენილი ეს ჩვეულება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც მალე დავიწყებას მიეცემა. გაგვიღეს კვირიკეს კარი.

პატარა, ქვით ნაშენი ეკლესიაა. გარს გალავანი არტყია. გაიღო ჯერ ერთი კარი, მერე მეორე და შევედით პატარა ოთახში. სულ რამდენიმე კვადრატული მეტრია. მკრთალი სინათლე პაწაწა სარკმლიდან ჩამოდის. დღის სინათლიდან შემოსულებს გვიჭირს რაიმეს გარჩევა, მაგრამ აი, თვალი შეეჩვია და ჩვენ წინ აღიმართნენ ვერცხლით ნაჭედი «წმ.კვირიკე», «წმ. გიორგი» და სხვა ხატები. მთელი ეს პატარა ტაძარი გამოჭედილია ასეთი განმეულით. უმდიდრესი მუზეუმის მკვირფას კუთხეს ჰგავს იგი.

– რომ გაძარცვოს ვინმემ? – ამბობს რომელიღაც ჩვენგანი.

– სვანეთში არავინ არის ამის გამძარცვავი, – გვპასუხობს წვერმოშვებული სვანი, ამ ტაძრის დარაჯთაგანი და მედიდურად გვიცქერის.

ჩვენც ყოველივეს ვზომავთ და ვიღებთ სურათებს, თუმცა დარაჯები ჯავრობენ, ამდენ ხანს არ შეიძლება, ნუ ატრიალებთო.

ერთი ჩვენი გამყოლი სვანურად არიგებს, ესენი საქმისთვის აკეთებენ ამასო, ხშირად ისმის სიტყვა პროფესორი. ამით უნდა, რომ დააჯეროს.

ჩვენ ვჩქარობთ, გვინდა, ყოველივე მოვასწროთ. ვიმუშავეთ, სანამ შესაძლებელი იყო, თითქმის ყველა შესანიშნავი ძეგლი გადავიღეთ.

წამოსვლისას დიდი მადლობა გადავუხადეთ. ასეთ პატივისცემას ბევრი მოგზაური ვერ ეღირსება.

როგორ გაეხარდება უნივერსიტეტის ხელოვნების კათედრას. ეს ხომ მეტად დიდი და მდიდარი მასალაა.

ენგურის პირველ წვეთებთან

სოფელ კალაში გვცილდება ამხანაგთა უმრავლესობა, თბილისისაკენ მიდიან: ლევანი, იაგორა, გახა, ასმათი, ელიკო და სხვები.

ვრჩებით 9 კაცი, ქალებიდან – მხოლოდ მაგდა და ლიდუსი.

ვაბარებთ ამბებს თბილისში, ნაცნობებთან, რედაქციაში. აი, ორი ქარავანი დაშორდა ერთმანეთს: ერთი ლატფარისაკენ მიდის, მეორე უშგულისაკენ.

ავედით მწვერვალზე და გავხედეთ ლატფარს. იქ ჩვენები მიდიან, ზევით, ნისლებისკენ. ლატფარის გადასასვლელზე წვიმს, ავდარია. გავძახეთ ჩვენებს და მხოლოდ მთები გამოგვეხმაურნენ.

უკვე კარგა მალა ვართ, 1800 მეტრის სიმაღლეზე, მაგრამ ტყე არ შეწყვეტილა.

აი მაჟალო და პანტაც, ამ ხეებისთვის ეს კარგი სიმაღლეა, აგერ ბალამწარაც.

ამ ჯიშებს ჩვენი მეზაღობის განვითარებისათვის უეჭველად დიდი მნიშვნელობა ექნებათ, გამძლე ჯიშებს მოგვცემენ.

ყველა ჩავინიშნე. შემდეგაც ავიღებ აქ ნიმუშებს.

ოდნავ დავეშვით ენგურისკენ. გზა პირდაპირია, სუბალპებში მიდის. ათასფერი და ნაირ-ნაირი ყვავილები გვესალმებიან. მერე განა მარტო გარეული. აი ქერის ნათესებიც, ამ სიმაღლეზე! საკვირველია.

– აბა ახლა აღარ წამოხვალ! – მეხუმრება გიორგი.

– არც წამოვალ, სანამ ყველა ნიმუშს არ ავიღებ!

შევერიე ნათესს, ვეძებ სხვადასხვა ჯიშის ქერს. ვნახე კიდევ ექვსრიგიანი შავი ქერი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ექვსრიგიანი ქერის სამი თავთავი ვიპოვე. დავეწიე ჩვენებს. ვახარე, ეს ხომ ახალი ჯიშებია მეცნიერებისათვის.

აი, პურის ნათესიც 2000 მეტრის სიმაღლეზე, შვეიცარიის ალპებში 1800 მეტრზედაც ძლივს მოდის. რა გამძლე ჯიში იქნება!

მხოლოდ ერთი ნათესი ვნახე. მაგრამ ესეც კარგია.

უშგულიც გამოჩნდა. რა მოღუშულია, ჩაშავებული. აი თემი, რომელიც მართლა თოვლის ძირში ცხოვრობს, 1800 მეტრის სიმაღლეზე.

განზე დგას პატარა გორაკი და ზედ ამართულია სამი კოშკი, უცნაურად ჩაშავებული, რაც ასე გამოარჩევს მათ ჩვეულებრივი, თეთრი კოშკებისაგან. ეს სამი კოშკი რაღაც განსაკუთრებულ იერს აძლევს მთელ თემს. შორიდან განსხვავებულ ქალაქსა ჰგავს, უსიცოცხლოს.

შევდივართ სოფელში. სტუმარ-მასპინძლობა გულმართალი და მადლიანი.

– აი, აქ მოკლეს დადემქელიანი, ამ ტახტზე.

მიგვითითებს თედორე უშგულის საყდრის გალავანში მდგომ ქვის სავარძელზე.

«ფუთა დადემქელიანმა მოინდომა უშგულის დამორჩილება. მოვიდა ჯარით, უშგულმა გადაუხადა ქეიფი, დადემქელიანი ამ ქვაზე იჯდა.

და უშგულელებმა მოინდომეს მტარვალის თავიდან მოცილება, მოკვლა. მოკლა მთელმა უშგულმა. ყველამ თავის ტყვიას ჩაათალა ნაწილი, გადაადნეს, ერთი ტყვია გააკეთეს... თოფის ჩახმახს თოკი გამოაბეს, დაუმიზნეს და, როდესაც ფუთას ღვინით სავსე ყანწი გადასცეს, გამოსწიეს თოკს. იგრიალა თოფმა და მას შეუერთდა გმინვა იმ კაცისა, რომელსაც უნდოდა, თავისუფლება წაერთმია თავისუფალი ხალხისთვის.

მისი სისხლი მთელმა თემმა იღო თავს».

– აი, მისი ტანისამოსიც, ნახეთ. – ალებენ ეკლესიის გალავანს და მოხარატებული სკივრებიდან იღებენ ქულაჯას, ჩოხას, მესტებს, ძვირფასად ნაქსოვს და ნაკერს.

ამ ნადავლს ინახავენ, რათა შთამომავლობას გადასცენ, თუ როგორ იბრძოდა უშგული თავისუფლებისათვის.

ბევრ ასეთ ამბავს მოისმენთ ამ მთებში.

არ გვინდა მოვშორდეთ იმ თემს, რომელიც ასეთი გამირული ეპოპეითაა გამორჩეული, მაგრამ გულს გვიმშვიდებს ფიქრი, რომ მაღალი მთის იქით, რომელიც უნდა გადავიაროთ, არის ხალდე, უფრო გამირული სოფელი, რომელმაც თვითმპყრობელი მეფის ჯარი დაამარცხა ამ სამოცი წლის წინ.

გამოვეთხოვეთ უშგულს, გადავედით პატარა ნაკადულსზე – ეს ენგურის სათავეა, – და შევეუდექით კარეტის მთას.

წინ მიგვიძღვის გამოცდილი მონადირე – თეოდორე.

აი, გზა გადაგვიღობა მარხილთა დიდმა ქარავანმა. მთიდან თივა მოაქვთ. უშგულელებს სამოვრები კარგი აქვთ, ბალახსაც ბლომად თიბავენ. მესაქონლეობაც აქ უფრო მეტადაა განვითარებული, ვიდრე დანარჩენ სვანეთში.

ნელი ნაბიჯით მივდივართ მწვერვალისაკენ.

ბარგი კი «შარაგზით» გავგზავნეთ, აქ ცხენი ვერ ივლის.

ნელა-ნელა ავდივართ მწვერვალზე, 3220 მეტრის სიმაღლეზე.

რა სილაღია, რა თავისუფლება! ათასჯერ წამოვიძახე: «რა ლამაზია!» მაგრამ ეს სიტყვა ამ მთებში მეტად მკრთალია. ჩვენ წინ ამართულა: თეთრტანა თეთნულდი, შხარა, ჰისტოლა, უშბა, ათასი სხვა. განზე, თითქოს დარაჯად მდგარი, მოჩანს იალბუზი.

ნისლი თითქოს საგანგებოდ შეკრებილა დღეს, რომ უფრო მძაფრად გვაგრძნობინოს ეს სილამაზე. ხან პირბადედ გადაეკვრის მთებს, ხან გამოაჩენს ყველას ერთად, ხან ცალ-ცალკე. არ გვინდა თვალის მოშორება, მაგრამ როდემდის?

გადავიღეთ სურათები. თუმცა, განა ეს აღბეჭდავს ყოველივეს? მოგვაგონებს მაინც.

ჩვენ უკან, სამხრეთისაკენ, მოჩანს სვანეთის ქედი ლაჰილა.

კარეტის მწვერვალიდან, ხირაჟიდან ჩავდივართ ძირს. ქვების ნაშალია. სიმაღლის გამო მცენარეულობა ვეღარ იზრდება. თოვლი გამდნარა და ეს უფრო აძნელებს ჩასვლას, ფეხი სხლტება.

ზოგი წინ არის. დავცალცალკევდით. თავს ძლივს ვიკავებთ. აგერ, მაგდას ფეხი დაუცდა, დაეცა. თავი გაიტეხა. შევუხვიეთ. სტკივა, მაგრამ მაინც ყოჩაღად მოდის.

ნაშალ კლდეებში მრავლადაა კვარცის ძარღვები. ვპოულობთ აგრეთვე ათასნაირ ბროლს.

ძირს, ხევში თოვლი არ დამდნარა. მის გვერდით პირველად ამოსულა ლამაზი ფურუსულა. პირველად გამოუტანია საყურეები მიწაზე გართხმულ ტირიფს, დღეს 3 სექტემბერია, თბილისში კი თებერვალში უკვე ყვავის.

ჩავლიეთ კარეტის ქედი და მივადექით მდინარე ხალდე-ჭალას, მჩქეფარე მდინარეს, რომელიც ხალდეს მყინვარიდან გადმოდის.

კარგია ხალდეს დათვალიერება, მაგრამ ცოტა დრო გვრჩება.

მდინარეს გადავდივართ. გაგვიძნელდა გადასვლა. მურყანი ვიპოვეთ გამხმარი, ის გავდეთ ხიდად და ისე გადავედით, მაგრამ ორი კაცი გვაკლია. ვეძებთ, ვუყვირეთ. ვნახეთ, აგვცდნოდნენ. ისინი ჩვენ გვეძებდნენ, ქვევით წასულან.



ლასდილი, სუბალპური მდელო, შორს ყორულდაშის მყინვარი

მზე გადაიხარა, ჩვენ კი არაფერი გვიჭამია დილას აქეთ, ვფიქრობთ, სოფლამდე მივლწიოთ, მაგრამ ლამაზმა სურათებმა გაგვიტაცა.

დალილები შევუდექით ხალდე-ლახვარხარის გადასვლას. საკმაოდ მაღალია, 2720 მეტრი, მაგრამ უნდა გადავიაროთ, თორემ ხალათისამარა დავრჩებით ამ მთებში, მშვირები და დალილები.

მწვერვალს მივალწიეთ მაშინ, როდესაც ჩამავალმა მზემ ალისფერი სხივებით მორთო ჩვენ წინ ამართული კავკასიონი.

სწორი ნაბიჯით მივდივართ ქვევით. მუხლები გვეკეცება. დეკიანებში როჭოებმა შეიფრთხილეს და რუკრუკით გადაეშენენ მეორე ფერდობზე. ქვემოთ, თეთნულდის ძირში, ვხედავთ ჰადიშის (თეთნულდის) უმშვენიერეს მყინვარს, მოელვარეს, სრულიად სუფთას. ზედ მორენები არც კია, რადგან იგი მეტისმეტად დაშვებულია, თითქმის შვეულად დაკიდული. მისი გვირაბიდან გადმოქუხს მდინარე ჰადიში-ჭალა²². ის რატომღა უნდა ჩამორჩეს თავის ძმებს, ისიც ისევე კაპასია და ბობოქარი, როგორც სხვები.

ფეხდაფეხ გავდივართ, წელამდე გვემს წყალი. ხელი ჩავკიდეთ ერთმანეთს.

მყინვარისა და საღამოს სუსხმა დაგვკრა, შეგვცივდა დასველებულებს. სწორ გზაზე გავედით. იქიდან აღმართი აღარ არის. პირდაპირი გზით მივდივართ ჰადიშში. მთვარემ ვერცხლისფერი შუქი გადმოაფრქვია მთებს და ერთი საათის შემეგ გამოჩნდნენ ჰადიშის კოშკები თავისი ჩრდილებით.

იქ ცეცხლია, პური და დასვენება.

რა კარგია ყოველივე ეს!

რა მკაცრი ყოფილა ენგურის პირველი წვეთები. მისმა სილამაზემ გაგვიტყუა, მოგვალა, მოგვქანცა, მაგრამ ათასი შთაბეჭდილებით აგვაგსო.

აი, მივედით. ჩვენი გამყოლის ნათესავები არიან.

აინთო დიდი ცეცხლი. დიასახლისი დატრიალდა. ფქვილი გადმოიღო. პური ახალა უნდა გამოაცხოს. აქ პურს საჭიროების მიხედვით აცხობენ.

– სტუმრები აქ არიან? – ისმის გარედან და შემოდის ლადო, ჩვენს მებარგულთან ერთად. ისინიც მოსულან, მაგრამ სოფლის ბოლოში დაბინავებულან ჩვენს მოლოდინში. გაგვეხარდა მათი მოსვლა, ნაბდები მათ ჰქონდათ.

გვიამბეს – გზაში გაგვიჭირდა, ბარგი წყალში ჩავცივებოდა, ხიდეები გაფუჭებული აღმოჩნდაო. მარტო ერთი შეკვრა წაურთმევი წყალს. დაუკარგავთ ჩემი კოლექციის ნაწილიც, უშგულში შეკრებილი ნიმუშები, ძალიან მეწყინა, დამენანა ქერის ნიმუშები, ვინ იცის, ვიპოვი კი ხელმეორედ?

საფარალი მამშვიდებს: მე წავალ, მოვაგროვებ, ჩამოგიტანო, მაგრამ განა ეს ნუგეში იყო, ისეთ თავთავს სად იპოვის! ისიც ბედნიერი შემთხვევა იყო, რომ ვნახე.

დალილობამ თავისი გაიტანა. დილით მზე ამოსული იყო, როდესაც გამოგვეღვიძა. ვნახეთ ძველი ხელნაწერები.

დავათვალაიერეთ ნათესები. ავიღეთ ნიმუშები. აქაც მხოლოდ ქერი, იშვიათად ჭვავი, უფრო ხშირად კარტოფილი და თითო-ოროლა პურის თავთავი. ამ უკანასკნელს ვაგროვებ დიდი სიფრთხილით.

სოფელი ჰადიშიც ბუნებრივი პირობებით უშგულს და ხალდეს წააგავს. ზაფხული აქაც ძალზე მოკლეა. ქერის ნათესები ვერც ასწრებენ ხეირიანად შემოსვლას.

წავედით მესტიისაკენ უღვირის სერით. გზა მშვენიერია, სწორი, არსადაა ხრიოკი. მთელი სვანეთი მოჩანს ირგვლივ. საუკეთესო გზაა. სვანეთში მოგზაურმა ეს გზა უეჭველად უნდა გაიაროს, ბევრს რამეს ნახავს.

მხიარულად მივდივართ. ვითვლით, მერამდენედ აიღებს გიორგი უშბას...

მესტიაში ერთ დღეს დავისვენებთ და დავეშვებით თავქვე. აფხაზეთში, ზღვის ნაპირისაკენ.

ვიყავით 5.639 მეტრ სიმაღლეზე, ვიქნებით 0 სიმაღლეზე.

ვენახიანი სვანეთი

ცოტა არ იყოს, გვწყინს შესისხლხორცეებული მთების და მყინვარების მიტოვება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გზა გვაქვს გასავლელი, ალბათ, მრავალი შთაბეჭდილებაც იქნება კიდევ.

მესტიაში ძლივს ვიშოვეთ ორი ცხენი. ბარგი ბევრი გვაქვს და გვინდა ცხენებით წავილოთ.

მივდივართ ენგურის ნაპირებით. ჯერ კი გულმხურვალე გამომშვიდობება, გამოსალმება, ხელახალი მიპატიჟება.

სვანებიდან მოგვეყვება საფარალი და ორი ეცერელი, ცხენების პატრონები.

ლაბსყალდზე გავიარეთ, იქ ცოტა შევისვენეთ. მერე ჩავლიეთ ქერით ნათესი ფერდობი (რომლის ნაპირებზეც ხელოვნურ ღობესავით გაშენებულა თხილი და ჟოლო) და ჩავედით ვაკე ცხუმარში. იქ უკვე მოუძვიათ პური. იღებდნენ სიმინდს, ცერცვს, ბარდას და სხვა მცენარეულს. ცხუმარში შევისვენეთ. გიორგის აქამდე შუბლი არ გაუხსნია, გულნაკლულია, რომ ვერ ნახა ლაბსყალდის განძეული.

ვეებურთელა პანტის ძირში ვართ მოვიკალათეთ. სვანმა მთელი კალათა პანტა მოგვიტანა. გემრიელად შევექცევით.

– აი, მსხალიც მიირთვით, – და გამოაქვს რამდენიმე კარგი მსხალი. თაფლა-ნაზია, მშვენიერი ჯიში.

ეტყობა, ცხუმარი თბილი ადგილია, რომ ასეთი მსხალი მწიფდება.

აგერ, ქლიავზე იზაბელას რამდენიმე ვაზია, მაღლარად წასული.

იქვე, ბოსტანში მოჩანს თითქმის ყოველნაირი ბოსტნეული, კიტრი და ნესვი, ოციოდე ძირი სოხუმის თამბაქო.

ჩანს, აქ შეიძლება მრავალნაირი ბოსტნეულის მოყვანა.

ენგურს რომ გადავედით, მარჯვენა მხარეს დიდი სივრცე ვიგრძენით, თითქოს თონეში ვართო... ამ ორი საათის წინ ვიყავით იქ, სადაც თითქმის მარტო ქერი ითესება, აქ კი ისე ცხელა, მსხალი და ყურძენიც მწიფს. ეს სივრცე რაღა ცის რისხვანა!

სოფლის გარშემო ტყე უკვე გაუნადგურებით, მოუტიტვლებიათ და ეს დიდი სივრცეც მისი ბრალია. მზის სხივებისგან ხურდება ქვა და ღორღი, ჰაერში ატრიალებს ამ ალმურს.

აკი ამიტომაც სოფელ ლახამულდთან ვნახე ურო, დაბლობი, ხრიოკი და ცხელი ადგილების მცენარე. ჩანს, აქ მისთვის და სხვა გვალვის ამტანი მცენარეულობისთვის კარგი პირობები შექმნილა.

წყალი მოგვაჩყურა ამ უჯითმა სივრცემ და ეს წყურვილი ლახამულდას მჟავე წყლით მოვიკალით.

რამდენი მჟავე წყალი სვანეთში! განსაკუთრებით შესანიშნავია ცხუმარის და ლეზგარის წყაროები, ისინი მიწიდან ვეებერთელა შადრევნებად ამოქუხს.

ეს მჟავე წყაროები დიდ საქმეს აკეთებს. სადაც ხალხი მჟავე წყალს სვამს, იქ ჩიყვი ნაკლებად ვითარდება, ხალხიც უფრო ჯანსაღად არის, ვიდრე ისეთ ადგილებში, სადაც მჟავე წყლები არაა.

წინ მივიწევთ, მიუხედავად დიდი სიციხისა; ლახამულდას იქით, **ლანდალას** მოსახვევთან ამოვისუნთქეთ თავისუფლად. მშვენიერ ტყეში შევედით. ტანწერწეტი მუხის ტყე თავის ჩრდილებში გვიწევს.

რაც უფრო წინ მივიწევთ, მით უფრო ხალისდება ტყე. იქ, სადაც ნაკრა ენგურს უერთდება, მუხნარს ემატება წაბლი, ცაცხვი, ნაძვი, სოჭი და მალე მუხნარი ადგილს უთმობს ამ ტყეს.

აგერ წყავიც, ეს შავი ზღვის სანაპიროების მცენარეა. ეტყობა, ენგურის ნაპირებით ამოჭრილა. მამასადამე, ჰავა აქ უკვე ზომიერია.

მარადი მყინვარებიდან ერთი დღის განმავლობაში მარადმწვანე მცენარეებამდე ჩამოხვალ. ამაზე მეტი მშვენიერება განა შეიძლება?

ასეთი მხარე შეიძლება ერთადერთი იყოს მთელი დედამიწის ზურგზე.

– აბა, უყურე, რა უზარმაზარი სოჭია, – მიმითითებს გიორგი.

– რომელი არ არის მაგისტანა? გახედე, რა ხელუხლებელია, უდაბური. სხვაგან სად გინახავს ამდენი წაბლი?

მართლაც რა ბარაქიანი და დოვლათიანი ტყეა!

– ღამდება, ჩქარა ვიაროთ!

ჩვენ ქვემოთ გამალებით მიქრის მდინარე ნაკრა. მას დონდუზ-ორუნიდან მოაქვს ამბები. ჯერ ზევით მივდივართ, ხეობა ვიწროვდება, იქ ხიდია გადებული და მეორე ნაპირზე გადავალთ.

დევებივით აზიდული სოჭების სვეტებს შორის პაწაწინები მოვჩანვართ, ჭიანჭველებივით მივდივართ სიბნელეში. როცა ტყე სადმე შეთხელდება, ტოტებშუა ვხედავთ, რომ ცაზე ვარსკვლავები აენთენ.

– აბა, იჩქარეთ, ცხენები დაილაღნენ, ღამე სადმე უნდა გავათიოთ, – გვაჩქარებს ჩვენი გამყოლი.

– აქ პატარა სოფელია, შტიხირი. სამი-ოთხი კომლია.

ავუხვიეთ გზას, ავლიეთ პატარა ფერდობი და მალე ჩვენ წინ გამოჩნდა სახლების შავი სილუეტები.

კალოზე მოვეწყვეთ ღამის გასათევად. სვანი, კალოს პატრონი, გვიჯავრდება, აქ ნუ დგებით, ცხენები გაიპარებიან და სიმინდს გააფუჭებენო. ვპირდებით, რომ ასეთი რამ არ მოხდება.

ეს სიმუნწით როდი მოსდის. იგი ზემო სოფლიდან არის გადმოსახლებული ამ ტყეში მარტოდმარტო. ტყისთვის წაურთმევია მიწის პატარა ნაკვეთი და მოუყვანია სიმინდი. ესეც რომ გამვლელმა გაუფუჭოს, რაღა ქნას?

ნაბადში გახვეული ფიქრებში წავედი.

მიტაცებს ენგურისა და ნაკრას ქუხილი, ხელუხლებელი ტყის ჩურჩული, ვარსკვლავების ციმციმი. ბოლოს ნანად მეჩვენება ყოველივე ეს და დილით მეღვიძება მხოლოდ მაშინ, როცა წვიმის წვეთები სახეს მისველებს.

ცა მოღრუბლულა და ჟინჟლავს.

არ გვესამოვნა. სწრაფად შეკვარით ბარგი და განვაგრძეთ გზა. სხვები წინ მიდიან, მე ცხენებთან ვარ.

ენგურის ნაპირებზე გზა ძნელია, ბევრგან ვხსნით ბარგს და ზურგით გადაგვაქვს: ბარგიანი ცხენი აქ ვერ გაივლის, ცარიელიც თითქმის ხელით გადაგვყავს, ერთი კუდს უჭერს, მეორე – აღვირს.

იქ კი, ძირს, ხალხი მოჩანს. ჭიანჭველებივით პატარები ვეებერთელა ხის მორებს ებრძვიან.

– ტყე მიაქვთ, ტყეზე მუშაობენ, – მეუბნება საფარალი.

– ბევრი ხე ფუჭდება, სანამ ენგური გაივაკებდეს, ამტვრევს და ნაფოტებად აქცევს.

– წამოდით, რა დროს ლაპარაკია! – ჯავრობს ერთ-ერთი გამყოლი.

წვიმამ უმატა და სადმე თავი უნდა შევაფაროთ.

– აქეთ, აქეთ! – გვესმის ხმა.

ვხედავთ, ჩვენები შეყუჟულან ერთი კლდს ქვეშ, ნახევრად ქვაბულში. გადმოვიღეთ ბარგი, შევაფარეთ თავი მშრალ ადგილს.

კლდე მწვანითაა შემოსილი. ეს ხომ სუროა. აგერ ვაზიც, კაკალი, წყავი, ბარძი. ეჰ, აქ უკვე შავი ზღვის სანაპიროები გვესაუბრებიან: ენგურის ნაპირებს ამოჰყოლიან და მოსდგომიან კავაკასიონის ყინულით დაფარულ მთების ძირს.

მზემ მალე გამოაჭყიტა. კვლავ გავუდექით გზას.

აქა-იქ ცამდე სვეტებად ადის კვამლი.

– სოფლებია? – ვკითხულობ.

– არაყს ხდიან ანწლისას.

გზის ნაპირები, ტყისგან თავისუფალი ადგილები, ანწლის გაუვალი ნაზარდებით არის შემოსილი. ანწლი დატვირთულია შავი ნაყოფით.

– აი თვით ქარხანაც, – მეუბნება საფარალი და მიმითითებს გზისპირისკენ. სვანებმა ცხენებს ხელი უშვეს და გადავიდნენ.

დგას ქვაბი, გეჯა, ანთია ცეცხლი და იხდება არაყი. გვერდით ანწლის ნაყოფით სავსე ხის ვეებერთელა კათხებია. ანწლს ამ კათხებში ყრიან და ტოვებენ სამ დღე-ღამეს, ამ ხნის განმავლობაში დაიდუღებს და შემდეგ არაყს ხდიან.

მაწვდიან ყანწს, გამოვართვი, გავსინჯე, მაგრამ არ ვსვამ: მეტად მყარია და თავზე მოგდებული აქვს ქონისმაგვარი ნივთიერება, სპირტის შხამი.

სვანებმა კი ჯამფილებით მოიყუდეს, თვალები უბრწყინავთ.

– უჰ, ჭვიბერში ნახეთ, იქ არაყს დიდი და პატარა ხდის, – მიხსნის საფარალი.

– ხომ ამოხოცა ხალხი, ხომ გადააგვარა?

– კიდევაც, სულ ჩაყვითლებულები არიან, ჭლექიანები, – მიდასტურებს საფარალი.

ვხედავ, რომ ირგვლივ კვამლი ადის ცაში და ყოველ კვამლთან ამ შხამის «ქარხანაა».

ამ ხეობაში ხალხი ახლახან გადმოსახლდა – ბოლო 30 წლის განმავლობაში. ანწლი ბევრი მოდის და ყველა ხდის არაყს. ჭვიბერში ხომ დიდ ქვევრებს ავსებენ.

სოფელ ჯორჯვალში რომ შევედით, დავინახეთ, ჩვენები მოჭრილ ხეებზე ჩამომსხდარიყვნენ და ნიშნის მოგებით მწიფე პომიდორს მიჩვენებდნენ.

მათ არ იციან, რომ საფარალიმ უკვე მომიტანა თავისი ნაცნობებისგან რამდენიმე მწიფე პომიდორი და ყურძნის მტევნები.

მხიარულად ვისაუზმეთ და შევუდექით ჭვიბერის გადასასვლელს, რომელიც მალევე ავლიეთ. ბინდებოდა, როცა მდინარე ნენსკერის ხეობას გადავხედეთ.

ის ზედა სვანეთს სრულიად არა ჰგავს. კოშკი არსად მოჩანს, სახლები ყველა ხისაა. სახლების წინ იზაბელას მალლარი ვაზები ახვევიან წიფელსა და თხმელას; მინდვრებში სიმინდია დათესილი, შიგ ვეებერთელა ყვითელი გოგრები ჩანს.

ყველგან ყომრალი ბოლი ადის. არაყს ხდიან. მასალა ბევრი აქვთ, მთელი არემარე ანწლითაა დაფარული. გოგო-ბიჭები წყვეტენ ანწლის მტევნებს და ყრიან გოდრებში, რომლებიც ვირებს ჰკიდია ზურგზე.

– აქ რთველია ახლა გაჩაღებული, – იცინის ჩვენი გამყოლი.

– ვერ არის კარგი რთველი.

ვუხსნი, მაგრამ არ მიჯერებს. მეორე დღეს ნათელი გახდა, რომ მართალი ვიყავი. ფხიზელი კაცი იშვიათად გვხვდება. ადგილობრივი მოსახლეობა ჩაყვითლებულები, მკერდჩავარდნილები არიან.

– ვებრძვი ამ მოვლენას, მაგრამ ჯერ ვერას გავხდი, – გვეუბნება ადგილობრივი მასწავლებელი.

ამას ზედ ერთვის ციებაც, რომელიც საკმაოდ არის გავრცელებული და ხალხის ჯანმრთელობას დიდ საფრთხეში აგდებს.

– აი, ამ სერზე იყო ალბათ, რკინის სადნობი ქარხანა, – მიგვითითებს ბეუჩი და მივდივართ ზევით, სერისაკენ. მაცვლის ბარდებში ძლივს მივიკვლევთ გზას.

– აქ, ამ ნაქარხნევის მახლობლად, ოქროს ფულსაც პოულობენ ალექსანდრე მაკედონელისას.

– ნეტავ აქვს ვისმეს აქ? – ვეკითხებით.

ბეუჩიმ გზას გადაუხვია. მივედით სვანის სახლ-კართან. აღმოჩნდა, რომ მას კალოს კეთების დროს ეპოვა ოქროს ორი ფული. ერთს აწერია ბერძნულად «ლიზიმახი», მეორეს – «ალექსანდრე».

გაგვახარა ფულის ნახვამ და ვიყიდეთ. გუშინ ოზურგეთში ჰქონია გასაყიდად, მაგრამ ვერ გაუყიდა. ამ ოცი წლის წინ ვერცხლის სურამში ასი ასეთი ფული უნახაიათ და ფოთში გაუყიდათ. ვინ იცის, ახლა რომელი ქვეყნის მუზეუმს ამშვენებს ჭვიბერში ნაპოვნი ფული. ეს ორი მაინც შევინარჩუნეთ.



ა. სვანეთი ზაგარი, ლასდილი, უკან წურუნგალი და აილაშა.

ნაქარხნალის გარშემო მრავლად ყრია ნადუღი რკინისა და თიხის მიღები, რომლებსაც რკინის დნობისას ხმარობდნენ ძველად.

ეს იმის ნიშანია, რომ აქ მართლაც ყოფილა ქარხანა, ბერძენთა მიერ ნაშენი და შეიძლება ეს ოქროს ფული, რომელსაც აქ ბლომად პოულობენ, ბერძენ მრეწველთა მიერ იყო დატოვებული. ალბათ რკინის საბადოებიც იქნება აქ სადმე.

თუ 2300 წლის წინათ იყო აქ რკინის ქარხანა, შეიძლება დღესაც გაჩაღდეს ეს მუშაობა, მხოლოდ გამოკვლევაა საჭირო.

გადავიღეთ სურათები, წამოვიღეთ ნიმუშები და დავეშვით ბინისკენ. ფერდობი დაქანებულია და ბუჩქებმა დაგვკაწრეს მთლიანად, მაგრამ მაინც კმაყოფილები ვართ.

ხვალ დილით გადავივლით უთვირს, რომელიც სვანეთს აფხზეთისაგან ყოფს და დავეშვებით ზღვისაკენ.

ზღვისაკენ

ჭვიბერიდან სხვა გამყოლი მოგვდევს. საფარალიც განუყრელად ჩვენთან არის. მთელი ჩვენი ბარგი სამ ცხენს ჰკიდია.

გამოგვაცილა ადგილობრივმა მასწავლებელმა და მისმა მეზობელმა, რომელიც კვლავ გვესაუბრება ადგილობრივ მცხოვრებთა ჩამორჩენაზე, ანწლის არაყზე, გამანადგურებელ სენად რომ მოვლენია ჭვიბერის თემს. გვთხოვს, იქნებ თქვათ სიტყვა, სადაც ჯერ არს, რომ სკოლები კიდევ გაიხსნასო.

– სკოლა თუ გვიხსნის ამ უბედურებისაგან, – დაასკვნა მან.

გავედით ნენსკერის ხიდზე. მისი ნაპირი მოფენილია თეთრტანა მორებით. ამ მდინარით აცურებენ ხეებს, ხოლო ენგურით ოჩამჩირეში ჩააქვთ.

– აი, ის ფერდობები ტყით იყო შემოსილი, ახლა მარტო ანწლიაა, – მეუბნება საფარალი.

მართლაც, მრავალი ფერდობი უკვე მოტიტვლებულია და ნატყევარ ნოყიერ ადგილზე ანწლი აყრილა.



ბაწარას ხეობა, წაბლი.

შევერიეთ ტყეს. დაიწყო აღმართი, პირველად შეუმჩნეველი, მაგრამ მალე დაეკიდა იგი. ამ აღმართით ავალთ უთვირის გადასავალზე.

– რა მშვენიერი მოცვია!

– ნახეთ, აქაური ყურძენი!

ისმის ხმები და ჩვენები უკვე მისხდომიან მშვენიერ მწიფე მოცვს და გემრიელად შეექცევიან. მართლაც, ირგვლივ მრავლადაა ქვეტყე. თითქმის მარტო მოცვია, ამასთან ბარაქიანად მსხმოიარე. მას თავი ნარევ

ტყეში შეუფარებია. აგერ სოჭი, ნეკერჩხალი, წიფელი, ცაცხვი, თელა და მრავალი სხვა – სიამაყე ჩვენი ტყეებისა.

– ნუ იგვიანებთ, წამოდით! – ისმის ზევიდან ვიღაცის ძახილი.

თავის დანებება არ გვინდა, მაგრამ მაინც მივდივართ.

– მოდით აქ, ჩქარა, იალბუზი!

ეს დევის აღტაცებული ხმაა. დევი დამდგარა ერთი კლდის ცხვირზე, იქ, სადაც ტყე გახსნილია და იცქირება ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ.

შორს, ცის დასავალზე, ნისლის მკრთალ პირბადეში იალბუზი მოჩანს.

აქედან უნდა გამოვემშვიდობოთ, ამ მგზავრობაში სხვა ადგილიდან ვეღარ დავინახავთ.

– მშვიდობით, იალბუზო! – ერთხმად შევძახეთ ყველამ და ავეყვით ბილიკს.

აი, ნარევი ტყე მთავრდება, ჩანს მხოლოდ წიწვიანი, ხოლო ალაგ-ალაგ წიფელი და მთის ბოყვი.

მზე გადაიხარა, აი, მიეფარა კიდეც მთას.

– აქ უნდა შევისვენოთ, ღამე მთას ვერ გადავალთ, – აცხადებს საფარალი და ჩვენც ვემორჩილებით.

ჩამოვხსენით ბარგი ცხენებს და დავაწყვეთ ბოყვების ძირში. ყველას ღამის გასათევად მოწყობა მოუწია, მაგრამ ვიცი, რომ თუ ახლა შეშა არ მოვიმარაგეთ, ღამე გაგვიჭირდება, ცა მოწმენდილია და სიცივე იქნება.

– აბა, ყველამ ორ-ორი ზურგი შეშა უნდა მოვიტანოთ! – ვაცხადებ და შევუდექით საქმეს.

შეშის მოტანა არც ისე ადვილია. ეს ადგილი ტყის ზედა ნაწილია, ალპური საძოვრების მოსაზღვრე, ხმელი და ძირს ჩამოცვენილი ტოტიც კი არაა სადმე, უკვე აუკრეფიათ და დაუწვავთ მწყემსებს. მიწაზე ყრია ვეებერთელა წაქცეული მორები, ზოგს ძვრასაც ვერ ვუშვრებით. მაინც შევებრძოლეთ რამდენიმეს და გავიდეთ ზურგზე. ფეხებს კანკალი გააქვთ სიმძიმისაგან, მაგრამ მივართიეთ. ასეთი მორები სხვებმაც მოათრიეს. ზოგმა ცული წაიღო და საღამოს ბინდში ისმის ცულის კაკუნნი.

მალე აგუზგუზდა ცეცხლი. შევდგით წყლიანი ქვაბები. საფარალი და მეორე სვანი ქვემოთ, ხევისკენ წავიდნენ, იქ მეჯოგეები არიან, რძეს ვიშოვითო.

მცირე ხნის შემდეგ გაიმართა ნადიმი, საუბარი და სიმღერა. ვეებერთელა ცეცხლის შუქზე უცნაურად ცეკვავდნენ შორიშორს მდგარი მდუმარე ხეები. შორეული ციდან ვარსკვლავები გვილიმოდნენ, დაგვიციმციმებდნენ.

ზოგჯერ ყველანი ჩავჩუმდებოდით და მივუგდებდით ყურს ღამის მდუმარებას, ასე იდუმალი რომ არის მთებში. თითქოს ბუნება მოკვდაო, ისე მიყურებოდა ყოველივე, მაგრამ აი, უეცრად მთების იქიდან რაღაც დაიკისკისებდა და ეს კისკისი არღვევდა იდუმალებას, გაინავარდებდა, გაითამაშებდა ჰაერში და გადაიკარგებოდა სადღაც, მთის იქით.

ასე იცის მთის მიწყნარებულმა ჰაერმა. გამოძახილი, მეტადრე ღამით, შორს გადაიკარგება ხოლმე.

გამთენიისას ბარგს ვკრავთ. ნაბდებზე თრთვილია დადებული. ყინვების ნიშანია ეს.

გადასასვლელზე ავედით. მკერდგანიერია ის, მაღალი ბალახით შემოსილი. ფეხქვეშ ხრამხრუში გააქვს ყინულს. ზამთარი წამოგვეპარა მთებში. ძირს კი ისევ ზაფხული იქნება.

უთვირი ზეგანსა ჰგავს. ალაგ-ალაგ მოჩანს პატარა ტბები, ისლითა და ჭილით გარშემორტყმული...

ტყის საზღვარი კაი ხანია ამოვლიეთ, მაგრამ არყი, მთის ტყეთა საზღვრის ნიშანი, ვერ ვნახეთ, ის სოჭით მთავრდება. აქაც, გადასასვლელზე, ალპურ კიდეებს შორის, მოჩანს სოჭის პატარა კორომები. ეტყობა, მთელი ზეგანი ტყით ყოფილა შემოსილი, მაგრამ გაუნადგურებიათ, ალბათ უფრო მწყემსებს. შეიძლება ტყე განადგურდა ბუნებრივი პირობების გამოც, რასაც აქ ადგილი ჰქონია მრავალი საუკუნის მანძილზე.

– ეს კორომი ხომ იმის ნიშანია, რომ ოდესღაც აფხაზეთისა და სვანეთის ტყეები შეერთებული იყო, – ამბობს გიორგი.

– უეჭველად, – ვეთანხმები.

უკვე ვუახლოვდებით გადასასვლელის მეორე მხარეს. ვუახლოვდებით-მეთქი, ვამბობ, რადგან გადასასვლელზე თითქმის შვიდი კილომეტრი გავიარეთ.

აქედან მშვენივრად მოჩანს აფხაზეთის კავკასიონი თავისი მწვერვალებით: ღვანდრათი, საფაროვათი, ფსიშით. გიორგიმ ყველა მწვერვალი გადაიღო და დავეშვით თავქვე, აფხაზეთისკენ. ჩავირბინეთ მაღალი ბალახით მოსილი ფერდობი და შევედით სოჭის ტყეში. სოჭები აქ, საზღვარზე, შორიშორს დგანან, ასი და მეტი ნაბიჯით დაშორებულნი ერთმანეთისგან.

აი, უკვე გავივავით, აქა-იქ მოჩანს კვამლი. აქ სვანეთიდან გადმოსახლებულები არიან – დალის ხეობისათვის შეუფარებიათ თავი და ტყეში მიმოფანტულან, პატარ-პატარა სოფლები გაუშენებიათ. ებრძვიან ტყეს: სტაცებენ მიწას, თესენ სიმინდს, მაგრამ ტყე ადვილად არ ემორჩილება, ერთი წელი რომ არ მოიხნას, არ დაითესოს, მიწა კვლავ ძლიერი ამონაყარით დაიფარება.

ისმის რაღაც განუწყვეტელი ხმაური, თითქოს ტყვიამფრქვევი მუშაობს შეუჩერებლივ. ყურთასმენა აღარ არის ამ უცნაური ხმაურისაგან.

– რა კაკანებს, საფარალი?

– დათვს აშინებენ, – გვპასუხობს საფარალი და ეღიმება.

მივიწევ ამ ხმაურისაკენ. აი მივალწიე კიდეც. პატარა ნაკადული ჩამოჩუჩუხებს. ღარი ციბრუტით ატრიალებს პატარა ბორბალს, რომლის ფრთები სცემენ ყავარს და ახმაურებენ ისე ძლიერად, რომ ერთ კილომეტრზე ისმის ამ უდაბურ ტყეში.

დათვს ეშინია ამ ხმაურისა და ვეღარ შედის სიმინდში.

მთელი ხეობა სავსეა ამ ხმაურით, ამ კაკუნით.

ჩემს ცოდნას მიემატა ეს ნანახიც – წყლის ენერჯის გამოყენება დათვების შესაშინებლად.

ჰაერი აქ უფრო მძიმეა. 1000 მ. სიმაღლეზე ვართ. ვსინჯავთ ანეროიდს. ახლა ქვემოთ ვეშვებით. ხშირია დაბურული ტყე და მისი ნესტიც. ნიადაგი აქ უკვე ვეებერთელა გვიმრებიტაა დაფარული.

ჩხალტაში საფარალის ბიძასთან შევისვენეთ. გაგვიმასპინძლდა მშვენიერი თაფლით.

თაფლის გარდა ჩვენს სუფრას ამშვენებს სახელდახელოდ დაკლული შემწვარი ქათმები, მსხალი, ვაშლი, კაკალი, მწვანილეული, პომიდორი. ვსხედვართ მწიფე მტევნებით დახუნძლული იზაბელას ქვეშ.

– სვანები აქ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ჩამოვსახლდით, ახლაც ბევრი გადმოდის.

– კარგია ეს მხარე, მაგრამ ციება ცუდ დღეს გვაყრის.

– სკოლაც ერთის მეტი არა გვაქვს, ნეტავ კიდეც გაგვიხსნან.

გვიამბობენ და გვიხსნიან გაჭირვებას და სიხარულს აქაური სვანები.

სოფელ აჯარაშიც არის რამდენიმე კომლი სვანიც, აქ არის რუსების სოფელიც. რუსები უმთავრესად XIX საუკუნეში გადმოსახლდნენ.

მთების შემდეგ აქ შევხვდით ურმის თვალს. 40 დღის მგზავრობის შემდეგ უცნაურად გაგვიხარდა ყველას.

აქ გამოვესალმეთ საფარალის, ჩვენს მასპინძელს და გავუდექით გზას ცხენის ურმით.

ტყეში მრავლად ვპოულობთ მწიფე ლედვს, ზოგან ყურძენსაც. აგერ გზის პირას (ეს სოხუმის სამხედრო გზაა, რომელიც ქლუხორის უღელტეხილზე გადადის), გზის დარაჯის ეზოში პალმაც არის. თითქმის 3 მეტრის სიმაღლისაა.

ახლა უკვე სუბტროპიკებში ვართ. მშვიდობით, საყვარელო თოვლიყინულოვანო მთებო!

8 სექტემბერს სოხუმში ადგილობრივმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ ზეიმი გაგვიმართა. მოგვესალმნენ, მოგვილოცეს გამარჯვება. თბილი იყო სოხუმელთა შეხვედრა, უხაროდათ ჩვენი გამარჯვება.

10 სექტემბერს კი თბილისში ვიყავით.

ამით დამთავრდა ეს ჩვენი დიდი მოგზაურობა. გავიარეთ დიდი გზა, რომელიც თქვენც უნდა გაიაროთ, ჩემო ახალგაზრდა მკითხველებო, რადგან იქ მრავლად დარჩა უნახავი ადგილი, ჯერ ისევ გამოუკვლეველი და შეუსწავლელი. ყოველი ახალი ნაბიჯი ამ გზაზე ბუნების უდიდესი წიგნის ახალ ფურცელს გადაგიშლით.

ხუთი მდინარის სათავეებში (1936 წ.)

პანკისის ხეობა

1926 წელს ვმუშაობდი ქართლის ველების კვლევაზე და ქართლის ზაფხულის მზემ, მოელვარემ და მცხუნვარემ, მომანატრა ყინულის მუზარადით შემოსილი კავკასიონის მთები. გადახრუკულ მინდორზე მუშაობის დროს წყურვილისაგან პირგამომშრალი შევცქეროდი ბრუტსაბძელს; ზიკარის მწვერვალს და სხვა ბუმბერაზებს და ვნატრობდი იქ ყოფნას.

აი, ამოვწურე სამუშაო, როდესაც დეპეშამ მაცნობა: «მივდივარ ბორბალს მიდამოებში და კახეთში გიცდი».

ამ დეპეშას მიგზავნიდა ბოტანიკის კათედრის გამგე, ჩვენ უნივერსიტეტის პროფესორი **ზაქარია ყანჩაველი**.

ბორბალს მიდამოები! განა ამაზე საუცხოო მგზავრობა კიდეც შეიძლება? ამ მწვერვალიდან სათავეს იღებს კავკასიონის ხუთი მჩქეფარე მდინარე: ბარაქიანი **ალაზანი**, დინჯი **იორი**, კისკისა **არაგვი**, მთის ორწოხებიდან ველზე გაჭრილი **ყოისუ** და მქუხარე **არღუნი**. ამ მდინარეთა ხეობებში შესანიშნავი ხალხია: თუში, ფშავი, ხევსური, ქისტი, ლილივი, დიდო. ბუნებაც უჩვეულოა იქ: მრისხანება კავკასიონისა, სინაზე ალპური სამოვრებისა და მდელოებისა.

ყოველივე ეს ჩემ თვალწინ გადაიშლებოდა და მომიყვებოდა იმდენს, რამდენსაც ვერც ერთი მრავალფურცლიანი წიგნი ვერ მეტყოდა.

შევამზადე ყოველივე, შევეცადე არაფერი დამვიწყებოდა, ნემსი და ძაფიც კი. მახსოვდა იალბუზზე გამყოლის, მოხევე იაგორ კაზალიკაშვილის სიტყვები: გზას კარგად შემზადებული უნდა გაუდგე, მეტადრე მთებში. პატარა დანაკლისს შეუძლია დიდ ფათერაკს შეგახვედროსო.

მატარებელი მიქრის გარე კახეთის ველებზე. უკან რჩება თბილისი, ზაფხულის თბილისი, სიცხიანი და მტვრიანი. არც ეს ველებია სახალისო. გამხმარი მაღალი **ურო** თუ ბიბინებს და ირხევა ოდნავ მქროლავი ნიავის ფრთებზე. სამაგიეროდ, წინ მთებია, კავკასიონის მთები.

აი ალაზნის ველიც, ულამაზესი. შორს ცის თაღამდე ატყორცნილი ლეკის მთები, ძირს – ველი, მოელვარე ალაზნით გადასერილი, ზაფხულის მზით აელვარებული.

გადაესვენა მზე. აელვარდა მთის მწვერვალები. ოქროსფერ სინათლეში გაეხვია მთელი კახეთი, ჩემ წინ ასე საოცნებოდ გადაშლილი. აი თელავიც, ვენახების ზღვაში ყელმოღერებული თელავი.

ღამის ორი საათია. ეტლით გავდივარ თელავიდან. ალვანში უნდა მივიდე, იქ მიცდიან. ვარსკვლავებით

მოჭედილი, ღრმა, დაუსრულებელი ცა. შორს მრისხანე დევებივით აყუდებული ლეკის მთებ შავი სილუეტები, ასე იდუმალად და უხმოდ რომ დასცქერის თავის სამირკველს, ალაზნის ველს.

გავყურებ იდუმალებით სავსე ღამეს და გული სიხარულით ივსება: ასე იცის ზაფხულის ღამის ნიაგმა.

უცბად ცა გადახსნა ვეებერთელა ცეცხლის ბურთმა. ვეებერთელა ჩირადდანმა. ააღვარა მაღლა ცა და ძირს ველი. ვარსკვლავებმა წუთით დაკარგეს ბრწყინვალეობა. ცის მეორე მხარეს ჩაქრა ეს ჩირადდანი. ჩქარა და თითქოს კვამლსა და ბურუსში გაეხვიაო. ცთომილი ვარსკვლავი იყო, გაქრა, დაიშალა ათი ათას, მილიონ ნაწილად, მტვრად იქცა და ეს მტვერი სამყაროს მოეფინა. იქნებ მცირე ნაწილმა ჩვენს პლანეტამდეც მოაღწიოს. ბევრი ღამე გამითენებია ცის ქვეშ და პირველად ვხედავდი ცთომილი ვარსკვლავის დაშლას, პირველი იყო ღამის ამ უდიდესი სილამაზის ხილვა. თვალს ვეღარ ვაცილებდი ცას.

გავიარეთ მდინარე თურდოს ხევი, ახლა დამშრალი, წვიმის დროს კი საშინელი. გავიარეთ რუისპირი, ძველი იყალთო. აქ იყო ძველად მეცნიერების კერა, აკადემია. სიბნელემ ძალა დაკარგა, აღმოსავლეთი შეწითლდა, შევარდისფრდა და პირველმა სხივმა კახეთი მოინახულა.

მივადექით ალაზანს. მღვრიეა, შლამით და სილით სავსე.

– თუშებმა თქვეს: ალაზნის სათავეში მეწყერი ჩამოწვა, სანამ იმ მეწყერს არ გამოიტანს ალაზანი, წყალი არ დაიწმინდებაო, – მეუბნება მეეტლე.

გავედით ალაზანს. წყალი ღრმაა, ეტყელში ამოდის.

– ბევრი კაი ვაჟკაცი დაულუპავს ამ ადგილებში ალაზანს, – უკვე მეორე ნაპირზე მეუბნება მეეტლე. – ამ გაზაფხულზედაც დაახრჩო ერთი ვაჟკაცი. ცხენიდან გადმოიღო ალელებულმა მდინარემ და სიცოცხლეს გამოასალმა.

ალვანი დიდი სოფელია. მთელი თუშები აქ ცხოვრობენ: წოვა თუშები – ზემო ალვანში, ჩადმები – ქვემო ალვანში. ჩადმები ქართველები არიან, ქართულად ლაპარაკობენ, **წოვა** თუშებს ნათესაობა აქვთ ლილეებთან (ესენი კავკასიონის მთებში ცხოვრობენ), მათი ენაც ლილეურს წააგავს, დიდი ხანია ქართველებთან დადეს ძმობა. დღეს ქართულად ლაპარაკობენ. არ არის ისეთი წოვა თუში, რომ წერაკითხვა არ იცოდეს. უმაღლესი განათლებაც ბევრს აქვს მიღებული. სულ 500 კომლია, მათი არსებობის წყარო მეცხვარეობაა. მომთაბარეობენ, ცხვარი მთებიდან საზამთროდ ბარად მოუდით, უმთავრესად შირაქში, ყიზლარისკენაც; ზაფხულში კი თრიალეთზე და მთათუშეთში მიერეკებიან, აგრეთვე გუმბრისკენ, ოსმალეთის საზღვარზე. ცხოვრობენ სუფთად, იცვამენ ლაზათიანად: მოკლე ლეგა ჩოხა, შავი ახალუხი, ფეხზე საცვეთები და წულა ან ქალამანი, ქუდი – თუშური, ნაბდისა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი. მეცხვარეებს სხვა იარაღიც აქვთ – თოფი და დამბაჩა.

ქალებს აცვიათ გრძელი კაბა, გარედან შავი ახალუხი, გრძელი შავი წინსაფარით; გათხოვილებს – შავი მანდილი კოჭებამდე, გასათხოვრებს – მანდილი მხრებამდე.

ქალიც და კაციც კარგი ცხენოსნები არიან, შწოიანები. თუშები ზაფხულობით მთელი ოჯახით მთაში მიდიან ცხენებით, წოვები – ტბათანაზე. სამგზავროდ სხვა საშუალება არ არის. ხშირად მინახავს ვიწრო ბილიკზე მთაში მიმავალი ან მთიდან მომავალი ოჯახი, ცხენები, დატვირთული საოჯახო ბარგით. მაღალტანიან ქალს ცხენი აღვირით მოჰყავს. ცხენს დიდი ხურჯინი ჰკიდია, ხურჯინიდან კი პატარა ბავშვებს ამოუყვიათ თავები. ბავშვებისთვის ეს ყველაზე უფრო იოლი მგზავრობაა.

მიაბმეს: ჩაღმა თუში ოჯახობით მთაში მიდიოდა. ბავშვები ხურჯინში ისხდნენ, ცხენი დედას მიჰყავდა. ერთ საშინელ ბილიკზე ცხენს ფეხი დაუსხლტა და უფსკრულისკენ გადაეშვა. დედამ ხელი არ გაუშვა აღვირს, თან გადაჰყვა და იმდენი სიმტკიცე გამოიჩინა, რომ შეაყენა ცხენი, ფეხი მოაკიდებინა უფსკრულის კიდებზე. ჩაეშველნენ. ბავშვები მცირედ დაშავებულიყვნენ. დედას ხელი მოეტეხა, მაგრამ ბედნიერი იყო, შვილები გადაარჩინა.



თუშის ქალი ხურჯინში ჩასმული ბავშვით მიემგზავრება მთაში.

ყოფილა შემთხვევა, რომ დაღუპულან კიდეც.

ფართო და სწორი ქუჩით მიდის ეტლი. გზის ნაპირას ხის სახლებია, ჭდეულები, ხშირად ქვითკირიცი. ეზოში არაფერია ჩანს.

მთიდან ჯერ არ ჩამოსულან. კაცს ვერ ვხედავთ, რომ ვიკითხოთ, სად მივიდეთ. ზაფხულში სოფლად არავინ რჩება, გარდა გვარის გუშაგისა, რომელიც სახლ-კარს და ბაღებს უგდებს ყურს. ყოველ თუშს პატარა ბაღი მაინც აქვს. შემოდგომაზე ჩამოვლენ, საზამთროდ გაიმართებიან, ბაღის მოსავალს ამ დროისთვის მოიწვევენ.

მაინც იყო თითო-ოროლა მოსახლე შინ, ადრე ჩამოსულან – წვიმიანი ზაფხულიაო მთაში. მივაგენით მასპინძელს, სოფლის თავში. აქ ეს ადვილი როდია, შორიშორს ცხოვრობენ.

ალვანიდანვე ცხენებით ვაპირებთ წასვლას, მაგრამ მიუხედავად ჩვენი მასპინძლის დიდი მცდელობისა, ცხენებს ვერ ვშოულობთ: მთაში არიან, ალვანში ამ დროს ძნელია ცხენის შოვნა.

გადავწყვიტეთ პანკისამდე ეტლით წასვლა. ჩვენთან ერთად მოდის თუში ლევან ქადაგიძე, ახალგაზრდა სტუდენტი.

მისი ბებია, ახოვანი, ჭარმაგი ქალი, პირზე ღიმილით გვაბარებს თავის შვილიშვილს: «ლევანს გამიფრთხილდით, ჩემს იმედს გატანთ. მაგისი მამა რომ მოკლეს ქურთებმა ყარსისკენ, ლევანი ჯერ არ იყო დაბადებული, ორი და ჰყავდა მხოლოდ. მარტოხელა ადამიანმა გამოვზარდე. დებმა გიმნაზია დაამთავრეს. მიჯავრდებოდნენ თუშები: ქალს სწავლა რად უნდა, მამაკაცმა უნდა ისწავლოსო. მე ჩემი გავიტანე. ჩემი ორივე შვილიშვილი მასწავლებელია ალვანში. ლევანიც მივაჟაკედება». მოხუცმა სიყვარულით გადახედა შვილიშვილს.

მოკლე იყო მისი ნაუბარი, მაგრამ ჩანდა, გაჭირვების რამდენი გზა გაეგლო, სანამ მარტოხელა თუშის ქალი მიზანს მიაღწევდა და შვილიშვილებს ამ დღემდე მოიყვანდა. დიდი ნებისყოფაა ამისთვის საჭირო და ასეთი ნებისყოფა ამ მთებში იბადება.

დღეს თუშის ქალი სწავლას ეწაფება. აქამდე ასე როდი იყო, ის კარჩაკეტილად ცხოვრობდა.

გავცდით ალვანს. «აი ვანო ბუქურაულის სახლი», – მეუბნება ლევანი. ვანო ხომ ერთ-ერთი ქართველი ბელეტრისტია, რომელმაც თუშთა ცხოვრება ასახა თავის მოთხრობებში. მიხარია, რომ პირველი თუში მწერლის სახლ-კარს ვუმზერ გზიდან...

სოფელ ხორბალის ძირში გავვდივით ალაზნში. ჩვენ წინ **პანკისის ხეობა**, იშვიათი კუთხე საქართველოში. პანკისის ხეობა ჩვენი მთიულების პატარა მუზეუმი. პანკისის დაბურულ ტყეებში მიმოვანტულია პატარა-პატარა სოფლები **ფშავლების, ხევსურების, თუშების, ქისტების, ოსების** და სხვებისა. ეს სხვადასხვა კუთხიდან მოსული ხალხი ალაზნის პირას შეყრილა, თითქოს იმისთვის, რომ ეჩვენონ ერთმანეთს და გამოარკვიონ, რით ჰგვანან და რით განსხვავდებიან.

აი კამეჩთა დიდი ნახირი. ზოგი ალაზნის ტალღებშია განცხრომით, ზოგი ნაპირზე ზანტად ძოვს ბალახს. პატარა მწყემსები ხის ჩრდილში მხიარულობენ, სალამურს არაკრაკებენ.

ვუახლოვდები, ვესალმები.

მხიარულად მამღევენ სალამს.

– სადაურები ხართ?

– დუი სოფლიდან გახლავართ, ქისტები.

ეტყობათ კიდეც: მალეები არიან, გამოსხეპილნი. ქისტი ხომ ტანწერწეტაა, ქერა.

ვთხოვ, დაუკრან სალამური. უარზე არიან, არ ვიცით, ახლა ვსწავლობთო.

მოვცილდი და ამ დროს მესმის სალამურის ტბილი ხმა, თითქოს თავის ჰანგებში აეტაცოს ამ ხეობის სინაზე და სილამაზე, დაბურული ტყეების იდუმალება.

ტყე მართლაც დაბურულია ალაზნის პირზე. უჩეხიათ, უკაფიათ, მაგრამ მაინც დარჩენილა ასწლოვანი მუხა და წიფელი, ლაფანი, ალაზნის ველისათვის დამახასიათებელი მცენარე, აუარებელი **კაკლის ხე**, ტოტებჭადიანი, თავქოჩრიანი.

ადამიანის დაუნდობელ ხელს მრავალი წიფელი და მუხა შემოუკორტნია, კანი გადაუჭრია. ასეთი ხე ერთ წელიწადს თულა იცოცხლებს: თუ კანი გადაეჭრა, საზრდოს მიწოდება წყდება, რადგან ქერქს დიდი მნიშვნელობა აქვს. ხშირად შევხვედრივარ ას და ორასწლოვან ბუმბერაზს, უკვე ტოტებგამხმარს, საცოდავად გამომზირალს. დროა დავივიწყოთ ეს უაღრესად საზიანო და ველური ჩვეულება – ტყე ჩანაგდება, ნადგურდება.

გზის აქეთ-იქით, ვაკეზე თუ მთის ფერდობზე, ალაზნის გაღმა-გამოღმა მოჩანს სოფლები: **დედისფერული** (ფშავლების სოფელი), **დუი სოფელი**, **ჯოყოლო** (ქისტებისა), **ქორეთი** (ოსებისა), **ბირკიანი** (ჩადმა თუშებისა) და სხვ.

გზად გვხვდებიან ქისტები, ყომრალი ჩოხებით, სადად ჩაცმულები; ოსები – თეთრი ქუდებით, მათი ქალები – ჭრელი კაბა-თავსაფრით; ფშავლები – ყვითელსირმამოვლებული მოკლე შავი ჩოხებით. გვხვდებიან თუშები, ხევსურები, კახელები, 15-20 ცხენი ერთად, ყველის გუდებით, რომელთაც ერთი ან

ორი თუში მოსდევს, მზე-ქარისაგან ბრინჯაოსფრად გარუჯული. გულლიად და ომახიანად გვესალმებიან, თითქოს ზურგზე ესვენოთ მთების სილაღე და სიზვიადე.

მივედით პანკისის სათემო სოფელში – ჯოყოლოში. დავდექით სკოლაში. გვერდით სამკითხველოა. თაროზე – წიგნები, გაზეთები, კედელზე – სურათები.

აქ არიან ჩემი მოწაფეები: აბდულა და მაჰმადი – ქისტები, მოსე – ფშაველი. პანკისელები თბილისში სწავლობენ.

აბდულა აღარ მაცდის:

– წამოდი ჩვენსას, ჩემი სახლი ნახე, ჩემი დედ-მამა.

არ გვეშვება. გაგვტეხა ბაღის სიჯიუტემ და მივდივართ სამივე. ბაღში შეგვიყვანა, მოგვიკრიფა ხილი – მსხალი, ვაშლი.

– დედა და მამა კალოზე არიან, მოვლენ.

– კეთილი იყოს ჩემს ოჯახში თქვენი ფეხის შემოდგმა, სახლის გაბედნიერება, – თავაზიანად მოგვესალმა შუახნის კაცი, აბდულას მამა, – მოზრძანდით სახლში, ისაუზმეთ.

უარზე ვართ.

– არ იქნება, ჩვენს სახლში რომ არ შემოზრძანდეთ. პურიც უნდა გატეხოთ.

შევდივართ ფიცრულ სახლში. ჭდეულია (პანკისის ხეობაში სახლების უმრავლესობა ასეთია). სასტუმრო ოთახში ვართ. სუფრაზე გაჩნდა ყველი, პური, ერბოკვერცხი და სხვა სახელდახელო საუზმე. ხელი დაგვბანინეს. გავიდნენ ყველანი, აბდულაც. დავრჩით სამნი და ველით მასპინძლის მოსვლას. არა ჩანს. გარედან გვემის აბდულას ხმა, მიერთვითო. ერთმანეთს გადავხედეთ.

– ვგონებ, ამათში ადათია, რომ მასპინძელი სტუმართან პურს არა სჭამს, – ამბობს ლევანი. – ეს პატივისცემის ნიშანია.

ჩანს ასე ყოფილა, რომ არ მოდიან. საუზმის შემდეგ მოდის კვლავ აბდულა, წყლით ხელს გვბანინებს. კარში გვხვდება მასპინძელი, აბდულას დედ-მამა.

საკვირველი ჩვეულება: მასპინძელმა სტუმართან რომ ისადილოს, სტუმრის მასხარად აგდება ან არაფრად ჩაგდებააო. ასე იცინა თურმე მთიელ ქისტებში, კავკასიონის მთებში. თითქმის ასი წლის განმავლობაში მათ ეს ჩვეულება არ დაუვიწყებიათ.

ხვალ ბაწარზე მივდივართ – ხელუხლებელ უდაბურ ტყეში. იქიდან ტბათანაზე, წოვა თუშების საზაფხულო ადგილებში.

ბაწარას ხევი

მთათუშეთში წასასვლელად ცხენები ვერ ვიშოვეთ. ალვანში გავგზავნეთ კაცი. ერთ ჩვენს მეგობარს, თუმს, გიორგის შევეუთვალეთ ჩვენი გაჭირვება და ვთხოვეთ დახმარება.

ალვანიდან ამბის მიღებამდე გადავწყვიტეთ, ბაწარას ხევი დაგვეთვალიერებინა. ეს შესანიშნავი ხეობაა მთელ საქართველოში. აქ გადარჩენილა უძველესი, ათასწლოვანი უთხოვარის (ურთხმელის) ტყე. ასეთი ტყე საქართველოს არც ერთ კუთხეში აღარ არის: ხალხმა დიდი ხანია გაანადგურა და მოსპო, მაგრამ აქ, ამ მიყრუებულ ადგილას, გადარჩა.

სოფელ ჯოყოლოდან 5-6 კილომეტრის მანძილზე, იქ, სადაც ალაზანს მჩქეფარე და ანკარა ბაწარა ხევის წყალი უერთდება, გზისთვის უნდა გადაგვხვია და ხევე შევეყოლოდით ტყის შესასწავლად.

მდინარის პირას ერთი ბრგე ფშაველი დგას. გაკვირვებით გვიცქერის. მისალმების შემდეგ გვეუბნება:

– უთხოვარის ტყის სანახავად მიხვალთ ალბათ – და ეღიმება.

მომეწონა მისი სანდომიანი სახე და ვთხოვე, წამოგვეყოლოდა. გზას გვაჩვენებდა, მუშაობა გაგვიადვილებოდა. გადახტა მდინარის მეორე ნაპირზე, ქვა გადააბრუნა და ქალამნები გამოიღო.

– დილას შევინახე, ნამისგან დაღბა, ფეხზე აღარა დგებოდა და ფეხშიშველი წაველ აი იმ მთაზე, – მიმითითა ალაზანგალმა გორაკისკენ.

ეს და სხვა გორაკები კლდოვანი მწვერვალის – სპეროზას წინა კალთებია, ძირს ტყით შემოსილი, სადაც შეხიზნულა ფშაველების პატარა სოფელი.

ბაწარას მარჯვნივ, სამხრეთისაკენ მიქცეულ ფერდობებზე, ტბათანის ქედზე რამდენიმე წაბლის ხე დგას, რომელთა ბაცი ფოთლები მკვეთრად მოჩანს წიფლის მუქ ფერში.

მივდევთ ბაწარას ნაპირს. ხშირად გვიხდება მდინარეში გადასვლა-გადმოსვლა. ორივე ნაპირზე ფერდობებია, უღრანი ტყით დაფარული. ხეები ბარაქიანი და დოვლათიანია. აქ მთავარი ჯიში წიფელაა, ვეებერთელა, უზარმაზარი ხე ცამდის ატყორცნილა თითქმის. მრავალი ხის დიამეტრი მეტრზე მეტია. არც საკვირველია, რომ აქაც წიფელი გვხვდება – საქართველოს ტყეებში თითქმის ორი მესამედი წიფელია. ჩვენი მთები უმთავრესად მისი ტყით არის დაფარული. მასში თითო-ოროლა სხვა ჯიში თუ ერევა. აქაც 10-12 წიფელის შემდეგ გვხვდება თელამუში, განიერფოთლება ნეკერჩხალი, ცაცხვი, მუხა. მდინარის ნაპირას კი – განუწყვეტლივ მურყანი, ფრიად სწრაფად მზარდი ხე. აქა-იქ მოჩანს კაკლის ხეები. ჯერაც არ არის გამორკვეული, კაკალი გაველურდა ჩვენს ტყეში, თუ სხვა ხეებზე ისიც ძირეული ჯიშია. ვფიქრობ, ძირეული ჯიში უნდა იყოს, რადგან ის საქართველოს ისეთ უღრან და უსიერ ადგილებში შემხვედრია,

სადაც ადამიანი საცხოვრებლად იშვიათად მოხვდებოდა.

ამ უზარმაზარ ხეთა ჩრდილში თავი შეუფარებია უფრო დაბალი ჯიშის ხეებს. ასეთია, მაგალითად, დათვისთხილა. მას თავისი ტოტები წიფლის ზედა ტოტებამდე აუტანია. ზოგის დიამეტრი 30—40 სანტიმეტრს აღწევს. დათვისთხილას გარდა მრავალია ტყის თხილი, კუნელი, ჯახველი. მათ ჩრდილში შეხვდებით უფრო დაბალ და პატარა ბუჩქებს – იელს, ზოგან მოცვს, ჟოლოს. შემდეგ, მიწას გართხმია ბალახი – წებოვანი, გვიძრა, ხოლო მათ ძირში ქვას ხავსი გადაჰკვრია.

ყველას თითქოს ხელი ხელს ჩაეკიდოს და ურთიერთისთვის მარადი ძმობა შეეფიცოს: ერთად ვიყოთ, ერთად ვიცხოვროთო, მაგრამ რა ძმობა უნდა ჰქონდეთ ჯახველის ბუჩქს და ამ უზარმაზარ მუხას, ან მიწაზე გართხმულ ხავსს? ვუცქერი და ასე ვფიქრობ, მაგრამ აგერ, თითქოს შეინძრნენ ეს ბუჩქები, თითქოს ხმა ამოიღეს და მეუბნებიან:

– რომ იცოდე, რა დიდი ძმობა გვაქვს: ხომ იცი, მუხას ჩვენ ვაძლევთ სიცოცხლეს, მუხას ვიფარავთ, ვინახავთ, მუხა კიდევ ჩვენ გვშველის...

– როგორ, რანაირად? – ვეკითხები გონებაში.

– როგორ თუ რანაირად? აი დავარდა მიწაზე რკო, მუხის ნაყოფი. მას ბევრი მტერი ჰყავს: ციყვი, რომელიც ამ ტყეში ბლომად არის, შინაური და გარეული ღორი, სხვა ცხოველი და ფრინველი. მათი თვალისაგან რკოს ხავსი იფარავს თავისი პატარა ფოთლებით. გარდა ამისა, ხავსი სინესტეს არ აკლებს. მზის ცხოველი სხივები რკოს გამოაშრობდნენ, მოკლავდნენ. აი, ამოვიდა რკო, განვითარდა, გაიკეთა პატარა ტოტები და ფოთლები. ჯერ ის მეტისმეტად ნორჩია, მას ადვილად გააფუჭებს სეტყვა, ადვილად მოკვნეტს საქონელი, ამიტომ მას ჩვენი ტოტები იფარავს და ჩვენს ბუჩქებში იზრდება ნელ-ნელა. მაგრამ აი, ასცდა ჩვენს ტოტებს, თითქმის დავაჟკაცდა. სწრაფად იწყებს ზრდას და ახლა მის ტოტებზე ჩვენ ვეცევით. მუხას აღარ ეშინია არც სეტყვისა, არც მოუსვენარი თხისა. ახლა მას შეუძლია ჩვენ დაგვიფაროს ქარისა და სეტყვისაგან, მზის მეტისმეტად ცხოველი სხივებისაგან...

– მართალია, მართალი! – ჩურჩულებს თითქოს ათასი ბუჩქი.

ველზე გავედით. პატარა ფერდობი მწვანედ ბიბინებდა. გარშემო ტყე ჰქონდა შემოვლებული ულამაზეს ღობესავით. ველის ცალ მხარეს რამდენიმე ქოხი ჩანდა, საიდანაც დინჯად და ზანტად ადიოდა ბოლი. ჩვენ მხარეს კი საქონელი გაშლილიყო და ნოყიერ ბალახს ძოვდა. ჩვენს დანახვაზე საიდანაც გადმოეშვა სამი თეთრი ძაღლი და საშინელი ყევით გამოექანა.

– ასგამ, თოლია, ჰაჰაუ! – გაისმა რამდენიმე წკრიალა ხმა და გრძელჯოხიანი ბაღლები გაჩნდნენ ჩვენსა და ძაღლებს შორის.

ძაღლები, ბალანაბურძგნულნი, ღრენით მოგვშორდნენ. ბაღლები კი მხიარულად მოგვესალმნენ.

– მშვიდობით მოსულხარ, ილიკო, შენი მგზავრებით, – ხელი ჩამოართვეს ჩვენს გამყოლს და ყველა ჩვენგანს.

– თავად ხომ კარგად ხართ, სახლით, დედ-მამით, ძროხით, ცხვრით? – მოიკითხა ილიკომ.

– მადლობელი, კარგად. წავიდეთ სახლში, ნამგზავრი ხართ, დაისვენეთ, – შეგვიპატიჟა თორმეტი წლის ლურჯთვალება ბიჭმა სახლში.

უარი ვუთხარით მადლობით და იქვე ხის ქვეშ ჩავიმუხლეთ შესასვენებლად.

ესენი ფშავლები არიან, სამი კომლია აქ უღრან ტყეს შეხიზნული. ფშავიდან თხუთმეტი წელია გადმოსახლდნენ და აქ ცხოვრობენ მარტოდმარტო, ცისა და ტყის ანაბარა. ჰყავთ ძროხა, ცოტა ცხვარი. ყველსა და ერბოს ყიდიან. წლითი-წლობით მით გამოდიან.

მწყემსი ბაღლებიც ჩვენთან ჩამოსახლდნენ.

– გიგია (უფროსს ერქვა), რას აკეთებ, წერა-კითხვა იცი?

– ჰაი, ჰაი, რო ვიცი!

– სად ისწავლე, სკოლაში? – ვეკითხები.

ბაღლს გაეცინა და თავისი ლურჯი თვალები შემომანათა.

– სკოლაში საით ვისწავლიდი, აქ სკოლა სადა გვაქვს. მამამ მასწავლა.

– წიგნები გაქვს?

– მაქვს ორი წიგნი, ვაჟაი მაქვს, სულ წავიკითხე, ათჯერ წავიკითხე, ზეპირ ვიცი, სხო არ მაქ...

მეწყინა, ძალიან მეწყინა, რომ ხელცარიელი წამოვედი, არ წამოვიღე წიგნები, რვეულები. დიდი დანაშაულია, ჩვენისთანა მგზავრმა, ბარიდან მთაში წამსვლელმა, თან არ წაიღოს წიგნები, რვეულები, ფანქრები. ეს აქაური ბაღლებისათვის უდიდესი საჩუქარია.

– გიყვარს კითხვა?

– ჰაი, ჰაი, რო მიყვარს. მაგრამ რაი წავიკითხო?

მწუხარება გამოკრთა მის თვალებში. ფშავლებს მეტად უყვართ წიგნი.

ქამარში გარჭობილი სალამური შევნიშნე. მწუხარე საუბარი რომ თავიდან ამეცილებინა, ვთხოვე სალამური დაეკრა. გიგია შეისმინა ჩემი თხოვნა და ჩაარაკრა. ხან აქაური ტყის ჩურჩულს ჰგავდა სალამურის ხმა, ხან მდინარის ლიკლიკს.

– წამო, ჩემი ქაღალდი გაჩვენო, გინდა? – მკითხა გიგიამ, როცა სალამურის დაკვრა დაამთავრა.

– წავიდეთ.

წინ გამიძღვა. გავიარეთ ბუჩქები. უზარმაზარ წიფელთან მიმიყვანა. მისი თეთრი ტანი სულ მოხაზულ-მოხატული იყო კაცის სიმაღლეზე, სადამდეც გიგიას ხელი შესწვდებოდა: «ვაჟამ ბახტრიონ სთქო, – ვკითხულობ ადმა-დადმა ნაწერ ასოებს... – მთას გაიშალა ყოილი, ცხორიც გავრეკე მთაზედა. გიგია».

ვუცქერი ამ ვეებერთელა წიგნს, ვეებერთელა ქაღალდს და საუკუნეები მიქრიან ჩემ თვალწინ – წინაპრებისკენ. მაშინ, როდესაც არც ქაღალდი იყო და არც კალამი, ასე სჭრიდნენ ხეებზე, კლდეებზე, ისე, როგორც ახლა გიგია სჭრის თავის ნაფიქრალს...

– დამიწერე რამ, – მეუბნება გიგია და ხანჯალს მაწვდის.

რა დაუწერო ბაღს ამ წიფელზე? – ვფიქრობ.

– შენი გორი დასწერე, დავიხსომებ, – მთხოვს. მედიმება.

გიგიამ და მისმა ამხანაგებმა გზა გვიჩვენეს: «პატარა ხევს გახვალთ, საკანაფო მთიდან ჩამომდინარეს და უთხოვარი დაიწყებაო».

მართლაც, მდინარის პირს იდგა პირველი უთხოვარი, უზარმაზარი ხე, რომლის დიამეტრიც თითქმის ერთ მეტრს უდრიდა. უთხოვარი ძირიდან წვერამდე ხავსით იყო შემოსილი. მისი სისქე მოწმობდა, რომ ორი ათასი წლის უნდა ყოფილიყო. უცქერი ამ ბუმბერაზებს, რომელთა თავზეც ათას წლებს გადაუვლია და ფიქრობ: რამდენის მნახველი, რამდენი ამბის მომსწრენი არიან ისინი...

უთხოვარი საქართველოს ტყეებში ბევრგან გვხვდება, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროებისაკენ, მაგრამ მისი მთლიანი ტყე, კახეთის გარდა, არსად შენახულა. შედარებით კარგად შენახული კორომები გვხვდება ასევე იმერეთ-ახალციხის ქედზე, საირმეზე, წაბლარას ხეობაში. სხვაგან ან სრულიად გაჩეხილია ან თითო-ოროლა ბუჩქიდა დარჩენილა. ქართლში თითქმის სულ გაანადგურეს, გაჩეხეს. ახლაც არიან მოხუცები, რომელთაც კარგად ახსოვთ უთხოვარის ტყეები. ზოგან ბუჩქიც კი აღარ დარჩენილა, არამცთუ დიდი ხე. სოფელ მეჯვრისხევის მახლობლად ერთ ადგილს ნაუთხოვრას ეძახიან. იქ ალბათ უთხოვარის ტყე იყო.

რამ გაანადგურა ასე უთხოვარი, რატომ მოისპო? უთხოვარი მეტისმეტად ნელა იზრდება: ათასი წლის ხეს დიამეტრი 60—70 სანტიმეტრი ძლივს აქვს. ხალხი კი ძალიან ემტერება, რადგან ჩვენს ხეებში ყველაზე გამძლეა, ამასთანავე, ყველაზე ლამაზი წითელი მერქნის მქონეც. მისგან ნაშენი სახლი საუკუნეებს უძლებს²³. ხალხიც ცდილობდა, ყველაფერი მისგან გაეკეთებინა, სადაც მისწვდებოდნენ, არ აჩერებდნენ. მისგან ნაკეთი ავეჯი ლამაზია და მკვიდრი. უფრო ძვირფასი გახდა დღეს, რადგან უთხოვრის ტყე შემცირდა. უთხოვარის ტყეები იყო საზღვარგარეთაც – იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, მაგრამ იქაც მოისპო. აქა-იქ გადარჩენილა პატარა კორომები, რომლებსაც თვალისჩინივით უვლიან, ისე, როგორც წალკოტს. ამ ტყეებში გადარჩენილია სამი ათასი წლის ხეები. ისეთი ტყე, როგორიც ბაწარაზეა, იშვიათია მსოფლიოშიც კი. ამიტომ გამოაცხადა მთავრობამ ის ბუნების ძეგლად. იქ ხის მოჭრის უფლება არავის აქვს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

უთხოვარს ჩრდილი უყვარს, ამიტომ სხვა ხეების (აქ – წიფლის) ტოტების ზევით არ ააქვს თავისი ტოტი. ამის გამო ეტანება დაჩრდილულ ფერდობებს. აქაც მისი ტყე მდებარეობს ჩრდილოეთის ფერდობზე, რომელსაც მზე იშვიათად უყურებს. სამხრეთისკენ მიქცეულ ფერდობზე ნაკლები ამოსულა, არ დასახლებულა. იქ მისთვის შესაფერისი პირობები – ჩრდილი და ნესტი – არ მოიპოვება.

უთხოვარის მთლიანი ტყე როდია აქ, თითო-ოროლა არის შერეული წიფლის ტყეში; ათი-თხუთმეტი ხის შემდეგ თითო ლამაზტანა ხე დგას. დესეტინაზე 50—100 ასეთი ხე მოდის. მხოლოდ ნორჩი, სამას წელზე ახალგაზრდა ხე, აღარსად არის – ჩანს, ვეღარ ამოდის, საქონლის ძოვება და, ეტყობა, ტყის სიხშირე ხელს უშლის. ამიტომ თუ არ გავუფრთხილდით და არ მოვუარეთ, სრულიად გაქრება ისევე, როგორც ქართლის ტყეებში გაქრა. აქამდე ეს ტყე მეცნიერებისათვის უცნობი იყო. მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინ ნახეს ის ჩვენმა ახალგაზრდა მეტყევეებმა.

თუ ვინმე პანკისის ხეობაზე აივლის, მან უეჭველად უნდა გადაუხვიოს ბაწარას ხევისკენ და ნახოს ეს იშვიათი უძველესი ტყე, ამ უღრან მთებში შეხიზნული.

დიდხანს დავეხეტებოდით ტყეში შვეულ ფერდობებზე და ყურადღებით ვათვალიერებდით ყოველ ხეს. თითქოს ყოველი მათგანი გვიამბობდა ამბებს, ათასი და მეტი წლის წინათ მომხდარ ამბებს...

ტყე ხშირია და დაბურული, არანაირი ხმაური არ არღვევს მის უცნაურ მყუდროებას. ჩიტების ჭიკჭიკიც კი არ ისმის. ეს ჩვენი ტყის იერია. იგი ღარიბია ფრინველებით, მეტადრე – მოჭიკჭიკე ფრინველებით. ზოგჯერ ძირს, ხეებში, შაშვი უსტვენს და შორიდან გვესმის გაბმული კაკუნი. ეს ტყის დიდი მეგობრის ხეკაკუნას (კოდალას) ხმაა. მისდგომია, ალბათ, რომელიმე დაჭიანებულ ხეს და ცდილობს კარში გამოაგდოს ხის მტერი, რამე მატლი ან ხოჭო, რომ პირი ჩაიგემრიელოს.

შევკრიბეთ მასალა, გადავიღეთ სურათები და კარგა გვიან ვიბრუნეთ პირი შინისაკენ.

გვენახებოდა დაბრუნება, – ვინც ერთხელ ნახავს ამგვარ ტყეს, მას წასვლა დაეზარება, მაგრამ მზე გადაიხარა, საღამოს ბინაზე უნდა ვყოფილიყავით. აღვნიდან ამზავს ველოდით.

ილიკო გვეუბნება:

– რაის გენანება, მერმის ამოდ კიდეც, სოფელ დედისფერულში მიკითხე და მთელ კვირას დავრჩეთ ამ ადგილებში. მენაც მიყვარს ხეც და ყოილიც...

მართლაც, ყველას სახელს მეუბნებოდა, თანაც დასძენდა: ამას ეს თვისება აქვს, ამას ესო.

ჯოყოლოში გიორგისაგან გამოგზავნილი წერილი დაგვხვდა. ხვალ დილისათვის ალვნიდან ამოვა თუში სამი ცხენით. გამოცდილი კაცია და ის იქნება თქვენი გამყოლიო. გაგვიხარდა.

ხვალ მთათუშეთის²⁴ გზას შევუდგებით. ვნახავ **ტბათანას**, **ბორბალოს**, დედას ალაზნისას, იორისას, არაგვისას, ყოი-სუსა და არლუნისას. ვნახავ წოვათას, ჩადმის და პირიქითის თუშეთს²⁵.

ამ ფიქრით ჩამეძინა, როცა ხომლი უკვე მაღლა წამოსულიყო.

ტყის ანაზარა

ჯოყოლიდან გვიან გავედით.

– თუ მოვასწრებთ ასვლას, კარგი, თუ არადა, ტყე ხომ იქ არის, – ამბობს ჩვენი გამყოლი გაბრიელი.

ყველას ცხენი გვყავს. იშვიათად მქონია ასეთი იღბლიანი მგზავრობა. ჩვეულებრივ სულ ფეხით დავდივარ ხოლმე.

იქ, სადაც ბაწარას ხევი ალაზნის უერთდება, ორ მდინარეს შორის სამკუთხედად შეჭრილა ტბასთან აღმართი, ტოლოშას მთა. გავლიეთ ეს მცირე ვაკე გზა და ბაწარახევში გასვლისთანავე შევუდექით აღმართს.

ჩვენ წინ 15 შეუკაზმავმა ცხენმა შეითოხარია, ერთ ცხენზე ხანშიშესული დედაკაცი იჯდა და ვაჟკაცურად დასჭყოდა ცხენებს, როცა საითმე გადაუხვევდნენ, ან გზას ასცდებოდნენ.

– გაბრიელ, მომიგდე აი ცხენი, როგორღაც მოუსვენრად დადის, – გასძახა მან გაბრიელს, რომელმაც მყის დაიჭირა «მოუსვენარი» ცხენი და გრძელი თოკი მიაწოდა მეჯლოგე ქალს.

– მზის ჩასვლამდე ტბათანაზე ავა კიდეც, – თქვა გაბრიელმა და თვალი გააყოლა იმ ბუჩქნარს, სადაც ცხენების რემა მიიმალა.

შევუდექით აღმართს. ცხენებზე ვსხედვართ, მაგრამ არც ეს არის აქ ადვილი. უზარმაზარი წიფლის ტოტები გადმოზიდულან ბილიკზე და რომ არ დაიხარო, ცხენს რომ არ გაეკრა, გადმოგიღებენ ძირს. გაბრიელი დასწვდება ხელდახელ, მოტეხს ტოტს და სიამოვნებით გაიქნევს თავს.

– წელს ღორი ძალიან გასუქდება, წიფელს კარგად ასხია.

მოწყვეტს ნაყოფს და ციყვივით ატკაცუნებს თავისი მაგარი კბილებით. მართლაც, წიფლის ზოგიერთი ტოტი სიმძიმისაგან მიწისკენაა დახრილი და ჩამოწოლილი.

– წაბლმა კი გვიღალატა, – ისმის ისევ გაბრიელის ხმა და ვეებერთელა წაბლქვეშ დატორღიალობს ცხენდაცხენ. თავი მაღლა აუწევია, ეტყობა, ნაყოფს ეძებს.

– განა აქ წაბლი იცის, გაბრიელ?

– როგორ არ იცის, მაგრამ ახლა გონჯი ხეებიღა დარჩა. რაც კარგი იყო, მოჭრეს და ფიცრებად დახერხეს, – დაამატა და ცხენი ჩვენთან მოაგდო, – ერთმა თუშმა წაბლი მოჭრა. ვინ იცის, რამდენი ხნისა, ძალიან დიდი იყო, მისი ფიცრისგან სამი თვალი ოთახი დადგა.



წიფელი ბაწარას ხეობაზე.

– მართალს გეუბნები, – თქვა, ჩემი გაკვირვება რომ დაინახა, – ალვანში რომ ჩავივლით, გიჩვენებთ. აქ ცაცხვებიც კარგი იდგა, უზარმაზარი, მაგრამ არც ისინი დააყენეს, აბა, აგერ, რა უშავს იმას? – მიმითითა ერთი ცაცხვისკენ, რომელსაც თავის ტოტებქვეშ მოეტანა ნეკერჩხალი, თელა და თხილი, მრავალი ბუჩქნარიც.

შედმართი თავქვე დაეკიდა. ცხენები ძლივს მიდიან, ნალები ნაპერწკლებს ყრის.

– ჩამოქვევითდეთ, ცოდონი არიან.

ცხენის აღვირები უნაგირზე გადავადდეთ და მივუშვით თავისუფლად. აივლიან ათიოდე ნაბიჯს და

შეჩერდებიან, მოითქვამენ სულს. ერთი შემახება საკმარისია, რომ კვლავ წინ გასწიონ. რაც მალა მივდივართ, მით უფრო ეტყობა ტყეს ბარაქა და დოვლათი. ჩანს, აქ ისე ხშირად არ იჩეხება ტყე.

აგერ მალა ძროხები გამოჩნდნენ. «ააჰმ, გიშერავ!» – გვესმის შემახილი. ბაღის ხმა. მალე გაგვისწორდა. ქონდრის კაცსა ჰგავს, ტანისამოსი დიდის, ვაჟკაცისა აცვია, სახე კი 8-9 წლის ბაღისა აქვს.

ჩოხა, ქამარში ჩაკეცილი, ვეებერთელა ხანჯალი და ხელში გრძელი ჯოხი, შარვალი განიერ საცვეთებში ჩატანებული, ცხვრის ტყავის დიდი ქუდი, ზურგზე ხბოს ტყავის მოქნილი გუდა.

– გამარჯობათ! – რიხიანად მოგვესალმა.

– აი, იცოცხლე, რევაზ! – უპასუხა, როგორც თანატოლს, გაბრიელმა.

ან რატომ არ უნდა ეპასუხა ასე? თითისტოლა ბიჭი ამ მთა-ღრეში მიერეკება 10 სულ საქონელს. ეს ხომ მთელი ოჯახის სიმდიდრეა.

ცხენებს თავიდან დაუარა გაბრიელმა და შეაყენა.

– წყაროა აქ, «მელორეების წყაროს» ვეტყვი. დალიეთ, თუ გინდათ. ცოტა ზევით კიდევ «მარტო წყაროა». თუ გინდა, იქ შევისვენოთ...

ერთი ცხენი არ ისვენებს, ხან აღმა გადახტება, ხან ბუჩქებისაკენ.

– ჰა, ტიალო, რაის დარბი აცაბაცა! – შეუტევეს გაბო და ცხენიც სწრაფად ბილიკს უბრუნდება. – მაგას რომ ყური არ ვუგდოთ, მალე ალვანში გაჩნდება.

აი ეს «ნასაყდრალია». ამბობენ, აქ საყდარი იყო. ახლა კი არაფერი ეტყობა, ალაგ-ალაგ წვიმის წყალს ნიადაგი გადაურეცხია და ტიტველი კედლები გამოუჩენია. ეს კიდევ «სამარეებია». ამბობენ, აქ თუშები არიან დასაფლავებული. ზევით კიდევ «ნაკალოვარია». იქ კალო ჰქონიათ ოდესღაც, ახლა აღარ არის, ამოწყვეტილან. მგონი, ქისტებს ამოუწყვეტიათ.

«სამარეები» მართლა სამარეებს ჰგავს. ვეებერთელა ლოდები აწყვია, როგორც გარდაცვლილთა სამარეებზე. ...და ასე, ამგვარად, ყოველ ნაბიჯზე რაიმე მოგონება გარდასული დღეებისა. ყოველ პატარა მდელოსაც კი თავისი სახელი ჰქვია.

მიხარია, რომ გაბრიელია ჩვენი გამყოლი. მეტად დაკვირვებული და დაფიქრებული თუშია, კარგი მცოდნე მთელი არემარისა, ბუნებისა, კარგი მოუბარი, დინჯი და აუჩქარებელი. ლაპარაკობს წმინდა ქართულს, კახურად უქცევს. მთიულური ხორხიანობა საუბარში არ ეტყობა, თუმცა ყველა წოვა თუში ასეთ ქართულს ლაპარაკობს.

ბინდი ნელ-ნელა შემოიპარა ტყეში. ამ ბინდში ავლიეთ ჭანთის ველი.

– ბებრის ტაფზე უნდა შევისვენოთ, სხვა გზა არ არის, თორემ ტბათანამდე მალიან დაგვიღამდება და გაგვიძნელებს.

გზები აქ ისეთია, რომ დღისით შეიძლება მხოლოდ მეზავრობა, ღამით კი მართლაც ძნელია – ვინ იცის, სად გადაიჩეხები. დილით რომ კაცი წავა, გამოზომილი აქვს, სად უნდა მივიდეს. თუ გზაში შეატყო, რომ დანიშნულ ადგილამდე ვერ მივა, ღამის გასათევად მოხერხებულ ადგილას გაჩერდება, იქ, სადაც შეიძლება ცხენის სამოვრად გაშვება, შეშის შოვნა და უამინდობაში თავის შეფარება. ასეთი ადგილი ყველგან როდია. სწორედ ასეთი ადგილია ბებრის ტაფი და ჩვენც იქ გავჩერდებით ამალამ.

ტბათანიდან თუშები ოჯახობით ხშირად საღამოთი გამოდიან, როდესაც უნდათ საზამთროდ ალვანში დარჩენა. გამოდიან იმ იმედით, რომ ღამეს ბებრის ტაფში გაათევენ და დილაადრიანად ალვანში ჩავლენ. გზაში მყოფი კაცი ბინამდე ადვილად ჩავა, საქმე ერთი ბინიდან დამერაა.

მალე ავლიეთ აღმართი და მშვენიერ მოღზე ავედით. ირგვლივ უზარმაზარი წიფლის ხეებია, აქა-იქ შეხვდებით მთის ბოყვსაც თავისი მშვენიერი და ლამაზი ფოთლიანი ტოტებით. ჩანს, უკვე კარგა მალა ვართ, მალე ალპური ზონა დაიწყება, ეს ბოყვია სწორედ ამის მაჩვენებელი.

ერთი ბოყვის ძირში ჩამოვიღეთ ბარგი. ქალაღებებს ყოველი შემთხვევისათვის ტილოები გადავაფარეთ. ვინ იცის, იქნებ წვიმა მოვიდეს. როდესაც აქეთ მოვდიოდით, გომბორის ქედებზე ღრუბელი შევნიშნეთ. გომბორზე ღრუბელი რომ გაჩნდება, ამ მთებში უქველად წვიმა წამოვა. ახლა ცა მოწმენდილია, მორაკრაკებული, მაგრამ მაინც ვერ ვენდობით.

გაბომ ორი ცხენი ერთად გადააბა და ისე გაუშვა. შეშის ძებნას შევუდექით. ხომ არ გიკვირთ, რომ ტყეში ვართ და მაინც ვამბობ – შეშის ძებნას შევუდექით-მეთქი. ეს ხომ ღამის გასათევი ადგილია. შეგვიანებული მეზავრი მზეს აქ უცდის და ამიტომ ხმელი ტოტი იშვიათია. ჩვენ კარგა დიდი მორები მოვათრიეთ. სამ კაცს ძლივს მოგვეპოვნა თითო. აქა-იქ გამხმარი ტოტებიც ეყარა და მალე ცეცხლის აღმა იელვა. იქვე, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტაფობის ნაპირზე, მშვენიერი ცივი წყარო გადმოიჩუხჩუხებს. მის ირგვლივ იზრდება კაცის სიმაღლე ბუერა, დუცი, დიცი და მრავალი სხვა ნესტიანი ადგილის მოყვარული მცენარე.

ბინდი ნელ-ნელა გვეპარებოდა. ამ დროს მალლიდან ცხვრის ბღავილი შემოგვესმა. ეტყობოდა, დიდი ფარა უნდა ყოფილიყო. მწყემსთა კვილიც მოისმოდა.

– ბიჭოს! ცხვარი მოუდით, კახები თუ არიან, – თქვა გაბრიელმა და დაიწყო ყურება ზევითკენ.

– ვითომ კახები რატომ უნდა იყვნენ? – ვკითხვები.

– ასე ადრე თუში არ გამორეკავს მთიდან ცხვარს. მაგათ იციან ასე. დაუბერავს თუ არა ცივი ნიავი, მაშინვე

პირს ბარისკენ იზამენ, – ცოტა არ იყოს, დაცინვით თქვა გაბრიელმა.

სანამ ბალახი კარგად არ დამაჭრდება, სანამ თრთვილს არ დადებს, თუმი მთას არ მოსცილდება.

ტაფობაზე თეთრად ჩამოეფინა ცხვრის ფარა. თითქოს ნიაღვარი მოწყდა მთის წვერს და მწვანე მოლზე შემოიჭრაო, აივსო ჰაერი ბღავილით.

ჭყვილით და კივილით ჩამოჰყვინენ მწყემსები, ზურგზე გუდა-ნაბადით და გრძელი ჩოხებით.

– არ აირიოს, დაუარა, ჩიუუ... ვერანაჲ, სად მიხვალ? – ისმოდა ირგვლივ.

– გაბრიელ, გამარჯობა! გამარჯობა თქვენც!

ყოველი ჩამოსული მწყემსი ესალმებოდა გაბოს. აჲ, მთაში, კარგად იცნობენ ურთიერთს.

განზე დააბინავეს ცხვარი. ფარა დაეყარა, შეწყდა ჭყვილი-ხივილი, ბღავილი. ძაღლები გარს შემოუწვენენ.

– რამდენი მწყემსია, ძალიან ბევრია! – მიკვირს, ამდენს რომ ვხედავ.

– ეგეც კახელის ჩვეულებაა, ოცი ცხვარი რომ ჰყავდეს, თან მისდევს ცხვარში. ჩვენებმა კი მინდობა იციან. ჩააბარებენ სარქალს და სარქალიც პირნათლად უვლის.



ასეთი უზარმაზარი უთხოვარიც გვხვდება ზაწარას ტყეში.

მოვიდნენ მწყემსები, მოგვესალმნენ. ცეცხლი გვთხოვეს.

– შეგცივდათ, არა? ასე იცის ჩვენმა მთამ, უზუნდარა²⁶ ხომ არა გგონიათ? – თქვა გაბომ.

მიხვდა კახელი, რომ თუმი დასცინოდა და ღიმილით უპასუხა:

– სიცხისგან კახეთში რომ დავარდები, ისიც ალაზნის თავი²⁷ ხომ არა გგონია?

ღამის სიბნელეში ცხვარი თეთრად მოჩანდა. ისმოდა მწყემსების ხმამაღალი ლაპარაკი.

– აი ეგრე იციან ჭაჭყანი, არ ისვენებენ, – განაგრძობს გაბრიელი.

– რამდენ უარყოფით მხარეს ამბობ, გაბო, კარგი რაღა იციან?

– კარგი ვაზის მოვლა იციან, მეცხვარეობა რა მაგათი საქმეა! ქიზიყელები კიდევ ჰო. ისიც ზემო მხარე, – ჩანდა, გაბოს არ მოსწონდა, რომ თუშს ედავებოდა ვინმე მეცხვარეობაში.

ამ ლაპარაკით გავიდა სიბნელეში, ცხენები მოაგროვა. დაიგვიანა.

– ნიშა ცხენი თვალს მოჰფარებია, ვერა ვნახე.

მე და ლევანი გავეყვით. ჭანთა ველამდე ვიარეთ, ცხენი იქ ვნახეთ.

ცეცხლი გუგუნებს. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. მაგონდება დიდი ვაჟას «ღამე მთაში». მთელი სიმძაფრით განვიციდი ამ არაჩვეულებრივ, ლამაზ ღამეს.

წვიმის წვეთებმა გამომადვიძეს, წამოვხტი ზეზე. ზაქარია უკვე ცეცხლის პირას ზის ნაბადწამოსხმული. შხაპუნა წვიმა მოდის, ფოთლებს თხლამათხლუმში გააქვთ.

– ნახე, გომბორის ღრუბელი სად წამოგვეწია! – მეუბნება ზაქარია და ნაბადს ისწორებს.

გავსინჯეთ ბარგი, არა უშავს რა, ჯერ არ სველდება.

ოთხივენი მობუზულები ვართ. ყრუდ ისმის ჩვენი საუბარი, უხალისოდ, – ასე იცის წვიმამ მგზავრობაში.

უცბად წვიმის ხმაური დაფარა ძაღლების ყეფამ, მწყემსების ჭყვილი და თოფის ხმამ, რომელმაც ირგვლივ ყოველივე გააყრუა.

– ნადირი მოუვარდათ (ნადირს მეცხვარეები მგელს ეძახიან), – თქვა გაბომ და წამოდგა.

– ხომ არ მოგტაცათ რამ, ბიჭო? – გასძახა მეცხვარეებს.

– არაფერი, ადრე გაიგეს ძაღლებმა, – მოგვესმა სიბნელიდან.

შორს, ხევიდან ძაღლის ყეფა ისმოდა.

– კაი ძაღლია, შორს გაჰკიდებია. ასეთია მეცხვარის ცხოვრება – ძნელი და უჯიათო, სხვას უფრო ძნელს ვნახავთ, – ამბობდა წყნარად გაბო და ცეცხლს შეშას უკეთებდა.

მგლის გამოჩენამ ბევრი სალაპარაკო გაგვიჩინა და გააადვილა გათენების მოახლოვება, მაგრამ მე აღარ დავიცადე, მოვიხვიე მეცხვარულად ნაბადი და მივწევი დასამინებლად. ყრუდ მესმოდა წვიმის წვეთების ტყლაშატყლუმში, გვერდზე სინესტეც ვიგრძენი, მაგრამ ამან ვერ შემაშინა, მაინც ჩამძინებოდა. დილით რომ

გავიღვიძე, წვიმას გადაელო და ღრუბლის ნაგლეჯები ცხვრის უპატრონო ფარასავით დაეხეტებოდნენ ლურჯ ცაზე.

მეცხვარეებიც წამოშლილიყვნენ და წასასვლელად ემზადებოდნენ.

სასწრაფოდ დავასპალნეთ ცხენები და გზას გავუდექით.

ნისლებში

ცამ პირი აღარ გახსნა: ჩამოშავებულია, ჩამომტირალი.

ხეებიდან ნისლი ჯარად ამოიჭრება ხოლმე და ფარავს არემარეს, ხშირად გვერდიგვერდ მდგომნიც ვერ ვხედავთ ერთმანეთს. შევიცადეთ მცირედ. ცასაც თითქოს შუბლი გაეხსნა, აქა-იქ ათამამდნენ მზის სხივები. ისე დახტოდნენ მთიდან მთაზე, თითქოს ციყვი დახტის ხის ტოტებზეო. ეს იმიტომ, რომ ნისლი არ ისვენებდა: ხევიდან მონაბერი სიო ამოიტანდა ზევით და ტბასთან ზეგანზე მოჰყვანდა.

გავუდექით გზას. არ მესიამოვნება ეს ხშირი ნისლი, თუმცა ყოველთვის როდია ასე, დროდადრო ჩერდება.

ჩვენს გაღმა, დასავლეთით, ნისლებმოხვეული ფშავის ლურჯი მთები მოჩანს. არც ეს არის კარგი ნიშანი.

გავლიეთ ტბათანა. ირგვლივ ფუსფუსია: კარვებს შლიან, ბარგს ალაგებენ, ცხენებს ასაპალნებენ. ბარში მიდიან, აქ უკვე აცივდა. ჩრდილოეთის ქარი რომ მწარედ დაუბერავს, თუშები ბარს მიაშურებენ.

– ჩვენ მივდივართ, თქვენ ახლა მოდიხართ? – გამოგვეხუმრებოდნენ ხოლმე ხანდახან, – თოვლში ჩარჩებით, ბარელებო, თოვლში, – დაატანდნენ მხიარულად.

– იქნებ ჩამოვბრუნდეთ როგორმე, – გაეპასუხებოდა გაბო.

გავედით თუ არა ტბათანას, ლაგაზის მთას შევუდექით. ლამაზი ალპური ბალახით და ყვავილებით არის ის შემოსილი. ჩამონაშალ კლდეებზე ვეებერთელა ბუჩქებად მრავლად დასახლებულა ბექქონდარა, კლდის ნაპრალებშიაც მოუკიდია ფეხი. ხშირად ბექქონდარით ფართო ადგილებია დაფარული.

ყოველ მცენარეს ფრთხილად ვიღებთ და აბგაში ვინახავთ. გაბოც გვშველის. ცხენები კი ვწრო და კლდოვანი ბილიკით კატებივით მიდიან ზევით და ზევით. მხოლოდ ამ გზებს შეეძლოთ გამოეზარდათ ასეთი გამძლე და ამტანი ცხენი.

ბილიკი ცოტა გასწორდა, ცხენებზე შევსხედით.

– აი, საქისტოც. როდესაც პანკისის ხეობაში ქისტები ჩაუსახლებიათ²⁸, ისინი იქ არა დგებოდნენ, ისევ თავიანთი მთებისკენ მიიწევდნენ. ერთ დღეს აიყარნენ და წავიდნენ კიდეც. თუშები დასდევნიბიან, აქ წამოსწევან. ბრძოლა ჰქონიათ თურმე მაგარი. ბევრი ვაჟკაცი გამოსალმებია წუთისოფელს. თუშებს დაუძლევიათ და ისევ დაუბრუნებიათ ქისტები პანკისში. ამის შემდეგ დაერქვა თურმე ამ ადგილს «საქისტო».

მარჯვნივ ნისლითაა დაფარული ყოველივე. მარცხნივ, დასავლეთისკენ, მოჩანს ილტოს ხევი. ლამაზია, მორგვალეული, ტყით შემოსილი მთები გასდევს მის ნაპირებს.

– აქვე ახლო საქისტოს წყაროა, ძალზე ცივი. იქ შევისვენოთ, – ამბობს გაბო და ხელს იშვერს წინ.

ცა ისევ ჩამოპირქუშდა, უფრო დაბლა ჩამოწვა. წამოვიდა წვრილი და ცივი წვიმა. სეტყვას ჰგავს, ისე ჭრის და ჰკბუნს სახეს. ყურები შეგვიწითლდა სიცივისაგან, გაბო კი «ცვ წყაროზე» გველაპარაკებოდა.

– რა დროს ცივი წყაროა, გაბო? – ვეკითხები სიცილით.

– როგორ შეიძლება საქისტოს წყაროს ისე გაუარო, რომ არ დალიო? – და ცხენს აუჩქარა.

ჩვენ წინ უცებ პატარა კარავი აიშართა, ვეებერთელა თეთრი ძალღი ყეფით გამოგვეგება. გამოგვეხმაურა მოხუცი, მოგვესალმა.

– მობრძანდით, მობრძანდით, – მიგვიპატიჟა.

კარავი ქეჩითაა გადახურული. კარვის წინ მხიარულად თამაშობს ორი 4-5 წლის ფეხშიშველა ბაღლი.

– რა, გიკვირს რომ ასე არიან? – მეკითხება ჩვენი ახალი მასპინძელი, როცა შენიშნა, რომ მე გაკვირვებულნი ვუცქერი ფეხშიშველა ბავშვებს. ამ დროს პატარა სერზე ქალიც გამოჩნდა, წყალი მოიტანა. მყის თუნგი²⁹ ძირს დადგა, ჩვენს ცხენებს მიაშურა და ბარგის ჩამოღება დაიწყო.

– ნიკო, წყარო დალიე! – გამომძახა გაბომ, რომელმაც ცხენები სამოვრად გაუშვა.

წყაროსთან ჩემი ფინჯანი ავავსე და გაბრიელს მივაწოდე. არ მართმევს: თავად დალიე, შენ პატარა ხარ ჩემზეო. მართლა ცივია, მაგრამ ამ სიცივეში რომელი წყარო არ იქნება ასეთი? მოვსვი ცოტა, გავჩერდი.

– აი, ახლა ყოჩაღად იმგზავრებ.

მთებში იციან რომელიმე წყაროს ასე ამოჩემება, რასაკვირველია, კარგი წყაროსი ან ისეთისა, რომელიც მოხერხებულ, შესასვენებელ ადგილას არის. უეჭველად შეჩერდებიან, დალევენ, დაისვენებენ.

– კარავში მობრძანდით, აქ ისაუზმეთ, – მიგვიპატიჟა ჩვენმა მასპინძელმა.

იქ სუფრა უკვე გაშლილი იყო. მოვუსხედით, ვიწროდ ვართ, მაგრამ წვიმა აღარ გვასველებს. თუშისათვის კარავი მარტო ღამის გასათევია, დანარჩენ დროს იგი გარეთ ატარებს.

მასპინძელი ახალ ყველს, ხაჭოს, პურს გვთავაზობს: ისაუზმეთ, თორემ დიდი გზა გაქვთ სავალიო.

– რატომ აკაკი აღარ ამოვიდა წელს? შარშან იყო, თუშურსა სწავლობდა. ზღაპრებსა და ლექსებს წერდა თუშურად. ბევრი ისეთი წოური სიტყვა მითხრა, მე აღარც კი მახსოვს. ძალიან იცის.

პროფესორ აკაკი შანიძეზე ლაპარაკობდა, რომელიც საქისტოს წყაროზე ბევრჯერ ყოფილა ჩვენს

მასპინძელთან. გაიბა სასიამოვნო საუბარი. ცხენებმაც მოიფერდეს და ისევ გავუდექით გზას.

გაბოს ამბავი დააბარა: ჩემ შვილს უთხარი – წამოვიდეს, ცხენებიც გადმორეკოს, დროა ბარად წასვლისათ.

კვლავ ათამაშდა მზის სხივი, თითქოს გამოიღარა, ზოგან ღრუბელიც დაიგლიჯა და ლურჯი ცა გამოჩნდა.
– ესეც პაპის ცოლის ნაკეთები გზა, – გამოგვიცხადა გაბრიელმა, როდესაც საქისტოს წყაროდან მცირე მანძილი გავიარეთ.

როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, ძველად ქისტები ერთ ახალგაზრდა თუშს დაედევნენ. ამ კლდეებში მოიძვრებოდნენ. თუში ველარსად მიდის: წინა მხრიდან ქისტებმა ალყა შემოარტყეს, უკან კი კატაც ვერ გაიპარება, ისეთი უსიერი კლდეა. გაიგო პაპის ცოლმა, რომ შვილი ამ გასაჭირში ჰყავს, სამი დღე და ღამე იმუშავა, გაკვეთა ბილიკი და შვილს გზა გაუხსნა. მართლაც, მეტისმეტად ვიწრო ბილიკია, ორი მტკაველიც არ იქნება.

აგერ, ჩრდილო-დასავლეთისაკენ გზა გაიხსნა. თოვლიანი მთები გამოჩნდა.

– ეგ ლომია. ხედავ, როგორა დგას? – მითითებს გაბრიელი.

ეს ხომ ძველი ნაცნობია, მყინვარწვერი, თუშები მას ლომს ეძახიან. მარჯვნივ, აღმოსავლეთისაკენ ამართულია კლდოვანი მწვერვალი – სპეროზა. ზოგან სპეროზა იმდენად შევულია, რომ ზედ მოლიც კი ვერ ამოსულა და მკერდჩამოდარული იცქირება. ალპებს ქვემოთ ალაგ-ალაგ ხეები მოჩანს. გავყურებ ღურბინდით, იქნებ ფიჭვი იყოს... ნეტავ, როგორმე წავიდეთ იქ, ვნატრობ გულში და მეზადება ფიქრი და გეგმა მასზე ასვლის, მერმის მაინც, თუ წელს ვერ მოვასწრებ.

ეს ბილიკი მთის ზურგზე მიდის – ჯერ ლაგაზის და მერე მასარას ქედზე. აქეთ-იქით თვალჩაუწვდენი ხეები ჩასდევს. ბილიკი იმდენად ვიწროა, რომ ზედ თამამად გადაალაგებ. მრხარმარცხნივ, დასავლეთისაკენ, ივრის ხევია, რომელიც ძირს თეთრად მოჩანს; მარჯვნივ, აღმოსავლეთისაკენ, წიფლოვანის ხევი, ალაზანი. ხეები იმდენად ღრმაა, რომ მდინარეების ქუხილი ჩვენამდე ვერ აღწევს. ვხედავ კი, რომ უნდა ქუხდეს, რადგან მდინარეები აქაფებულნი მიექანებიან თავქვე.

ალაზანი და იორი, ორივე ბორბალოზე დაბადებულნი³⁰, თითქოს მხარდამხარ მოდიან. მარტო ეს ვიწრო ქედი აშორებს მათ. ხმაური კი თითქოს ესმით, თუმცა ერთურთს ვერ ხედავენ.

სამხრეთისაკენ ეს ვიწრო ქედი განივრდება, იტოტება. მდინარეებიც შორდებიან, რომ ქვევით, დაბლობზე, შირაქის ველზე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს დაკარგული ძმები.

ნისლი წამოვიდა. ცა ჩამოშავდა და აღარც გაუხსნია შუბლი.

– აი გავერანდი, კაი ამინდი შენა ხარ! – აღმოგვცხადა ჩვენ.

გავიარეთ თათრების ნაბინავარი (აქ თათრის ჯარი მდგარა, დაატანა გაბომ) და გავედით რკინის მთის ბილიკზე. მართლაც რკინის მთაა. ნაშალი კლდითაა მოფენილი. აქა-იქ ნაპრალებში მოჩანს ალპების ჩაგვერა³¹ ყვავილები. ბილიკი ჯერ ალაზანს დასცქერის. მალე გადავიარეთ ვიწრო მწვერვალი და იორისაკენ მოვექვეით. აქ ნისლიდან ამოიჭრა მისი ყრუ გუგუნნი. ქარი გაძლიერდა, წამოვიდა სეტყვა, ჯერ კანტიკუნტად. მერე კი ისე წამოუშინა, რომ კინაღამ ცხენები გადაგვიჩეხა. ჩამოვქვეითდით. ცხენები მოხერხებულ ადგილში დავაყენეთ. აღვირებით მაგრა გვიჭირავს, რომ არ დაფრთხნენ და არ დაგვლუპონ.

სეტყვა ხან ჩერდება, ხან ძლიერდება.

ნაბდებით ვიფარავთ თავს. წამში გადათეთრდა შავი კლდეები.

გადილო იმდენად, რომ შევძელით გზის გაგრძელება. სეტყვის საფარიდან მოჩანს ლამაზი გვირილა, ფხიჯა. აგერ ქარცხვიც, ფურისულა. გავიარეთ ბუნგალთ გორის დღე, ღრმა და თვალჩაუწვდენი **ხადის გორი** და სხვ. გავედით **მასარას** ფართო ტაფობზე, რომელიც ალპური ბალახითაა შემოსილი. მოჩანს ცხვრის ბინა ან ნაბინავარი. ერთი ბომია დარჭობილი მიწაზე, ზედ ჰკიდია თექა და გუდა. შიგ ალბათ ქუმელა იქნება.

ვინ იცის, რა დღე დაადგა მეცხვარეს ამ სეტყვის დროს. ძნელია, როცა სეტყვა ცხვარს მოასწრებს, მეტადრე სადმე ვიწროებში. აირევა, თავგზას დაკარგავს; ძალიან ყოჩალი უნდა იყოს მწყემსი, რომ ამ დროს ცხვარი გადაარჩინოს.

მასარადან გზა დაქვეითდა. წიფლოვანის ხეში უნდა ჩავიდეთ და იქიდან საყორნის უღელტეხილს შევუდგებთ. ამბობენ, ძნელი გადასასვლელიაო.

ჩავლიეთ მეორე აღმართი და თოვლის ველი გადავიარეთ. ხეში თოვლი არ დამდნარა, მის ქვეშ ნაკადულები მოჩუხჩუხებს და ქვევითკენ მიექანება. აქ ბილიკი ნაშალ კლდეებზე მიდის, ქვევით დაგვზებულნი. მას სუბალპების ტყეში შევყვართ. ცირცელი, ტირიფი, ბოყვი სულ აქ შეყრილან, მიწაზე გართხმულია დეკა, ტყეში ჩამოჭრილი. დაღლილებმა მაინც ხელი წავატანეთ მწიფე ჟოლოს და ხუნწს. მივდივართ სველ ბალახში, რომელიც წელზევით გვცემს და უარესად გვასველებს.

ჩავედით ალაზნის ნაპირზე და გავყევით მას. აქეთ-იქიდან გადმოქუსს მდინარეები. ზამთარში მთის წვერებიდან ზვავები ეშვება ხეებში, ზაფხულში მდინარეები ვერ ასწრებს გადნობას და იქიდან გადმოჩქეფს.

– ზევით წავიდეთ, არზონი იქ უფრო პატარა იქნება, – გვიჩვენებს გაბო და მივდივართ ამღვრეული მდინარის ნაპირ-ნაპირ, გადავიარეთ თოვლის რამდენიმე გვირაბი.

ხეობა მეტად ვიწროა. მთები თითქოს ცაზე დაკიდულაო, ისეა ჩამოშვებული. ფეხის მოკიდება გაუჭირდება

კაცს.

– აქ უნდა გადავიდეთ, – თქვა გაბომ და შეაგდო ცხენი ალაზანში.

ჩვენც მივყევით. გაუჭირდათ გასვლა, მდინარის სისწრაფე ფეხს არ ადგმევინებთ.

საყორნე, გადასასვლელი თუშეთისკენ, ნისლშია გახვეული. ზევიდან კივილი მოგვესმა.

– აქ უნდა შევიცადოთ, სანამ ისინი არ ჩამოვლენ, – ხელი გაიშვირა ნისლისაკენ. – ბილიკი ისე ვიწროა, რომ გზას ვერ ავუქცევთ. იმიტომ ყვირის ისიც, გვატყობინებს, მოვდივართ და თუ ამოსვლას აპირებთ, შეიცადეთო.

ოციოდე წუთის შემდეგ ნისლიდან გამოვიდნენ დატვირთული ცხენები. ერთი ქურანი ქალს მოჰყავს აღვირით, ბალღი და ვაჟკაცი დანარჩენებს მოერეკებიან. ჩამოვიდნენ, მოგვესალმნენ.

ვეკითხებით მთათუშეთის ამბავს. გაბომ წოურად გააბა ლაპარაკი. ერთი-ორჯერ ბალღსაც უთხრა რაღაც. თურმე ეს მისი შვილი იყო.

ძალზე მომეწონა ვაჟკაცი: სუფთა და ლამაზი, მოკლე ლეგა ჩოხა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ოსმალური თოფი, სანდომიანი ვაჟკაცური სახე. შევცქერი და მეღიმება. მასაც ეღიმება.

– ნიკო, ვერ მიცან? – მეკითხება.

გამიხარდა, მაგრამ ვერა ვცნობ.

– აგრე უნდა დავიწყება? – და კვლავ გაეღიმა.

ახლა კი მომაგონდა – ლევანი. ერთად დავამთავრეთ გიმნაზია და მას შემდეგ აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. ლევანი მთებში წამოვიდა, მესმოდა ამბად, რომ იქ დატრიალდა, ცხვარში. გადავხვებით ერთმანეთს მშურად, გავიხსენეთ ბევრი რამ.

– ის ბაღლები ჩემია, საქისტოზე რომ ნახეთ, – მეუბნება ღიმილით.

გამოვესალმეთ, ნელ-ნელა შევყევით დაკიდულ აღმართს. არ ვიცით, რა დროა, ზაქარიას საათი გაჩერდა. ალაღბედზე დავაყენეთ. ვერ გამოგვიანგარიშებია, მოვასწრებთ თუ არა პირიქითისკენ გადასვლას.

თუ აქეთ შემოგვალამდა, ისეთი ადგილი მაინც უნდა მოვძებნოთ, რომ შეიძლებოდეს ღამის გათევა. უალაგო ალაგას შეღამება მეტად მწელი იქნება ჩვენთვის.

გადავწყვიტეთ წასვლა. მივდივართ სწრაფად, როგორც შეგვიძლია. მწვერვალამდე ავედით, გადავიარეთ ხორხები და გადასასვლელზე ვართ უკვე. აქ ცივმა ქარმა დაუბერა და ნისლი გადაყარა. გამოჩნდა **ბორბალის** მწვერვალი. კაი დარი რომ იყოს, უეჭველად ავიდოდი, ახლოა. ზეკარი ხომ მის მკერდზეა.

არც მზე ჩასულა ჯერ.

ჩამოვქვეითდით (დაღმართზე ცხენიდან უნდა ჩამოხტე) და ჩქარი ნაბიჯით დავეშვით პირიქით. ნისლის ნაგლეჯებში მოჩანს პირიქითა თუშეთი. შორს – თოვლიანი მთები, ხოლო ძირს – პირიქითის ალაზანი (ყოისუ). რა კარგი იქნება, რომ ნისლმა სულ გადაიყაროს. საქმე არა გაქვს?! პირიქით, ისე გაძლიერდა, რომ გაბოს გზის არევისა ემინია, მაგრამ მაინც მალე ჩავლიეთ ნისლი. გამოჩნდა ლამაზი ხეობა. მდინარის ნაპირას მეცხვარეთა ბინებია.

მშვირები და გაწვალბულები, მთლად გაწუწულები მივადექით საჯაყიშვილების ბინას.

მიგვიღეს ისე, ვით მთიელ მასპინძელს შეჰფერის სტუმრის მიღება.

დაღამებულია უკვე. ხევებში სიბნელე იყო ჩაწოლილი, როდესაც ცხენებს ბარგსა მოვხდეთ. არც ცხენები არიან ნაკლებ დღეში – ისინი ჩვენზე უარესად გაიტანჯნენ.

სიბნელეში ვხედავ, რომ ცხვარი დაკლეს სტუმრის დასახვედრად.

– გაგჭირდებოდათ ნისლებში, წვიმაში, – თითქოს ბოდიშობენ ამინდის გამო.

– მოიწით ცეცხლთან, – გვეპატიჟებიან და ცდილობენ, მოხერხებულად მოვეწყოთ.

ცეცხლზე ქვაბი დგას და იხარშება მსუქანი ცხვრის ხორცი – დალილი და მშვიერი მგზავრის იმედი.

მოულოდნელი თოვლი

ღამე კვლავ წვიმა დაიწყო. ნისლი უარესად ჩამოწვა.

– თოვლი მოვა უეჭველად, – თქვა ჩვენმა მასპინძელმა მეცხვარემ და ქოხში შემოიტანა არყის გაფცქვნილი შუშა – ცხვარი აღარა გვეყავს საწველი და შუშაც აღარ მოგვიტანია, – დაუმატა თან.

– როგორ, ღამდამობით მაინც არ ანთებთ ცეცხლს?

– აბაი, – გაიკვირვა, – ცეცხლი რაით გვინდა? თუ საკლავია, მაშინ კიდევ ჰო, თორემ ისე ცეცხლი მეცხვარეს გააზარმაცებს.

...და მართლაც, ვხედავ, რომ არც ერთი მათგანი ცეცხლს ახლოს არ ეკარება. თუ გვესაუბრებიან, შორიახლო სხედან. ზოგნი უკვე «კარში» მოჩანან, ცხვრის ფარების გარშემო. წამოისხეს თექა-ნაბადი და წაწვნენ. წვიმა და თოვლჭყაპი ზედ დასდით, მაგრამ სძინავთ ტკბილად, ფხიზლად კი. ძალღი გაეკიდება სიბნელეში რამეს, წამოიხედავენ და ხმას გააგონებენ, გასჭყვივლებენ. როცა დარწმუნდებიან, რომ ნადირი გადაიკარგა და მშვიდობაა, კვლავ მიდებენ თავს ქვაზე.

დილით ნახევრად სველ ფარას აშლის, გუდაში ქუმელს ჩაყრის (ქუმელი მოხალული პური ან ქერია, დაფქული, მარილი აქვს გემოზე. ეს არის მეცხვარის საგზალი. გუდით დააქვს და როდესაც მოშვიდება, წყაროს წყლით დაზელს ბატკნის ტყავის პატარა გუდაში და შეექცევა) და ცხვარს შეაფენს ქედებსა და

სერებს. ზედ აწვიმს, სველდება, უბერავს მცინვარებიდან წამოჭრილი სუსხიანი ქარი; ცივა, მაგრამ ის აუჩქარებლივ დაიხრება, აიღებს ქვას და უკან დარჩენილ ან აცდენილ ცხვარს ესვრის. საღამოზე ისევ იმ ტანისამოსით წვება, ისევ დასდის წვიმა.

– მთები ჩამობერებულან, – მესმის ხმა.

წამოვდექ და ვხედავ, რომ მთებზე თოვლი კარგა ძირამდეა ჩამოსული. მთის წვერები თეთრად დაგვექერიან მაღლიდან. აგერ **ბორბალო**, აი ჭიუხიანი და მცინვარიანი **ნარუანა**, **ამუგო**, ხოლო მათ უკან **თებელი** უნდა იყოს, პირიქითა ალაზანი რომ იზადება.

– ახლა შეიძლება გამოიდაროს, – ამბობენ თუშები და თექა-ნაზადს იბერტყავენ, ფეხშიშველები დადიან.

– რაი ბედენაა, ქალამანი ისედაც სველია.

ცხვარი ზანტად შეეფინა ფერდობებს. ბლავის, ნამიან ბალახს ვერა მოვს ხეირიანად. პატარა კოსტალეს ანკესები უჭირავს ხელში, მეუბნება, კალმახი დავიჭიროთო. მეც გავმართე ანკესები, თბილისიდან მქონდა წამოღებული – ვიცოდი, რომ თუშეთის წყლებში კალმახი ბევრია. ჩავყევით მდინარეს მე და კოსტალე.

ცხრა წლის ბაღლია, მაგრამ ყოჩალი, მთელ ზაფხულს ცხვარშია, ალაზნის სათავეში. დიდხანს ვეწვალეთ, მაგრამ ვერაფერი დავიჭირეთ. ბოლოს ძლივს გაუღიმა ბედმა კოსტალეს და მაჯის სიმსხო კალმახი ამოჰყვა ანკესს.

– თევზებს ნუ მიფრთხობთ, თევზებს, ჩემი დაზრდილები არიან, თქვენ არც კი მოგეკარებთან, ან რა იცით ანკესით თევზაობა? – გამოგვეხმაურა ერთი მოხუცი თუში, რომელიც წვივებდაკარწახებული მოჰყვებოდა წყალს, აბა კალმახით ჰქონდა სავსე. – ამოდით ჩვენს ბინაზე, დაისვენეთ, თქვით რამ ამბავი, – მიგვიპატიჟა ქოხისკენ, რომელიც წყალგაღმა პატარა გორაკზე იდგა.

მე გავყევი, კოსტალე კი თევზაობდა ისევ. მივედით ბინაზე. იქ მილიციელთა საგუშაგოა. სამი ახალგაზრდა ბიჭი მოგვესალმა. მოხერხებული ადგილი შემომთავაზეს. კუთხეში თოფები აწყვია, ჩხაზე დამარილებული კალმახები ჰკიდია.

– აიღე ჩონგური, ბიჭავ, სთქვი რამ ახლა შენ, – მიმართეს ერთ ახალგაზრდას, როცა საუბარი ოდნავ შენელდა.

მანაც დაამღერა ჩონგურზე. მეცხვარის ამბავს მღეროდა, შირაქში წასვლას, მთებში დაბრუნებას, დანიშნულის მოლოდინს. მესმის ნაცნობი სიტყვებიც:

«მოგესალმებით ქედებო,

მომაქვს სალამი გვიანი.

ნეტამც ჩემს საფლავს ამკობდეს

შენი დეკა და ღვიანი»...

ასეა, წმინდა ხალხურ ლექსში ჩაერევა ხოლმე მთის ბუმბერაზი, ვაჟა-ფშაველა. როცა მთებში უსმენ ლექსების ფანდურზე დამღერებას, არ იცი, სად იწყება ხალხის შემოქმედება და სად ვაჟასი. «ბახტრიონი» ბევრგან და ბევრისაგან მოვისმინე. ზოგმა ბევრი ახალი ადგილიც გამაგებინა, იქნებ ახლად ჩამატებული.

მზემ გამოანათა და გავყევი მდინარის ნაპირებს მცენარეების შესაკრებად. გაღმა მხარეს მინდა გავიდე. ძნელი არ არის, რადგან ამ ადგილებში ეს «ალაზანი» გავაკებულია, მთები აქეთ-იქით გაწეულან. გავედი გაღმა ნაპირზე. მწვანე მოლითაა დაფარული. გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და მოღმა ფეხქვეშ დაიწია, ისე ადიოდ-დადიოდა, თითქოს რეზინიაო. ეს მთის ჭაობია. აქ მრავლადაა ისლი, ჭილი, ხავსი. ალაგ-ალაგ მოჩანს ყვითელი ბაია, მრავალძარღვაც. გავიარე ჭაობი და სერის ძირს გავყევი. ვიწრო ხეობიდან გადმოქუსს ნაკადები, ვეებერთელა კლდეები ჩამოაქვს ძირს, მთავარი მდინარის ნაპირისაკენ.

ალაზანს კი, რომელიც აქ წყნარად მიდის, ერთბაშად ვერ მიაქვს ჩამოტანილი ლოდები. ისინი ნაპირზე რჩება და დროთა განმავლობაში ამ ლოდების პატარა გორაკები ჩნდება. ზოგ მათგანზე ძლივს გადავდივარ. ერთი მეტრის სიმაღლის ნარები მჩხვლეტს და ადვილად არ მიშვებს.

მაღლიდან რომ ჩამოხედო ამ ხეობას, იტყვი, სად ჩამოდის ნაკადი და სად არა, თუნდაც ნაკადულს ვერ ხედავდე. ეს გორაკები ისე აჰკვრია ნაპირებიდან მთის კალთებს, რომ ამჩნევ – ახალი წარმოშობილია.

ერთი ნაკადი სულ ადვილად გადავიარე, თოვლის ბოგირი იყო ჯერ დაუმდნარი. ავიხედე ზევით, სერი მეტად დაქანებულია. ჩანს, ამ ციცაბო ფერდობიდან გროვდება თოვლი ზამთარში აქ.

ამ თვალთვლებაში ვიყავი, რომ ვიგრძენი, ფეხქვეშ თოვლი გამომეცალა და ძირს დავეშვი. თურმე აქ თოვლი ძალიან შეთხელებულიყო, ვერ გაუძლო სიმძიმეს და ჩაინგრა. ნაკადი დიდი არ იყო და ვერ წამიღებდა. დავიღუნე და ჩავხედე. გასვლა შეიძლებოდა, ფრთხილად გავყევი გვირაბს. ნაკადული ფეხქვეშ მაცლის კენჭებს და ქვიშას, ხოლო თოვლის გვირაბიდან წვეთები მეცემა. მალე ისევ გავედი სინათლეზე. თითქმის მთლად სველი ვიყავი. ბინისკენ გავწიე.

ბინაზე დარჩენილი მწყემსები საქმეში არიან გართული. ზოგი თოვს გრებს, კალთაში თხის ბალანი აქვთ, იქიდან უკვე გამოდის ბაწარი. ერთი ატრიალებს და შორდება მეორეს. ბალნისაგან გაუწყვეტლად იგრისება ბაწარი.

სტეფანე ბატკნის ტყავს ჭრის სწორ სამკუთხედებად, ეს ქუდი იქნება. გადააკერა ერთმანეთს და ერთ საათში უკვე მზად იყო.

ზაქარიამ მათ სურათი გადაუღო. მერე ორივენი სერს გავყევით, მდინარის აღმა. აქ ტყე ვიწრო ზოლად ასდევს სერებს. ხშირად 20-30 მეტრის სიგანეა, რის შემდეგაც წმინდა სუბალპები და ალპები იწყება.

ტყე ჩაგვერია. უმთავრესად არყი გვხვდება. ეტყობა, მთიდან წამოსულ ზვავებს ხეირი არ დაუყრიათ. თითქმის ყოველი ძირი გაწეულია განზე, მორკალული. ბევრია ტირიფი, ცირცელი. ძირს მიწაზეა გართხმული ჩვენი მთების თანამგზავრი დეკა, მასში კი ვხედავთ ხუნწს, ჟოლოს, კეწერას, მთის ხილს, რომელსაც ხშირად მოვუსხდებით და გემრიელად შევქექავით.

ტყე ხან მდინარის ნაპირამდე ჩამოდის, ხან კი ამ ნაპირს 100 მეტრით მაინც არის დაშორებული. კარგა მანძილზე ავყევით ზევით. უკვე დიდ სიმაღლეზე ვიყავით ალბათ, რადგან ტყე დამთავრდა და გამოჩნდა მწვერვალები – **ბორბალო და ნარუანი** და თოვლიანი ორწოხები.

ეს ამუგო-ნარუანისი და ბორბალოს მთების ორწოხებია. აქ არის ნასკვი, საიდანაც იწყება თუშეთის მთები თავისი თოვლიანი მწვერვალებით, მყინვარებით. თუშეთს რომ ჩრდილოეთით საზღვრავს, ეს კავკასიონის გვერდის ქედია. ის გადაჭიმულია ორ ულამაზეს მწვერვალს – **თებულოსა** (4505 მ.) და **დიკლოს** (4275 მ.) შორის. ცამდის ატყორცნილა **ჭემოს** (4047 მ.), **დანოს** და **კაჭუს** მთები.

ეს ქედი თუშეთს დასავლეთის მხრიდან საზღვრავს და აღმოსავლეთით კი მთავარი კავკასიონია, რომელიც ბორბალოს მთიდან საირმემდეა გადაჭიმული, ეს ორი ქედი ერთმანეთს აქ ხვდება. ბორბალოს მთასთან მოწინავე მახარობლად მათ თითქოს ორი ლამაზი მწვერვალი გამოუგზავნიათ: ამუგო და ბორბალო; შემდეგ შორდებიან ერთმანეთს, რათა აღარსად შეხვდნენ.

გვერდის ქედი ჯერ ჩრდილოეთისკენ მიდის, მერე თებულოდან შებრუნდება და პირს აღმოსავლეთისკენ მიიქცევს, მხოლოდ მთავარ ქედს თანდათან სცილდება. ისევე, როგორც მთავარი ქედი, ისიც სამხრეთისკენ არის გადმოხრილი. დასცილდნენ ერთმანეთს, მაგრამ თითქოს დაცილება გასძნელებიათ და ერთმანეთის მოსაკითხად ტოტები გაუგზავნიათ, როგორც დიკლოს მთიდან სამხრეთისკენ მრავალი ტოტია წამოსული, ისე მთავარი ქედიდან ჩრდილოეთისკენ ასეთივე შვეული ქედები გაწოლილა.

მარტო ამ ორი ქედის გვერდის ტოტებიც ეყოფოდა, რომ მთელი თუშეთი მთებით ამოვსებულყო, მაგრამ ეს არ აკმარა ბუნებამ ამ მხარეს და მთელი თუშეთი გადაკვეთა მაღალი ქედით, რომელსაც თუშები პირიქითის ქედს ემახიან. ამ ქედს ამშვენებს მწვერვალგანიერი **ციოს მთა**, წოვათას რომ დასცქერის ზევიდან განმარტოებული და დავიწყებული დარაჯივით. მისი სიმაღლე 3000 მეტრზე მეტია. ეს ქედი ერთმანეთს ამორებს **თუშეთის ალაზანს** (გომეწრის) და **პირიქითის ალაზანს**. ქედი მიდის მთავარი ქედის გაყოლებით და ჩამოიკვეთება მხოლოდ იქ, სადაც ერთდება თუშეთის სამი ალაზანი: პირიქითის, თუშეთის და გომეწრისა.

აი, ახლაც, მე და ზაქარია ამ პირიქითის კალთებზე დავდივართ, მის იქით მოჩქეფს პირიქითის ალაზანი. გარდა ამისა, ციოს გადაღმა პიტალო კლდეებში შეყუჟულია პირიქითი თუშეთი – უკანასკნელი თემი ჩრდილოეთისკენ. მინდა ვნახო მრავლისმნახველი სოფელი ჭონთიო თავისი ფიქალით ნაშენი სახლებით და კოშკებით.

თუ ასეთი ამინდი გაგრძელდა, შეიძლება მარტო გომეწრისა და ჩაღმის თუშეთი ვნახოთ, ხოლო მესამე თემი – პირიქითი – უნახავი დაგვრჩეს.

აი, ვდგავარ მქუხარე მდინარის ნაპირას და შევცქერი ბორბალოს ჩამოთოვლილ მწვერვალს. საკვირველი ნასკვია სწორედ. აქედან იწყება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დიდი ნაწილი.



არყნარი.

აღმოსავლეთით – თუშეთი, დასავლეთით – ხევსურეთი, ფშავი და ქისტეთი. ქისტეთი ჩრდილოეთისკენაა გაჭრილი, ფშავი სამხრეთისკენ, ხოლო ხევსურეთი მთავარი კავკასიონის ორივე ფერდობს შეხიზვია – თუშეთს, ფშავსა და ქისტეთს შორის. მათ შორის საზღვარი თვით ბუნებას დაუწესებია – მაღალი მწვერვალები.

თუშები იტყვიან ხოლმე: «ის ადგილები, საიდანაც წვიმის წყალი ჩვენკენ გადმოიღვრება, თუშებისაა, საიდანაც ფშავისკენ გადაიღვრება – ფშავლებისა, საიდანაც ხევსურეთისკენ – ხევსურებისა». მართლაც, ეს წყალგამყოფი კვანძი საუკეთესო საზღვარი გამხდარა, თუ საერთოდ საჭიროა ის ამ მოძმე მთიელთა შორის. ქედების მიერ შექმნილ ხეობებში მიექანება აქაფებული მდინარეები, რომლებიც ჩრდილოეთისკენ

მიქცეულ ფერდობებზე იზადება.

არღუნი – **ანდაკის** მოუსვენარი შენაკადით, რომელიც პირიქითა ხევსურეთზე გადის არდოტისა და შატილიონის ხეობით, სადაც ხალხი მათ არდოტისა და შატილის წყალს ემახის. ისინი შატილის ქვემოთ ერთდებან, სადაც მას არღუნი ეწოდება. მთხოს ხეობით ის მიქრის ჩრდილოეთისკენ. მდინარე არღუნის დასავლეთით გველის მთისა (3881 მ.) და ცროლას თოვლებიდან გადმოქუხს ლამაზი მდინარე **ასა**.

სამხრეთ-დასავლეთით იზადება ჩვენი გიჟი **არაგვი**. ბორბალოს ფერდობებიდან ჩამოიღვრება **ფშავის არაგვი**, ხოლო ცროლას და გველის მთიდან – **ხევსურეთის არაგვი**. ხევსურეთისა და ფშავის დასაწყისში, **ორწყალში** ისინი ერთმანეთს ჩაეხვევიან და მიქრიან ჟინვალამდე, სანამ ხევის არაგვს არ შეუერთდებიან.

ბორბალოს სამხრეთის ფერდობზე ჩამოდის **ალაზანი**. მისი შენაკადები ჩამოიღვრება ბორბალოზე, სამყურის წვერზე და მხეველის წვერზე, ალაზანი ორ ნაკადად (წიფლოვანი ხევი და სამყურის წყალი) მიექანება პანკისის ხეობამდე, იქ ეს ნაკადები ერთდება და ნელი ტბორებით მიბუტბუტებს ალაზნის ველზე. ალვანს ზემოთ, ბახტრიონთან, ალაზანს ერთვის **ილტო**, ხოლო ქვემოთ – კეპანის მთებიდან ჩამომდინარე **სტორი**.

არაგვსა და ალაზანს შორის მოქუხს **იორი**, ფშავის მთავარი მდინარე. მისი სათავე მასარის და ფუტკარაულის მწვერვალებზეა.

აქ კი, პირიქითა თუშეთისაკენ, მოქრის თუშეთის ალაზნები, სოფელ ხისოსთან რომ ერთდება და **ყოისუხ** სახელით მიაქვს სალამი კასპიის ზღვისკენ.

უჰ, რამდენი შენაკადია! იქნებ დაილაღეთ კიდეც. მე თვითონაც დავიღალე ამდენი ფაფარაყრილი მდინარის ხილვით.

მაგრამ ერთ შენაკადს კიდეც უნდა ავყვეთ. თოვლით იყო ამოვსებული მისი ვიწრო ხევი. გაყვევით მხარმარცხნივ. მთიდან პატარა მყინვარი ჩამოდის. ეს მარადთოვლიანი ნარუანას ორწოხებია. მის იქით ხევსურეთია **აწუნთას** ზეკარით. აქაური მყინვარი არ არის ისეთი ბარაქიანი, როგორცაა სვანეთში ლეხზირი, თეთნულდი, გული, პირიქითი შხელდა, ყარაუგომი და სხვა.

ეს აღმოსავლეთ კავკასიონია. აქ თოვლის ხაზიც ბევრად უფრო მაღლაა, ვიდრე კავკასიონის დასავლეთ ნაწილში.

რამდენჯერმე მზემ შემოგვაჭყიტა, ნისლიც გაიფანტა და დავინახეთ თოვლიანი მწვერვალები, მაგრამ მალე ისევ ჩამოპირქუშდა და უკან გამოვბრუნდით.

სამუშაო აქ უამრავია. მთის ალპური მდელო მეტად ფართოა, რადგან თოვლის საზღვარი დაშორებულია, მაღლაა. კავკასიონის დასავლეთ ნაწილში წმინდა ალპები ასე მკვეთრად არ არის გამოხატული, იქ სუბალპებსაც შედარებით ვიწრო ხაზი უჭირავს. ვინ იცის, რამდენი საინტერესო და ძვირფასი მცენარეა აქ დარჩენილი, თუმცა ჩვენც საკმაო მასალა მოვაგროვეთ.

გადავწყვიტეთ წავსულიყავით ქვევით, გომეწრისაკენ. მეორე დღეს გავუდექით კიდეც გზას. მასპინძლებმა ნახევარი ცხვარი გაგვატანეს, დაგჭირდებათო.

მივდივართ ალაზნის ნაპირებით. ხან გაღმა გავალთ და ხან გამოღმა. ცა მოწმენდილია.

ალაზნის თავიდან მეშვიდე კილომეტრზე ავცდით ნაპირს და ავყვეთ მთას. აქ ხეობა ძალზე შევიწროვდა. ეს არის თუშეთის ალაზნისკენ მიქცეული მხეველის მთისა და სამყურის წვერის ქედის ფერდობები. ავიარეთ უკვე აღწერილი ტყე და სუბალპები. ქვევით ალაზანი მიქუხს და მიექანება. გაღმა სერები თითქოს ცაზე დაკიდულა. ერთ ასეთ სერზე მეცხვარის ბინაც მოჩანს. მიკვირს, ამ უსიერში როგორ ჩერდებიან, მაგრამ სად წავიდნენ, როდესაც ახლომახლო ამაზე სწორი ადგილი არსად არის.

მალლიდან დავცქერი მდინარეს და ვხედავ, რომ ერთ ადგილას შეტბორებულა, შემდგარა, ტრიალებს.

– ზვავი ჩაწოლილა, მას დაუჭერია, – მეუბნება გაბო. – ხორხზე ავიდეთ და გამოჩნდება.

ავლიეთ ფერდი, მოვექეცით მის ზურგს ზევიდან და ვხედავთ, რომ გაღმა მთის ფერდი ჩამომეწყრილა, ამოუვსია კალაპოტი და შეუჩერებია მდინარე, მაგრამ მას მაინც თავისი გაუტანია და ზევიდან ზავითი გადაქუხს.

აგერ ერთ ადგილას ალაზანს კალაპოტი უცვლია, ახალი გაუკეთებია, 150 მეტრის სიგრძე. ამის მნახველმა გაბომ თქვა:

– მე, როგორც ამ მთებსა და მდინარეებს ვუყურებ, წინათ მთები თანაბარი ყოფილა, უხევებო. შემდეგ მდინარეებს დაუსერავთ და დაულარავთ.

მეტი რაღა მეთქვა მდინარეთა ეროზიულ მოქმედებაზე. მე და ზაქარიამ ერთმანეთს გადავხედეთ, ორივეს მოგვწონდა ჩვენი გამყოლის დაკვირვება.

– აი, წოვათაც, ჩვენ მამა-პაპათა ნადგომები, – ამიხსნა გაბომ.

ჩვენ მარცხნივ, წინ, ალაზანს გაღმა, შედარებით განიერი ხეობა მოჩანს – «წოვათა». ეს წოვა თუშების ძველი სადგომი ადგილებია, წინათ აქ ცხოვრობნენ თურმე, მერე დატოვეს და ბარად ჩავიდნენ. ზაფხულობით ტბათანაზე ამოდიან მხოლოდ. მოჩანს სოფლები, მთის ორწოხებში შეყუჟული: აგერ **საგირთა**, **ეთელთა**, **ინდურთა**, **მოზართა**, **წარო**. ამ სოფლებს ზედ დასცქერის ჭიუხიანი გრძელი მწვერვალი **წიო**, თოვლით ჩამოთეთრებული. ისევ დგას ქვის სახლები, სახურავებიც აქვს, მაგრამ იქ აღარავინაა. გზააბნეული ნადირი

თუ შეაფარებს თავს, დამდამობით ბუ თუ გაჰკვივლებს.

მეტად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ამ არწივის ბუდესავით კლდეზე მიკრული სოფლების გავერანება.

– რად წახვედით, გაბო, რად დასტოვეთ?

– რაკი გაინტერესებთ, ერთი ძველი ამბავიც უნდა გიამბოთ.

– აი ეს ციხე, – მიგვითითა ერთ კლდეზე მიკრულ ციხეზე, – ერთი თუშისა იყო. ქისტები შემოესივნენ ამ სოფელს. ამ ციხის პატრონი შიგ გამაგრდა. კოშკი წინა მხრიდან ოთხსართულიანია, უკანა მხრიდან კლდეს არის მიკრული. შუა სართულში ბებერი მამა გამაგრდა, ზევით – თვითონ, ერთში – ცოლი და შვილი. დიდხანს ებრძოდნენ. გავიდა ხანი და მამასთან პატარა ბიჭი ავიდა: მამა, პაპა სათოფურიდან შეჭრილმა ტყვიამ მოკლაო და ხედავს, ქისტებმა ძირის სართულში კარები შეანგრიეს. ამ დროს ცოლი და ქალი დავარდნენ მის წინ და შეევედრნენ – მოგვკალ შენ თვითონ, მანდილს ნუ შეგვირცხვენ, მტრის ხელთ ნუ ჩაგვავადებო... ხედავს, საქმე ცუდად არის, იძრო ხანჯალი და თავის ქალიშვილს თავი მოსჭრა. ცოლმა იკივლა, გაქცევა დააპირა, შეეშინდა. ქმარი წაეტანა, შვილი მოგვკალ და შენ ვილა ხარო? მასაც მოუსწრაფა სიცოცხლე. შვილო, – უთხრა პატარა ბიჭს, – ქისტები არ მოგვკლავენ, ბიჭი ხარ, ტყვედ წაგიყვანენ და თუშები გამოგისყიდინან; ხალხს ჩვენი უბედურება შენ თხარო და გავარდა ხმალდახმალ. ქისტებმა გზა უტყეს, შეკრთნენ, ერთი რომ გაერია ხმალდახმალ, გონს რომ მოვიდნენ, თოფი დაუშინეს და ბევრი თავისიანი მოკლეს. თუშმა ტყეს შეაფარა თავი და მხოლოდ იქ მოვიდა გონს: ცოლ-შვილი დავხოცე და მე სადღა მივდივარო. შებრუნდა ისევ და თავის მკვდრებს ისიც ზედ დააკლეს... ეს ამბავი მისი ბაღლისგან ვიცით. თუშებმა თურმე გამოისყიდეს. ესეთი იყო ადათი: ტყვე თუშს თუში გამოისყიდდა ხოლმე...

ასეთ ამბავს ქისტეთშიც გაიგონებთ, – ამბავს, ძველი, შავი დროის ფონზე შექმნილს, უდიდეს უბედურებას მთისას, რომელსაც წამალი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გამოუძებნა.

წიოს მთაც ძალზე შვეულია, დაკიდული და ჭიუხიანი. მის ძირში შეყუჟულა წოვათა. ხშირად ჩამოუვლიდნენ, ალბათ, დიდი ზვავეები და ანადგურებდნენ სოფელს.

ამ სამოცი წლის წინ წიოს მწვერვალთან წამოსულმა ზვავემ მიწასთან გაასწორა სოფელი ინდურთა. მცხოვრებთა ნახევარზე მეტი მოჰყვა ზვავექვეშ, განადგურდა გადარჩენილთა სარჩო-საბადებელიც; ეს ბედი ეწია რამდენიმე სხვა სოფელსაც.

გაბრიელი გაჩუმდა. ამ ამბავმა მაგრძნობინა, თუ რატომ მიატოვა ხალხმა «მამა-პაპათა სადგომები». მრავალი საუკუნე ებრძოდნენ ისინი ბუნებასა და მტერს. ველარ გაუძლეს და ვაკე კახეთს მოაშურეს. ამ ოცი წლის წინ კიდევ იყო აქ თითო-ოროლა მოსახლე, მაგრამ ისინიც დაემორჩილნენ ბედს, მათაც ჩააქრეს კერა.

ჩვენ წინ, გაღმა მხარეს, გამოჩნდა შვეულ ფერდობზე არწივის ბუდესავით აკრული სოფელი დაღირთა. თითქმის ყოველი სოფელი ამგვარად არის გაშენებული. **ჭონთიო**, მაგალითად, 2180 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და დაკიდულია 420 მეტრის სიღრმის უფსკრულზე, რომელსაც თვალი ვერც კი ჩასწვდება.

გარდა ამისა, გამოსაყენებელი მინდვრები დიდ სიმაღლეზე მდებარეობს. დაბლა ან ნიადაგია ჩამორეცხილი, ან მთებია მეტად შვეული, რის გამოც ვერ დაუშუშავებიათ. გზები კი ისეთია, რომ მოსავლის მიტანა მხოლოდ ზურგით შეიძლება. ცხადია, სოფელსაც ისეთ ადგილას გააშენებდნენ, რომელიც მეურნეობისათვის უფრო გამოსაყენებელი და მისადგომია. ასეთი ადგილი კი ხშირად მეტად მაღლაა. მაგალითად, სოფელ დართლოსთან ქერი უთესიათ 2200–2300 მეტრის სიმაღლეზე, ალპურ ყვავილებში. ჭკავი ხშირად უფრო მაღლაც მიდის.

რაც უფრო მაღლაა სოფელი, მით უფრო ნაკლებია ზვავსამიშრობა. ხშირად ზვავის თავიდან ასაცილებლად სოფელი ზედ წოპზეა აშენებული. ასეთია, მაგალითად, სოფელი **ბელელა** გომეწრის ხეობაში.

ძნელია აქ ბრძოლა არსებობისთვის და მესმის, თუ რად ამბობს გაბო: ბევრი ასეთი ამბავი ახსოვს ჩვენს მამა-პაპასო. მჯერა, ბევრი სიმწარე აქვთ მოსაგონებლად.

ვფიქრობ და გავცქერი აგიურთას, მთებში შეყუჟულ სოფელს, რომელსაც გარს პატარა მინდვრები არტყია. ბილიკმა ხნულს გაუარა გვერდით. უკვე დაუთესიათ, ჯეჯილი ამოსულა.

– ეს სვილაა (ჭკავი), ადრე ითესება, – განმარტა გაბომ.

გაღმა ყანები ჯერ არც კი გაჭრილა და უკვე სამერმისოდ დაუთესიათ.

ქერი ჯერ ისევ მწვანეა. შემოვა თუ არა, არ ვიცი, აი, თოვლი მოდის და როდისღა მოესწრება?

შებინდა, როდესაც სოფელში შევედით – ვემათხევში. თითქმის სოფლის პირას მოჩანს წართხალი. ეს ხომ სუბალპების მცენარეა. ვიხედები ირგვლივ და მართლაც, სოფელს სუბალპების მდელო და ტყე აკრავს.

– ბინა გვინდა სადმე, – ეუბნება გაბრიელი შემოგებულ თუშს.

– განა ეს სოფელი ბინა არ არის? მოზრძანდით, მოხადეთ ცხენებს ბარგი...

და თვითონაც დაიწყო ბარგის მოხდა. მას სხვებიც მოეშველნენ, ბარგი აივანზე აიტანეს, რადგან სახლი ორსართულიანია. სახლში შეგვიწვიეს.

– აქ წვიმა არ ჩამოგვივა, – ვთქვით, როდესაც მოვხვდით დიდ ოთახში, რომელსაც სამ მხარეს ტახტები ჰქონდა შემოვლებული.

კედელზე ვხედავთ სურათებს, უმთავრესად ჯარისკაცების და მწყემსების სურათებს. თაროზე სუფთა თეთრი ქაღალდია აკრული. ტახტზე მოჩანს ქეჩაგადაფარებული რამდენიმე ხელი ლოგინი, კედელზე

კიდია ტანისამოსი და იარაღი – ქამარ-ხანჯალი, თოფი; ტახტზე ფარდაგი და ქეჩაა გადაფარებული. პატარა ქილებში ყვავილის თაიგულებიც კი არის. გამხმარა, მაგრამ ფერი არ დაუკარგავს.

ეს ჩაღმა თუშის სასტუმრო ოთახია.

ლოდინი

დილა გათენდა, მაგრამ ისევ ჩამონისლულია. დამე უთოვია და მთელი არემარე თოვლშია გახვეული. მთა და «ბარი», გუშინ მწვანედ რომ ღვანებდა, დღეს ასი წლის მოხუცს ჰგავს.

მოწყენილი გავყურებ ქერისა და ჭვავის ნათესს, რომელიც თოვლის სიმძიმის ქვეშ მიწაზე გაწოლილა.

ვიცდით, იქნებ გამოიდაროს. მაშინ ხვალ ვიმუშავებთ.

სხვა არა იყოს რა, დასათვალიერებელი და გასაცნობი აქაც ბევრია. სოფელი **ვემათხევი** უფსკრულზეა დაკიდებული. აქ 20-30 კომლი იქნება.

სახლები ფიქალი ქვისაგანაა ნაშენი, უმეტესად ორსართულიანია. ქვემოთ ბოსელია, ზემოთ ხალხის სამყოფი. ქვედა სართული ცალი მხრით მიწაზეა მიდგმული, ასე რომ, წინიდან სახლი ორსართულიანია, ხოლო უკანა მხრიდან ერთსართულიანს ჰგავს. ზამთარში ხალხი ქვედა სართულში ჩადის, იქ უფრო თბილა.

მთაში ცივი ზამთარი იცის, გრძელი და დაუსრულებელი, თითქმის 6-7 თვეს გრძელდება.

არის კოშკებიც, ძველი ციხე-სიმაგრეები, 5 – 6 სართულიანი. კოშკი ოთხ კუთხიანია, პატარა ვიწრო სათოფურებით.

გავოცდი, ამ სახლების არქიტექტურას რომ დავაკვირდი. მთელი კოშკი ნაგებია ფიქალის ნამტვრევებით, მაგრამ არც კირია ნახმარი, არც დუღაბი, არც ტალახი. «მშრალად» არის აგებული: ქვები ერთიმეორეზე აწყვია და აყვანილია 5-6 სართული. მერე როგორ არის ჩაწიკჭიკებული, ჩალაგებული ერთმანეთში. თითქოს საგანგებოდ გამოუკვეთიათო, ისეა ქვები ერთმანეთზე გადაჭდობილი. კოშკი ძლებდა არა ერთსა და ორ წელს, არამედ მთელ საუკუნეებს, იმიტომ, რომ კედელს კონუსისებური აღნაგობა აქვს: ძირს განიერია, ხოლო თავისკენ ნელ-ნელა ვიწროვდება. წნევა თანაბრადაა განაწილებული.

– აი, ეს ციხეა უფრო კარგი, მაგარი, – მიმითითა ჩვენმა მასპინძელმა ერთ ციხეზე, რომლის ქვა უფრო შავია, ვიდრე სხვა ციხეებისა.

ესეც ფიქალია. ციხის კედლები შემოსილია ყვითელი მღიერებით, რომელსაც შორიდან ჟანგისფერი დაჰკრავს.

ეს რკინის ციხეა, მაგარი. მისი ქვა წოვათიდანაა მოტანილი.

მართლაც, წოვათის ციხეებ, მაღლიდან რომ გადავყურებდი, სწორედ ასეთი ფერისა იყო.

– წოვათიდან ზურგით არის მოტანილი, – დასძინა ჩემმა მოსაუბრემ და წოვათას გადახედა.

თუ კაცის ზურგით არა, ცხენის ზურგით მაინც უნდა იყოს მოტანილი, რადგან აქაურ ბილიკებზე მარხილიც ვერ გაივლის.

კვილი მოგვესმა ამ ლაპარაკის დროს. გაღმა მხრიდან მოდიოდა. გიორგი, ჩვენი მასპინძელი, სწრაფად გადადგა ერდოზე და საპასუხოდ გაჰკვივლა.

– რაი ჰკვივ, რა იყო?

მივედი მეც.

გაღმა, ხევის მეორე ნაპირას პატარა სოფელია, **ჯვარბოსელი**, ვემათხევს უცქერის პირდაპირ, ისიც უფსკრულზეა დაკიდული. ქალი გადმომდგარა ერდოზე და კვივის:

– კაც გამოვიდეს ვინმე, ძროხა კვდება.

გიორგიც ხმამაღლა ეკითხება. მათი ძახილი მთის ორწოხებში პოულობს გამომახილს. იმ სოფლამდე, ბილიკით რომ წავიდეს კაცი, 2 – 3 კილომეტრი უნდა გაიაროს, უფრო მეტიც. ახლა კი ვემათხევისა და ჯვარბოსლის ერდოებზე გადმომდგარნი ერთმანეთს ესაუბრებიან. თუმცა ეს საუბარი ყელისათვის მცირე ვარჯიში არ არის.

– რას გიკვივის, გიორგი, რა იყო? – ეკითხება ზაქარია.

– ძროხა უკვდებათ, სახლში კი კაცი არ არის. გამოვიდეს ვინმე, დაკლასო.

– სოფელი იქვე არ არის, დაუმახოს ვისმე, რაღა აქეთ კვივის?

გიორგის ჩაეღიმა. გვიპასუხა:

– საქმე ის არის, რომ სოფელში კაცი არ არის, ყველანი ლუდის სასმელად წასულან გაღმა სოფელში. იქ ერთმა ლუდი გამოხადა და დაუმახა. ქალს კი ადათით საქონლის დაკვლა არ შეუძლია.

გიორგიმ ერთი 18-19 წლის ჭაბუკი გაგზავნა, გადი, გაეშველეო.

მას, ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნა, დიდ ფაციფუცში იყო, ცხენის მოსართავს კერავდა, ამზადებდა.

– მაესწრები, არა უშავს რა, – მიმართა გიორგიმ, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა. – ხვალ **ვესტამაში** ქორწილია და ახალგაზრდები ემზადებიან, ქალს მაყრად მიჰყვებიან.

ვისარგებლე შემთხვევით და დავეკითხე ქალის გათხოვების ამბავსაც. აქ საკმარისია ბიჭს მოეწონოს ქალი, რომ ცოლად ითხოვოს იგი, თუ, რასაკვირველია, დედ-მამის თანხმობა იქნება და სასიძოვ შესაფერისია, თუ შეუძლია, აცხოვროს ცოლი. ქალს მზითევს არ ატანენ, რადგან ქალს მამისეულში წილი არა აქვს, ადათით

ვაჟზე გადადის მემკვიდრეობა. ძმები თანასწორად იყოფენ მას. უფროს ძმას საუფროსოში აძლევენ ცხენს, 40-მდე ცხვარს ან მეტს. თუ წლოვანებაში დიდი განსხვავება არ არის, არც ამას აძლევენ. ქალის საკუთრებაა ტანისამოსი და სამკაული. ესეც მისი ნაშროვანია ხელსაქმით. თუში ქალი საუკეთესო მოსაქმეა. შალს ქსოვს მეტად ძვირფასს, მაგარს და წმინდას. ჩვენს მთიელებს შორის თუშის ქალს ძნელად თუ დაედრება სხვა რომელიმე ქალი. შალის გარდა ქსოვენ წინდებს, ხშირად მეტად ლამაზი სახეებით მოქარგულს (ფერებს მცენარეებისაგან ხარშავენ), ჩითებს (ჩითი ფეხსაცმელია, მაგარი ძაფისგან მოქსოვილი, უმთავრესად მშრალ ამინდში სატარებელი), ქეჩებს და მრავალ სხვას.

სხვა მხრივ ქალი თანასწორია, აქ არ იჩაგრება, როგორც სხვაგან, მაგრამ ამას ქვევითაც შევხებით.

– ჩემი ძმისშვილებიც მიდიან. კიმოთე დილაადრიან წავიდა ცხენების ჩამოსაყვანად, მთაში ჰყავს გაშვებული. ჯერაც არ ჩამოსულა, შეიგვიანა, არ ვიცი, რად...

და ნელი საუბრით აყვევით სოფელს მიკრულ პატარა მინდვრეზე. თოვლი თითქმის გადნა, რადგან ხანადხან მზეც გამოაჭყეტდა ხოლმე. გვინდოდა გაგვესინჯა ნათესები და მცენარეები.

უფრო მეტი ქერია და სვილა.

– აქ პური ვერ მოდის, მეტად ცივა, – მეუბნება გიორგი, – ძირს რომ ჩახვალთ, ალაზნის პირებზე, – გულისხმობს გომეწრის ალაზანს, – იქ პურიც ბევრია, დიკაც, სხვაც.

ქერი თესია, მაგრამ ისიც ჯერ მწვანეა. ნიმუშებად ვარჩევთ თითო-ოროლა შეთეთრებულ თავთავს, რომელსაც მომწიფებამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია. გარდა იმისა, რომ უნდა მოვკრიბო საკმაო ნიმუშები, უნდა ვეძებო იმ სარეველა ბალახებში, რომელიც აქ მეტისმეტად უხვადაა. აქ შევხვდებით, როგორც ნამდვილ სარეველა მცენარეებს, ისე ალპური მდელოებიდან ჩამოჭრილ ბალახს. თუში რომ ყანას არ მარგლი და ისე არ უვლის, როგორც სვანი, ეს გასაგებია, რადგან თუში ბართანაც არის დაკავშირებული, ალვანშიც თესავს და ხნავს. იქ ყოველ თუშს, უფრო კი წოვა თუშებს, სამი დღიური მიწა მაინც აქვს, პატარა ბაღიც. მთავარი წყარო ცხოვრებისა მაინც ცხვარია.

ქერის ნათესს შორის პატარა ნაკვეთზე სელი მოჩანდა ლურჯი ყვავილებით. თოვლს გაეძარცვა, მაგრამ მაინც ლამაზი იყო.

– სელს ზეთის გამოსახდელად ვთესავთ ცოტა-ცოტას. მაგის ზეთი გემრიელია.

– თოვლმა რომ გააფუჭოს?

– გააფუჭებს, თუ ამდამ ცა მოიწმინდა, სელს კი არა, ქერსაც გააფუჭებს, დააზრობს, ვეღარ დამწიფდება. ახლა ჩვენი ნატვრა ის არის, რომ რამდენიმე დღეს არ მოიწმინდოს. მოწმენდილმა დამემ ასეთი თოვლის შემდეგ ყინვა იცის.

ბარში კი ამ დროს სიცხისაგან იწვის ყველაფერი.

ჩვენი აბგები გაივსო მოგროვილი მასალით, ის იყო დაბრუნებას ვაპირებდით, რომ გიორგი უცბად მოტრიალდა და გვითხრა:

– თქვენ ჩამოუყვევით, მე კი გავემურები, – და თითქმის სირბილით დაეშვა სოფლისკენ.

გადავიხედეთ და ჩვენი ბინის წინ ხალხი შექუჩებულიყო, ქალი და კაცი. ეტყობა, რაღაც ამბავი მომხდარა.

ავურჩქარეთ ნაბიჯს და მალე ჩავედით ხალხთან. ყველას შეწუხებული სახე აქვს, ყველანი ერთ ვაჟკაცს უსამძიმრებენ.

გაბოც იქ იყო. ვკითხეთ ამბავი.

– ცხენები ჰყავდათ მთაში სამოვარზე გაშვებული. დილას წავიდა ჩამოსარეკად. მაგრამ ვერა ნახა. ჯერ ეგონა – ვაითუ ქისტებმა გარეკესო, მაგრამ კარგა ხანს ძებნის შემდეგ ნახა: ხევში გადაჩეხილიყო ოთხი ცხენი. ერთი კი, აგერ ის, გადარჩენილა.

იქვე ბოძზე მიბმული იყო თუშური ცხენი. დაღონებულს თავი დაეკიდა, თითქოს მოძმეებს დასტირისო.

– ცუდ ამინდში ცხენი მყუდრო ადგილს ეძებს. თავი უნდა რომ შეაფაროს და მირბის უგზო-უკვლოდ, მით უმეტეს, თუ ქარცაა. ესენიც გადასულან ერთ შვეულ, ციცაბო კლდეზე, დასხლტომიათ ფეხი და ხევში ჩაჩეხილან. იქნებ მართო ერთი დასხლტა, სხვებს დაეჯახა და თან ჩაიტანა.

მეტად მოწყენილია კიმოთე. გულწრფელია ხალხის სამძიმარიც.

ჩვენც დაგვადონა ამ ფათერაკმა, მაგრამ ძალიან გამიკვირდა, როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ კოხტა მხედარი დავინახე. ლურჯ ცხენს აღვირქვემ თავი დაეხარა და ერთ ადგილას ტოკავდა. ლეგა ჩოხაში გამოწყობილ მხედარს ნაბადი გვერდით მოეგდო. შვენოდა იარაღი. კიმოთე იყო. ქორწილში მიდიოდა.

– რაღას არგებს დამწუხრება, გადიჩენენ ცხენები. დაილუპნენ და რაღას იზამს. ხომ არ იტირებს. ან ტირილით რას უშველის? ზოგჯერ კაციც გველუპება, – მეუბნება გიორგი.

მაგონდება: 1920 წელს მე და ზაქარია ვიყავით ამ მხარეში, ჩადმის თუშეთში. ბევრი ჩადმელი გავიცანი. ახლა ნახევარზე მეტი ჩვენი ნაცნობი აღარ არის. ზოგი დიდ ზამთარში გადავარდნილა კლდეზე – საქონლისათვის სოფელში გზას აკეთებდა, დაუცდა ფეხი და ხევში გადაიჩეხა. ორნი კეპანის გადასასვლელზე გაყინულან, ზამთარში ვეღარ გადმოულახავთ თოვლი.

საუბარში გავერთეთ, თანაც თუშურ სადილს შევექცეოდით: ერბოში და კვერცხში მოხრაკულ ახალ ყველს (ხავიწს ეძახიან თუშები), ქადებს და ქერის პურს ზედ ვატანდით თუშურ არაყს – უფრო წყალია, მხოლოდ

არყის გემო აქვს.

– დალიეთ, ხომ ხედავთ, ცუდი ამინდია, მოგიხდებათ, – გვაძალეზდა მასპინძელი.

მართლაც ცუდი ამინდი იყო. ისევ დაიწყო თოვა, ტაშისოდენა თოვლის ფარატინები ცვიოდა ძირს და გულზე მძიმე ლოდად გვეცემოდა.

– გმადლობთ, ალექსი, გმადლობთ! – ვეუბნებოდით, მაგრამ ვერ დავაჯერეთ, რომ საერთოდ არა ვსვამთ.

– მაშ, მე რომ გეწვიოთ, არ დამალევიანებთ?! ვაითუ ევა გაქვთ გულში? – გვეხუმრებოდა მასპინძელი და გვაწვდიდა სახვე ყანწს.

– თან კოპრჩხილას წნილი დაატანე, გარგებს. ქალავ, მოიტა, აღარა გვაქვს თუ?

გასძახებდა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც გულისპირი ვერცხლის სამკაულით ჰქონდა მორთული და ოჯახში ტრიალებდა.

ჩვენს მტერს ნურც ჰგონია! – ისმოდა საპასუხოდ და ახლა თავად გვთავაზობდა.

– მიირთვ, ვაჟიკავ! – მაწვდის არაყს.

მას კი ვეღარ ვეუბნები უარს და მის სადღეგრძელოს ვსვამ.

სიამის სინათლე ეფინება სახეზე და ილიმის ჩუმად.

– ჰაი, ჰაი, რომ დალევს: გოგომ მიაწოდა და დალია! – მისაყვედურებს მხიარულად გიორგი.

ამ დროს შემოვიდა ძროხის დასაკლავად გაგზავნილი ჭაბუკი.

– ციმბირის ჭირი აქვს ძროხას, დავკალ.

– ხომ არ გაატყავე? – შევეკითხე.

– არა, როგორ იქნება. ვუთხარ, კაცებ რომ მოვლენ, ასე დამარხონ-მეთქი. ვიცი, წამიკითხავს – მეუბნება. მერე ჩამოჯდა ჩემ გვერდით.

– აბა, ქალავ, თოვლმა მომიწყინა ხალხი, მოიტა ბუზიკა, – გასძახა ალექსიმ ნანოს.

და მართლა გაჩაღდა ტაშ-ფანდური. ნანო გარმონს უკრავდა (თუშებს შორის გავრცელებულია ეს საკრავი).

ნანოს ძახილზე მოსული სხვა გოგონები ტაშს აყოლებდნენ და იყო ცეკვა და მხიარულება.

ალექსიმ ჩონგური აიღო, ჩამოჰკრა – ერთი ძველი დრო მოვიგონო და ხელი აათამაშა. ამან უფრო გაამხიარულა დიდი და პატარა.



ჩალმა თუშის ოჯახი

ცეკვავდნენ ლამაზად, რიტმულად, ცეკვავდნენ მთიულურ ლეკურს. თუშები ხომ საუკეთესო მოცეკვავეები არიან.

– არ ვითამაშებთ, თუ თქვენც არ ითამაშებთ³², – გვიცხადებენ.

ნანომ ჩამოუარა. თავი დამიკრა. რა მექნა, მეც ჩამოვუარე მათ ყაიდაზე.

ღამე გადავიდა, მაგრამ ჩვენი ტაშ-ფანდური არ შეწყვეტილა.

გარეთ კი თოვდა, თოვდა განუწყვეტლად.

დაკარგული სიცოცხლე

გარეთ თოვს, თოვს ისე, ვით შუაგულ ზამთარში. არემარე მთლად ნისლშია გახვეული. ასე გაგვითენდა 3 სექტემბერი.

როდემდის უნდა ვიყოთ **ვემათხევში?** აქაურობას ხომ არ შევაბერდებით, უნდა წავიდეთ წინ. შეიძლება გამოიდაროს, თუ არადა შეიკვრება ზეკარები. ერთადერთი გზაა დაგვრჩება: **ანდისყოისუს** ნაპირებს უნდა გავყვით ჩრდილოეთ კავკასიისკენ ან კავკავზე დაგვჭირდება წასვლა. ეს გარემოება მაინცდამაინც ძალიან არ მაწუხებს: ახალ ადგილებს ვნახავ, ჩემთვის უცნობ მთიელებს. გვაწუხებს ის, რომ თუშეთში მუშაობა მეტად გაძნელდა, ვკრეფთ მცენარეთა ნიმუშებს, თოვლიანია და სველი, მათი გაშრობა გაგვიძნელდება.

დილით თოვა შეწყდა.

ჩვენც შევაკაზმეთ ცხენები და **ვესტმოსკენ** წავედით.

ჩავეყვით დაკიდულ ხეებს. გაუფარეთ სოფელ **ჯვარბოსელს**, რომელიც **ვემათხევს** კლდიდან დასცქერის და ჩავედით ალაზნის ნაპირზე. აქ მდინარე რამდენიმე კილომეტრზეა გავაკებული, მაგრამ არა ისე, როგორც «ალაზნის თავში». ნაპირებიც დაცემულია და ვხედავ პატარ-პატარა მინდვრებს, სადაც თესია პური (დოლის) და დიკა. რა საგრძნობ სიმაღლეზე უნდა იყოს **ვემათხევი**, რომ იქ ქერიც ვერ მოდის ხეირიანად! 3

სექტემბერს იქ ჯერ ისევ მწვანე იყო, აქ კი, ქვემოთ, პურიც მოდის, უკვე შეთეთრებულია.

გზა ტყე-ტყე მიდის: ფიჭვი, არყი, ცირცელი, მთრთოლავი ვერხვი, ტირიფი. მათი ტოტები თოვლითაა დამძიმებული და ეს გვიძნელებს ცხენზე ჯდომას.

მხარმარცხნივ, ალაზნის გაღმა, ამართულია მაღალი კონუსი. ის ხელოვნურად ჩამოკვეთილს ჰგავს, თითქმის შვეულია მისი ფერდობები. ვიწრო, მეტისმეტად ხვეული ბილიკი მიდის ზევით (ასეთ ბილიკს თუშები «ჭირკვანას» ეძახიან, რომელიც სიტყვა «გაჭირვებიდან» ან «ჭირიდან» უნდა იყოს ნაწარმოები). აქ სიარული მართლაც ძნელია და საფათერაკო. მის წოპზე³³ სოფელია, «ბელელა», 3-4 კომპი ამშვენებს პატარა სოფელს. მხოლოდ მტრის მოლოდინს შეეძლო შთაეგონებინა აქაურებისთვის, რომ სოფელი ასეთ სტრატეგიულ ადგილას გაეშენებინათ. ალბათ, იქიდან დიდ მანძილზე მოჩანს გომეწრის ხეობა, მთის გადმოსასვლელები. კობტად ნაგები კომპები ცხადყოფს, რომ ეს სოფელი მართლაც სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა.

ბელელას ქვემოთ ავცდით მდინარის ნაპირს და ავყევით ტყით დაფარულ ფერდობს (ეს **სამყურის წვერის** ჩრდილოეთისაკენ გასული ფერდობებია), მაგრამ ვაი ამ აყოლას: ტყიან ბილიკზე გავლა თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან თოვლის სიმძიმეს არყის ხეები მიწაზე გაეწვინა... ბილიკი ჩახერგილი იყო. ამ ბილიკის გარეშე კი სიარული და წინსვლა შეუძლებელია. მორიგეობით მივდიოდით წერაყინით და დიდი ჯობით, რომელიც გაბომ ხანჯლით გამოჭრა³⁴, თან ვბერტყავდით ხეებს და ვათავისუფლებდით თოვლისაგან.

არ იყო ადვილი გზის ასე გაწმენდა. მართალია, თოვდა, ციოდა კიდეც, მაგრამ ოფლი ღვარად ჩამოგვდიოდა სახეზე. ხანდახან თვალი მაინც შეჩერდებოდა ხოლმე ლამაზ სურათზე: ცირცელი, წითელი კუნწულებით დატვირთული, დროშასავით მოჩანდა თეთრ თოვლზე. ბევრს თოვლის სიმძიმისათვის ვერ გაეძლო და წელში გადატეხილიყო. არყის ხე კი, ეტყობა, უფრო შეჰგუებია ასეთ მოვლენას: თოვლს მხოლოდ დაეხარა იგი. იმდენად დრეკადი აღმოჩნდა მისი ტანი, რომ მიწასთან იყო გასწორებული და მაინც არ გატეხილიყო.

ამ ყოფით გავიარეთ სოფლები: **ილურთა**, **ბუხურთა** და სხვა რამდენიმე, უფრო მეკომური, ვიდრე სოფელი. შევყევით კავკასიონის მთავარი ქედიდან გადმომდინარე ნაკადს, სამყურის წვერიდან რომ ჩამოდის და ბუხურთას ძირში გამოუვლის. დიდხანს ვიარეთ მის ნაპირ-ნაპირ. ხევი მეტად ღრმაა, მდინარე – მჩქეფარე. გასვლა არ შეიძლება, სანამ ზევითკენ სადმე არ ვნახავთ შესაფერის ადგილს. ეს ვიწრო ხევი ისე იყო შეკრული, თითქოს ნაპირებს ერთმანეთთან სურდათ მისვლა და ჩვენი მომწყვდევა თავის ორწოხებში. ძალზე ციცაბო ფერდობი ჩამოდის ორივე მხრიდან. ისეთი უსიერია ეს ნაწილი, რომ უნებლიეთ გაფიქრებინებს ამას. ან როგორ არ იფიქრო, როდესაც ხეობა ნისლით არის შუამდე ამოვსებული. ამ ნისლის საბურველში მიექანება გაკაპასებული ნაკადი.

კაი ხანს აღმა სიარულის შემდეგ გავედით მეორე მხარეს და კვლავ ქვევით ჩავყევით. გავლიეთ ტყე და თოვლმაც გადაიღო. ჩვენ წინ გადაიჭიმა თოვლით დაფარული ვაკე ადგილი. შორს, ვაკის დასასრულს, მწყემსები ძროხას მოერეკებოდნენ და მოისმოდა მათი სიმღერა.

– რა უნდა ქნას იმ ძროხამ ახლა?

– ნეკერით თუ გამოიკვებება, სანამ თოვლი გადნება, – მიპასუხა გაბომ.

ჩვენმა ცხენებმა ფეხმარდად გასწიეს წინ, რაკი ცოტა გაივაკეს.

მაღე გადავხედეთ სოფელ **ვესტამათას**³⁵. აქაც სახლები ქვისაგანაა ნაშენი, მაგრამ სახურავი სხვაგვარია. სხვაგან სახლებს ფილაქნის ქვა აფარია, აქ კი სახლი ბანიანია. იდგნენ ბანებზე და ნიჩბებით ხვეტდნენ თოვლს. ჩავლიეთ დაღმართი, ხევში ჩავედით და გამოჩნდა კიდეც სოფელი **ვესტამათა**.

იმ ანგარიშით წამოვედით, რომ იქ დავრჩენილიყავით. მივუსწარით კიდეც შეღამებას.

მყისვე ბინა მიგვიჩინეს. ჩვენი მასპინძელი დატრიალდა, ცეცხლი დაანთო, რადგან ყველაზე საჭირო ეს იყო, მთლად სველები ვიყავით. ქალი გამოგვეგება და ბარგი თვითონ ახსნა ცხენებს, ჩვენ არ გვაცალა, რომ დაგვებინავებინა.

– თავად სახლში მიბრძანდით, ნამგზავრები ხართ, დაღლილები, – გვეუბნებოდა.

ჩამოლამდა. სოფლის თავში მამხალეები აინთო, თითქმის მთელი **ვესტამათა** განათდა. განათებული იყო ბილიკიც.

გავარდა პირველი თოფი და ტყვიის ზუზუნმა გადასერა შავი ღამე. მას მოჰყვა მეორე, მესამე.

– პატარძალი მოჰყავთ, პატარძალი!

«სანეფო სახლიდან» სიმღერა და ტამ-ფანდური ისმოდა.

ბილიკზე გამოჩნდნენ მხედრები. ავირბინე მათ სანახავად, ერთ-ერთ ცხენზე ზის ყელმოდერებული პატარძალი, ნაბადმოსხმული, თავზე ყაბალახით – მაყრიონში ვერც კი გამოარჩევდი.

– «ჩამოდექით, მოვედით, მოგვყავს ხოხობი», – ისმის ხმები.

«სანეფოს სახლიდან» უპასუხეს:

– «არ შეუშვათ მაყრიონი სახლში, ჯერ მამხალა ჩააქრონ!»

...და სახლის კედელზე აიძვრათ მამხალა, რომელიც განუწყვეტლივ ქანაობდა. ჩანდა, ვიღაც ატოკებდა.

ცხენდაცხენ დაუწყეს სროლა, ტყვია უნდა მოერტყათ, რომ ჩაექროთ და ჩააქრეს კიდეც. მაყრიონი სახლში შეუშვეს, ხოლო სახლიდან ბილიკისკენ ცხენით გაქუსლა რამდენიმე კაცმა.

– გზაში დგარჩენილან მაყრები, იქნებ ვეღარ გამოიგნეს გზა, ნასვამები არიან, – ამიხსნა როსტომმა, ჩვენმა მასპინძელმა.

მინდოდა ქორწილში ყოფნა, დიდის ამბითაც მიგვიპატიყეს, ყველა გვთხოვდა, მაგრამ ძალიან დაღლილი ვიყავი, ლუდის სმაც სავალდებულო იქნებოდა, ამიტომ დასვენება ვარჩიე.

არემარეს რიჟრაჟმა დაჰკრა თითქმის, გარედან კივილი რომ მოგვესმა.

– როსტომ, ადექ, კარში გამოიხედე!

შემოვიდა მთლად გაწუწული მწყემსი. თვრამეტი წლის ბიჭი იქნებოდა.

– გუშინ შენი ბიჭის ცხორი დაჩნდა ორწყალთან. მწყემსი არ ჰყავდათ, ცხორი დაფანტული დადიოდა. ავეშველეთ, შენი ბიჭი არსაით ჩანდა. ვეძიეთ, ვერ ვნახეთ. პაპა როსტომი წასულია, ეძებს. სერიდან თუ დასხლტა სადმე.

გვიამბობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ. როსტომის სახე თანდათან იღრუბლებოდა. ჩოხა ჩაიცვა, ხანჯალი დაიკიდა.

— ჰაი დედასა, ბალო, შენაც დამეკარგე?

ხმაში ეტყობოდა ცრემლები, თვალებში კი არა. ვიგრძენი მისი დიდი მწუხარება.

– მე წავალ, ბიჭი დაკარგულა. უკაცრავად თქვენთან, – თქვა და სწრაფად გავიდა გარეთ, იქნებ იმიტომ, რომ მისი მწუხარება აღარ შეგვემჩნია.

დილის ბინდში ბილიკს რომ გავცქეროდი, ვხედავდი რამდენიმე შავ სილუეტს. ისინი როსტომის მისაშველებლად მიდიოდნენ, უნდა მოენახათ

«დაკარგული სიცოცხლე».

ვინ იცის, მთის ორწოხებში საიდ ჩაიღუპა...

როდესაც მწყემსს ბალახიან სერზე თოვლი მოუსწრებს, დიდ გაჭირვებაში ვარდება იგი. მეტადრე აქ, სადაც შვეულად დაშვებული სერებია, კაცი ფეხს ვერ მოიკიდებს, ადვილად დასხლტება.

დილით **ორწყალზე** ავედით, ეს მდინარე შენაკადია გომეწრის ალაზნისა.

ორწყალი მთაში მრავალ ადგილს ეწოდება. სადაც კი ორი მდინარე ერთმანეთს ერთვის, ჩვეულებრივ, ორწყალს ეძახიან. ეს ორწყალი გომეწრის ორი მდინარეა, რომელთაც სათავე **შავკლდესა და ფიწილას** მთებს შორის აქვთ.

იმედიანი დილა გავვითენდა: ნისლი ნელ-ნელა აიკრიფა, მზეც გამოჩნდა. თოვლის ქვეშაა მთელი ნათესი. უფრო ჭკავი თესია. მთლად მიწაზეა გაწოლილი და ორმოცი სანტიმეტრის სისქის თოვლი ადევს ზემოდან. ერთ ყანას მივუჯექი, სათითაოდ ვარჩევ თავთავებს.

– რად არჩევ? აგერ შარშანდელი წაიღე, შემოსული და კარგი, – მეუბნება გაბო.

მართლაც, იქვე მახლობლად რამდენიმე ბულული დგას, პატარ-პატარა კონებად შეკრული. ერთი კონა გამოვიღე. სრულიად მშრალი და მშვენიერი თავთავიანი ჭკავია. ეს შარშანდელი მოსავალია. თუმები მომკიან რა ყანას, იმ წელსვე ვერ ასწრებენ «გალეწვას». შეკრავენ პატარ-პატარა ძნებად და დადგამენ ასე. მთელი ზამთარი კარშია. მხოლოდ ზაფხულში მიდიან სოფლებიდან მინდორში, გაშლიან ქეჩებს და კონებს სათითაოდ ბერტყავენ ხელით ჯოხებზე. მეტად ძნელი სამუშაოა, მაგრამ კალოს გაწყობა აქ უფრო ძნელია, ხოლო მანქანის ამოტანა უგზობის გამო – შეუძლებელი. დროსაც ზაფხულში დიდი ფასი არა აქვს, რადგან საქმე ამ დროს ცოტაა: თიბვა, თივის მომარაგება, შეშის მოზიდვა და სხვა ასეთი მხოლოდ. მით უმეტეს, ყანას უფრო ქალები და ბალები ლეწავენ. ამიტომ, ალბათ, სხვა წესი არ შეუმუშავებიათ.



ტყის ბელადად წოდებული ძელქვა ბაზანეურის ტყეში.

გამიხარდა ასეთი კარგი ნიმუშის ნახვა. ჩავაკარი ცხენს და ჩავყევით დაკიდულ დაღმართს, ორწყალში ჩავდიოდით. იქ მეცხვარეები ჩანდნენ. ვკითხეთ დაკარგული ბალდის ამბავი, მაგრამ საიმედო ვერა გვითხრეს რა.

– მნელია, თუ ამ დროს კაცი დაიკარგა. ვინ იცის, რა ხრამში ჩაიჩხა.

– მთაში სიცოცხლე ნუ დაიკარგება, თორემ ადვილად ვეღარ ნახავენ, – დაუმატა მეორემ და ნაღვლიანად გახედა იმ მთებს და სერებს, სადაც მათი მეგობარი ამ ორი დღის წინ ცხვარს აძოვებდა.

მეც ნაღვლიანად გავყურებდი იმ თეთრად შემოსილ სერებს. ვიცოდი, რომ იქ, მიუვალ ორწოხებში იყო ჯანდონით სავსე ახალგაზრდის «დაკარგული სიცოცხლე».

ნეტავ იპოვნიან თუ არა? ამ ფიქრებით მივდიოდი **ნაქერალის** ზეკარისაკენ.

ზეკარი აქ მეტად განიერი, მრავალი ხორხი უნდა გაიარო, თითქმის 5—6 კმ, რომ ქედის მეორე მხარეს გადაიხედო. ეს მეტად საინტერესო გადასასვლელია იმ მხრივ, რომ იქ მრავალი ნაკადული მორაკრაკებს და ტაფობებზე მრავლად გროვდება თოვლი, რომელიც ზაფხულის განმავლობაში ნელ-ნელა დნება და ასაზრდოებს მდინარეებს. თუშეთისაკენ გადადის ორწყალი მრავალი შენაკადით, დასავლეთისკენ გადადის **სამყურის წყლის** შენაკადები, აღმოსავლეთისკენ კი – **სტორისა**.

დაახლოებით დილის ათი საათისათვის მზემ დაიწყო გამოანათა. თავზე დაგვადგა ლურჯი, გამჭვირვალე ცა.

გავიხედე ჩრდილოეთისაკენ – ბროლისაგან ნაკვეთი კავკასიონის გამყოლი ქედი უცნაური სითეთრით დაგვყურებდა.

დიკლოს მთა, დანოს მთა, ქომიტო ცისკენ აზიდულიყვნენ.

უკვე ჩამობინდდა, რომ ჩვენ წინ შურთხები აფრინდნენ და სტვენით გადაემშენნენ მეორე ფერდობისზე, მთის ჭიუხებიდან კი ელვისებური თქარათქური მოგვესმა.

– ჯიხვები გარბიან, ჯიხვები, – აგვიხსნა გაბომ.

მთვარის შუქზე გადავედით ქედის გადმოდმა. ძირს ალაზნის ველი იყო დაცემული. **დიყიანში** გავათიეთ ღამე, დიდი ცეცხლის პირას.

ნაბადზე წამოწოლილი შევეყურებ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და ვფიქრობ.

«მთის გადაღმა, ნაქერალის იქით, დაიკარგა ახალგაზრდა. ნეტავ იპოვეს «დაკარგული სიცოცხლე», თუ ახლაც ეძებენ თოვლიან ნაპრალებში?»

იქ ხომ ყოველწლიურად მრავალია ასეთი შემთხვევა, იქ ხომ ჯერაც ბევრი რამ რჩება უნახავი, შეუსწავლელი, გასაკეთებელი ახალი ცხოვრებისათვის და ეს შენ უნდა გააკეთო, ჩემო ახალგაზრდა მკითხველო».

ამ ფიქრებით ჩავლიე ტყიანი ფერდობი და ჩავედით ალაზნის ველზე, სადაც ცხრათვალა მზის სხივებქვეშ უცბად გათბა ჩვენი ძვლები. მხოლოდ შორს, ცის დასალიერზე, ლურჯს მთებს გადაღმა, თეთრად მოჩანდა თუშეთის მთები.

მთათუშეთი ათი წლის შემდეგ (1936 წ.)

1936 წელს გადავწყვიტეთ, სრულად შეგვესწავლა საქართველოს მთიანი ნაწილის მცენარეული საფარი, შეგვედგინა მცენარეულობის რუკა და მიგველო ჩვენი მთის სათიბ-სამოვრის ნათელი სურათი, იმისათვის, რომ მესამე ხუთწლიედს ბოტანიკოსები მომზადებულები შევხვედროდით – დაგვესახა ღონისძიებები, თუ როგორ შეიძლებოდა ჩვენი სათიბ-სამოვრების გაუმჯობესება, მათი მოსავლიანობის გადიდება, რომ აღმავლობის გზაზე მდგარ სოციალისტურ მეცხოველეობას საკვების მტკიცე ბაზა ჰქონოდა.

ამოცანა იოლი არ იყო. ერთი და ორი კაცი აქ ვერას გახდებოდა, ამიტომ მუშაობა სამი წლით განვსაზღვრეთ. სათიბ-სამოვრებს კავკასიონის ორი მხრიდან შევეუტიეთ.

როდესაც ყველა ექსპედიცია გაემგზავრა და მე, როგორც საერთო ხელმძღვანელმა, გული დავიმშვიდე, ჩემი გუნდიც დაიძრა მთათუშეთისკენ. იქ უზარმაზარი მასივია სათიბ-სამოვრებისა – 120.000 ჰექტარზე მეტი და მისი გამოკვლევა 1936 წლისათვის ვიკისრე. ჩემს ჯგუფში იყვნენ ახალგაზრდა მეცნიერები: მეტყევე ვ. თუმაჯანოვი, ნიადაგმცოდნე დოც. გ. ტარასაშვილი, ასპირანტი გ. მთვარამე, მეხუთე კურსის სტუდენტი დ. გრიგორაშვილი, სტუდენტი გრ. მიმიგური, მიწისმზომელი და სხვ.

ბარგი და მოწყობილობა წინასწარ გავგზავნეთ სოფელ ფშაველში. მას სტუდენტი გრ. მიმიგური და დ. გრიგორაშვილი გაჰყვნენ.

წასვლის წინ ძალიან შეფიქრიანებული ვიყავი: როგორ უნდა აგვეყვანა ამდენი ხალხი, აგვეტანა ამდენი მოწყობილობა კავკასიონის მთების უძველეს ნაწილში? თითქმის შეუძლებლად მეჩვენებოდა ეს საქმე. ამ ფიქრით გავწიე სოფელ ალვანისკენ, სადაც ვაპირებდი ცხენების შოვნას.

შუადღე იყო, როდესაც მე და გ. ტარასაშვილი სოფელ ალვანში მივედით. ვიკითხეთ საბჭოს თავმჯდომარე, რომელმაც გულდასმით მოგვისმინა, გამოგვკითხა და ჩვენი ასვლის მიზანი რომ გაიგო, მოგვმართა:

– ძალიან მიხარია თქვენი მოსვლა, ძალიან, სწორედ კარგი საქმე დაგიწყიათ. წავიდეთ და ყველაფერს მოვაგვარებთ.

მალე ჩვენთან გამოვიდა ახალგაზრდა, ახალუხისამარა და უქულო კაცი. ხელში ფანქარი ეჭირა. ცოტა არ

იყოს, გაკვირვებული გვიცქეროდა, ნეტავ, რა უნდათო, ფიქრობდა, ალბათ, გულში.

– გაიცანით, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, ესენი კი ჩვენი სპეციალისტები არიან თბილისიდან. მისალმების შემდეგ გააცნო ჩვენი მიზანი და დასძინა, რაც შეიძლება მალე უნდა გავგზავნოთ მთებში სამუშაოდ.

– ცხენები... – გააგრძელა ჩვენმა ახალმა ნაცნობმა, – ცხენები ახლა ძნელი საქმეა (გულმა ფანცქალი დამიწყო: ახლა რომ ცხენები ვერ ვიშოვო, სამი-ოთხი დღე დამეკარგება-მეთქი, ვფიქრობდი). ხომ იცი, კოლმეურნეებს და მათ ოჯახებს მთაში ვგზავნით. აი, ახლაც ვიჯექი და ვანაწილებდი, – მიგვითითა ფანქარზე და შეფიქრიანდა.

ჩვენ გაჩუმებულები ვიდექით.

– კაცო, ესე როგორ გამოვშტერდი: წამობრძანდით სახლში, დასხედით, იქ ვილაპარაკოთ, ავილოთ-დავილოთ. ეგეც ჩვენი საქმეა.

აივანზე ავედით და მაგიდას შემოვუსხედით. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დაწვრილებით გამოგვკითხა მიზანი, მუშაობის გეგმა. მეც რუკა გადავუშალე და მოვუხაზე: მუშაობას ვიწყებ ალატოვანსა და კეპნებზე, აქედან გადავდივარ ნელთკუდაზე, ნელთკუდიდან მივწვდები ორმოთგორს, შემდეგ გადავალ ფურთკალოზე, ნაქერალზე, დიდგვერდზე, დიდგვერდიდან ვესტმო-საჯინჭვლეზე – ვუხსნი, ის კი გაფაციცებით ადევნებს თვალს ჩემი ფანქრის მოძრაობას რუკაზე.

– აქედან ალაზნის თავს ახვალთ, არა? – მეკითხება.

– თქვენ რა იცით? – შევეკითხე პირიქით.

– მივხვდი თქვენს გეგმას: ჯერ მთავარ ქედს მოათავებთ, მერ იქიდან სათუშოში გადახვალთ. თუ გინდათ, მე განვავტობ – ალაზნის თავიდან წოვათას გადახვალთ, შემდეგ ნაროვანას, ქვახიდს და იქიდან გაჰყვებით უკვე გვერდის ქედს, ხომ?

მართლაც, ასეთი იყო ჩემი გეგმა. გამიკვირდა, რომ მან ზუსტად გადმომცა თითქმის მთელი ჩემი მომავალი მარშუტი.

– მარჯვე გეგმაა. გეტყობათ, ეს მთები გცოდნიათ. თქვენი გეგმა მე ხელს დიდად არ მიშლის, რახან კეპანიდან იწყებთ მუშაობას, იქ 5- 6 დღეს მოუნდებით. იქ ცხენები ჯერჯერობით არ დაგჭირდებათ. აგიყვანთ, იმუშავებთ. ამასობაში იქიდან მთათუშეთში გავგზავნოთ კაცი, სადაც ცხენი ბევრია საზაფხულოდ და იქ დავიქირაოთ.

– ძალიან კარგი, – დავეთანხმე.

დაწვრილებით გამომკითხა ბარგის რაოდენობა და მალე მოსჭრა:

– ხვალ დილისათვის 15 ცხენი გამოვა ფშაველში და მზად იყავითო.

საბჭოს თავმჯდომარის დახმარებით გამყოლებიც მალე ვიშოვეთ – სამსონ და ლაზარე ინაურიძეები, ძმები, კარგი მონადირეები, თავმჯდომარის სიტყვით, კარგი მუშები და სინდისიერი ბიჭები.

– სხვა ჯერჯერობით ხომ არაფერი გჭირდებათ? – შევეკითხა ბოლოს ალექსი, საბჭოს თავმჯდომარე.

– არა, დიდად გმადლობთ.

– აბა, მაშ ბოდიში, შენი ჭირიმე: გზასა და ხიდებს ვაკეთებთ, უნდა დავხედო. ქვასა და ქვიშასაც ეზიდებიან. სკოლის მეორე შენობას ვაგებთ და ვაჩქარებთ, სანამ ხალხი მთაში წავა.

– კაცო, ის დიდი შენობა განა სკოლა არ არის?

– სკოლაა, მაგრამ ვეღარ ეტევა ბაღობა, პარალელურ კლასებს ვხსნით შემოდგომიდან, ექვსასზე მეტი მოწაფე გვყავს... აბა მშვიდობით!

თავმჯდომარე სწრაფად მოახტა ცხენს და ორღობეში მიეფარა.

– ნიკო, ორი საათია, რაც ალვანში მოვედით და საქმე გაკეთდა კიდევ!

– გაკეთდა, ჩემო გიორგი, ეს ხალხი ვეღარ მიცვნიან.

ფიქრმა გამიტაცა: ამ ათი წლის წინ ცხენების შოვნას სამი დღე მოვუნდით. ახლა სწრაფად მოგვარდა ყველაფერი, გადასაწყვეტი გადაწყდა, გასაკეთებელი გაკეთდა... და ეს მაშინ, როცა ყველას საქმე ჰქონდა: კოლექტივის თავმჯდომარე მთაში ხალხს გზავნიდა, ხოლო საბჭოს თავმჯდომარე მეორე სკოლის შენობას აგებდა, გზები გაჰყავდა და სოფლის სხვა საქმეებში იყო გაბმული.

– მაშ, ჩვენ ხვალ დილით გავალთ ფშაველში, – შემომესმა ჩემი ახალი გამყოლის ხმა და ფიქრებიდან გამოვერკვიე.

– კარგი, შენი ჭირიმე. აბა, გელი.

ჩვენ კი ჩავსხედით ჩვენს ეტლში და ფშავლისკენ გავწიეთ.

ახლანდელი სოფელი, როგორც აშკარად ჩანს, აი, თუნდაც ზემოაღწერილი შემთხვევიდან, აღარა ჰგავს ძველ სოფელს, მას ემჩნევა ოპერატიულობა, საქმის სწრაფად გადაწყვეტა, სწრაფად მოგვარება, ტემპი. საერთოდ ჩვენი ტემპი აქაც მბრძანებლობს.

სკოლას აგებენ, ხიდებს აკეთებენ, გზა გაჰყავთ. უკვე არსებობს ყველის სახარში მანქანა, შენდება კლუბი და სხვ.

ციდან გუგუნნი შემომესმა, თვითმფრინავი იყო, გეზი მთებისკენ ჰქონდა აღებული.

– მათათუშეთში მიფრინავს, ფართლელი მიაქვს კოოპერატივისთვის, – თქვა მეეტლემ და ცხენს შოლტი გადაჰკრა.

– დილით, როდესაც ცა მტრედისფრად შეიღება, ყველანი ფეხზე ვიყავით. მცირე ხნის შემდეგ ჩვენი ბანაკის ეზოში უკვე შეკაზმული ცხენები ტრიალებდნენ. სამსონი, ლაზარე – ჩვენი გამყოლი და რამდენიმე სხვა ბარგს ეცნენ და ცალბად შეკრეს. შევუდექით ცხენების დაბარგებას, სამგზავროდ გამართვას. ამ დროს ცამ კოპები შეკრა, წამოვიდა შავი ღრუბელი და ჩამოხნულდა. ჩვენი მიწისმზომელი აწრიალდა, წვიმა დაიწყო.

– წვიმა ბევრჯერ დაიწყო და გადაიღებს, ჩემო პეტრე, მერე რა?

– მაშ უნდა წავიდეთ? აი, წვიმა იწყება.

მართლაც, დაიჭექა, გაიღვავა, შემრა და შეარყია ყოველივე. მიწისმზომელმა სახლის აივანს შეაფარა თავი.

– აბა, ცხენებზე, მივდივართ! – შევჯექე ჩემს ცხენზე.

სხვებმაც მომბამეს.

– პეტრე, ნუ გვაგვიანებ, კარში გასული კაცი ქვაზე მაგარია.

– აგრე! – დამიმოწმეს თუშებმა.

გვეცინებოდა ჩვენს თანამგზავრზე, მაგრამ როცა დაინახა ჩვენი გადაწყვეტილება, გამოძვრა აივნის ქვემოდან, ჩაიცვა პალტო და შეჯდა ცხენზე.

წამოვიდა ივლისის შხაპუნა წვიმა, ჩვენ კი გავირეკეთ წინ ცხენები. არ ვიცი, წვიმა მიერეკებოდა, თუ ჩვენი თუშების დაჭყვივლება, მაგრამ ცხენები სწრაფად მიდიოდნენ წინ და 6-6 ფუთიანი ბარგი არარად ეჩვენებოდათ.

წვიმას სეტყვა მოჰყვა და ფოთლებს ტყლამატყლუმში აუყენა.

– ვაი ვენახებო! – დაინანა ერთმა თუშმა.

მართლაც, კახეთის მეურნეობის ყველაზე დიდი მტერი სწორედ სეტყვაა. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ვენახი თუ სხვა რამ ისე გაუნადგურებია სეტყვას, რომ ზედ ნაყოფის ნიშანწყალიც აღარ დარჩენილა.

ეს აი, ამ მაღალი მთების ბრალია. კახეთის ქედსა და გომბორის მთებს შორის მოქცეული ღრუბელი მთის მწვერვალების მახლობლად უცბად ცივდება და სეტყვად გადაქცეული სოფლის მეურნეობის საშინელ მავნებლად გვევლინება.

თუმცა დღეს სეტყვამ დაგვიანდა ჩვენც და კახეთიც, ერთი წამოუარა და სწრაფად შეწყდა. სამხრეთიდან ამოვარდნილმა ქარმა ღრუბელი გადაყარა, გამოჩნდა კახეთის მუქლურჯი ცის ნაჭრები და მალე დილის მზის სხივებმა ღრუბლებში გამოატანა.

მხიარულად გამოვეხმაურეთ ერთმანეთს. მიწისმზომელს ხშირად გავკენწლავდით ხოლმე ხუმრობით. გზა მდინარე სტორს მისდევდა. შეუკეთებიათ უკვე, მდინარეებზე ხიდებია გადებული.

– აი, ეს არის სათუშოს გზა. ორი წელიწადია, ვაკეთებთ და მალე ომალომდე მივა, – სიამოვნებით ამბობს სამსონი.

– ერთ დღეში ავდივართ ახლა ამ გზით, წინათ იმ ჭირკვანზე 2-3 დღეს ვუნდებოდით და ისიც საკითხავი იყო, მშვიდობით მივიდოდით თუ არა.

გავიარეთ ფშავლების სოფელი ლეჩური (აქ ფშავლები ამ 30 – 40 წლის წინ გადმოსულან) და შევუდექით კახეთის უსიერ ტყეს, წიფლნარს, დაბურულს და ბარაქიანს.

კახეთის წიფლნარი ტყეები უდიდეს სიმდიდრეს წარმოადგენს. გარდა წიფლისა, ჩვეულებრივ გვხვდება ცაცხვი, თელამუში, თელადუმა, ბოყვი, ლეკის ხე, წაბლიც ერევა, უთხოვარიც მოჩანს აქა-იქ. ამ ტყეებზე ბევრად არის დამოკიდებული ბარის მეურნეობა. ტყე ინახავს წყალს, ნიაღვარს უცბად არ უშვებს ხეებისაკენ, თორემ თქეში მთის ფერდობებიდან წამოიღებდა ქვასა და ღორღს და წალეკავდა კახეთის მშვენიერ სოფლებს, მის ვენახებს, ბაღებს. ამის მაგალითია თურდო და დურუჯი.

– მოდი, თუშებო, მწვადი გაჭამოთ, მწვადი! – გამოგვამხეს ბიჭებმა ტყისპირიდან.

მე და სამსონმა ცხენი იქით გავაბრუნეთ და მართლაც, ორი 17-18 წლის ფშაველი დათვს ატყავებდა. გამარჯვება ვუსურვეთ, მარჯვენა შევუქეთ.

– კაცო, გაგვინადგურა სიმინდი ამ ტიალმა და ძლივს მოვიგდეთ ხელში, – თქვეს ამაყად და განაგრძეს თავიანთი საქმე.

მართლაც საამაყო იყო: დათვის უზარმაზარი ლეში ეგდო მიწაზე.

შუადღემ მოატანა, როდესაც კეპანის ძირში მივედით. აქ გზა ორად იყოფოდა. ერთი, ნაკეთები, მელთკუდასაკენ, მყავე წყლებისკენ მიდიოდა, მეორე მეტად ძნელ და სახიფათო კეპანის აღმართს მისდევდა. ჩვენ ამ უკანასკნელით უნდა გვევლო, რომ ჩვენ მიერ არჩეულ პუნქტთან მივსულიყავით ალატოვანში. მუშაობა იქიდან უნდა დაგვეყო.

აქ შევისვენეთ, ცხენებს ბარგი მოვხადეთ და ქარი ამოვადებინეთ³⁶. აქედანვე გავგზავნეთ ლაზარე მათათუშეთში საზაფხულო ცხენების დასაქირავებლად.

გზას არ აგიწერთ, ახლაც ისევე ძნელი იყო, როგორც ამ ათი წლის წინ. ის კი არა, ცოტა გაფუჭებულა კიდეც,

ახლა აქეთ ხომ იშვიათად დადიან, ნაკეთებ გზაზე დადის ყველა, მხოლოდ მწყემსები თუ ამოატარებენ საქონელს.

ასაღამურდა, როდესაც ტყეს ავცდით. უკვე 2000 მ. სიმაღლეზე ვართ ზღვის დონიდან. აქ წიფლის ტყე თხელდება, ღარიბდება, მას თანდათან ცვლის მთის ბოყვი და თეთრტანა არყი. უკვე მაღალი მთის ტყეა, სუბალპური ტყე, ლამაზი და თავისებური. ხეები ურთიერთისგან მოშორებით დგანან, ამიტომ ქორბუდი (კრონა) კარგად აქვთ განვითარებული.

არყისა და ბოყვის გარდა აქ გვხვდება ცირცელი, წითელი ნაყოფების კუნწულებით დატვირთული. გვხვდება აგრეთვე თითო-ოროლა სხვა ბუჩქი. ხეებს შორის მანძილი დიდია, მზის სხივი კარგად ატანს და მდიდარი ბალახეულობა ვითარდება. არა ჰგავს წიფლის დაბურულ ტყეს, სადაც, რომ ეძებო, ბალახს ვერ იპოვი. დაბურულ ტყეში მზე არ ჰყოფნის ბალახს, მისი სხივი ძირამდე ვერ აღწევს, ამიტომ ბალახიც ვერ ვითარდება.

აქ კი სულ სხვა ამბავია, მზე საკმარისზე მეტია და ათასნაირი ყვავილი ლამაზად იჭყიტება. აი მზიურა, დვალურა, ბურა, დუცი და დიცი, შუპყა და მრავალი სხვა.

– ტყის ნაპირზე დავდგეთ, შორს ვეღარ ვივლით, მზე გადაიხარა, – მირჩია სამსონმა.

მცირე ხნის შემდეგ ჩვენი დაღლილი ცხენები ნოყიერ ბალახს ძოვდნენ.

ჩვენ კი ბარგი დავაწყვეთ, ბრეზენტები გადავფარეთ. მართალია, ცა მოწმენდილია, მაგრამ წვიმა ისე წამოგვეპარება, ვერც კი გავიგებთ. მალე დაინთო მეღორული ცეცხლი (დიდ ცეცხლს მეღორულს ეძახიან, რადგან მეღორეს ტყეში ხსირად უნთია, ღორის კოლტი ხომ ტყეში იმწყემსება ძირითადად), მოვამზადეთ საუზმე და გავაბით მხიარული საუბარი.

ღამის წყვილიაღმე გაღმა ქედებიდან ძაღლის ყეფა ისმოდა და შორს, სადღაც იკარგებოდა.

მეორე დღეს ჩავლიეთ ზეთავის მთის ფერდობები. სწორედ აქ, ზეთავზე, გადავსერეთ კავკასიონი და მის გადაღმა ფერდობებზე, ჩრდილოეთისაკენ მოქცეულ კალთებზე დავეშვიტ. ალატოვანი ზეთავის მთაშია. მწყემსის ბინა მოჩანდა და ჩვენც სწორედ მის მახლობლად დავდგით კარვები.

– სამოვარს ხომ არ მედავებით, კაცო? – ხუმრობით გვეკითხებოდა ბინისთავი, მარკოზი, ჩაღმა თუში და თან კარვების გამართვაში გვშეველოდა.

სამუშაო იარაღიც შევამზადეთ, რომ დილიდანვე საქმეს შევდგომოდით. მთის შესანიშნავი ჰაერი მხოლოდ ახლა ვიგრძენით. 2.400 მ. სიმაღლეზე ვიყავით ზღვის დონიდან. იქვე, ჩვენ ახლოს, ხევებში თოვლი ჯერ არც კი დამდნარიყო, მისი ძირებიდან ნაჟური წყალი გადმოჩქეფდა. მთის ფერდობზე თეთრად ყვავდა დეკიანი – ეს მთის დამამშვენებელი, მაგრამ ჯერჯერობით უქნარა მცენარე. არც საკვებად ვარგა საქონლისთვის და ადგილს ტყუილუბრალოდ იჭერს. ის ჩრდილოეთისა და დასავლეთისკენ მიქცეული ფერდობების განუყრელი თანამგზავრია. ამ ფერდობზე, ტყის პირიდან მოყოლებული, ე. ი. 2000 მ. სიმაღლიდან თითქმის 2600 მ. სიმაღლემდე, ეს მცენარე მთლიანად ფარავს ფერდობს. მრავალ ადგილას ისეთ ნაზარდებს ქმნის, რომ კაცს გავლა გაუჭირდება. ამიტომ იქ სხვა მცენარე იშვიათად ხარობს. მაშასადამე, დეკა იჭერს იმ ადგილებს, სადაც შეიძლება მშვენიერი სამოვარი ყოფილიყო. როგორც ვთქვით, ჯერჯერობით გამოუყენებელია, მაგრამ შეიძლება მალე ისიც სასარგებლო გავხადოთ: მის ფოთლებში არის ეთეროვანი ზეთი და მთრიძლავი ნივთიერება და მალე მას სოციალისტური სამშობლოს სამსახურში ჩავაყენებთ.

* *

დილით, როდესაც კოლმეურნეები გამოგვეთხოვნენ და წინ გაირეკეს უკვე უზარგო ცხენები, შევუდექით მუშაობას. ვანო თუმაჯანოვს და გრ. მიძგურს დავალებული ჰქონდათ ტყეების შესწავლა და რადგან ალატოვანის ხევებში მთის ტყეებიც მოჩანდა, ისინი მათკენ გაემშურნენ. დანარჩენებმა სამოვრებს მივაშურეთ. ვაგროვებდით ნიმუშებს, ვარკვევდით, ერთ მეტრზე რამდენი და რანაირი მცენარე იზრდებოდა, რამდენ ბალახს მოგვეცემდა წლის განმავლობაში და სხვა. მაშასადამე, უკვე შეიძლება იმის გარკვევა, რამდენ ცხვარს გამოკვებავს სამოვარი. ზედმეტი ცხვარი ზედმეტად დატვირთავს, გაატიალებს და გაავრანებს სამოვარს. ჩვენი მთის სამოვრების ორ ჰექტარზე ზაფხულის განმავლობაში მარტო სამი ცხვრის აშვება შეიძლება. ორ ცხვარს გამოკვებავს კარგად, ხოლო ზედმეტისათვის ბალახი არ ეყოფა. ჩვენში კი რა ხდება: ხშირად ზოგ მოხერხებულ და ადვილად მისადგომ სამოვარზე ერთ ჰექტარზე 10 — 15 ცხვარი მოდიოდა. ბალახს ძირფესვიანად ანადგურებდნენ, რასაც ვერ ჰამდნენ, ფეხით ტკეპნიდნენ. ამის შედეგად ვარგისი ბალახი გადაგვარდა, მის მაგიერ სამოვრებს მოედო სარეველა ბალახი, მაგ. ვირის ქუჩი, მეცნიერულად რომ «ნარდუს სტრიქტა» ეწოდება. ეს ბალახი ისე მოედო ზოგ სამოვარს, რომ სხვა ბალახი აღარ მოდის. ქუჩს კი საქონელი არ ჰამს. უხეშია, წვრილი ეკალივით ფხა აქვს, პირს სტკენს.



წიფლნარი სტორის ხეობაში.

ამ ბალახს ხშირად უზარმაზარი მასივები უჭირავს. მაგალითად, მთათუშეთის 120.000 ჰექტარიდან 35.000 ჰექტარამდე ამ მცენარით არის დაფარული. ესაა სამოვრების არასწორი ექსპლოატაციის შედეგი წარსულში. კერძო მესაკუთრეები, მსხვილი მემამულეები და მეფის მთავრობა, რომელთაც ეს სამოვრები ეკუთვნოდათ, არას დაგიდევდნენ, ფუჭდებოდა თუ არა სამოვარი. მათ შემოსავალი აინტერესებდათ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ცხვარი დაეყენებინათ სამოვრებზე. მათი უმსგავსო მოქმედების მემკვიდრეობა ჩვენ დაგვრჩა, მაგრამ, რასაკვირველია, ესეც ისე აღმოიფხვრება, როგორც მრავალი ასეთი. შესაფერისი აგროლონისძიებანი ამასაც მოუღებენ ბოლოს და ჩვენს ცხვარს ექნება ნოყიერი და ბარაქიანი სამოვარი, ისეთი, სადაც ჰექტარზე ერთი ცხვარი კი არა, 5—8 მოძოვს და არც სამოვარი დაზარალდება.

ეს ქუჩი აქაც, ალატოვანის სამოვრებსაც შემოაპაროდა და აქა-იქ უკვე საკმაოდ დიდი ფართობი დაეჭირა. ასეთ ადგილებს განსაკუთრებული გულისყურით ვსწავლობდით და ვათვალიერებდით. ეს ხომ ჩვენი სამოვრების ავადმყოფობა იყო, ხოლო ავადმყოფს რომ უწამლო, იგი ჯერ კარგად უნდა შეისწავლო, უნდა გამოარკვიო, რა სტკივა. გარდა ვირის ქუჩისა, აქ იყო ნამიკრეფია, ბეგქონდარა, შხამა და ბევრი სხვა სარეველა. ესენიც გადამეტებული ძოვების შედეგად გაჩნდნენ აქ.

კარგი ბალახი? ესეც არის: აი, ქარცხვი, თავისი ლურჯი ყვავილებით, ჭადარა სამყურა, მხოხავი სამყურა, წივანა, მთის კვლიავი, მელიკუდა და სხვა, რაც ასე უყვარს ჩვენს ცხვარს. ამ კარგი ბალახის არსებობა აქ იმედის მომცემია, მისი საშუალებით ეს სამოვრები კარგად გაუმჯობესდება.

მუშაობით ავეყვით ალატოვანის ქედს და ავედით მის წვერზე, რომელიც 3.000 მეტრზე მაღალია. აქედან ჩვენ თვალწინ გადაიშალა მთელი თუშეთი. რა მაღალი მთებია, რა ღრმა ხევები და უღრანები! მთა მთას მისწოლია თითქოს, ვაკე არსად მოჩანს. ეს ბუმბერაზები მთელ სივრცეს ავსებენ.

მათ პიტალო ფერდობებზე შეეყუყუელია პატარ-პატარა სოფლები. სულ 37 სოფელია, ტიპიური მთის სოფელი. ყველაზე დაბლა ცოკალთაა, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 1600 მ. უდრის, ყველაზე მაღლა – დიგიურთა, რომელიც თითქმის 2.400 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. იქ ქერიც კი ძლივს მოდის. წმინდა ალპური ზონის სოფელია.

შორს, ჩრდილოეთისკენ მოჩანს გამყოლი ქედი თავისი თოვლიანი მწვერვალებით. აგერ ამუგო, თუბულო, ჭემოსხა და სხვა ათასი, ასე ლამაზად რომ ელვარებს მზის სხივებზე.

თვითონ მთათუშეთი ორ ქედს – მთავარსა და გამყოლ ქედს შორის მდებარეობს. ასეთი მდებარეობა მას განსაკუთრებულ პირობებს უქმნის. აგერ, კავკასიონის ქედის კახეთისაკენ მიქცეული ფერდობებიდან ნისლი ჯარად ამოდის, მაგრამ გადმოსცილდება თუ არა მწვერვალს და სათუშოსკენ იზამს პირს, სწრაფად ქრება, იკარგება. კაცს პირველად გაუკვირდება ეს ამბავი. მართლაც, მიდიხარ კახეთისაკენ მიქცეულ ფერდობზე, ნისლი და ჯანლი გახვევია, გზას ძლივს იგნებ, გადმოხვალ სათუშოსკენ და უცბად ქრება ნისლიც და მისი ნასახიც.

საქმე ის არის, რომ კავკასიონის მხარეთა შორის მთათუშეთი ზაფხულში საკმაოდ ცხელი მხარეა. ამის მიზეზი შემდეგია: ჩრდილოეთიდან მონაბერი ქარი ეხეთქება გამყოლ ქედს. ჰაერი ზევით ადის და მთათუშეთს თავზე ექცევა. ამ ხეობიდან კი თბილი ჰაერი ზევითკენ მიდის, ხოლო მის ნაცვლად ჰაერის ახალი ნაკადი ეშვება ძირს, რომელიც ამ განუწყვეტელი მოძრაობის გამო თბება და კვლავ მაღლა მიისწრაფვის. ამიტომაც, რომ აქ ჩვეულებრივ თბილი ქარები ჩნდება, რომლებსაც ფიონი ეწოდება. ამ ხეობებში კი, განსაკუთრებით სამხრეთის ფერდობებზე, ზოგჯერ ისეთი სიცხეა, რომ თბილისის სიცხეს არ ჩამოუვარდება, თუმცა ეს ადგილი თბილისთან შედარებით თითქმის 2000 მეტრით უფრო მაღლაა.

ეს რომ სამსონს ვუთხარი, გაკვირვებულმა შემომხედა და თან დაატანა: სწორი იქნება უეჭველად, ეგრე იქნება, მაშ რატომაც რომ კახეთისკენ ნისლი იცის, აქ კი არაო.

როდესაც უკან ვბრუნდებოდით, ალატოვანის ქედზე 5 ქისტის რაღაცას ეძებდა ბალახში.

მივესალმეთ. ჩვენი დანახვა გაუხარდათ.

– თქვენი ჭირიმე, ერთი დაჭრილის წამალი გვიჩვენეთ რომელია, გვჭირდება, – გაგვაგებინეს დამტვრეული ქართულით.

იქვე მოვძებნეთ და ვაჩვენეთ მარგალიტა, პაწაწინა გვიმრისნაირი ბალახი, რომალსაც მეცნიერულად

«ბოტრიხიუმ ლუნარია» ეწოდება. ის ჩვენში მხოლოდ მაღალ მთებში იზრდება. თუმეები ამ მცენარით ჭრილობებს წამლობენ.

გამოველაპარაკეთ და გამოირკვა, რომ თორღვას წყალზე მიდიოდნენ სამკურნალოდ, იმ თბილ აბანოზე, რომელიც სათუმოს ახალი გზის ნაპირას მდებარეობს. ამ აბანოს დიდი სამკურნალო თვისებები აქვს: არჩენს იარას, ქეცს, სახსრების ავადმყოფობას და სხვა მრავალს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მოუწყობელია. წყალი კი იმდენი გამოდის, რომ მთელი წისქვილი დატრიალდება. წარმოიდგინეთ, დაღესტნიდანაც კი მოდის ხალხი აქ სამკურნალოდ!

ბინაზე ჩავიპატიჟეთ მგზავრები, ვასაუზმეთ, მერე გზა ვასწავლეთ.

– სამსონ, წინათ ასე დაელაპარაკებოდი მათ? – შევეკითხე.

– რას ამბობ, წინათ ეგენი როგორ გადმოვიდოდნენ აქეთ და თუ გადმოვიდოდნენ, იარადით, ახლა კი, ვერ ხედავ, დანის მეტი არა აქვთ რა.

* *

ლაზარემ ცხენები მეოთხე დღეს გადმოგვირეკა, თან ორი გამყოლიც მოჰყვა. გვჭირდებოდა ერთი კაცი კიდევ, იგი ბინასთან იქნებოდა და იზრუნებდა საჭმელ-სასმელზე, წყალსა და ცეცხლზე, მეორე ცხენებთან უნდა ყოფილიყო განუწყვეტლივ. თელავიდან კიდევ ამოგვივიდა წოვა თუში პავლე ჩაჩქანიშვილი. ამ სამოვრების გამგემ აკაკი მაჭავარიანმა შეგვატყობინა, პავლე თქვენთან არის მომაგრებული. ჩვენ მას ბილიკების პროფესორი დავარქვით: მთელი თუშეთის კავკასიონი ისე დაგვატარა, რომ ფეხის დასადგამი ადგილი აღარ დაგვრჩა უნახავი. ისეთ ადგილას გაგვატარებდა ცხენდაცხენ, რომ შორიდან იფიქრებდით – კატა კლანჭს ვერ მოიკიდებსო. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს მუშაობაში, რადგან ერთი მასივი მეორისაგან მეტად მაღალი ქედებით და ღრმა ხეობებით არის დაშორებული და გზის ცოდნა ამ შემთხვევაში მთავარი საქმეა. ძალიან ცოტაა ისეთი თუში, რომელმაც ყველა მასივზე გზა იცოდეს. მან იცის ის მთა, სადაც ცხვარი დაუდის, ცხვარი კი ჩვეულებრივად მამა-პაპიდან მოყოლებული იქა ჰყავს, სადაც მისთვის უფრო მარჯვეა. აქ ასეთი მთა ორმოცამდეა.

მაღე მოვიარეთ ალატოვანი, მელოტუდა, ფურთკალო, ლეკთავაკე, ნაქერალი, მთავარი კავკასიონის სამოვრები და მასივები და დიდგვერდში ჩავედით.

სანამ დიდგვერდის ამბავს მოგიყვებოდეთ, უნდა აღვნიშნო ამ სამოვრების დამახასიათებელი თვისება. თუშებს ეს სამოვრები არ უყვართ, ცხვარი აქ შედარებით ცოტა უყენიათ – ნამიანი და მაღალი ბალახი იცის, ცხვარს ჩლიქი უფუჭდება, ავადმყოფობსო. ამას თავისი მიზეზები აქვს. კასპიის ზღვის მხრიდან მონაქროლ ქარებს მოაქვთ ზღვის ანაორთქლი და კავკასიონის მთის მწვერვალებზე, ე. ი. უმთავრესად ამ სამოვრებზე, დანალექის სახით ჩამოდის. ამიტომაც იცის აქ ხშირად ნისლი და წვიმა. ბალახი ნამიანია და მაღალი იზრდება, ფართო ფოთლებიანი, რომელსაც ცხვარი ძალიან ნაკლებად ეტანება. სინესტე შესაფერის პირობებს უქმნის ჩლიქის ავადმყოფობის მიკრობებს და ცხვარი ავადდება, ვეღარც იწველის და აღარც მატყლს ეზრდება. გარდა ამისა, ეს ხელს უწყობს ე. წ. შრეტელას გავრცელებას. ეს ჯიქნის ავადმყოფობაა. ცხვარს თუ ის გაუჩნდა, სამუდამოდ გაუფუჭდება ჯიქანი და წველადობას კარგავს.

რა თქმა უნდა, ასეთი სამოვრები არ უყვართ და უფრო შიდა თუშეთს ეტანებიან, სადაც ბალახი «ქოსაა» და არც ასეთი ნესტი იცის.

აქ უმთავრესად «ქერმოები» ამოვებენ ცხვარს, როგორც ამჟამად თუშები კოლექტივის გარეშე დარჩენილ ინდივიდუალურ მეურნეებს უწოდებენ, ან კახელები, რომლებიც თავიანთ სოფლებს მთის წვერიდან მაინც უყურებენო, ხუმრობით იტყვიან ხოლმე თუშები.

დიდგვერდი ორ მაღალ ქედს შორის არის მოქცეული. მისვლა-მოსვლა ძალიან გამწვანებულია ამ შედარებით მოწყვეტილ ხეობაში. კარავი ერთ-ერთი ბინის ახლოს დავდგით. მაღე შევნიშნეთ, რომ რაღაც ჩოჩქოლია, რაღაცით არიან მწყემსები შეწუხებულები. გადავედით მე და პავლე. ნაბადზე წევს 20 – 22 წლის ახალგაზრდა და ბორგავს, კვნესის, მუცელი გვრემსო, გვითხრეს. ვნახე, მაღალი სიცხე აქვს. ვეღარც ლაპარაკობს. პავლემ სასწრაფოდ მომიტანა საველე აფთიაქი. მივმართე წინასწარ ღონისძიებებს, რომ ავადმყოფი მომესულიერებინა. ცივი ტილოები დავადე თავზე, თოვლი ხევეებში ბევრი იყო. მოხუცი თუში დანას ლესავდა: არა უშავს რა, ახალგაზრდაა, სისხლს გამოვუშვებ და მაღე მორჩებაო. ამის ნება არ მივეცი. ვიკითხე, წინათაც ხომ არ მოსვლია ასეთი ამბავი-მეთქი. თურმე ამ ზამთარს შირაქშიც დამართნია, მაშინაც მუცელს იტკიებდა. ავადმყოფმა სადამოზე მოიხედა. გავუსინჯე ხელით მუცლის არე. მარჯვენა მხარეს იტკიებდა უფრო. ჩემთვის ცხადი იყო, რომ აპენდიციტის შეტევა ჰქონდა. ცივი ტილოები ვადეთ მუცელზე, მე და პავლე ვდარაჯობდით, ვერ ვენდეთ მწყემსებს. დილით ადრე მოვიხმე სარქალი და ვუთხარი, რომ ეს ბიჭი ჩქარა პანკისში უნდა ჩაიყვანოთ-მეთქი. ტკივილი არ დაუცხრა და ექიმის ჩარევა, როგორც ეტყობა, სასწრაფოდ იყო საჭირო. შეკრეს საკაცე და იმით წაიყვანეს. მეზობელმა ბინებმა თითო ბიჭი გააყოლეს, რომ გზაზე ერთმანეთს შენაცვლებოდნენ.

მისი ამბავი ყველას გვაინტერესებდა. მხოლოდ მაშინ გავიგეთ, როდესაც ალვანში ჩავედით. მართლაც, ბრმა ნაწლავის შეტევა ჰქონდა, თელავში გაეკეთებინათ ოპერაცია და დროულადაც. რამდენი ასეთი

შემთხვევა ხდება, ალბათ, მთაში! რამდენი კარგი ვაჟკაცი დაღუპულა!

სწორედ ამიტომ, რომ დღეს მთათუშეთში უკვე საექიმო პუნქტებია გახსნილი. იქ, სადაც წინათ მხოლოდ მკითხავეები და ექიმბაშები იყვნენ, ახლა ექიმები და ექიმის თანაშემწეები ემსახურებიან ხალხს.

* *

დიდგვერდიდან შიგნით თუშეთში გადავედით. ჩავიარეთ ორწყალი. აქაც ორწყალი! რამდენია საქართველოში ორწყალი. სადაც კი ორი მდინარე ერთდება, ყველგან ორწყალს ეძახიან. მე, მაგალითად, თხუთმეტამდე ორწყალი ვიცი ჩვენს მთებში. ეს საუკეთესოდ ასახავს, თუ როგორ არქმევს ხალხი სახელწოდებას მსგავსებითი ნიშნით: დიდგვერდი, ფურთკალო (ვაკე მთა), კეპანი (კლდეებია) და სხვა მრავალი.

პირველად სოფელ საჩილოლოს მახლობლად დავიდეთ ბინა. აქედან მრავალი მთის გამოკვლევა შეიძლებოდა: სახარე, საჯინჭვლე და სხვ. აქ უკვე მეტი ქსეროფიტული მცენარეული მოჩანს. ტიპიურადაა გამოსახული დაღესტნიდან გადმოხვეწილი მშრალი ქედების მცენარეულობა. ჯერ ერთი, თუ ჩრდილოეთის ფერდობებზე დეკიანები იზრდება, სამხრეთის ფერდობები უჭირავს ღვიას, რომელიც ფიჭვნარი ტყეების განადგურების შემდეგ სახლდება. რაკი სიტყვამ მოიტანა, ორიოდ სტრიქონით უნდა განვმარტოთ აქაური ღვიანებისა და დეკიანების წარმოშობა.

მთის ტყეები და მთათუშეთის ფიჭვნარები ნორმალურად 2.300 მ. სიმაღლემდე ვრცელდება. სოფლები ჩვეულებრივად 1700—2200 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. ტყის გზა სწორედ ტყის ზემო საზღვარზე მდებარეობს, ამიტომ ტყეების ექსპლოატაცია, უფრო სწორად, მათი ჩეხვა, ზევიდან წარმოებს. ნაჩებს არ უფრთხილდებიან, საქონელი ძოვს და ამიტომ ძირითადი ნაწილი ვეღარ იჭერს ნატყევარს, უფრო გამძლე ედავება მას. სამხრეთის ფერდობებზე სახლდება ღვია, რომელიც გვალვას უძლებს და რომელსაც საქონელი არ ეტანება. ჩრდილოეთის ფერდობებზე კი დეკა ბატონობს, ისე რომ დეკიანებისა და ღვიანების დიდი ნაწილი გაჩანაგებული ტყის ხარჯზეა წარმოშობილი, დასახლებული.

მთათუშეთის ტყე ერთ-ერთი უძვირფასესი ტყეთაგანია ჩვენში. იქ 12.000 ჰექტარი წმინდა ფიჭვნარია, სხვა რამ ჯიში იშვიათად ურევია. შესანიშნავი მშრალი ჰავა, უნისლო, მთის მზე, ულტრაიისფერი სხივებით მდიდარი, მშვენიერი წყაროები და მთის ნაკადულები, სხვადასხვა მინერალური წყარო, – ყოველივე ეს ქმნის შესანიშნავ კომპლექსს მთის კურორტის მოსაწყობად.

ამ მხრივ მთათუშეთი ნაკლებად არის გამოყენებული. უგზობა ხელს უშლიდა, რომ მთათუშეთისათვის ყურადღება მიექციათ, მაგრამ დღეს პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა, პირველი ბილიკი გაფართოვდა და გაიყვანეს ადვილად სავალი გზა. ეს კი იმას მოასწავებს, რომ მალე ამ გზაზე ავტომობილის ხმაური შეუერთდება მრავალი მდინარის ხმაურს და მაშინ მთათუშეთი გადაიქცევა ერთ მთლიან კურორტად, ჯანმრთელობის სამჭედლოდ.


ამიტომ მთათუშეთის ტყეების გამოკვლევას უდიდესი ყურადღება მივაქცევთ. ამ საკითხზე მუშაობდა ვანო თავის თანაშემწესთან, გრიგოლთან ერთად. უნდა გენახათ გრიშას სიხარული, როდესაც პირიქითა ალაზნის ნაპირას, ერთ გავაკებულ ადგილზე, დაინახა მურყნის პატარა ჭალა თავისი ჭაობითა და ნესტიანი ადგილის მცენარეულობით.

– დედავ, თხმელა, თხმელა! – წამოიძახა და გაქანდა მათკენ, გეგონება, დიდი ხნის დაკარგული მეგობარი დაინახაო.

სამეგრელოს ჭალები მოაგონა ამ მთათუშეთის მდინარის პირას ამოსულმა მურყანმა.

საერთოდ კი მთათუშეთის ტყეები ღარიბია ჯიშებით. როგორც აღვნიშნე, მთავარი ჯიში ფიჭვია. ფიჭვნარებში გვხვდება თითო-ოროლა თელამუში, ბოყვი. ტყის ზემო საზღვარი სუბალპების ტყეს უჭირავს. ქვეტყეში გვხვდება ასკილი, ხურტკმელი, ხუნწი, თხილი, ალაგ-ალაგ მოცვი, ცხრატყავა, სელმაკი, სტომი და სხვა ამგვარი. არყებს შორის აქ საინტერესოა ე. წ., რადეს არყი, რომელსაც თუშები შავარყას ეძახიან. შავარყა, ჩვეულებრივ, კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება და სხვაგან არსად უნახავთ. ისეთ მცენარეს, რომელიც მხოლოდ განსაზღვრული მხარისთვის არის დამახასიათებელი, ენდემური მცენარე ეწოდება. საქართველოში ხუთასამდე ენდემური მცენარეა და მათ შორის რადეს არყსაც საპატიო ადგილი უკავია.

ეს არყი თუშებისათვის კარგადაა ცნობილი. ზამთრობით ზოგი მოსახლე მთაში რჩება. მთაშივე რჩება მსხვილფეხა საქონელი, მაგრამ რადგან მთათუშეთში თითქმის მთელი ფართობი სამოვრადია დატოვებული, სათიბები მცირეა, ამიტომ თივა გრძელ ზამთარში ბოლომდე არ ჰყოფნით. მიმართავენ სუროგატებს. ასეთი სუროგატია არყის ტოტი. ზაფხულშივე მოჭრიან ტოტებს, შეკრავენ პატარ-პატარა კონებად და დაალაგებენ. ფოთოლი მწვანედვე ინახება. ასე ამზადებენ მდგნალსაც (მთის ტირიფია) და ზოგიერთი სხვა ფოთლიანი ხის მწვანე ტოტებს. არყის ფოთოლი ყველას სჯობიაო, განსაკუთრებით შავი არყისა, ცხენი კარგად ჭამსო, – ირწმუნებიან თუშები. რასაკვირველია, კარგად შეჭამს, თუ მოშივდა და ამის მეტი არაფერი ექნება. ეს ცხადყოფს, სხვათა შორის, იმასაც, რომ მთათუშეთში, მესაქონლეობის მხარეში, საქონლის კვება მოუწესრიგებელი იყო.



მთათუშეთის ფიჭვნარი

ალაზნის თავი ძველთაგანვე ცნობილი იყო თავისი ბარაქიანი სამოვრებით, მაგრამ აქაც ძველი მემკვიდრეობის შედეგს ვხედავთ: საძოვარი დასარევილიანებულია ვირის ქუჩით, ნამიკრეფიათი, სიბალდიათი და ამგვარებით. ამ სარეველებს შორის უნდა აღინიშნოს შხამა ბალახი (მეცნიერულად მას «ვერატრუმ ლობელიანუმ» ეწოდება). ის მოდებულია განსაკუთრებით ჩრდილოეთის ფერდობებზე და ტყის პირებიდან და მთის ტყეების ადგილებიდან 2.500 – 2.600 მ. სიმაღლემდე ადის. თავისი განიერი ფოთლით სხვა ბალახს ფარავს და განვითარების საშუალებას არ აძლევს. საკმაოდ მაღალი იზრდება – მეტრი, მეტრნახევარი მაინც. ზოგან ისე მოედება ხოლმე, რომ ხელოვნურად ნათესი ეგონება კაცს. ასეა დიდგვერდში, ფურთკალოზე და სხვაგან ჩვენს მთებში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ფერდობებზე. თუ ის ადრე გაზაფხულზე ან ზაფხულში პირუტყვმა შეჭამა, ათრობს, წამლავს და ზოგჯერ კლავს კიდეც. აგვისტოს ნახევრიდან კი, როდესაც შხამას სიყვითლე ეპარება, ცხვარი მას ძალიან ეტანება, ძირამდე ჭამს. მეცხვარეები ირწმუნებიან – ცხვარს ასუქებსო. პირადად დავაკვირდი და დავრწმუნდი ამაში. აგვისტოს დამლევს შხამა აღარ ჩანს, უკვე მოძოვილია.

ეს მეტად საინტერესო მოვლენაა. მეცნიერება მას შხამიან და მავნე მცენარედ თვლის, აქ კი მას ცხვარი ჭამს განსაზღვრულ დროს. როგორც ეტყობა, შემოდგომის პირზე შხამიან ნივთიერებათა უმრავლესობა ღეროდან და ფოთლიდან ფესვებსა და ბოლქვებში გადადის და იქ გროვდება სხვა მასაზრდოებელ ნივთიერებასთან ერთად. მიწის ზედა ნაწილებში კი ისეთი რაოდენობით რჩება, რომელიც, როგორც შხამი, ვეღარ მოქმედებს პირუტყვზე. ჩვენი მწყემსები ამ მცენარის ძირსაც იყენებენ, თხრიან, ასუფთავებენ მიწისაგან და ხარშავენ, ნახარშ წვენს მუნიან და მღიერიან საქონელს უსვამენ და არჩენენ.

ალაზნისთავის ხეებში ფრიად საინტერესო მოვლენას გავცანით. გავითვალისწინეთ ნიადაგის შექმნის პირობები, მისი თანმიმდევრობა.

ქარი და წვიმა, ყინვა და დიდი სიციხე «გასტეხს ქვასაცა მაგარსა». მართლაც, კლდეები იშლება და მაღალი მთის წვერებიდან ქვემოთ, ხეებისაკენ, მოგორავს უზარმაზარ ლოდებად, რომლებიც გზაშივე იმსხვრევა, ხოლო ხევის ძირში ქვაცირილებად გროვდება. ზოგან ქვის ცვენის პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა და ქვა ყოველდღიურად ემატება. ზოგან, პირიქით, დიდი ხნის წინათ დამთავრდა. თუ პირველზე მცენარის და ნიადაგის ნიშანწყალი არ არის, სამაგიეროდ, მეორეზე უკვე ტიპიური კორდიანი ნიადაგია შექმნილი. ამ ორ უკიდურესობას შორის მთელი გარდამავალი საფეხურებია მოცემული. სადაც ჭრელი წივანა ვერ სახლდება, იქ ის განმარტოებულ კორდებსა ქმნის, ხოლო ცარიელ ადგილებზე ფეხს იკიდებს ფხიჯა და სხვა. მეორე საფეხურია ალაგ-ალაგ ცხვრის წივანას გაჩენა. შემდეგ ჩნდება ზოგიერთი ორლებნიანი, ცხვრის წივანა მატულობს, მატულობს სხვა მარცლოვანებიც და ბოლოს იქმნება ტიპიური კორდიანი ნიადაგი. თერთმეტი ასეთი საფეხური აღვწერეთ, რაც, უეჭველია, მდიდარ მასალას მოგვცემს ნიადაგების წარმოშობისა და მცენარეთა დასახლების პროცესების გასათვალისწინებლად.

უცნაურია ბუნება, ერთ ადგილას წყალი გადარეცხავს შექმნილ ნიადაგს, მოსპობს და გაანადგურებს მას. სამაგიეროდ, მეორე ადგილას ხდება ახალი მცენარეულის და ჯგუფების წარმოშობა, ქვაცირილებისა და ნაშალების ნიადაგით დაფარვა. ასეთი განუწყვეტელი ცვალებადობაა ბუნებაში. როდესაც საკუთარი თვალით ვნახეთ და ადგილობრივად შევისწავლეთ ეს, რასაკვირველია, უფრო თვალნათლივ წარმოვიდგინეთ აღნიშნული შესანიშნავი პროცესი.

ალაზნის სათავით ავეყვით ბორბალოს მთას და მალე მის წვერს ზედ მოვექეციეთ. 3.100 მ. სიმაღლიდან დავცქეროდით ალაზნის ხეობას, ივრის ხეობას, არაგვს, ანდაკს, პირიქითის ალაზანს. რა იშვიათი მთაა, რამდენი მდინარე იღებს აქ სათავეს. რა სივრცე, რა სილამაზე, რამდენი ნაირ-ნაირი მცენარეულობა!

ბორბალივით მრავალფეროვანია ეს მთა.

სალამოზე უდაბნოს მეურნეობის კარგების წინ ნაბადზე წამოწოლილები ერთმანეთს ვუზიარებდით შთაბეჭდილებებს და ვუცდიდით, როდის წამოდუღებოდა ქვაბში წყალი, რომ შიგ ჩაგვეყარა ხინკალი, რომელიც პავლეს გაუკეთებია და ჩაუმწკრივებია ჩვენ წინ. ამბობდა, ძალიან გემრიელი იქნებაო, საკმაზად ვუყავი ბეგქონდარა, კვლიავი, მჟაველა, დანძილი და სხვა მცენარეებო. მართლაც, მშვენიერი აღმოჩნდა ეს სახელდახელოდ დამზადებული და მთის მცენარეებით შეზავებული ხინკალი.

ხვალ დილით უნდა ავიბარგოთ და წოვათას გადავიდეთ. ეს ის ხეობაა, სადაც წინათ წოვა თუშები ცხოვრობდნენ, სადაც მრავალი სოფლის ნანგრევია.

**

ჯვარბოსელში რომ ჩავედით, ჩვენი კარგების ირგვლივ აუარებელი ხალხი იყო შეგროვილი

– ხითანობაა, ხითანობა, – მეუბნება პავლე, – ძველი თუშური დღეობაა.

– რატომ მაშინ არ მითხარი, როდესაც კარავსა ვდგამდით? – ვუსაყვედურე.

– რომ მეთქვა, კარავს სხვაგან გადაიტანდი, – პირდაპირ მიპასუხა პავლემ და თანაც თვალებით გამიღიმა.

ხალხი ღრეობდა, ქეიფობდა, იყო დილიდან სმა, ცეკვა-თამაში, ცხენის ჯირითი.

მრავალი სურათი გადავიღეთ. თუშებმა ტაბაკებით მოსაკითხი მოგვითქვეს: ლუდი, არაყი, ხორცი, ქათმები... გადაგვიპატიჟეს.

პავლე და სხვა ჩვენი თუშები ღრეობაში ჩაებნენ.

– იცოდეთ, რომ ხვალ დილით ადრე გავალთ, – გავაფრთხილე.

მართლაც, გათენებისას ყველანი ფეხზე ვიყავით და უკვე ცხენებს ვკაზმავდით.

აქ შესანიშნავი სამოვრებია. ვაკე ადგილი ბევრია. ეს წოვა თუშების ძველი სადგომებია, საიდანაც ისინი ამ 60-80 წლის წინ აიყარნენ. აქ დღესაც კარგად ემჩნევა ნასოფლარები: ინდურთა, ეთელთა, საგირთა და სხვები.



ალპებში ნაშალი კლდეების პიონერი დამსახლებელი თიკნიყურა.

– აი ეს ჩვენი სახლი ყოფილა, – მიმითითებს პავლე ეთელთაში ერთ ნანგრევზე, – მამაჩემს აქ უცხოვრია.

მეფის მთავრობის დროს ძმათა შორის განუწყვეტელმა სისხლისღვრამ აიძულა წოვები ბარად გადმოსულიყვნენ, მაგრამ თავიანთი ძველი ნაბინავარი ახსოვთ.

ორ დღეს დავრჩით აქ და წაროვანის ქედით გავწიეთ ქვახიდისაკენ, სამოვრებისაკენ, რომლებიც ხევსურეთისა და ქისტეთის საზღვარზე მდებარეობს. აქ შესანიშნავი ის იყო, რომ ცხენდაცხენ გადავიარეთ 3.300 მ. სიმაღლის მთა, თითქმის უვალი ბილიკებით. მაინც რა არის ეს თუშური ცხენი: ქურციკივით მიდის ამ პიტალო კლდეებზე.

ჩვენი მიწისმზომელი ფერწასული იჯდა ზედ და ღრმა ხეობებში ვერც კი იცქირებოდა. გავკენწლავდით ხოლმე, მაგრამ ის დინჯად გვპასუხობდა:

– ჩემზე იმიტომ ლაპარაკობთ, რომ თქვენი შიში დაფართო.

ცოტა არ იყოს, მართალი იყო.

ქვახიდისკენ ჩავიარეთ თავქვე დაკიდებული ღრმა ხეობა. ცხენები ხელით მიგვყავდა. ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი და შეიძლებოდა უღრან ხრამში გადაჩეხილიყავით, მაგრამ მშვიდობით ჩავედით.

აქ, ქვახიდში, 30.000 ჰექტარი სამოვარია. მისი ყველაზე დაბალი ადგილი 2.300 მ. სიმაღლეს აღწევს, თოვლის ხაზამდე ადის და მას მართლაც ირგვლივ არტყია მყინვარებით მოსილი თოვლიანი მწვერვალები. ჩრდილოეთის მთათუშეთის უმაღლეს მწვერვალს თებულოს მთა წარმოადგენს, დასავლეთის – **ამუგო** და **ჰაწუნთა**, სამხრეთის – **ნაროვანა**. ეს არემარე მთათუშეთის ყველა სამოვრისაგან განსხვავდება მცენარეულის პირველადობით. ის ნაკლებ არის ნირშეცვლილი. აქ არ არის გაბატონებული ვირის ქუჩი,

ნამიკრეფია და სხვა სარეველა ბალახი. პირიქით, გაბატონებულია სუბალპური და ალპების ის მცენარეულობა, რომელიც შედარებით პირველადია. შედარებით ნორმალური ურთიერთობა ეტყობა მცენარეთა დაჯგუფებას, ე. ი. ისეთი ურთიერთობაა, როგორც ადამიანის ჩარევამდე უნდა ყოფილიყო. ამ სამოვრების ნახვამ გაგვახარა. მათი შესწავლა იმის გასაღებს მოგვცემს, თუ როგორ უნდა წარმართოთ დასარეველიანებული ნიადაგის გამოკეთება, გაგვაგებინებს, თუ რა გზით განიცადეს ცვალებადობა ამ დასარეველიანებულმა მდელოებმა. ამიტომ გასაკვირი არ იყო, თუ ქვახიდში დიდხანს დავრჩით, ძირისძირამდე ყველაფერი გავსინჯეთ და აღვწერეთ.

რამ გადაარჩინა შედარებით ხელუხლებლად ეს სამოვრები?

წარმოდგინეთ, რომ ამის მიზეზი ისევ ძველი, შავბნელი დროა. ქვახიდი მოწყვეტილია მთათუშეთის დანარჩენ მასივებს. ის მაღალი მთებით არის შემოზღუდული, მდებარეობს ქისტებისა და ხევსურების მეზობლად. მეფის მთავრობის მიერ გალიზიანებული, ერთმანეთს გადაკიდებული მთის მოსახლეობა აქ ამოსულ მწყემსებს აწუხებდა, სტაცებდა ცხვარს და თუში მეცხვარეც ერიდებოდა ამ სამოვარს, ხშირად 10 - 15 წელიწადი ისე გავიდოდა, რომ აქ ცხვარი არ ამოვიდოდა. მცენარეული საფარი უმთავრესად ბუნებრივ ზეგავლენას განიცდიდა, მხოლოდ ჯიხვი და არჩვი მოვდნენ აქ.

სწორედ ამის მეოხებით შეგვრჩა აქ ნორშეუცვლელი მთის მდელო, მრავალნაირი ყვავილით დამშვენებული და ნორმალურად განაწილებული.

მდინარე ქვახიდი იწყება აწუნთასა და თებულოს მკერდზე. მოჩქევს და მოქუხს კლდეთა შორის. ერთ ადგილას ისეა შევიწროებული, რომ კაცი თავისუფლად გადახტება.

– აქ ქვის ხიდი იდო, მეც მინახავს, მაგრამ ვიღაცამ ჩააგდო.

– აჰა, მაშ იმიტომ თუ ემახიან ქვახიდს.

– კიდევაც იმიტომ ემახიან.

კარავი მეცხვარის ერთადერთი ბინის ახლოს დავდგი, ცხენებს ბარგი მოვხადეთ. ლაზარე კი სოფელ გირევში გავგზავნეთ და დავავალეთ პური და სანოვაგე მოემველებინა. საქმე ისე იყო, რომ ჩვენმა სანოვაგემ ბარიდან დაიგვიანა. ხითანაში უნდა ამოეტანათ, ჩვენ კი იქ აღარ დავუცადეთ. ამბავი დავუტოვეთ, გირევში გამოეგზავნათ. კარგი დღეების დაკარგვა არ გვინდოდა და ჩვენ უკვე სიმინდის ფაფას ვაკეთებდით ცხვრის დუმით. მეტი აღარა გვქონდა რა, და დღესაც, როდესაც კარავი გაიმართა, შევუდექით ჩვენს საქმიანობას. პავლე დატრიალდა, მოვიტანეთ დეკა, დავანთეთ ცეცხლი და ერთი საათის შემდეგ ყველას ფაფით სავსე ჯამები გვედგა წინ.

– ნიკო, ჯიხვები დაგანახო? – მეკითხება ბინის პატრონი მწყემსი.

– ჯიხვს აქ რაი უნდა, ბიჭავ? – შევეხმაურე მისებურად.

– აბა, აი, იმ ბატკანს შეხედე ფერდობზე, ხედავ?

მართლაც, მთის ფერდობზე ბატკანი იყო შეფენილი, დეკიანებს ზევით, დაახლოებით 3.000 მ. სიმაღლეზე. ჩვენი ბინა კი 2.350 მეტრზე იყო, როგორც ჩემი სიმაღლისმზომი მიჩვენებდა.

– ვხედავ, – დავუდასტურე.

– აგერ, ზევიდან რომ წითლები გადმოდიან, ჯიხვები არიან.

მართლაც, კლდეებიდან მდელოზე გადმოდიოდა წითელი ფერის ცხოველი, რომელიც მე თხა მეგონა. ერთი, ორი, სამი, ათი, თვრამეტი.

– რამდენია, კაცო! – წამოიძახა პავლემ.

მართლაც მრავალი იყო, ბატკანში გაერია. 40-60 მაინც იქნებოდა.

ექვი დამებადა, თუშები ბარელ კაცს ხომ არ მატყუებენ-მეთქი, მაგრამ უცბად წამოხტა ბინის პატრონი და დასჭყვივლა.

– არ ესროლო, დაიცა, ბიჭო! აგერ ჩვენი მებატკნე ეპარება თავის პატარა თოფით. მართლაც, დურბინდში შევნიშნე, რომ 13 -14 წლის ბალდი კლდეებზე ფოფხვით მიძვრებოდა. ჩანდა, ჯიხვებს ეპარებოდა. გავარდა თოფი და დაიქუხეს მთებმა. ჯიხვები ელვის სისწრაფით კლდეებს შეეფარნენ.

– ეჰ! გააფუჭა ბალდმა, ვერ მოარტყა.

ახლა კი დავრწმუნდი, რომ მართლა ჯიხვები იყვნენ. თვეზე მეტია ამ მთებში დავდივართ და არსად ჯიხვი არ გვინახავს და უცბად აქ ამდენი ერთად!

– ეს იმიტომ, რომ აქ კაცი ადვილად არა ხვდება მათ. ხედავ, ეს ქედი ცალკეა, არც თუშებს ეკუთვნის, არც ქისტებს და არც ხევსურებს. ყველა დანარჩენი ქედებიდან ჯიხვები აქ არიან მოგროვილი. კარგი თავშესაფარია. ხვალ უეჭველად წავალ და მოვიგდებ ხელში.

– ჯიხვზე ნადირობა არ იქნება, – მოუჭერ მოკლედ და ჩემს ფაფით სავსე ჯამს დავხედე, გაცივებულიყო.

– მაშ, ამ ფაფას ჯიხვის მწვადი არ მოუხდება? – კვლავ მკითხა ლაზარემ.

– არა...

გაკვირვებულმა შემომხედა და არაფერი თქვა. ლაზარე და მისი ძმა სამსონი ხომ განთქმული მონადირეები არიან. სამსონი 315 ჯიხვს ითვლის მოკლულს. ამასვე ადასტურებენ სხვა თუშები, მაგათნაირი მონადირე არ დაბადებულაო, თან დაატანენ ხოლმე. ახლა კი, როდესაც 60 ჯიხვზე მეტი ერთად ვნახეთ, ისიც ფაფით

სადილობის დროს, ეუბნებიან, რომ ჯიხვზე ნადირობა არ იქნებაო. თვითონაც იცის, რომ არ იქნება, მაგრამ როგორ მოითმინოს?

ჩვენ ისევ მხიარულად განვაგრძეთ საუბრე.

ცაზე რომ ვარსკვლავები აენთო, ჩვენც გავხვებით ნაბდებში და მოხერხებულ ადგილებში მივწექ-მოვწექით.

**

ქვახიდის გამოკვლევის შემდეგ ჩავყევით უკვე პირიქითის ალაზანს. მთავარი სამუშაო გვექონდა გამყოლი (გვერდითი) ქედის – ფარსმის, გირევისა და სხვა სოფლების სამოვრებზე. ვიყავით ქერიგოს გადასასვლზე, გადავედით პირიქითაც. წინათ აქ კაცი როგორ ამოვიდოდა, ეშინოდა, გუშინ კი ამ გზით გადასულა გეოგრაფიული საზოგადოების მესაქონლეობის ექსპედიცია, რომელიც თბილისში დაბრუნებას ჩრდილოეთ კავკასიის მოვლის შემდეგ აპირებს. ვნახეთ ქისტის მწყემსები და მათთან ერთად რამდენიმე თუში. ერთად ჰყავდათ ცხვარი. ახლა აქ უკვე ასეა.

გირევისა და ფარსმის სკოლებს დავპირდით მასალის გადმოგზავნას თბილისიდან. როდესაც მთათუშეთის ცენტრს ომალოს ვუახლოვდებოდით, წინ ორი ახალგაზრდა გადმოგვიდგა. სახე უღიმოდათ. თვალები უბრწყინავდათ.

– აა, გამარჯობათ, ბიჭებო, თქვენი! – შევძახე შორიდანვე, ვიცანი ჩვენი სტუდენტები, ჩაღმა თუშები. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს წელს ამთავრებენ.

მათ რამდენიმე დღე დაჰყვეს ჩვენთან, გვეხმარებოდნენ მუშაობაში. სოფ. ომალოში გაგვაკვირვა დიდი სკოლ-ინტერნატის მშენებლობამ. აქ ქისტები მუშაობდნენ, საშენ მასალად მხოლოდ სიპ ქვას ხმარობდნენ, არც კირი, არც ტალახი, არც ცემენტი – ქვას ქვაზე ადებდნენ. პირველი სართული დამთავრებული იყო უკვე და მეორეს იწყებდნენ. სკოლას მთელი თუშეთი აშენებდა, ყველა მუშაობდა 6-7 დღეს. «ეს ხომ მთელი თუშეთისაა, ზამთარში ბავშვები აქვე იცხოვრებენ».

ბაღლებიც მხიარული ჟივილ-ხივილით ეხვეოდნენ მშენებლობას და შველოდნენ, არჩევდნენ უფრო სწორსა და ბრტყელ სიპს, რომ მათი მომავალი სკოლა რაც შეიძლება მაგარი და მკვიდრი ყოფილიყო.

წინათ ეს ხალხი მხოლოდ ციხეებს აშენებდა, ციხეებს ქისტებისა და სხვა კავკასიელი ხალხისაგან თავის დასაცავად. დღეს კი ქისტები მათ სკოლის მშენებლობაში ეხმარებიან.



ცხვარი ალპურ სამოვრებზე

**

ორ თვეზე მეტი დავყავით მთათუშეთში, მოვიარეთ მისი ყოველი კუთხე და დიდი მასალით დატვირთულები ვბრუნდებოდით უკან. ბევრი რამ მოგვცა ამ მხარემ, ადგილობრივი პირობების შესწავლამ გვაპოვნინა მრავალი საჭირობოროტო კითხვის გასაღები.

მაგალითად, ვირის ქუჩს («ნარდუს სტრიქტა») უჭირავს უზარმაზარი გამოუყენებელი მასივები, თითქმის 35.000 ჰექტარი. შეიძლება თუ არა მათი გაუმჯობესება? საკითხავიც არ არის – უეჭველად უნდა გაუმჯობესდეს.

ზოგი ასეთი დასარევლიანებული ნაკვეთი მოუხნავთ, სვილა დაუთესიათ, შემდეგ კი თავი მიუნებებიათ. შევისწავლეთ ასეთი ნაკვეთები 7 და მეტი წლის მიტოვებული და დავრწმუნდით, რომ ასეთი დასარევლიანებული ნაკვეთების გადახვნა მთლად სპობს ამ «ნარდუსს», მისი ნიშანწყალიც კი ქრება. სამაგიეროდ, ჩნდება საქონლისათვის დამაკმაყოფილებელი საკვები ბალახი. მაშასადამე, ერთ-ერთი საშუალება გვაქვს, ადგილობრივად უკვე გამოცდილი, მაგრამ დახვნა შეიძლება მხოლოდ გავაკებული ან ნაკლებ დაქანებული ფერდობებისა, რომ პირველი წლის ხნული ნიაღვარმა არ გადარეცხოს. რასაკვირველია, ცდებიც უნდა ჩავატაროთ.

ამ ფიქრებით გამოვესალმეთ მთათუშეთს და წამოვედით ტბათანისკენ, რომ მერე იქიდან კახეთისკენ დავშვებულყავით.

ყველანი კმაყოფილები ვიყავით, ყველა გაგვამდიდრა ორ თვეს მთაში ყოფნამ.

გადმოვსერეთ სამყურის ხევი და თუშების საზაფხულო სადგომს ვესტუმრეთ.

აქ დაგვხვდა მრავალი ნაცნობი ახალგაზრდა, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა, თუმეტი თავიანთი ლეგა ჩოხებით.

მართლაც, სახე უცვლია თუმეთს, ათ წელში ასი წელი გაუვლია.

თუმცა, მარტო სახე კი არ უცვლია, ეს ცვალებადობა შინაგანია, ხალხი გარდაქმნილა ძირეულად, მათში ახალ ადამიანებს ვხედავ, ახალი ცხოვრების მშენებელ და თავისი სამშობლოს მოტრფივალე ადამიანებს.

ეს გვიხაროდა და, როდესაც პანკისის ხეობაში კახეთის სიცხემ კინალამ სუნთქვა შეგვიკრა, ჩვენ მაინც მთელი გულმკერდით ვსუნთქავდით.

ორი ზეკარის გადაღმა და გადმოღმა (1924 წ.)

გამგზავრება და ყვირილას ხეობა

რამდენიმედღიანი სამზადისი. თბილისში შევიგვიანეთ. საღამოთი გავედით. თვრამეტნი ვართ, აქედან ოთხი ქალია. გვაცილებენ. გამცილებლები ახლობლებს არიგებენ, კოცნიან. თვალეზე ცრემლიც კი ადგებათ.

უნებლიე ფიქრი: «თითქოს მოუსავლეთში მივდიოდეთ». მართლაც, გზა დიდია, განზრახული გვაქვს მწვერვალეზე ასვლა. უეჭველია, გზა ხიფათიანიც შეიძლება იყოს.

ყველა მხიარულია. ისმის ჟივილ-ხივილი და მატარებლის გასვლის შემდეგ კი მალევე გიორგის ბრძანება: «დაიძინე!» «არ მეძინება, გიორგი». «მერე მე რა ვქნა, უნდა დაიძინო».

ზესტაფონი. ხელში წერაყინი გვიჭირავს. ზურგზე აბგა, მოკლე შარვალი. აი უმრავლე ჩვენგანის გარეგნობა. ასეთი კოსტიუმიც ახალია ჩვენში და ხალხს ჯერ არ ეუცხოვება.

გვეკითხებიან, ვინ ვართ, სადაური, რისთვის დავდივართ.

ზოგი ხუმრობს და ინჟინერს ირქმევს, ზოგი მაღაროს მუშას, ზოგი კი დაწვრილებით უხსნის ჩვენს მიზანს.

ზოგიერთს არ მოეწონა ჩვენი ასეთი ჩაცმა-დახურვა და მიზანი კი ეამათ. გვესალმებიან და გზას გვილოცავენ, მშვიდობით დაბრუნებას გვისურვებენ.

სასიამოვნოა მათთან საუბარიც.

აგერ ჩემი სოფელი, – მითითებს ლიდუსი ჩხეიძე სადღაც მთებისკენ. – ჩემი სოფელი ყველაზე ლამაზია საქართველოში, შენს სოფელზეც ლამაზია. – რა ჰქვია, ლიდუსი, შენს სოფელს? ვეკითხები.

– ფუთი.

სასაცილოდ არ მეყო, «რაც სახელია, ალბათ, სოფელიც ის იქნება-მეთქი». როგორ შეიძლება ლამაზ სოფელს ასეთი სახელი ერქვას – ვეხუმრები, ლიდუსი კი გაწყრა და გაიბუტა. ვაგონებ რამდენიმე სოფლის სახელს, რომელიც ლამაზად მეჩვენება: სარკე, თამარი, მზეთამზე, სიათა.

ჭიათურამდე გზა არ არის ულამაზო, მაგრამ მეტად დანაწევრებული მეჩვენა აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებს. არ არის მთლიანი სახე – ბუმბერაზობა, სიდიადე.

აქ მოგეჩვენება ლამაზი კუთხე, შესანიშნავი პეიზაჟი და უცბად გაგისხლტება ხელიდან.

კახეთს რომ ჩალაუბნიდან გადახედო, ერთი წამითაც კი, მარად ჩაგრება მისი ხატება. ჯერ ასეთ სილამაზეს თვალი არ შესჩვევია. მალევე ჩემს პირველ შთაბეჭდილებას აქარწყლებს ნამდვილი იმერეთის ულამაზესი პეიზაჟი.

მატარებლიდან ვხედავ – ფერდობებზე ვენახებია, კარგად მოვლილი, ლამაზი. მუყაითი მეურნის ხელი ეტყობა. კარგია ყოველივე ეს თავისი მწვანე ღობეებით, ხეზე ასული ჩაკლავნილი ბაბილოთი (გარეული ვაზი), ცხრათვალა მზის სხივებზე აელვარებული ბროწეულის ყვავილებით. ასეთია სამხრეთ იტალია, ანდა ჰომეროსის საბერძნეთი, სადაც ვაზებს შორის მხიარული ბახუსი დაბარბაცებდა... მაგრამ რა მოსატანია ან ერთი და ან მეორე, ისედაც ლამაზი და ძვირფასია ჩვენი მხარე. მატარებლის ყოველ შემოხვევაზე იცვლება სურათი, ისე, ვით ლამაზი მოთხრობის ყოველი ფურცელი.

ს ა ჩ ხ ე რ ე . ზემო იმერეთი – აკაკის მხარე და სამშობლო. აქ აკაკის ხსენებამ ყველაფერი გადაფარა.

მივედით სახლთან, დავათვალიერეთ, მოწიწებით ვუცქერით აივანს, საიდანაც აკაკის უყვარდა ჰვრეტა საყვარელი მხარისა, ეზოს, სადაც აკაკი დინჯად დასეირნობდა. ეზო, ჰაერი აივსო აკაკის ხმებით, მისი ლექსებით, მისი «ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტით». გვეძნელება წასვლა, მაგრამ ავიკიდეთ ბარგი და გავუდექით გზას. ხშირად ვიხედებით უკან, მაგრამ ნაბიჯს თანდათან ვუჩქარებთ. დღესვე უნდა მივიდეთ სოფელ ჯრიაში.

გზა მინდვრებზე მიდის. აქედან იწყება უკვე ჩემი სამუშაოც. გარდა იმისა, რომ უნდა ვიმგზავრო ჩვენს მთამსვლელებთან ერთად, მასალაც უნდა შევკრიბო სარეველა მცენარეთა გავრცელების შესახებ, კულტურულ მცენარეთა შემადგენლობისა და ცვალებადობის შესახებ ზონების მიხედვით. ყანა უკვე შემოსულა, გახურებული მკაა.

ვათვალიერებ, ნიმუშებს ვიღებ, დღიურში შემაქვს შენიშვნები.

ვისვენებთ ჭალაში. ბარგი ბევრია, გვიჭირს წადება, ზოგს თითქოს ეჩოთირება მისი ტარება, მაგრამ გიორგის მარად დინჯი და წინდახედული მოპყრობა საქმისადმი მალე ფანტავს ყოველივე გაურკვევლობას.

გზაში გიორგი ცუდად გახდა, სიარულიც კი გაუჭირდა. ყველა დაღონდა, გიორგი ამბობს: «ერთი დღე

შევისვენოთ, თუ კარგად გავხდით, განვაგრძოთ გზა, თუ არა, მაშინ მე დავბრუნდები, თქვენ წახვალთ».

არ მოგვეწონს ეს გადაწყვეტილება, მაგრამ მუშაობას განვაგრძობ.

მთის კალთებიდან ტყე ჩვენამდე ეშვება. რცხილა, წაბლი, ქვეტყე, ირმის საკვანეტელა, სურო და სხვები პონტიის ტიპის ტყეა, ოღონდ საგრძნობლად გაღარიბებული.

ყვირილას ნაპირზე გავჩერდით. გაღმა სოფელია. ღამე იქ უნდა გავათენოთ.

გიორგი ჩამორჩა. წავედი შესახვედრად. ნელა მოდის.

ვთხოვ, იქნებ ბარგის ნაწილი მომცეს. თან მეშინია, ვაითუ მომცეს – ეს ნიშნავს, რომ ძალიან ავად ყოფილა.

მაინც შევეხმაურე და აბგა გადმომცა. მეწყინა, ხმა არ მოვიღე. ესე იგი, ავადმყოფობა მოერია.

ჩვენი მწე და მიტრო (მიქაბერიძე) ბინის საშოვნელად გაღმა გასულიყვნენ.

ყვირილაში უნდა გავეტოპოთ. ჩქარია მდინარე. გადავედით, გადავიყვანეთ ყველა. ბინას არა უშავს რა. მიგვიღეს, მოგვეგებნენ. მოვეწყვეთ და მოგვაგონდა, რომ გვშიოდა.

გუნებაზე არა ვართ, მაგრამ ხუმრობა აქა-იქ მაინც ისმის. გვინდა, დილა კარგი გათენდეს. კარგი დილა იქნება, თუ გიორგი კარგად გახდება, ასე ვფიქრობთ ყველა.

დილა არაა სასიამოვნო; გიორგი ისევ შეუძლოდა. ვალიკოც (კეთილაძე) ავად გახდა. ამიტომ დღეს აქ ვრჩებით.

რამდენიმე წავიდა პერანგას მთაზე.

მე გადავწყვიტე მიდამოს დათვალიერება და შესწავლა. ლიდუსიც ჩემთან წამოვიდა.

ჩვენს ბინასთან მთავდება ტყე.

წიფელი, რცხილა, წაბლი. ქვეტყე. სურო, მაცვალა, იელი, ბამგი (ირმის საკვანეტელა) და სხვ.

მინდვრად თესია: პური, თეთრი და წითელი დოლი. ჭარბობს ევროპული ფორმა, აზიური ფორმები ძალიან იშვიათია ყანებში. როგორც სარეველა მცენარე, მრავლად ურევია ჭვავი. ადგილობრივები მას «ქუბას» ეძახიან. საერთოდ, ყანები მეტისმეტადაა დასარეველიანებული.

გადავედით ყვირილაზე და ავედით ე. წ. «ჭახრიულზე». მას გვერდით, ჩრდილოეთიდან ჩამოუდის ჭუნარის ხევი. ჭახრიული მინდვრებია, სადაც დოლის პური თესია. იყო აგრეთვე სიმინდიც, მაგრამ მიწაზე ძლივს ჩანდა. ამ დროს ეს ასე არ უნდა იყოს – გვალვიანი წელიწადიაო, ამით ხსნიან.

ყანაში დავდიოდით, ვათვალიერებდით. უეცრად შემომესმა საშინელი ბღავილი, თითქოს ვიღაცას ყელს ჭრიდნენ. შევკრთი, ვიფიქრე, უბედურება მოხდა-მეთქი რაიმე. ლიდუსიმ თვალები დააჭყიტა. მინდა გავიგო, რაშია საქმე. მალე გაირკვა კიდეც. თურმე მონადირემ კურდღელს ძაღლს მიუსია. ესეც ახალი ამბავი! ერთი კურდღლისთვის ამდენს როგორ იყვირებს კაცი.

მზე გადაიხარა, როდესაც პერანგას მთიდან დაბრუნდნენ. ნასიამოვნები არიან. ლევანი (ყანჩაველი) მეუბნება, მთიდან ქართლი მოჩანსო.

6 ივლისს, დილით, გადავწყვიტეთ მთელი შემადგენლობით განვაგრძოთ გზა. გიორგის და ვალიკოს ბარგი შევუმსუბუქეთ, ჩვენი ჯგუფი გამოცოცხლდა. «წასვლა სჯობს წამავალისა» – შემოსძახეს ბიჭებმა.

შევდივართ ფოთლიან ტყეში. ჭარბობს წიფელი, რცხილა, ხშირად მოდებული გიგანტური წაბლის ხეები.

ქვეტყე იგივეა, რაც აქამდე: შქერი, იელი და სხვ.

ნათესებში დოლის პური კლებულობს, სამაგიეროდ, მრავლად ჩნდება ქერი, ორრიგანი და ჭვავი.

მივდივართ სოფელ ჯალაბეთში. ჯალაბეთი ზეგანზეა. აქ ვეებერთელა და გაუვალი შქერის ბუჩქებია.

მინდვრები ყველა ახოებშია, ჩანს, მიწა ნოყიერია და სინესტეც მეტი, ვიდრე ჯრიაში, რადგან მოსავალს აქ უფრო კარგი პირი უჩანს.

ჯალაბეთში პირველად შემხვდა ბარდას ნათესები, ოსები მას «ყადურს» ეძახიან.

ბუნებაც შეიცვალა. უფრო მთის სიომ დაუბერა. აქა-იქ ხეების წვერებიდან გამოჩნდნენ თეთრად შემოსილი მთის მწვერვალები. ახლოა ალპური ველებიც. სოფლებს მთიულური იერი დაჰკრავს.

გზაში მთაში მიმავალი იმერლები დაგვეწინა. მივდივართ, მივსაუბრობთ. ხან ამ მთისას ვეკითხებით, ხან იმ მთისას. რამდენიმე ადგილას ჩვენთან ერთად დაისვენეს. უკვირთ, რომ ბალახებს ვაგროვებ. ალბათ, წამლების გაკეთება თუ გინდათო. მათგან მრავალი ისეთი მცენარის სახელი ჩავიწერე, რომელიც არც ქართლში და არც კახეთში არ ჩამიწერია. აღვნიშნე აგრეთვე, ხალხი როგორ იყენებს.

დავისვენეთ სოფელ სანაგურაში, წყაროსთან. ჩამორჩენილები დაგვეწინა. გიორგი სიარულში გამოკეთდა, უფრო ყოჩაღად არის. ყველას გვიხარია.

გ ა ლ ა ბ ე თ ი დ ა ნ ს

საღამოს 4 საათზე გამოვედით და მცირე მანძილის შემდეგ შევუდექით ტყიან აღმართს. ტყეში კვლავ წიფელი სჭარბობს. რამდენიმე ჯალაბეთელ მცხოვრებს გავურიგდით, რომ ბარგი წამოეღოთ და ამიტომ ჩვენ ცოტა უფრო ხალვათად მივდივართ. ტყე თანდათან იცვლის იერს, შედარებით მაღალი მთის ელემენტები ჩნდება. ხშირად გვხდება მთის შროშანი, მაღალი და ძლიერი, გიგანტური დიყი, კატაბალახა და სხვა ამგვარი. ტყეში აქა-იქ მოჩანს მაღალი მთის ნეკერჩხალი ლამაზი, წითლად შეფერილი ფოთლებით და ნაყოფით.

1500 მ. სიმაღლეზე შავი ზღვის დონიდან ჩამოჭრილია ტიტველი, უტყეო ადგილები წმინდა სუბალპური ველის მცენარეებით.

ეს გზა, ჯალაბეთიდან მჟავე წყლებამდე, ნათელი და აშკარა მაგალითია მთის მდელისა და ტყის ბრძოლისა, რაც, უეჭველია, ადამიანის ბრალია – ჩეხავენ ტყეს და ნატყევარზე ტყის ჯიშების ნაცვლად მდელის მცენარეები სახლდება. აქედან ცოტა მაღლა, მთის ფერდობს რომ ავყვით, ვნახავთ, რომ ტყე საგრძნობლად შესუსტებულია და მისი ადგილი მდელის მცენარეებს დაუკავებია.

უკვე ბინდი იპარება ტყეში, ხეებსა შორს შვი ლანდები მოჩანს.

ტყე ნესტიანია, ბილიკი სველია და ჩვენი გამყოლი, ჯალაბეთიდან რომ გამოგვყვა, ფრთხილად მიდის. გვირჩევს, ღამე მჟავე წყლებზე გავატაროთ და ჩვენც ჟივილ-ხივილით ჩავედით ფერდობზე. მალე გამოჩნდა ხის პატარა შენობა, პატარა ეზოთი. შენობის წინ, სამ ადგილას ვეებერთელა ნაკადად გადმოდის მჟავე წყლის სამი წყარო. ზღვის დონიდან 1450 მ. სიმაღლეს გვიჩვენებს ჩვენი ანეროიდი. ეს მჟავე წყლები განთქმულია. უკვე წარმოებს მისი ექსპლოატაცია. ვიღაც კერძო პირები დაპატრონებიან ჯერჯერობით. მისი ექსპლოატაცია პრიმიტიულია. აი, შორი გზიდან მოსული იმერლები ზედ იატაკზე წვანან, პატარა ოთახში 10-12 კაცი, საგზლად წამოღებული აქვთ ცარიელი, ხმელა მჭადი და მისატანებლად ყველი; უჭირავთ ბოთლებით მჟავე წყალი და სვამენ განუწყვეტილად, თითქმის გაუჩერებლად. გვრგებსო, – მითხრა ერთმა მოხუცმა, რომელსაც თეთრი წვერი გულზე სცემდა.

გარეთ ცივა. შიგ უნდა მოვეწყეთ. მიიწ-მოიწიეს და თვრამეტი კაცი მიგვიღეს.

ახლა კი დაიწყება ასეთი მოუსვენარი ღამის თევა. ნეტავ, «სპარსული ფხვნილი» წამოგვლო, მაგრამ ერთი ფუთიც ვერ გვშველიდა მგონი. თუმცა, დაღლილობამ თავისი ქნა და მალე დაგვეძინა, მით უმეტეს, ზოგნი კარში გამოვედით და ნაბადში გახვეულები წამოვწყეთ ხეების ძირში.

მჟავე წყლებიდან

დილით ადრე გამოვეშურეთ მჟავე წყლებიდან.

გზა მთის ტიპის ტყეზე მიდის. რამდენადაც მაღლა მივდივართ, იმდენად წიფელი მცირდება, უფრო ნაკლებია. სამაგიეროდ მრავლადაა მთის ნეკერჩხალი და სუბალპებიდან ჩამოჭრილი მდელოების მცენარეულობა.

ყვავილთა სილამაზე, სიმრავლე ყველას თვალს ახარებს. ჩვენი ქალები ბლუჯა-ბლუჯა კრეფენ ყვავილებს. გაევსებათ ხელი, ნახავენ სხვებს, უფრო ლამაზებს და ახლა მათ უსპობენ სიცოცხლეს.

თუ სადმე ჩამოვრჩები და ბილიკი იკარგება, საკმარისია, მოწყვეტილი ყვავილები ვნახო და წასულთა მიმართულებას გავიგებ. გიორგიმ ამას შავარდნული ნიშანი უწოდა.

1800 მ. სიმაღლეზე, დელეველთას მთაზე, ტყე წყდება. მის უკანასკნელ წარმომადგენლებს – მთის ნეკერჩხალს და თითო-ოროლა არყის ხესღა ვხვდები. ამ უკანასკნელს არ უნდა ჰქონდეს ასე საცოდავი იერი, მაგრამ საქონლის განუწყვეტელ მოვებას თავისი დადი დაუჩნევია. მათთან ერთად ბევრია იელიც. თვალს ჭრის ტიპური სუბალპური მდელო, ლამაზად მობიზინე ათასნაირი ჭიოტა ყვავილი. აი, მზტურა, ფუტკარა, ნემსიწვერა, მაჩიტა და სხვა მრავალი. ისეთი ლამაზებია, მრავალი მათგანის გადატანა შეიძლება ჩვენს ყვავილნარებში, მაგრამ ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შესწავლილი ჩვენი მხარე. თავის დროზე ესეც იქნება.

შუადღისას მივედით ხიხათას ქედის დასასრულამდე. აქედან სოფელ წონას გადავყურებთ.

ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გამოჩნდა მწვერვალები, თოვლის მუზარადითა და აბჯრით შემოსილი.

აგერ ბრუტსაბძელი. რა საშინელი ცივობა ფერდობები აქვს, რაღაც წარბშეკრულია და მკვახედ იცქირება.

«ვერ ავალთ», «ავალთ» – იბრძვის გულში ქურდული შიში, მაგრამ არ ვამხელთ.

ხიხათას გადასასვლელი, წონასკენ, მოტიტვლებულია, მოჩანს სალი კლდეები, რომელიც გამოფიტულ მთის ქანს წარმოადგენს, სადაც თავი შეუფარებიათ საკმაოდ მშრალი ადგილის მცენარეებს.

იქვე, მათ გვერდით, წმინდა სუბალპების წარმომადგენელია მრავლად, ხშირად ნესტიანი ტყისაგ კი. ასეთი სიახლოვე ამ უცხო ჯგუფებისა მრავალმხრივ არის საინტერესო, მათი გამოკვლევა ბევრ ახალ ცნობას მოგვცემს და მეც გამალებით ვკრებ მასალას. სხვებიც სიამოვნებით მშველიან, ეს კი გიორგის ახარებს: შეაჩვიე გაფრენის დროს ასეთ მუშაობას ჩვენი მთამსვლელებიო, – მეუბნება.

ამ ზეკარიდან ჩავდივართ ს ო ფ ე ლ წ ო ნ ა შ ი, რომელიც 1750 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. ამ მხარისათვის ეს საზღვარია ტყისა, წმინდა მთის ტყისა და სუბალპებისა. წონა მთის სოფელია თავისი მდებარეობით.

მივდივართ ნათესებზე. ქერია. ყანას ჯერ დამუხლება არც კი დაუწყია, საჩხერეში კი უკვე მკიდნენ. ფერი კარგი უჩანს, მაგრამ სარეველა მცენარე მრავლად მოსდებია. ერჩევა (ბოლოკა) თავისი აგებულებითა და აღნაგობით ძლიერი მცენარე არ არის, მაგრამ გავრცელებისა და გამრავლების უნარი კი, ჩანს, მეტად დიდი ჰქონია. ყანები დაფარულია ყვითლად. ხშირად შორიდან იფიქრებ, რომ ყანა კი არა, სხვა რამ თესია.

მთის ფერდობებზე, ახოებში, მოჩანს კარტოფილის ნათესები, აქა-იქ ჭვავიც.

ვიკითხე კიდეც სხვა კულტურების შესახებ და დამიდასტურეს, რომ აქ სხვას აღარ თესავენ, რადგან არ მოდისო, შესაძლებელია იშვიათად დათესოს ვინმემ დიკა, მაგრამ ნაკლებ მოდის, ბარდაც ასევე.

მე ყანებში გადავუხვიე და ყველა სარეველა მცენარის ნიმუში ავიღე, აღვწუსე მათი გავრცელება.

საინტერესოა, რომ ყანებში ხშირად არის შეჭრილი მდელოს მცენარეები, მაგრამ არა – სპეციფიკური. ალბათ შემთხვევითი სტუმრები თუ არიან.

წონასყანებთანადად დამანახა, რომ საჭიროა საქართველოს ნათესების სარეველა მცენარეთა შვეული გავრცელების შესწავლა.

ეს გამოყენებით მცენიერებას დიდ სარგებელს მოუტანს. მრავალი ისეთი მცენარე, რომელიც სხვაგან კულტურულია, აქ როგორც სარეველა, ისე გვხვდება. ასეთებია, მაგალითად, ბარდა, ცულისპირა, ცერცველა, ჭვავი და სხვა. ბევრი კულტურული მცენარეც სარეველა მცენარეებისგან წარმოიშობა. მთაში კი დღესდღეობით ძალიან ცოტა გვაქვს კულტურულ მცენარეთა ასორტიმენტი. სხვათა შორის, აი ამ სარეველების გაკულტურებაც შეიძლება. ესენი მაღალმთის ჰავას უკვე შეჩვეულია და ადვილად იხარებს. ხალხი ამით დიდ სარგებლობას ნახავს. როგორც ვთქვით, გასაკეთებელი ჯერ ბევრი გვაქვს. ამ ფიქრებით შევედით სოფელ წონაში, სადაც ჩვენები უკვე დაბინავებულიყვნენ ერთი ოსის სახლში.

ხალხი ეხვეოდა მათ, უკვირდათ, ქალები თავშალს სახეზე იფარებდნენ, როდესაც ჩვენს ქალებს ხედავდნენ სამგზავრო ტანისამოსში.

ახალგაზრდა ბიჭები იღრიჭებოდნენ.

მოხუცები ამის შესახებ არას ამბობდნენ, გუნებაში კი უეჭველად ეღიმებოდათ, – ეს ეტყობოდა მათ ქვემო-ქვეშ გამოხედვას.

მთა მთას არ შეხვდება, კაცი კაცს კი ბევრჯერო.

მასპინძელი ნაცნობი აღმოჩნდა. ჩვენს ოჯახში, თურმე, პური ბევრჯერ გაეტება, კარგად იცნობდა ჩემს მამა-პაპას, ბიძებს.

მოვიკითხეთ ერთმანეთი, ვუსურვეთ კარგად ყოფნა.

თავაზიანად მივიპატიჟეთ.

ემდურის მოსავალს, სიღარიბეს – მიწა და ბუნება წინათ უფრო ბარაქიანი იყო, ახლა გვღალატობს; მოსავალი კლებულობს, ხალხი მრავლდება, მიწა იმდენივე რჩება, ისეთივეა მიწის დამუშავების წესი, როგორც იყო ბ ა ყ ა თ ა რ ი ს დროსო.

ხალხი შევთავალიერე. მომეწონა, კარგი, ლამაზი გარეგნობის ხალხია. მიხრა-მოხრაში ეტყობათ სიმკვირცხლე, სისწრაფე. სოფელში ძველი კომპები ახლაცაა დარჩენილი. ეს ძველი ყოფაცხოვრების ნაშთებია. ჩანს, მუდამ ქიმპობაში ყოფილან მეზობლებთან. ალბათ, ადვილად არაფერს დაუთმობენ.

წითელი მეწყერი

წონასთანაა მწვერვალი «წითელი მეწყერი», რომელსაც ოსები «სხირთლა ბირთას» ეძახიან. მწვერვალისკენ გავწიეთ. გადავიარეთ სარეველა ბალახებით სავსე ქერის მინდვრები, შეგვხვდა პატარა ჭაობებიც, სოფელ წონადან ერთი კილომეტრის მოშორებით.

პირველად გვხვდება ტოტებბარაქიანი წიფელი. მის ქვეშ იელი, მოცვი, ჭნავი, სტომი და სხვა მაღალმთის ქვეტყე. მათ ქვეშ ნესტიანი ტყის ტიპური ბალახეულობაა. 2000 მეტრიდან ხშირია «მთის ნეკერჩხალი», ვეებერთელა, ტოტებგაშლილი, ამაყი და მედიდური. იქვე ახალგაზრდებიც გვერდს უშვებენ და შესცქნავიან თავის მამამთავარს, ჯავრი ნუ გაქვთ, თქვენს მაგივრობას ჩვენ გავწევთ, თუ სიბერის ჭიამ გული დაგიღრღნათო.

ლეკის ხეებს შორის მრავლად მოჩანს წიფელიც, მალე ესეც ქრება და წამით თითქოს ბატონობს ლეკის ხე (იგივე მთის ნეკერჩხალი), მაგრამ მალე ჩნდება სპეტაკტანა არყი თავისი დამშვებული ტოტებით. წელთა სიმრავლით მრავალი მათგანი უკვე წელში მოხრილა და გატეხილა.

არყის ხის სამფლობელოში შემოჭრილა და გაპარპაშებულია სუბალპები. აქვეა დეკა, მეტადრე ჩრდილოეთის ფერდობებზე, არყის ხეებში გაუვალი და ხშირად კაცის სიმაღლე, მაღლა კი მიწაზე ოდნავ გართხმული და დალეული.

2300 მეტრზე არყის ხე თითო-ოროლა დარაჯადლა გამოსულა საერთო ხაზიდან. შემდეგ მხოლოდ სუბალპებია – მაღალი მცენარეულობით. 2500 მ. ჩნდება წმინდა ალპური ზონის ზოგიერთი მცენარე.

2500 მ. ჩრდილოეთის ფერდობის ორწოხებში კიდევ იდო თოვლი. მის გარშემო დავათვალიერე და ოთხი აყვავებული, მეტად ლამაზი მცენარე ვნახე: ფურისულა, ია, ბაია და სხვ.

ამავე სიმაღლეზე, დასავლეთისკენ და აღმოსავლეთის მხარეზე მოტიტვლებული იყო მთის კალთები, სალი კლდეები და ქვის ნამტვრევები თვალს ეჩოთირებოდა ხვერდოვანი მდელოების შემდეგ. აქაც მრავალი ისეთი მცენარეა, რომელიც დამახასიათებელია სუბალპების ამგვარი კლდეებისათვის. მრავალი პატარა ადგილია მიმზიდველი და ლამაზი.

ამ მწვერვალის სიმაღლე 2780 მეტრია. მამასადამე, აქ წმინდა ალპური მცენარეებიც უნდა იყოს და არის კიდევ. დეკა მწვერვალამდე ამოდის, მაგრამ აქ უკვე იმდენად დალეულია, რომ ერთი მტკაველიც არ ექნება სიმაღლე, მთლიანად მიწაზეა გართხმული.

საქართველოში მრავალი მთა გადამივლია, მრავალი ხეობა დამითვალიერებია, მაგრამ არ მინახავს ისეთი მწვერვალი, საიდანაც მთელი საქართველო გამოჩნდებოდა ისე ლამაზად, ისე ზვიადად, როგორც წითელი მეწყერიდან ჩანდა.

აგერ ქართლი, თრიალეთი, ლიხის მთა, იმერეთი, გურია, რაჭა-სვანეთის ბუმბერაზი მთები, ოსეთი, მაღრანდვალეთი³⁷.

მინდა ყოველივე ამას ერთად ვუმზერდე, ერთად მინდა აიხატოს ამ გულში და გონებამ აითვისოს. მხოლოდ ახლა დავემდურე განგებას, რომ ადამიანს მან მხოლოდ ორი თვალი მისცა.

აღმოსავლეთით – ქართლი, გაშლილი ველი.

დასავლეთით – მთა-გორაკები, აჭარის ქედი, ზეკარი.

ჩრდილოეთით – კავკასიონი. უტყვი, ჩუმი, ზვიადი, ამაყი, მედიდური. გულიც შესწევდა ქადილისა. სად არის სხვა ასეთი მხარე, «სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა»!

აგერ უშბა – საშინელი, მკაცრი, მრისხანე. ორი მწვერვალი, როგორც ორი ხელი, აღუპყრია ცისკენ და ევედრება, ვინ იცის, რას? ვინ არის მისი გულთამხილავი... ევედრება კი რაღაცას ხარბად!

მთამსვლელს მის ხილვაზე შიში შეიპყრობს უეჭველად და სურვილიც – იხილოს მისი ცადაპყრობილი ხელები.

აგერ იალბუზიც – წარბშეკრული, ფიქრმორეული. განდგომილი ბუმბერაზი დიხთაუ, ყომტანთაუ, ციხვარგა, ადაიხობი, შოდა და სხვები. მათ მკერდში რაჭის, სვანეთის, ლეჩხუმის სოფლებია ჩახუტებული და შეთვისებული. რიონი, მათ მკერდზე დაბადებული და გაზრდილი, მთარღვევს მთებს და მოეშურება ქვევითკენ, რომ ბარად გვიამბოს მთების დანაბარები.

ყველანი მოხიბლული ვართ ამ უჩვეულო ხედით. ისე გაგვიტაცა ამ სურათმა, რომ ვერც შევამჩნიეთ, სადამო როგორ წამოგვეპარა. მზის უკანასკნელმა სხივებმა ააელვარა მთის მწვერვალები. – წავიდეთ! – ისმის გიორგის ბრძანება და ვეშვებით აღფრთოვანებული იმით, რომ მთელი საქართველო ერთად ვნახეთ, მთა და ბარი, დასავლეთი და აღმოსავლეთი, მაგრამ ნაწყენი, რომ დღეს ღამე მოსდევს. უკვე ღამე იყო, რომ სოფელი წონა ჩვენმა მხიარულმა ჟივილ-ხივილმა გამოაღვიძა.

აყეფდნენ ძაღლები.

ახმაურდნენ ბაღლები, გვიგერიებენ ძაღლებს.

ასეთი დღის შემდეგ ვახშამიც გემრიელია, ძილიც, დასვენებაც. ერთიც და მეორეც დედის რძესავით შემრგვა და ალალი.

დუოდონასტოსკენ

დუოდონასტოსკენ მივდივართ. ბარგი ცხენს ავკიდეთ. გამყოლი იგვიანებს, მაგრამ ბოლოს შევთანხმდით მასთანაც და იმედიანად გავწიეთ. დავიარეთ მინდვრები, მდელოები, გადავედით რამდენიმე მთა-გორაკსა და სერზე და ჩვენ წინ გადაიშალა წონას ტბა, კამკამა ლურჯი, მზის სხივზე მოელვარე.



ჭადარა სამყურა ალბურ მდელოზე.

ირგვლივ მთებია, ტყით და მდელოს მცენარეულობით შემოსილი.

სამხრეთის ნაპირი დაბურული ტყით იწყება, სადაც არის შესანიშნავი, უზარმაზარი ლეკის და არყის ხეები, თავისი ჩამომტირალი ტოტებით, ნიავის შემობერვისთანავე ნაზად რომ ეალერსება ტბის ზედაპირს და ზედ გადარბენილ ჭავლს.

ეს მხარე პირდაპირ მთით იწყება, რომელიც ამ მცენარეებითაა დაფარული: თხილი, ჭნავი, ხუნწი, ხურტკმელი, წიფელი, თელამუში; ქვეშ გაუვალი ბალახეულობაა: შროშანი, მაჩიტა, კატაბალახა, დეზურა, დუცი, დიყი, მზიურა და სხვა ამგვარი მაღალი ბალახეულობა.

ეს ქედი წყდება შუაზე და მეორე მხარის მწვერვალი მოტიტვლებულია. უხვად ჩანს გადახრუკული კირქვა, რომელზედაც ჩვეულებრივ, კლდის მცენარეები დაბინავებულან.

სამხრეთის მხრიდან ტბაში შეჭრილია პატარა კონცხი. მასზე არყის ხეებია, ლამაზი ტანით, დაშვებულნი ტოტებით. მოკრიალებული ტბის მკერდში იხატება მათი მშვენიერება. მას შევარდნის კონცხი დავარქვით.

ტბის გარშემო დიდ მანძილზე ჭაობია, ლელოჭილიანი.

ერთს ადგილას პატარა ტბაა «უძირო». მის გარშემო მრავალი ლამაზი ლეგენდაა შექმნილი. ან რა გასაკვირია, რომელი ჩვენი კუთხე არ არის ასეთი ლეგენდებით დამშვენებული. ერწოს ტბიდან იწყება ყვირილა.

«წელიწადში ერთხელ ტბის მკერდი გაიღება და ისმის საშინელი დრტვინვა და ყვირილი. ემდურის ვიღაცას, უწყრება და ემუქრება. ბედნიერი იქნება ის, ვინც მის მკერდში ჩაიხედავს. მე შევესწარი მის

ყვირილს, მაგრამ ვერ ჩავიხედე, შევშინდი, თმები ყალყზე დამიდგა», – დაამთავრა ამბავი მთხრობელმა. ნახევარი საათის შემდეგ გადავედით კასპიის ზღვის აუზში. ერწოს ჩამოუდის პაწაწინა მდინარე, ეს პირველი ტოტია, ჩვენ მიერ ნანახი, რომელიც ლიახვს ერთვის; შემდეგ უნდა გადაჭრას მთელი ქართლი, გორთან შეუერთდეს მტკვარს და მის ტალღებთან ერთად გადაჭრას მთელი აღმოსავლეთ საქართველო და აზერბაიჯანის ვაკე.

მალე სოფელ ჯავისთავს გვერდით ჩავუარეთ. მინდორში დიკა მრავლადაა, ასევე ჭვავი, შედარებით იშვიათად – დოლის პური.

მთაში მრავლადაა სარეველა მცენარე. შესამჩნევია ბარდას გავრცელება ყანაში.

ვისვენებთ სოფელ ყემულთაში. აქ გამახარა დიკას შავთავთავიანის წმინდა ნათესმა. 75% მაინც იყო. ეს არ არის არსად აღნიშნული. ეს შემთხვევა ნათელს მოჰფენს ამ პურის გავრცელების ისტორიას.

ყემულთას პირდაპირ – ქოთანთოში — მოჩანს წიწვიანი ტყე.

ყემულთადან ვეშვებით ზიკარაიდონის ნაპირებზე და მივდივართ დუოდონასტოში.

გამოირკვა, რომ ჩვენი გამყოლი არ ყოფილა დუოდონასტოში. გზა ეშლება, ხეხნაიღვრებს აბრალებს. გაღმა გასვლას აპირებს. ზიკარაიდონი ისე მოქრის, რომ შიგ შემსვლელს კარგს არას უქადის. ბედად გამოჩნდა ყოჩალი, მკვირცხლი ოსი. შეიტყო ჩვენი გაჭირვება, გაგვიძღვა, მბრძანებლობა ხელში ჩაიგდო, დაგვტუქსა ძალიან, განსაკუთრებით ჩვენი გამყოლი. «სწრაფად უნდა იაროთ, თორემ დაგვიანდებით, ცისქვემ დარჩებით, ბინამდე ვერ მიხვალთ», – გვაფრთხილებს და მგლური ნაბიჯით მიდის წინ.

ყველა ვცდილობთ, ერთმანეთს ვეშვებებით. ცხენს ბარგი ჩამოვხსენით, გზა ძნელია, ვერ ივლის. საკმაოდ სწრაფი სიარულის შემდეგ დუოდონასტოში მივედით მხოლოდ მაშინ, როდესაც ცაზე ვარსკვლავები გამოჩნდა. ეს პატარა სოფელი ორ მდინარეს შუა მდებარეობს, დასავლეთიდან ჩამოუდის ზიკარაიდონი, აღმოსავლეთიდან ბრუტიდონი, ამიტომ ეძახიან დუოდონასტოს – ორწყალშუა.

ეს მდინარეები მოქუხს, მოჩქევს ბროლად ღამის სიბნელეში და იქვე სოფლის ცოტა მოშორებით ერთმანეთს ეხუტება, ერთდება.

ბრუტსაბძელის ძირში ვართ. რა ახლოა ამ ღამის სიბნელეში, თითქოს გულზე გვაწვება!

მთის ღამე დადგა. ცაზე ვარსკვლავები აენთო. სადღაც ვიღაცამ დაიკვილა და ხმა სივრცეში დაიკარგა, ჩაინთქა. ძაღლები გამოეხმაურნენ და მთებმა რუხრუხი დაიწყეს. ასეთ ბუნებაში და ღამეში წარმოიშვა ზღაპარი: ყურშას ცხრილისოდენა თვალეები ჰქონდაო. ასეთი პატარა ხმის პატრონს უეჭველად ამოედენა თვალეები ექნებოდა.

მიყვარს ღამე მთაში. შორს ხარ ბუნებასთან და ახლოსაც.

გინდა, რომ ასეთ ღამეში გამოიცნო მთის საიდუმლო, მაგრამ ვის გამოუცნია. მის მკერდში მარტო ვაჟამ ჩაიხედა. რა დაინახა, სრულად არა თქვა, თან ჩაიტანა სამარეში, ბუნებასთანვე წაიღო.

ბრუტსაბძელის ძირას

დუოდონასტო ოსების პატარა სოფელია «ორ წყალშუა». ოთხი თუ ხუთი კომლია. დილით ყველა ჩვენი ბინის წინაა. გაიგეს ბრუტსაბძელზე ასვლის განზრახვა და კოპები შეკრეს:

«ბრუტსაბძელზე ღმერთის დისწული ტარტაროზია. არ აგიშვებთ. მოვა სეტყვა და წვიმა, ნათესებს წალეკავს...» – ამბობენ.

ჩანს, წინააღმდეგი არიან. ჩვენ გავიცინეთ, შევეპასუხეთ, მაგრამ რას დაგვიჯერებენ მოკლემარვლიან და უქუდო ხალხს. მათი შეხედულებით, ქუდი კაცის ნამუსია და ჩვენ ქუდებიც არ გვახურავს.

9 ივლისი დასვენების დღეა ასვლის წინ.

ბრუტსაბძელზე ნისლი ხშირად ჩანს. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება დიდხანს არ გადაიყაროს. «ბურსაბძელს» ქართლში იმიტომ ეძახიან, რომ სულ მუდამ ბურუსი ეხვევა და ქართლიდან მას საბძლის სახე აქვს. ქართლში მას იალბუზსაც უწოდებენ.

მთელი დღე რა უნდა ვაკეთოთ, ერთმანეთს ხომ არ ვუყურებთ. პირდაპირ გვიცქერის ჯრიას ქედი, ლიხის მთის დასაწყისი კავკასიონის ქედიდან.

ვფიქრობ, გავისეირნებ-მეთქი. ალბათ, ამ სეირნობას საღამომდე კი მოვუნდები.

– ვის უნდა იმ მთაზე ასვლა? – ვეკითხები თანამგზავრებს.

ყველა დაღლილია ალბათ. მხოლოდ სიმონ ჯაფარიძე აცხადებს თანხმობას. მივდივართ ნელი ნაბიჯით.

ეს მთა დუოდონასტოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან უცქერის.

თვით სოფელი დუოდონასტო ზღვის დონიდან 1870 მ. სიმაღლეზეა. სოფლამდე აღწევს წიფელი, უკვე დაჩაგრული კია, სიმაღლეს გავლენა მოუხდენია. პატარ-პატარა კორმებად გვხვდება არყის ხე, იელი, მათ შემდეგ დეკა და მისი თანამგზავრი სხვადასხვა პატარა ბუჩქი.

ამ ქედზე ბრუტიდონის ნაპირიდანვე იწყება ქ ე რ ი ს ნათესები, რომელიც სარეველა მცენარეებითაა სავსე, ნათესები პატარ-პატარა მინდვრებადაა. ჩანს, რომ ქერი არცთუ კარგად გრძნობს თავს ამ სიმაღლეზე. ადგილობრივებიც ემდურებიან: ხშირად თოვლქვეშ რჩება, აღებას ვერ ვასწრებთო, – ამბობენ. – თოვლიდან ვიღებთ, კეცებზე ვაშრობთ და ვხალავთ, ხელით ვფხვნითო. რასაკვირველია, ასეთი ქერის პური მაინცდამაინც გემრიელი არ არის.

ნათესები მალე მოვიტოვებთ ქვევით და წმინდა სუბალპებში ავედით.

მწვერვალამდე ასვლას დიდხანს მოვუწოდებთ. აქ წმინდა ალპების დასაწყისია, პაწაწინა, მაგრამ ლამაზი და მკვეთრყვავილა მცენარეებით. მრავალი მაღალი მთის მცენარეზე დიდხანს ჩერდება სიმონის მზერა, მე კი ფრთხილად და ბეჯითად ვალაგებ მათ ჩემს აბგამში. აღმოსავლეთის და დასავლეთის ქედები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება: მწვერვალი ვიწროა ძალიან და გგონია, ეს განსხვავების ხაზი თითქოს ხელოვნურად არის გატარებული.

აღმოსავლეთის მხარის ქედი დაფარულია მაღალი, მშვენივრად განვითარებული მცენარეებით.

დასავლეთის ქედზე კი მცენარეები ოდნავ მოჩანს მიწაზე, ბევრი არ არის.

ჯამურას ქედიდან გავცქერით ქართლს – ვეებერთელა გაშლილ ველს, სოფლებითა აჭრელებულს. შუაზე თეთრი ლიახვი ჩანს, შორს – მტკვარი და თრიალეთის ქედები. ზედ ქართლზე გაწოლილა შავი ღრუბელი, პირმოქუშული, მაღლა კი მზე კაშკაშებს, ზაფხულის მცხუნვარე მზე. გავყევით ქედ-ქედ. ბრუტსაბძელისაკენ მივდივართ. გვინდა კიდევ ვიხილოთ დიადი სურათი უფრო მაღლიდან.

ქართლი ჩაბნელებულია. ჩვენკენ რაღაც მრისხანებით მოიწევს შავი ღრუბელი. ქარმა დაიზუზუნა და შემოგვიტია. ლიხის მთიდანაც ნისლები გაქანებული მოისწრაფვიან ჩვენი ხეობისაკენ.

– სიმონ, წვიმა და სეტყვა იქნება, – ვეუბნები.

– აბა წავიდეთ, – გამომეხმაურა.

მოვისწრაფვით ქვემოთ. იელვა, იჭექა, დაიგრგვინა. ჩამოხნელდა. ქარმა დაიზუზუნა და მიყუჩდა უცბად ყოველივე. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა გაშეშდა. მხოლოდ ჩვენ გავრბივართ ქვემოთ, ვიცით, ეს სიჩუმე რასაც ნიშნავს. იელვა, სინათლემ თვალი მომჭრა და ცამ დაიწვილა საშინლად. სეტყვა წამოვიდა, მსხვილი და ხშირი. აქ ვერ დავრჩებით, ცალ ხელში წერაყინი მიჭირავს, მეორეში აბგა. გამეყინა ხელი, მეწვის. სვიმონს ქალამანი გასძვრა. სეტყვა არ წყდება. კვლავ ქარი და იმედი გულში, რომ მალე გადაიღებს. ნისლები იფანტება, აქა-იქ ცვივა თითო-ოროლა სეტყვის კაკალი. გადათეთრდა ქედები, თოვლივით დადო. გაფუჭდა და მოკვდა, ალბათ, მრავალი ყვავილი. ლაპარაკი გვეზარება, ხანდახან კი გვეცინება. ასე იცის განვლილი საფრთხის შემდეგ.

აი, გადავდექით იმ ქედს, საიდანაც დუოდონასტო ჩანს.

მოგვესმა საყვირის ხმა და კიჟინი. ჩვენები გვესალმებთან. გაგვიხარდა და რამდენიმე წუთში მათთან ვიყავით.

გვესალმებთან დაკარგული და დაბრუნებული ძმებავით.

ზოგი ცხელ ჩაის გვთავაზობს, ზოგი მშრალ სამოსს. ჩვენი ზევით ყოფნის დროს დუოდონასტოელები წასჩუბებთან: თქვენი ბრალია, რომ სეტყვა მოვიდაო. მათ მართლა ეშინიათ ბრუტსაბძელის რისხვის: არ ყოფილა შემთხვევა, რომ მასზე ასულიყოს ვინმე და სეტყვას და ქარს უკან არ გამოეგდოსო. ვცდილობთ, გავფანტოთ მათი ცრურწმენა, მაგრამ ამას საკმაოდ დიდი მუშაობა დასჭირდება ალბათ.

სამთა ქედი

10 ივლისის დილის ამინდი გაურკვეველია. ბრუტსაბძელისკენ ვერ მივდივართ.

აგერ ის ასე ახლოს ჩანს და ჩვენ კი ამ საშინელ დუოდონასტოში ვსხედვართ. ვერც წინ მივდივართ, ვერც უკან.

– ვინ წამოვა ბრუტსაბძელისაკენ? – ვამბობ.

ვფიქრობ, შეიძლება ვერ ავიდეთ, მაგრამ მცენარეულობის საზღვრამდე მაინც მივალწევთ; ეს საზღვარი დუოდონასტოდანაც კარგად ჩანს. იქამდე სოფელ თხელადან ვიწრო ქედი მისდევს. ამ ქედს უნდა ავყვეთ.

მსურველი ბევრი აღმოჩნდა. წავედით. თხელაში გვითხრეს, ამ მხრიდან ვერ ახვალთ, მეორე მხრიდან კი დაგვიანებულიაო.

დავრჩით მხოლოდ სვიმონი, ლევანი და მე. სხვები დაბრუნდნენ. ადგილობრივები გზას ყოველთვის აზვიადებენ. ჩვენ გადავწყვიტეთ, უეჭველად ავსულიყავით. შევუდექით გზას ვიწრო ქედით. გზაზე ვნახეთ საფლავი – კერპთაყვანისმცემლის სახე აქვს. საფლავის ნიშნად მხოლოდ ერთი ჯვარი ჩანს, დანარჩენი ნიშნები კი მრგვალთავიანი ქვებია.

შემდეგი ქედია «წუფი ჯუარ». აქ ნიშია, წმინდა ადგილი. ერთ ადგილას ყრია მრავალი პატარა ზარი. მოიყვანენ ბატკანს, დაკლავენ, ზარს აქ დატოვებენ. სამსხვერპლოა, ბრუტსაბძელს სწირავენ მსხვერპლს, ევედრებიან დარს, ევედრებიან სიკეთეს. – «იქ ხომ ღმერთის დისწულია, ტარტაროზი» – ასეთია აქ გავრცელებული ცრურწმენა.

«წუფი ჯუარის» სამხრეთით ვნახე რამდენიმე საინტერესო მცენარე.

«წუფი ჯუარის» შემდეგ «კუთიასუს» კლდეა. ზევით კი ადგილი «სკუდაჯინ». აქ იზრდება თურმე მცენარე, რომელსაც ოსები ნივრის მაგიერ ხმარობენ და რომელიც «სკუდად» იწოდება. ეს მცენარე მთის ღანძილი გამოდგა.

თხელადან ქედი სუბალპური მცენარეებითაა დაფარული და მხოლოდ სკუდაჯინს ზევით, კონუსის ძირში, იწყება წმინდა ალპების მცენარეულობა. ამ ადგილს «კოფთა» ეწოდება. ის 3200 მ. სიმაღლეზეა. 3100 მ. მხოლოდ ხუთი სახეობა ვნახე კლდეებში მიკრუნჩხული და ჩამალული, გარდა ამისა, რამდენიმე სახე

ხავსებისა და მღიერებისა.

აღმოსავლეთისკენ, ბ რ უ ტ ს ა ბ ძ ე ლ ს ა და ა ჯ ა მ უ რ ა ს შორის, თოვლი დევს.

კორფთასთან გზა უკვე საშინელია და სახიფათო, კლდე გამოფიტული და ნაშალია. კლდის ნამტვრევი ხშირად ფეხქვეშ გვისხლტება და ხმაურით ხეებისკენ მიექანება. რა ღრმაა და თვალჩაუწვდენი ეს ხეები! ჩვენ მაინც ზევით-ზევით მივდივართ. უცბად ჩვენ წინაშე საშინელი ჯურღმული გაჩნდა, თვალი ვერ ჩასწვდება.

ბრუტსაბმელის კონუსისაკენ მიდის საცალფეხო ხიდივით მეტად ვიწრო ქედი. აქეთ-იქით ნაპრალები და ორწოხები. თვითონ ქედი წოპიანია. ვნანობთ, რომ თოკი არ წამოვიღეთ. აი, კონუსი სულ ახლოა, ასი მეტრის სიმაღლე არც კი იქნება. გავბედეთ, მივდივართ ამ ჯოჯოხეთურ ბეწვის ხიდზე. მწვერვალზე ასვლა გადავწყვიტეთ.

უცბად ქარის საშინელი ზუილი შემოგვესმა და სიცივე ვიგრძენით. რაშია საქმე? იღრუბლება. ნახე ანეროიდი, – მეუბნება სვიმონი. 3300 მეტრია. – უკვე ვყვირი, რადგან სხვაგვარად ველარ გავაგებინებ, წყის ქარი, სახეზე გვაყრის მთის წვერიდან მოწყვეტილ თოვლს და წვიმის ცივ წვეთებს.

გამოვედით გამოღმა. ცოტა ხანს შევჩერდით და გადავწყვიტეთ დაბრუნება. მოვდივართ, მაგრამ დაშვება მნელია.

თითქოს ჩვენ წინაშე ქვეყანა ჩანგრეულიყოს, ისეთი ციცაბო ჩანდა ის ქედი, რომელსაც დილას ასე ადვილად ამოვეყვით.

ქარი ძლიერდება, ზოუზუნებს, ხვიდან გამალეზული, დაბარებულივით მოქრის ნისლი. უცბად შემოგვეხვია და ჩამოხნელდა. ცოტას დავცილდებით ერთმანეთს და ველარ ვხედავთ ვერაფერს. – ნიკო! – ლევან! – სიმონ! – ისმის ქარის წუილში ზოგჯერ ხმები. აი, ელვა გარშემო დაიკლავა, ჟრუანტელმა დამიარა, ირგვლივ კი გრგვინავს მთა და ბარი. ერთხელ, ორჯერ იჭექა ცამ, გამაყრუა პირდაპირ. საშინელია ამ დროს ასეთ მთაში, სადაც გზა ყოვლად სახიფათოა, უცნობი, ასეთი სიმაღლე და ასეთი ამინდი! ბრაზობ ბუნებაზე, გინდა ჯავრი იყარო და არ შეგიძლია, უძლური ხარ, სუსტი, ამ დროს მასზე ათასჯერ პაწაწინა, ვიდრე ოდესმე. ბუნების ეს სიძლიერე, საიდუმლოება გიპყრობს, მისი ტყვე ხარ.

გულში ათასში ერთხელ შიში იელვებს: «ჩავალ კი ძირს? ვნახავ საყვარელ ხალხს?» – სიმონ! – ჰოე! მე ჩამოვრჩენილვარ, წინ არც ერთი აღარ ჩანს, ფიქრის ბრალია. ამ დროს კი ფიქრი არ ვარგა: ცუდად გადადგმული ნაბიჯი და ... სიცოცხლეს უკანასკნელ სალამსაც ველარ მისცემ. ირგვლივ კი ქარი, ნისლი, წვიმა, სეტყვა, ელვა და გრგვინვაა მძაფრი. ქარი სუნთქვას მიკრავს. იქ, უკან, მთები ზანზარებს, ინგრევა რუხრუხებს. ჩამოინგრა ცა, «გატიალდი და გავერანდი!» – ვამბობ საყვედურით.

«ტარტაროზი განრისხდა, გაბრაზდა. ყველაზე ჯავრს იყრის. როგორ გაბედეს, როგორ მომიახლოვდნენო». ჯოჯოხეთია ირგვლივ, მთები ინგრევა და ჩვენ სამნი რას გავაწყობთ აქ. ქარი ჭირვეულობს და ნისლი შორს იკარგება ზიკარასაკენ. მოიწმინდა. ჩვენ კიდევ ძალიან მაღლა ვართ. ძირს ოდნავ მოჩანს სოფლები. გამოჩნდა შორეული ლურჯი მთებიც. ნისლები დარჩენილა აქა-იქ და მკერდზე ეკვრიან, თითქოს ცხვრის ფარა იყოს. «ლამაზი კია ბუნება», – შემეცვალა უკვე ფიქრთა დინება და მივდივარ, მაგრამ უცბად დავკარგე აზრი. «რა მომდის, რა მემართება. ოჰო, საშინელი უფსკრულისაკენ მივექანები, უნდა დავიღუპო!» – გამიელვა თავში და შემდეგ ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. როდესაც გამოვერკვიე, ვხედავ, რომ ჩემი ცალი ხელი ეძებს რაღაცას, სურს მოებლაუქოს, მაგრამ ვერაფერს პოულობს. გონება სწრაფად მუშაობს. ხელი ინსტიქტურად ეძებს დასაყრდენს. ფეხები გავშალე.

გავახილე თვალი. ხელში დეკა მიჭირავს. წამოვიწიე. კლდეებმა გამაჩერა. მუხლებზე შევდექი და ვკანკალებ. ძალა აღარ მაქვს. ავიხედე მაღლა. ლევანი და სიმონი შემკრთალი მიცქერიან. ნელ-ნელა, ფრთხილად მივდივარ მათკენ, თოკი გადმომიგდეს. მას ავეყვი და ავედი. შევისვენეთ, დავიმშვიდე ნერვები და ნელი ნაბიჯით დავეშვიტეთ ქვევით.

თხელაში დაგვხვდა გრიგოლი. მიგვიპატიჟა სახლში, ცეცხლი აგვინთო, გავვიმასპინძლდა.

– კარგად იარეთ, მაღლობა ღმერთს, რომ მშვიდობით ჩამოხვედით. მეშინოდა, ცუდი ამინდი დაგიდგათ, ამ დროს სახიფათოა სიარული ასეთ მთაში.

დაღლილები და დაქანცულები მივედით ბინაზე.

დიდი სიხარულით დაგვხვდნენ ჩვენი თანამგზავრები. მოგვილოცეს. მათ უკვე შეშინებოდათ. ვუამბოთ თავგადასავალი.

სიყვარულით ვალაგებ ჩემს მცენარეებს, სათითაოდ ვასწორებ. ძნელია გზა გამოვატარეთ და ახლა რომ გაფუჭდეს, სირცხვილია. მცენარეები სველია, აბგა დაგლეჯილა.

ჩვენი მგზავრობის აღსანიშნავად ამ ქედს დავარქვით «სამთა ქედი», ნიშნად სამი მეგობრის იქ ყოფნისა, ნიშნად მშვიდობით დაბრუნებისა.

იმ საღამოს გადავწყვიტეთ, დუოდონასტო დავტოვოთ და გადავიდეთ ჩრდილოეთ კავკასიაში ზიკარის გადასასვლელით.

ზიკარა

ბრუტსაბმელის მწვერვალზე ვერ ავედით, არახელსაყრელი ამინდის გამო. გზა უნდა განვაგრძოთ. 10

ივლისს დილით ადრე ვემზადებით. ცა მოწმენდილია. ბურუსი არც ბრუტსაბძელზე ჩანს და მზის პირველი სხივებით აელვარებულა, თითქოს იცინოდეს, იღიმებოდეს, თავის გამარჯვებას ზეიმობდეს – არ აგვიშვა «ტარტაროზმა». მივდივართ და ახლა ეცინება. «იქ, მაღლა, მწვერვალზე, თურმე ვერცხლის კიდობანია, იქვე დგას ვერხლის დიდი ვაცი, რომელსაც რქები ოქროსი აქვს და თვალები ალმასისა»... ასეთი ლეგენდაც მოვისმინეთ.

გამყოლებად ორი ოსი მოგვდევს თხელადან. მივდივართ სუბალპებით, გადავდივართ «ზიკარაი დონის» ხეობით, სადაც თოვლის ჩამონაზვავები ახლაც ბევრია. მთების კალთებიდან თავბრუდამხვევი სისწრაფით მოექანება ნაკადულები, წყალი ბევრია, ეს დაუშრეტელი მუშუ იმ მდინარეებისა, რითაც ირწყვება ქართლის ველები.

მივდივართ ნელი ნაბიჯით. აღმართი დიდია, ბილიკი კი კარგ ბილიკად უნდა ჩაითვალოს.

3130 მ. სიმაღლეზე ყოჩაღად ამოვიართ, ყოჩაღები არიან ჩვენი ქალები, კარგად დადიან.

თოვლისაგან თავისუფალ კლდეებში თითო-ოროლა მცენარე და ხავსია.

ზეკარზე (გადასასვლელზე) ყრია ჯოხები, ვერცხლის წვრილი ფული და სხვა ნიშნები. ასეთი ნიშანი, აქაურთა რწმენით, ყოველმა მგზავრმა უნდა დატოვოს, ეს ქარისა და ნისლის ღმერთების შესაწირია, სთხოვენ, გზას ნუ გაგვიძნელებო.

წინ მოჩანს დაღმართი, მაგრამ გაცილებით ნაკლები დაქანების, ვიდრე ის, რაც ამოვიართ. ცის ტატნობზე, მთავარი კავკასიონის გასწვრივ, ქედი ჩანს, თოვლიან-ყინულიანი, მრისხანე სახისა, – ეს მთავარი ქედის გამყოლი ქედაა.

ვეშვებით თოვლიან ქედზე. გრძელია. მის თეთრ სპეტაკ მკერდზე მოჩანს მკვდარი პეპლების ფრთები.

ესენი «გადაფრენის» დროს თუ დაღუპულან. აგერ ერთი თუ ორი ასეთი სხვა მოფარფატებს. მარტივი თვალთ რომ შეხედო, გაგიკვირდება. მარად თოვლზე, სადაც სიცოცხლე იშვიათად გაიღვიძებს, მრისხანე კლდეთა შორის ასეთი სათუთი ცოცხალი არსებები?

2700 მეტრზე ვხედავ იმ მცენარეებს, რომლებიც სამთა ქედზე 3000 მ. სიმაღლეზე იყო. 2200 მეტრზე პირველად გვხვდება არყის ხე.

2200 მ. სიმაღლეზე გვხვდება ჩაღმა ოსეთის პირველი სოფელი ჯ ი ნ ა თ ი. ჩრდილოეთის ფერდობებზე თოვლი კიდევ ჩანს. სოფლის სამხრეთის ქედზე კი მოჩანს ჯეჯილი, ახლადაბიზინებული – ეს ორრიგიანი ქერია. ოსები მას «ყაბარხორს» ეძახიან – ცხენის ქერს. მისი «ქარჯინა» – პური უგემურია დ მწარე, დამწიფებას ვერ ასწრებს. თესლი ვთხოვე და მომიტანეს. გავსინჯე და შვრიის რამდენიმე მარცვალი ერია შიგ. ოსები ამბობენ, რომ პურეულში ქერის მეტი არაფერი მოდისო. შესაძლებელია, ალბათ, რამდენიმე სხვა კულტურის შეტანა. აქა-იქ მოჩანს კარტოფილიც.

ქერი და კარტოფილი, მესაქონლეობა – აი, მთელი აქაური მეურნეობა.

ამ სიმაღლეზე, მარადიულ თოვლში, ეს მეტად შესანიშნავია. სჯობს, რომ ეს გამოკვლეული იყოს, როდესაც ყანები (ქერი) მოიწვეს, მომწიფდება, ალბათ, მრავალი საინტერესო მცენარე აღმოჩნდებოდა. კარგი იქნება, სხვების მოყვანაც სცადონ.

მიწებს ხნავენ ოქოქით, ორი ხარი აბია. აქაურ კავს «ჯებერ» ეწოდება. ხვნა იწყება მაისის ბოლოს და მაშინვე ითესება. მოსავალს გლეჯენ (არ მკიან), რადგან ყანა მეტად დაბალია და ვერ მოიმკება სექტემბერში და საქონლის ფეხით ლეწავენ.

საწვავად ხმარობენ წივას, აგრეთვე არყს და დეკას. პირველი აქ ნაკლებად მოიპოვება.

ეს სოფელი წმინდა ალაპურ ზონაშია. ხალხი ლამაზია და ჯანმრთელი ჩანს. სამოცი წლის მოხუცი ჭაბუკს ჰგავდა. ცოტა შევისვენეთ და განვაგრძეთ გზა «ჯინათ დონის» ნაპირებით. მის კალაპოტში ბევრია დაუდნარი ზვავი, ქედებზე მოჩანს პატარ-პატარა სოფლები. მათ ირგვლივ ჭვავის, ქერისა და კარტოფილის მცირე მინდვრებია. 1800 მეტრზე ჭვავი უფრო მატულობს. ქერი მაღალ ზონაში რჩება. სადამო ხანს მივაღწიეთ სოფ. ნარს, კ ო ს ტ ა ხ ე თ ა გ უ რ ი ს, ოსეთის პოეტისა და მოჭირნახულის სოფელს. სოფლის ჩრდილოეთით ჩამოქუხს «ნარ დონი», მჩქეფარე მდინარე. დასავლეთისკენ მოჩანს გვერდის ქედი, თოვლით და ყინულით შემოსილი ამაყი ა დ ა ი ხ ო ხ ი, ნისლშემოხვეული. მხოლოდ ორჯერ ავიდნენ მის მწვერვალზე.

ზარამაგში მივედით. დიდი სოფელია. მიგვიღო იქაურმა მცხოვრებმა მაკოევმა. სუფთა სახლი, მაგიდა, წიგნები, ყურნალები, გახეთები. მასპინძელი ზრდილი, სიტყვა-პასუხიანი და თავაზიანი, გულხალვათი.

სოფელი მდებარეობს 1700 მ. სიმაღლეზე და კულტურულ მცენარეთა სიმრავლე საგრძნობია: ქერი, ჭვავი, დოლის პური, ბოსტნეული საკმაოდ მრავლად არის.

კასარას ხეობა

12 ივლისს არდონის ხეობით მივდივართ მიზურისაკენ, უნდა დავათვალიეროთ კასარას ხეობა, წეიას მყინვარი, მალაროები.

მოქუხს და მოჩქეფს შეუპოვარი არდონი, მისგან დაგორებულ ქვებს რახარუხი გააქვს. მთებიც ბანს ეუბნებიან მის მოძახილს.

ქედები და კლდეები შექაჩლებულია, მცენარეულობა – ღარიბი, ზოგან თითქმის მშრალ სიპ კლდეებზე

მოჩანს ფიჭვი და თითო-ოროლა სხვა მცენარე.

არდონს გაუპია კავკასიონის გვერდის ქედი, გადაულადრავს მისი მკერდი და ვიწრო ხეობაში გაჰკვივის, თითქოს ვილაცას ემუქრებოდეს.

ეს არის კასარას ხეობა. აქაა საქართველოს ძველი საზღვარი – კასარის კარი. ამ კარით ჩაკეტილი იყო მთავარი კავკასიონის უღელტეხილი ზიკარა, მამისონი, როკი და სხვები. მაგარი ბურჯები ახლაც ჩანს, ისევ ფეხმაგად გამოიყურება.

გვერდით, ცამდის ატყორცნილა მაღალი სალი კლდეები, მოჩანს ადაიხობის მწვერვალები, ზარმაგის მყინვარი. იშვიათია სადმე ასეთი მრისხანე და დიადი ხეობა.

ჭკვიანი ხალხი ყოფილა ჩვენი წინაპრები. სცოდნიათ სტრატეგიული პუნქტების არჩევა, აქ ცაში ფრინველიც ვერ გადაფრინდებოდა შეუმჩნეველად და ძირს ჭიანჭველა ვერ გაივლიდა.

ფიქრები შორს მიქრის, გასულ საუკუნეთა იქით...

ვათვალისწინებთ სიდონის ტყვია-ვერცხლის მაღაროებს. ვეკითხებით გამგეს მის ავკარგიანობას. «შემოსავალი ვერ ანაზღაურებს გაწეულ შრომას, ბევრი ხარჯია, მოწყობილი არ არის. მდიდარი მაღაროები წყლითაა სავსე». ავიღეთ მრავალგვარი ნიმუში. მუშაობა ახლად დაწყებულია და იმიტომაც არის ასე, ახალი დირექტორი და ხელმძღვანელობა ენერგიულად შესდგომია საქმიანობას და მუშაობაც წარმატებით წავა წინ. სიდონის მაღაროების დათვალისწინების შემდეგ ისევ ზევით წამოვედით, 14 ივლისს მივდივართ ერთ-ერთი შესანიშნავი მყინვარის დასათვალისწინებლად.

წეიდონის ნაპირ-ნაპირ მივდივართ.

მრავალი მთის მდინარე მინახავს, მაგრამ ასეთი გაბოროტებული, მრისხანე, მწვავე და აღმასი – არსად. ქოჩორაბურმგნული მოჭკვივის ქვემოთ, თითქოს კალაპოტიდან ამომხტარა და ზევით, ჰაერში მოქრის.

არაფერს ინდობს, ლეწავს და აცამტვერებს ყოველივეს, რაც გზად ხვდება, სალი კლდე ინგრევა მისი ტალღის შემოქნევაზე, რუხრუხით იმალება მის წყალში და აქამდე ამაყი კლდე, რომელიც მრავალი საუკუნე წელგამართული იდგა, ალბათ თვალის დახამხამებაზე დაიფშვნება, დაქუცმაცდება და ქვიშა-ლამაღ იქცევა. ფერმკრთალია დარიალის მრისხანება, გავიწყდება კასარაც. წეიდონი ასი წლის როკაპივით კაპასობს, იმ როკაპივით, რომელსაც მოსძულებია თავისთავი და ქვეყანაც, რომელსაც სურს, გაანადგუროს ადამიანის ჯიშის და გვარი.

ბილიკზე მივდივართ და მისი შხეფები სახეში გვცემს. სადამო ახლოვდება და ინისლება. ტყე უკვე უღრანია. გამყოლიც არავინ გვყავს. ვჩქარობთ. გზაში დაგვეწია ახალგაზრდა ოსი. «სად მიხვალთ?» «წეიაში», – ვუპასუხეთ. «მეც იქით». ის მეორედ მიდის, მაგრამ გზა ძალიან კარგად იცის. ჩქარობს, «ჩამოღამება და ჩამონისვლა აქ არ ვარგა, სიცივე და დიდი ნამი იცის».

წყალგალმა უნდა გავიდეთ, მაგრამ ხიდი გაფუჭებულია, წყალს ნახევარი დაუნგრევია. მოვათრიეთ დიდი ძელი და გავდეთ. გამსვლელს მიშველება უნდა. გადავხტი მდინარიდან ამომშვერილ კლდეზე და ფეხი მოვიმაგრე, იქიდან ვაწვდი ხელს. წეია კი კვივის და ბობოქრობს. გავხედე ტალღებს და ვფიქრობ. «კაცი რომ შიგ ჩავარდეს, ვერც კი გადარჩება». არ დამემთავრებინა ფიქრი, რომ ვგრძნობ, წყალი მიმაქანებს. «ვიღუპები, უნდა გადავრჩე». თუ სადმე ჩემში ძალა და ენერგია იყო, მოვიკრიბე, ვწვდი ერთ ქვას, შევჩერდი. აღარა მიშავს რა. მოვირკალე და ნაპირისკენ გამოვწიე. ალბათ წყლის ტალღამ ამომისროლა სწრაფად. ეს თვალის დახამხამებაში მოხდა.

ჩემი თანამგზავრები შეშინებული მიმზერდნენ, მაგრამ ფეხზე ამდგარი და მომდინარი რომ დამინახეს, მათაც გაიცინეს. «აი შე დაღუპულო!» – ესლა თქვა გიორგიმ.

გადავედით ყველა და სწრაფად გავწიეთ ზევით, წეიას მყინვარის ძირისკენ. განსაკუთრებით მე მიმეჩქარება: სველი ვარ და, ცოტა არ იყოს, მცივა.

ცეცხლია ეს დალოცვილი ჩვენი ახალი თანამგზავრი. ისე მიქრის, თითქოს ცეცხლი უკიდიას. თან ამბობს – გული, მკერდი, ფილტვები სუსტი მაქვს და წეიაზე (კურორტია) ამიტომ წამოვედიო. რამდენი ჯანმრთელი დაინატრებდა ასეთ «სისუსტეს». ტყეში ვართ, ფიჭვნარ-ნამენარია. წეიდონს დავცილდით, მაგრამ მისი ყრუ გუგუნე აყრუებს ყოველივეს. მალე ჩამოვუბრუნდით მას და გადავედით მის მარჯვენა ნაპირზე. ახლა ხიდი კარგია, მაგრამ ფეხი ფრთხილად დავდგი: მისი წელანდელი სუსხი ახლაც მახსოვდა.

ილიამ (ჩვენი გამყოლი) დაიყვირა რამდენჯერმე. მალე შემოგვესმა ძაღლების ყეფა, ხალხის ხმაური და გავედით მოტიტვლებულ ადგილას. ღამის სინათლეზე ჩანს სახლი. ეს დასასვენებელი სახლი აღმოჩნდა. მიგვიღეს, ცალკე ოთახი მოგვცეს, ვახშამი გავიწიყეს. დავიწყეთ სიმღერა და მხიარულება მასპინძლებთან ერთად.

მეორე დღეს მყინვარზე უნდა წავსულიყავით, მაგრამ ნისლიანი დღეა და ვათვალისწინებთ წეიას მიდამოებს. აქ არის ოსების სამლოცველო – «რეკომი»... წმინდა ადგილი. იქ უცხო ხალხს არ უშვებენ. მაგრამ ჩვენი, როგორც მოსულებს და მგზავრებს, პატივი გვცეს და დავგათვალისწინებინეს.

კერპთაყვანისცემის ნიშნები: ჯიხვის, ნიამორისა და ირმის რქები, მშვილდ-ისარი, ისრების დიდი კონები და სხვა ამგვარი მრავლადაა ხის საყდრის ირგვლივ. აქვეა ქართველი მეფისაგან შეწირული ზარი, ქართული წარწერით, შაჰ-ნავაზის შვილის შეწირული, რათა ოსებმა, დვალეთმა ილოცოს საქართველოს

სიძლიერისათვის, – აწერია ზედ.

სალამო ხანს კვლავ დასასვენებელ სახლში ვართ და მასპინძლებთან ერთად ვმხიარულობთ. ისმის ქართული, ოსური და რუსული სიმღერა.

დილით, 16 ივლისს, მყინვარისკენ წავედით და მალე მივედით უზარმაზარი ყინულის მდინარესთან. ყინულის გამოქვაბულიდან გადმოჩქეფს მდინარე წეიდონი. ავედით მის მკერდზე. ნაპრალებია მრავლად. ფრთხილად მივდივართ. მზის სხივებზე ელვარებს ყინული და თოვლი. ადაიხობი მედიდურად დაგვექერის მაღლიდან.

გიორგი, რომელიც მყინვარის ნაპირ-ნაპირ მიდის, გვიკვივის დაბრუნდითო, და ჩვენც მოვდივართ უკან.

მე უკან დავრჩი, ნელ-ნელა მივდივარ, ნაპრალებს, წყლის აუზებს, მყინვარის მკერდზე მონავარდე ნაკადულებს ვათვალიერებ.

გადავედი. მარო, ელიკო და ვალიკო არიან.

«ისინი ზევით წავიდნენ», მეუბნებიან და ვხედავ, რომ ჩვენი თანამგზავრების ნაწილი მაღლა მიდის. ძირს დავრჩი და ტიტველი, ყინულისაგან თავისუფალი ადგილების დათვალიერება დავიწყე.

მოვაგროვე მორენების მცენარეები. მრავალ მათგანს თავისი ფესვი მყინვარამდე მიუტანია. ვუცდით წასულებს. კლდეებზე ვწევართ და მზის სხივებით ვთბებით. გვერდით უზარმაზარი ყინულია. ამ დროს მზის ასეთი სხივი საოცნებოდ სასიამოვნოა. მზე იხრება. წასულები არ ჩანან. შევფიქრიანდით. მერე მაღლა ნისლებიც ჩამოწვა, აცივდა კიდეც.

«ალბათ სხვა გზით დაბრუნდნენ ბინაზე», – ვფიქრობთ და მოვდივართ ბინისაკენ, თან ფეხები უკან გვრჩება: ვინ იცის, არ დაბრუნებულან და უჭირთ რამე?!

ჩამოვედით ბინაზე, ჯერ არ ჩამოსულან. მე უკვე ვეღარ ვითმენ და კვლავ მყინვარისკენ მივდივარ. ჩვენთან მოდის ახალგაზრდა ოსი – განათლებული, ნაკითხი. სასიამოვნოა მასთან საუბარი. მამშვიდებს: არა უშავს რა, ჩამოვლენო. ავედით მყინვარზე, მაგრამ არ ჩანან. გადავწყვიტეთ, დავბრუნდეთ უკან, ამოვიტანოთ მამხალეები, ავანთოთ და წავიდეთ უფრო ღრმად სამებნელად.

სახლის წინ ლხინია. ისმის ოსური საცეკვაოს ხმები. ახალგაზრდა თანამგზავრი გახარებული მოდის და მეუბნება, მოვიდნენო.

გადავებვიეთ ერთმანეთს, გაგვიხარდა. სად ამცდნენ, არ ვიცი. კარგა ხანს ვიმხიარულეთ.

მასპინძლებმა დილით გაგვაცილეს, როგორც საუკეთესო მეგობრები.

რაჭისაკენ

დღეს უნდა მივიდეთ სოფელ ქალაქაში. სამხედრო გზა მიდის «ცარგას თეის» სამხრეთის კალთაზე. მის ქვევით მიჰქრის «მამისონდონი». ცარგას თეის ეს კალთა, ფრიად საინტერესოა თავისი ბოტანიკური მოსახლეობით, ორთოგრაფიულად წმინდა სუბალპებია, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ ქედი ფრიად მშრალია და მრავლად არის ქსეროფიტული მცენარეულობა.

გადავედით სოფელ თიმცინაში.

ვეშვებით ვაკე ადგილას, რომელიც დასერილი მინდვრებითაა დაფარული.

ვაკეზე მოჩანს სოფლები – ციხეებით, კოშკებით, სიმაგრე-ბურჯებით.

თითქმის 2000 მ. სიმაღლეზეა და ყანები დამუხლულია. პირაქეთ კი 1700 მ. ახლად აბიზინებული იყო მხოლოდ.

ეს ადგილი წყალჭარბი უნდა იყოს, ოდნავ ჭაობიანი, რადგან ნათესებს შორისაც და სხვაგანაც ადგილების დამახასიათებელი მცენარეები მრავლად მოჩანს.

ღამე სოფელ ქალაქაში გავათენეთ და დილაადრიან რაჭისაკენ გავწიეთ.

საშინლად ცივი დილაა. ყველამ თბილად ჩავიცვით.

შევუდექით მამისონისკენ მიმავალ გზას. მალე დაგვცხა – ტანისამოსი შევიმსუბუქეთ, მით უმეტეს, მზემაც გამოაჭყიტა.

ნელი ნაბიჯით მივდივართ. აღმართი შეუმჩნეველია. მალე ავედით და გადავხედეთ მშვენიერ ამწვანებულ რაჭის მთებს, ტყით დაფარულ მთის ფერდობებს.

ვეშვებით რაჭისკენ. უკვე საქართველოში ვართ. პირველად მცენარეულობის იგივე სახეობებია, მაგრამ მალე მკვეთრი განსხვავება ემჩნევა: ჩრდილოეთისკენ – მოტიტვლებული ქედები, გადარიბებული ტყეებია თითქმის ყველგან, მეტისმეტად ღარიბი და შეთხელებული, აქ კი ტყიანი და აქოჩრილი – ტატანი და სწორი ფიჭვი, ნაძვი, მაგრამ ბატონობს ს ო ჭ ი, უზარმაზარი, ვეებერთელა. მთელი ქედები სოჭითაა შემოსილი.

რაჭისკენ ჩამავალი დაღმართი საინტერესოა, 2-3 საათში ჩამოივლი წმინდა ალპურ ზონას, სუბალპურსაც და ტყეში ჩამოხვალ.

პირველად გვხვდება არყი, თხილი, მთრთოლვარე ვერხვი, ბოყვი, ქნავი, ხუნწი, სტომი, მათ შემდეგ უცხად ჩნდება ნაძვისა და სოჭის სარტყელი, მთაში ალაგ-ალაგ მოჩანს მურყანი, ტირიფი, ბალამწარა, მაჟალო, პანტა.

მიდიხარ გზატკეცილზე და გგონია, რომ ხელოვნურად გაშენებულია. აქეთ-იქით ცამდის აწვდილა ტატანი, ლამაზი წიწვიანი მცენარეები.

ლამაზია რაჭა, იშვიათად ლამაზი. ჩამოვიარეთ გლოლა, ეს ზემო რაჭაა, რაჭის ხევსურეთი. ხალხი გამოგვეგება, არ სჯერათ, რომ ქართველები ვართ. «ქართველები როგორ ჩაიცვამენ მოკლე შარვლებს», – ამბობენ. ვისვენებთ. მე ნათესებს ვათვალიერებ. შვეისწავლე მინდვრები და ბლომად კოლექცია შევკრიბე, განსაკუთრებით ბევრი ნიმუში შევკრიბე სოფელ ღრუშევში (გლოლამდეა ოსების სოფელი, 1800 მ. სიმაღლეზე).

გლოლას მინდვრებში ბევრია დოლის პური, ჭვავი, ქერი, ფეტვი, სიმინდი, ლობიო, ბარდა, კარტოფილი და სხვ. მრავალია ბოსტნეულიც. ღრუშევში თუ ქერისა და კარტოფილის მეტი არაფერი იყო, აქ თითქმის 2 ათეული კულტურული მცენარეა. გლოლა 1300 მ. სიმაღლეზეა, ღრუშევზე 500 მეტრით დაბლა.

სარეველა მცენარეების გავრცელების არე კი მეტისმეტად დიდია.

ამ მხრივ დიდი გამოკვლევის ობიექტია მთელი ეს ნათესები. მივემგზავრებით, ირგვლივ მომაჯადოებელი ბუნებაა.

მცენარეებს ველარ ვკრეფ, რადგან ჰერბარიუმის ქაღალდი გამოძელია.

მაწუხებს ეს მდგომარეობა, მაგრამ რას ვიზამ.

სრულად რომ წაიღო სამუშაო მასალა, 3-5 ცხენის საპალნეა საჭირო.

სალამოს მივედით უწერაში. 40 კილომეტრი გამოვიარეთ. გადმოვიარეთ ქედი და პირიქითიდან პირაქეთ გადმოვედით, რაჭაში.

უწერა ცნობილია თავისი წყაროებით. ხეობაში მშვენიერი სოფელია, ტყით შემკული. ტყე უმთავრესად წიწვიანია, არის ფოთლოვანიც.

უწერის დასაწყისში, გლოლასთან, მთის ფერდობზე, პატარა ვენახი აღვნიშნე 1100 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ეს უკანასკნელი ვენახი ყოფილა. ამის ზევით ვაზი არსად ხარობს.

მინდვრებში ყანები ოქროსფრად ბზინავს. ალაგ-ალაგ მოუჭრიათ კიდეც. მოჩანს ძნები. დოლის პური ჭარბობს. გულდასმით დავათვალიერე და შევკრიბე მასალა.

აუარებელია ე. წ. ნახევარფხიანი პური – გარდამავალი საფეხური ფხიანი დოლის პურისა უფხოზე.

ამ მოვლენამ გამახარა. ასეთი პურები საქართველოში ჯერ აღნიშნული არ ყოფილა. საჭიროა მათი კარგად შესწავლა.

სილამაზით რაჭამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ცამდის აწვდილი ბუმბერაზი, თოვლიან-ყინულიანი მთები, სადაც არჩვი და ორბი ბუდობს მხოლოდ, ალპური საძოვრები, უღრანი, ასწლოვანი და დაბურული ტყე, უამრავი სამკურნალო წყარო და ამ მთების ძირში ვენახები, ყურძენი, ცხრათვალა მზე, ბწყინვალე და მოალერსე – იშვიათად იპოვი სადმე ასეთ კუთხეს! ასეთ მცირე არეალში ამგვარი ფერადოვნება უცხოელს შეიძლება მხოლოდ ზღაპარში წაეკითხოს.

რაჭის განსაკუთრებულ მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მომავალი განვითარებისა და ალორძინებისთვის. ეს ხომ დაუშრეტელი სიმდიდრეა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ადვილად არ ამოიწურება.

აქ არის უამრავი მთის მდინარე, საშინელი დაქანების მქონე, ყველაზე იაფად საშოვნელი ოქრო და სიმდიდრე – თეთრი ნახშირი, ელექტროენერჯის იაფი წყარო. აქვეა ალპური საძოვრები.

სამკურნალო წყაროები.

ყურძენი და ხილი.

ცხრათვალა მოალერსე მზე.

წიწვიანი მცენარის ტყე – ნაძვი და ფიჭვი.

სად არის, რომელი მხარე, ერთად ყოველივე ამით შემკული და შეზავებული?!

ეს ხომ ის სასიცოცხლო ნექტარია, რომელზეც გრძელი ზამთრის ღამეებში მოხუცი ბებიებისაგან გაგვიგონია და რაზეც დღეს უამრავი მეცნიერი თავს იმტვრევს, დაწყებული შტეინახ-ვორონინით!

ასეთი ბუნების მქონეს სხვა რაღა გინდა, გამოიყენე მხოლოდ გონივრულად, წინდახედულად და არამცთუ ერთი პიროვნება, მთელი ერი გაჯანსაღდება.

სასიამოვნოა, რომ რაჭაში იწყება მუშაობა, კეთდება გზები, ჰიდროელექტროსადგურები, ეწყობა კურორტები, სამეურნეო სასწავლებლები.

ვტოვებდი რაჭას, პირველად ნანახს, შეყვარებულს და შეთვისებულს, ნაგრძნობს მთელი ჩემი არსებით. უეჭველად სიტყვის დიდი ხელოვანი უნდა იყო, რომ რაჭის ბუნება სრულყოფილად დაახასიათო.

ბუმბერაზობა, მრისხანება, სიამაყე, ვაჟკაცობა, სინაზე და ქლწულებრივი კდემამოსილება ერთმანეთში ისეა შეზავებული, შეთვისებული, რომ ვერ არჩევ, სად იწყება ერთი და მთავრდება მეორე.

ყინულიანი მთები, მყინვარები, მარადი თოვლი. ამბობენ, იქ ათასში ერთხელ გადაიფრენს თავისუფალი არწივი, ფეხის ბაკუნით ჯიხვი და არჩვი გადასერავს ხელუხლებელ თოვლს. იცის ზვავები, რომელთაც რისხვით და ჭექით მოაქვთ თან მთელი მთები და ვაი მას, ვინც წინ დახვდება ამ დროს, ვინც გადაელობება. მოისპობა, გაისრისება, გაქრება. აღიგვება პირისაგან დედამიწისა!

მდინარეები მოჩქეფს რიხით და ჭექით, ანგრევს ამაყად მდგარ კლდეებს, რომელთაც ვერ შეხებია საუკუნეთა სასიკვდილო შავი ფრთები. ჩქარი და სწრაფი მდინარე გაჰკვივის, იმუქრება, თავის მკერდში

გაცოფებული იხვევს ყოველივეს, არემარეს აყრუებს ირგვლივ, მათა ყრუ გამოძახილს და ვედრებას ყურადღებას არ აქცევს. რა მათი საქმეა, რას ევედრებიან მთები, რატომ გაჩერდებიან თუნდ ერთი წამით – მიექანებიან მრისხანედ ქვევით, უნდათ, გაუსხლტნენ ამ ბორკილებს, ლეწავენ და ამტვრევენ მათ. აი, აქვე, აქორილი ფერდობი, მოლივლივებს მასზე მარგალიტისცრემლიანი ნაკადული, აფრქვევს ნამს ირგვლივ და მზის სხივებზე ელვარებს, არავის ივიწყებს – გვირილასაც მიუალერსებს, გვიმრასაც გადაკოცნის და გარს შემოეველება, მის ფურცლებს თავისკენ მიიწვდის, წაუჩურჩულებს ორიოდ სიტყვას, ჩაიცინებს, ჩაილივლივებს და ცქრილით მიეშურება ქვევით. იქ უცდის მას ვენახი, ბაღი, ნაკადული მათი რძეა, მან უნდა გამოზარდოს ისინი.

ჩაურბენს ვენახს – ქარვის მტევნებით დატვირთულ ვაზს, შეეკითხება, ხომ არ სჭირდება მისი ალერსი, მტლედ დაედება, ფესვამდე ჩასწვდება და გაახარებს.

... და რაჭველიც გულმხიარული შედის თავის ვენახში, ღობეზე სურო და სვია ერთმანეთში გადახლართულა, ასკილი ჩაუბლუჯია თავის ხლართში.

ვაზი კი მედიდურად შეხარის პატრონს და ეშხიანად უჩვენებს ათქვირებულ მკერდს, რომელზეც მოჩანს მიწის რძით სავსე და შეკრული მტევნები, სასიამოვნო და გემრიელი.

სათუთად გაათავისუფლებს ლერწს, შეაცლის ზედმეტს, ძირს გამოუსუფთავებს, გაუფხვიერებს, ჭიგოს გაუსწორებს და დახედავს მტევანს, აკოცებს და დალოცავს მიწის მადლს, რომ მან ასე დაასაჩუქრა.

გულმხიარულივე წავა სახლისკენ და დააღიღინებს სიმღერას, სადაც ისმის სიამაყეც, სიხარულიც.

მორჩება სიმღერას და იფიქრებს, რა გააკეთოს კიდევ, რომ ზამთარში ცოლ-შვილის თვალზე ცრემლი არ დაინახოს.

გრძელ ზამთარში მომართავს ქამანჩას, გაბერავს გუდას და დაუკრავს სტვირს.

ზედ დაამღერებს ლექსებს, სადაც შეაქებს მიწის რჯულს ბარაქიანს, თავის მთებს თოვლიან-ქარიშხლიანს.

გაიხსენებს გამბედავი მონადირის ამბავს, რომელმაც თავს დაუარა ამ მთებს და მაინც მშვიდობით დაბრუნდა.

ენამახვილად გაკილავს კიდევ ხელმრუდ ადამიანს და უღვაშებში ჩაიცინებს.

შეაქებს ახალ და მომავალ ბედნიერ ცხოვრებას.

წამოვედი რაჭიდან და დამენანა.

გადმოვდექით ნაქერალაზე. თვალწინ გადაიშალა ლამაზი გურია დ იმერეთი, აჭარა-იმერეთის ქედი, მაგრამ ამ სილამაზემ მაინც ვერ დაფარა რაჭის გული.

¹ გაზ. «კომუნისტი» 5/IX 1958. №205. აქ იბეჭდება შემოკლებით.

² ლავა (რედაქ.)

³ ბაქსანელები იალბუზს მინგი თაუს ეძახიან.

⁴ ხევის პატარმალ – იგულისხმება მყინვარწვერი

⁵ წვრილი (რედაქ.)

⁶ სიმონ ჯაფარიძე საუკეთესო ალპინისტი იყო, განათლებით ინჟინერმა თითქმის ყველა ჩვენი მწვერვალი მოიარა. თეთნულდის მწვერვალზე, როდესაც მისი ამხანაგი, სვანეთის აღმასკომის თავმჯდომარე პ. დვალი უფსკრულისკენ დაექანა, მას მიეშველა და მასთან ერთად დაიღუპა.

⁷ იაგორა კაზალიკაშვილმა იალბუზის შემდეგ მრავალი ექსპედიცია აიყვანა უმწვერვალზე. 1932 წელს ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძის ექსპედიციას ახლდა გამყოლად უშბას მწვერვალზე. უშბა უმწვერვალია ევროპაშიც, მაგრამ ამ ექსპედიციამ ეს მწველი საქმე ბრწყინვალედ დაამთავრა. იაგორა ყაზბეგში გარდაიცვალა 1935 წ.

⁸ ალპინისტების მიერ დარქმეული სახელი – ადგილი იალბუზზე, გადასახედი (რედაქ.)

⁹ მოსალამოვდა (რედაქ.)

¹⁰ მსხვილ-მსხვილი მარცვლების შემცველი; მარცვლოვანი (რედაქ.)

¹¹ იაგორა კაზალიკაშვილი 1934 წლამდე 30-ზე მეტჯერ იყო ყინვარწვერზე.

¹² პასტუხოვი – რუსი ტოპოგრაფი იყო, რომელიც სამჯერ ავიდა იალბუზზე. მესამე ასვლა უბედურებით დამთავრდა, ყელიდან სისხლმა ამოხეთქა და მკვდარი ჩამოიტანეს ძირს.

¹³ გადამითარგმნა იზიმურათმა, რომელმაც რუსული იცოდა

¹⁴ დასვენებული (რედაქ.)

¹⁵ ნაკრა მდ. ენგურის შენაკადია. მისი სათავე დონღუზ-ორუნის კალთებზეა.

¹⁶ იალბუზს სვანები ჰინგიტაუს ეძახიან, ჰინგიტაუსაც.

¹⁷ საზაფხულო სახლს ხშირად ამენებენ იქ, სადაც სახნავ-სათესი მიწები აქვთ.

¹⁸ დინა – ახალგაზრდა ქალი.

¹⁹ რუსეთის ექსპედიციიდან, რომელიც იალბუზზე ასვლას აპირებდა და უკან დაბრუნდა, ჩვენთან დარჩა «პრავდას» კორესპონდენტი, მან ჩვენთან ერთად მწვერვალს მიაღწია და პირველმა გაგზავნა ცნობები ასვლის შესახებ.

²⁰ ესენი იყვნენ გერმანელი ტურისტები, რომლებიც უშბაზე ასვლის დროს დაიღუპნენ.

²¹ ლევან ყანჩაველი, ასმათ ნიკოლაიშვილი, ვერიკო ბეჟანიშვილი.

²² როგორც ხალდე-ჭალა, ისე ჰადიში-ჭალა ენგურის შენაკადია. პირიქითა სვანეთში ჩამომდინარე ყველა მდინარე ენგურს ერთვის.

²³ ჩრდილოეთ ოსეთში, წეიას მყინვარის მახლობლად, უთხოვრის ხისგან აგებულია საყდარი რეკომი. რეკომი ცნობილია ქართველ მეფეთა დროსაც. ახლაც არის იქ გიორგი მეათის მიერ შეწირული ზარი. ეს ხეები რაჭიდან გადმოიტანეს – ამბობენ აქაურები;

²⁴ კავკასიონის მთავარ ქედს გადაღმა თუშეთს მთათუშეთს ეძახიან, რადგან თუშთა დიდი ნაწილი ზამთარს ბარად ატარებს, ზემო და ქვემო ალვანში. თუშები თავიანთ მთას *სათუშოსაც* უწოდებენ;

²⁵ ჩადმის თუშეთი სამ თემად იყოფა: გომეწარი, ჩადმა და პირიქითი. ეს უკანასკნელი გომეწარს წიოს ქედით არის დაცილებული;

²⁶ უზუნდარა იორ-ალაზანს შორის მდებარე ველის ნაწილია.

²⁷ ალაზნის თავი, პირიქითა თუშეთია, გომეწარის ალაზნის სათავეებში. თუშების ნაწილი ზაფხულობით ცხვარს იქით მიერეკება.

²⁸ პანკისის ხეობაში ქისტები ჩამოსახლა მეფის რუსეთის მთავრობამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მეფის მთავრობას უნდოდა, ისინი გამოეყენებინა მთიელებთან საბრძოლველად, გზის მაჩვენებლად, გამყოლებად და სხვ. ქისტები კი ცდილობდნენ, ისევ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ მთებში და ხშირად გარბოდნენ კიდევ მთებისკენ. ერთ ასეთ შემთხვევაზეა აქ ლაპარაკი.

²⁹ თუშები მთაში თიხის სურების ნაცვლად, სპილენძის ჭურჭელს ხმარობენ. ადვილად არ გატყდება, გადატან-გადმოტანად ადვილია. ისეთი აღმართ-დაღმართია, რომ ხშირად ხევშიც უგორდებათ. სპილენძი გადარჩება, თიხა კი დაიმტვრევა.

³⁰ ივრის სათავეები ბორბალოდან გამოსულ ქედზეა, მასარაზე. ალაზნის ერთი ტოტი – წიფლოვანის ხევის წყალი – თითქმის თვით ბორბალოს წვერიდან იწყება. ამ ადგილას წიფლოვანის ხევს (სათავეში) არზოვანი ეწოდება. ალაზნის მეორე ტოტის – სამყურის წყალის სათავეები იწყება ბორბალოდან გამოსულ ქედზე, მხეველის – სამყურის მთებში. ისინი ერთდებიან პანკისის ხეობის დასასრულს, ტოლოშაში;

³¹ დაბალი, ტანმორჩილი

³² ითამაშებთ – იცეკვებთ.

³³ წოპზე – წვერზე

³⁴ ხანჯალი თუშს თუ სხვა მთიელს უფრო იმიტომ არტყია წელზე, რომ ის მისი დამხმარე სახელდახელო იარაღია. ჯოხის გამოჭრა, ტყეში გზის გაკაფვა, შემის დამზადება, უნაგირზე გამწყდარი მოსართავის გადაბმა და სხვა – აი, უმთავრესად რისთვის სჭირდება ხანჯალი. ამაში დამარწმუნა ჩემმა მრავალმა მგზავრობამ ჩვენს მთებში.

³⁵ დროთა განმავლობაში სოფლების სახელწოდებები ოდნავ შეიცვალა. მაგალითად, დღეს ამ სოფელს ვესტომთა ჰქვია, ვეძათხევეს – ვეძისხევი, ილურთას – ილიურთა (რედაქტ.).

³⁶ ქარი ამოვალეზინეთ – შევასვენეთ (რედაქტ.)

³⁷ ისტორიული მხარე – თემი აღმოსავლეთ სათავეებში, ძირითადად მოიცავდა ახლანდელი ედისის ტერიტორიას (რედაქტ.)